გიორგი ბოჭორიძე

იმერეთის ისტორიული ძეგლები

„მეცნიერება“
თბილისი
1995

წიგნი მოიცავს იმერეთის ისტორიული ძეგლების მეცნიერულ პუბლიკაციას სოფლების მიხედვით. ესაა: საკულტო და საერო დანიშნულების ნაგებობები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერი წიგნები, ისტორიული დოკუმენტები, მინაწერები, საკულტო და საყოფაცხოვრებო ინვენტარი, ნუმიზმატიკური მასალა და სხვა. აქვე მოცემულია ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ სიძველეთსაცავშია ჩაბარებული ესა თუ ის ნივთი, მისი საინვენტარო ნომრით. ავტორს თავისი მოგზაურობის დროს შეკრებილი და ფიქსირებული აქვს აგრეთვე მოსახლეობაში შემორჩენილი სოფლის ისტორიულ ძეგლებთან დაკავშირებული გადმოცემები და თქმულებები.

წიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა

ლევან რატიანმა

რედაქტორი ნ. შოშიაშვილი

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ქავთარია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ფრუიძე

0505000000
ბ
M 607 (06)—95

© „მეცნიერება", 1995

ISBN 5—520—01575—9

გიორგი ბოჭორიძე

რედაქტორისგან

ღვაწლმოსილი ქართველი მკვლევრის, ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძის წარმოდგენილი ნაშრომი — „იმერეთის ისტორიული ძეგლები“ — ნაწილია იმ დიდი სამუშაოსი, რომელსაც ავტორი დაუცხრომლად ატარებდა ჩვენი საუკუნის 20—30-იან წლებში, ვიდრე საბჭოური რეპრესიის მსხვერპლი გახდებოდა 1939 წელს. ეს მუშაობა მიზნად ისახავდა საქართველოს სოფლებში შემორჩენილი ისტორიული ძეგლების აღნუსხვას, აღწერასა და გამოცემას ცალკეული პროვინციების მიხედვით.

წიგნი მოიცავს იმერეთის ისტორიული ძეგლების მეცნიერულ პუბლიკაციას სოფლების მიხედვით: ესაა: საკულტო და საერო დანიშნულების ნაგებობები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერი წიგნები, ისტორიული დოკუმენტები, მინაწერები, საკულტო და საყოფაცხოვრებო ინვენტარი, ნუმიზმატიკური მასალა და სხვა. აქვე მოცემულია ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ სიძველეთსაცავშია ჩაბარებული ესა თუ ის ნივთი მისი საინვენტარო ნომრით. ავტორს თავისი მოგზაურობის დროს შეკრებილი და ფიქსირებული აქვს აგრეთვე მოსახლეობაში შემორჩენილი, სოფლის ისტორიულ ძეგლებთან დაკავშირებული გადმოცემები და თქმულებები.

წიგნში აღწერილი ძეგლების ნაწილი გამოცემული ჰქონდათ XIX ს. მკვლევრებს. ავტორს მითითებული აქვს ეს გამოცემები და შესწორებული აქვს იქ დაშვებული უზუსტობანი. წიგნში აღწერილ ისტორიულ სიძველეთა ნაწილი დღეს დაკარგული და განადგურებულია, რაც, რა თქმა უნდა, ზრდის წარმოდგენილი პუბლიკაციის მნიშვნელობას.

ეპიგრაფიკული ძეგლების, მინაწერებისა თუ სხვა ხასიათის წერილობითი ძეგლების ტექსტები ქვეყნდება როგორც დედნის დამწერლობით (ასომთავრული, ნუსხური), უცვლელად (ქარაგმაგაუხსნელად, განკვეთილობის ნიშნები და სხვ.). ისე თანამედროვე დამწერლობით (ქარაგმაგახსნილი, სასვენი ნიშნებით გამართული).

შემდგენლის წინათქმა

გიორგი თადეოზის ძე ბოჭორიძის წიგნის დასათაურება — „იმერეთის ისტორიული ძეგლები“ ჩვენ გვეკუთვნის. წინამდებარე ნაშრომის არსებობა დღემდე ცნობილი არ იყო. იგი გამოავლინა ხელოვნებათმცოდნე ციცინო ჩაჩხუნაშვილმა, დაცულია ავტოგრაფის სახით ძეგლთა დაცვის მთავარი სარესტავრაციო სახელოსნოს არქივში (ამჟამად ძეგლთა დაცვის საპროექტო ინსტიტუტი „საქპროექტრესტავრაცია“). მასალები მოთავსებულია ორ საქაღალდეში: № 83 (35 რვეული) და № 86 (46 რვეული). აკლია 3, 5, 32, 34 და 39 რვეულები.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია გ. ბოჭორიძის პირადი ფონდი № 1753, იმერეთის მასალა, საქმე № 6, მანქანაზე გადაბეჭდილი სიები, რომლებშიც წარმოდგენილია: სია ქუთაისის ისტორიული ძეგლებისა, სია იმერეთის ისტორიული ნივთებისა, სია იმერეთის ხელნაწერი წიგნებისა და სია ძველი სტამბის წიგნებისა.

წიგნი დავყავით ორ ნაწილად: I. იმერეთის ისტორიული ძეგლები; II. იმერეთის სიძველეთა სიები.

წიგნის ფოტოილუსტრაციები დაამზადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის რაჭის ექსპედიციის წევრმა თენგიზ ფურცხვანიძემ.

წიგნში არ არის მითითებული ზოგიერთი აქ შესული ძეგლის ის პუბლიკაცია, რომელიც განხორციელდა გ. ბოჭორიძის შემდეგ.

წარმოდგენილი გამოცემა ემყარება გ. ბოჭორიძის არქივში დაცულ ხელნაწერს. წიგნში თავმოყრილია მდიდარი საისტორიო მასალა, რაც დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიისა და კულტურის მკვლევართ, გაამდიდრებს მათი კვლევის წყაროთმცოდნეობით ბაზას.

გიორგი ბოჭორიძე

გიორგი თადეოზის ძე ბოჭორიძის (1884—1939) ღვაწლი ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია. იგი 1939 წელს, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ასაკში, რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილის მოწაფესა და თანამებრძოლს მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დარჩა, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის დიდხანს ხელმიუწვდომელი იყო. ამჟამად გ. ბოჭორიძის შვილიშვილის თამაზ ბოჭორიძის ძალისხმევითა და დაფინანსებით გამოვიდა მონოგრაფიები: მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში (1992 წ.), თუშეთი (1993 წ.), რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები (1994 წ.).

გ. ბოჭორიძის მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობაზე მუშაობა გრძელდება.

რაც შეეხება იმერეთს, მისი არსებობა არავინ იცოდა. გ. ბოჭორიძის პირად არქივში, რომელიც საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივშია დაცული (ფ. № 1753), იმერეთის სიძველეებზე მხოლოდ სიებია. სიების არსებობა თავისთავად ეჭვს ბადებდა, რომ გ. ბოჭორიძეს იმერეთის ეკლესიებიც უნდა შეესწავლა, მით უმეტეს ქუთაისში ყოფნის დროს, როცა რაჭა-ლეჩხუმში მიემგზავრებოდა, ანდა იქედან ბრუნდებოდა, ქუთაისში საკმაოდ ხანგრძლივად რჩებოდა, რათა ადგილობრივი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის რაჭა-ლეჩხუმიდან ჩამოტანილი მასალები ჩაებარებინა. დაუღალავი მკვლევარი ნაცვლად იმისა, რომ მთაში, მაშინდელი საშუალებებით, მძიმე და მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ ქალაქში სული მოეთქვა და დაესვენა, ქუთაისის ახლომახლო ბევრს მოგზაურობდა და ჩვეული გულმოდგინებით ათეისტური ვანდალიზმისგან განწირულ ძეგლებს სწავლობდა. ამასთანავე მათი გადარჩენისათვის, სიცოცხლის რისკით, ყველაფერს აკეთებდა. ბედნიერმა შემთხვევამ შთამომავლობას მისი ნაამაგარი არ დაუკარგა; ხელოვნებათმცოდნე ციცინო ჩაჩხუნაშვილმა საქართველოს რეს-

პუბლიკის ძეგლთა დაცვის მთავარი სარესტავრაციო სახელოსნოს არქივში (ამჟამად ძეგლთა დაცვის საპროექტო ინსტიტუტი) აღმოაჩინა გიორგი ბოჭორიძის უცნობი ნაშრომის ავტოგრაფი იმერეთის ძეგლებზე (№ 83—86), რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ლევან რატიანმა გამოსაცემად მოამზადა — სათაურით „იმერეთის ისტორიული ძეგლები“.

იმერეთის მასალებთან ერთად იქვე გამოვლინდა ლეჩხუმის ისტორიული ძეგლების ამსახველი მასალაც, რომლითაც შეივსო გ. ბოჭორიძის მონოგრაფია „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“.

ციცინო ჩაჩხუნაშვილის მიგნებით მნიშვნელოვნად გამდიდრდა გიორგი ბოჭორიძის შემოქმედება და ქართული საისტორიო მწერლობა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, გ. ბოჭორიძე რომ არა, 20—30-იან წლებში ანტირელიგიური ლაშქრობების დროს, მთლიანად მოისპობოდა საქართველოს საეკლესიო განძი, როგორც ილეკროს (ძვირფასი ლითონების) ნივთები, ისე ხელნაწერები. გიორგი ბოჭორიძემ შეუძლებელი შეძლო, მან ჭუთაისისა და თბილისის სიძველეთა საცავებში არა მარტო უამრავ ექსპონატს მოუყარა თავი, არამედ ეკლესიებიც აღწერა, რომელთაგან ბევრი უკვე დანგრეულია, და უმდიდრესი ეპიგრაფიკული მასალა დაღუპვისაგან იხსნა. ყოველივე ზემოთქმული ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ გ. ბოჭორიძეს ღირსეული ადგილი უჭირავს ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით. ამის მრავლისმეტყველი დადასტურებაა წინამდებარე წიგნიც, სადაც ყოველმხრივ ვლინდება მკვლევრის დიდი ნიჭიერება, მაღალი პროფესიონალიზმი და საარაკო შრომისმოყვარეობა.

ნამდვილად ღვთის შეწევნაა, ყოველი ისტორიული ქარტეხილის ჟამს საქართველოს გიორგი ბოჭორიძისთანა მამულიშვილი რომ მოევლინება.

ლევან ფრუიძე

პირველი ნაწილი

გუმათის მთავარანგელოზის ეკლესია

სიძველენი:

1. (ქ. 155). ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. დიმიტრისი, 18×13 სმ., ოქროს წყალში დაფერილი, შემკული 2 თვლით, 4 თვალი ავარდნილია და ინახება; დიმიტრის მარცხენა ხელი და ფეხი მოტეხილი აქვს და ინახება.

2. (ქ. 156). კარედი ხატი წმ. დიმიტრისი, $11^1/_4 \times 9 \times 11^3/_4$ სმ., შეჰედილი ვერცხლით, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი და შემკული 12 თვალმარგალიტით და მარგალიტის მძივებით (აკლია 4 თვალმარგალიტი), 2 თვალი ავარდნილია და ხატთან ინახება. ხატი ძლიერ დაზიანებულია: გულის ნაწილები ცარიელია, ვერცხლის შეჰედილობა ბევრ ალაგას (ზურგი და კარები) მოცილებული და დაკარგულია; ზურგზე შერჩენია რამდენიმე ნაგლეჯი წარწერის კვალით.

ა. კარებს გარედან აქვს დაზიანებული ასომთავრული წარწერა.



5

იკითხება:

†ᵃ ღუაწლისა მძლე[ო მ]
ოწამეთა შ(ორი)ს ნეტა[რო დე]-
[მ]ეტრე მფარვ[ელ ექმენ]

5.

ბ. ძირა გვერდზე არიხ წარწერა ასომთავრულადვე:

ᲔᲨᲐ, ᲒᲚ: ᲧᲛ, ᲔᲮᲘᲩᲧᲖᲨᲮ

იკითხება:

წ(მიდა)ო დ(ემეტრ)ე, შ(ეიწყალ)ე წ(ინამძღუა)რი ნ(ი)კ(ო)ლ(ო)ზ.

3. (ქ. 157). რომელიმე ხატიდან დარჩენილი დაბალი ვერცხლის ფურცელი, გატეხილი სამად, 18×13½ სმ., ფურცელთან არის ფიცარი.

ფურცელს აქვს ასომთავრული წარწერა:

(ტ) ⵒⵊ: ⵄⵍⵊⵔⵜⵒⵃ: ⵆⵑⵒⵃⵍⵊ
ⵑⵔⵔⵒⵃ̃: ⵒⵐⵏⵔⵃⵍⵊ ⵔⵔ̃
ⵍⵜⵍ ⵖⵏ̃ ⵔⵖⵑⵏ̃ ⵜⵖⵃⵒⵒ̃
ⵇⵜⵚ: ⵐⵜⵞⵑⵃⵍⵜⵚ: ⵊⵍ̃
5 ⵒⵑⵄⵞⵜⵚ: ⵜⵚⵑⵜⵑⵔ: ⵜ̃
ⵜⵚ: ⵑⵍ̃ⵚ ⵚⵃ̃ ⵜⵖ ⵑⵔⵔⵇ̃ⵔⵒⵔⵚ
ⵄⵔⵏ̃ⵜ ⵔⵚ: ⵑⵍ̃ⵔⵃ: ⵑⵍ̃:
[ⵊ]ⵃ ⵒⵇⵚ̃ⵚ ⵒⵐ̃ⵞⵇⵚ: ⵄ..
ⵒⵑⵔ̃ⵍⵚⵜ ⵔⵚ ⵚⵜ
10 ⵚⵃⵑⵍⵄⵚⵍⵚ[ⵜ]
[ⵑⵍ̃ⵜ] ⵊⵃ̃ ⵏ[ⵚⵃ̃]

იკითხება:

† მე, ბედ(იე)ლმ(ა)ნ გ(ე)რმ(ა)ნე
ჩ(ხო)ტ(ი)ძ(ე)მ(ა)ნ მ(ო)ვ(ა)ჰ(ე)დ(ი)ნე ხ(ა)ტ(ი)
ესე წ(მიდა)ჲ დ(ა)წ(ე)რ(ილ)ი ს(ა)წ(ი)ნ(ა)მძ[ღურ]
ოსა ვლ(ა)ქ(ე)რნისა ღ(უთ)ის
მშ(ო)ბლ(ი)სა საჯსრ(ა)დ ს(უ)ლ-
(ი)სა ჩ(ემ)ისა ა(მი)ნ. ქწ ჩხოტ(ი)ძ(ე)თა
ბ(ა)დ(უ)რს და შედ(ა)ნს შ(ეუნდვნ)ეს
[ღ](მერთმა)ნ მ(ა)თთა მჯ(ევა)ლთა ყ. .
მ(ა)რ(ე)ხიას და ას
[ულს]? ანშიბაიას
[შეუნდვნეს] ღ(მერთმა)ნ [ა(მი)ნ].

4. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მიქელ-გაბრიელისა, $33^1/_2 \times 24^1/_2$ სმ., შემკული 3 დიდი და 7 საშუალო ზომის თვლით. ხატს ზურგზე გადაკრული აქვს სპილენძის ფურცელი; აბია ჩამოსაკიდებელი ძეწკვი ვერცხლისა.

ქვედა აშიაზე აქვს წარწერა:

1. ქ. წი˜სა სამებისა წ˜ე მდგომარენო დიდნო მთავარ
ანგზ˜ნო წნ˜ო მიხაილ და გაბრიელ ჩ˜ნ მინდობილთა
ფარვათა თქვე
2. ნთამან ლორთქ-მანიძე ბერმა და ძმათა ჩემთა
და დეკანოზმან ნკზ: და ერთობით თემმან: გუმა-
თელთა: მოვჰედეთ: ხატი: თქ˜ნი. დავასვ.

3. ენეთ ამას წა˜სა ეკლესიასა დაგვიფარეთ დაგვიცვენით ამას ცხოვრებასა და ცხოვრება საუკუნო მოგვანიჭეთ ამინ: ქ˜ეს აქეთ: ჩყე (1806 წ.).

5. ლანგარი სპილენძისა წარწერით.

გ ა რ ე თ:

ქ:. სოღროათ აფრამ[ა]სია:.

შ ი გ ნ ი თ:

ყანდინათ მოსესასია

ოფურჩხეთი

წმ გიორგის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 61×44 სმ.; წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარე.

2. (ქ. 205). ბუკი სპილენძისა

ჟონეთი

მაცხოვრის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ტილოზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 90×62 სმ., გადაკრული ფიცარზე; აქვს წარწერა: ი᷾ო მა᷾ი, ანუ: იესო მაცხოვარი.

2. ჯვარი ხისა, წოდებული ჯვარცმად, 47½(22)×18×3 სმ., რომელსაც წინა პირი შემკული აქვს დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატებით ჯვარცმისა და სხვ., უკანა მხარეს, გვერდებზე და ტარზე კი შემოკრული აქვს სპილენძი. ჯვარი დაზიანებულია: მარცხენა მკლავი მოტეხილი აქვს, ჰქონია 5 თვალი, აწ ყველა დაკარგულია.

3. დროშის ჯვარი ვერცხლისა, შემკული ჯვარცმისა (ერთ მხარეს) და ღვთისმშობლის (მეორე მხარეს) ხატებით და სხვ., 24(12)×9½ სმ.

4. (ქ. 153). ჯვარი ხისა ათონური ხელოვნებისა, 13(9)×5½ სმ.

5. (ქ. 154). ა. ოსმალური ფარა.

ბ. გერმანული ფული 2 ცალი (1816 წლის).

ზარათი

ზარათის კვირიკე და ივლიტეს ძველი ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა (სურ. 1.). 10½×6 არშინი (დაახლ.), რომელსაც ძველად ჰქონია დასავლეთით საქალებო, ხოლო სამხრეთით და ჩრდილოეთით სამწირველოები. პირველისა მოჩანს საძირკველი, ხოლო უკანასკნელთა კირის კვალი ეკლესიის კედლებზე. სამწირველოები მოუნგრევიათ გაბრიელ ეპისკოპოსის დროს. ეკლესია ნაშენია თლილი

.ქვისა და კირისაგან ხურავს თუნუქი; ხალხის გადმოცემით ეკლესია დაუწვავს მტერს, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლის ზევითა ნაწილები დაწითლებულია, ალბათ მართლა ცეცხლისაგან. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი — აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით; ტრაპეზი უწინ კედელზე ყოფილა მიდგმული და შემდეგ გადმოუტანიათ საკურთხეველის შუა ადგილას. სამკვეთლო კედელშია გამოღებული თახჩად.

გარედან ეკლესიის ორივე კარი და აღმოსავლეთის სარკმელი შემკულია ჩუქურთმებით.

შიგნით ეკლესია მოხატულია, მხატვრობის ნაწილი დაზიანებულია გადმოცემით იმავე შემოსეული მტრის მიერ.

საკურთხევლის კონქში დახატულია დეისისი (მაცხოვარი, ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი). მაცხოვარი ზის მაღალზურგიან ტახტზე, მარჯვენით აკურთხებს, მარცხენით ასომთავრულად დაწერილი წიგნი უჭირავს მუხლზე.

I რიგში დახატული არიან მღვდელმთავრები გრაგნილებით და ასომთავრული წარწერებით. სარკმლის მარჯვნივ — ⁝Ⴒ-ᲝᲘ-ᲛᲐ†Ხ-ᲣᲮᲘ, ანუ: წმიდაჲ იოანე ოქროპირი და ⁝Ⴒ-ᲝᲨᲗᲮ-ᲡᲘ ანუ წმიდაჲ ათანასე; სარკმლის მარცხნივ—⁝Ⴒ-ᲝᲮᲡ-ᲖᲘ ანუ: წმიდაჲ ვასილი და ⁝Ⴒ-Ო ᲘᲮᲛᲐᲔᲖ, ანუ: წმიდაჲ გრიგოლ. გრაგნილებიც ასომთავრულად აქვთ ნაწერი.

2 რიგში მარჯვნივ:... ᲭᲘᲭᲨ, ანუ:... დედა, გრაგნილით ხელში; გრაგნილში იკითხება: Ⴗ (..). :.ᲰᲘᲯᲝ| ᲦᲨᲮ...[illegible])...)ᲮᲝ: Ო-Ჭ (ᲘᲔᲧᲐᲭᲘᲮ ı.) ⁝ᲘᲮᲨ:⁝ᲨᲨᲯ

ᲯᲘ¦ᲔᲧᲮᲖᲘ: — | ანუ: ჯ ჩემჲ გან... წერილ... რ(ომელ)ჲ ვ(ითარმე)დ იტყოდენ წინა(ს)წარმეტყვ(ე)ლ(ნ)ი; დედას უკან ვინმე პირი მწუხარე: ..... (Ⴆ)ᲘᲖᲘ : — ანუ: ბელი; მარცხნივ რომელიმე წმიდანი დაზიანებული, მის უკან: ᲦᲨᲦᲮᲰᲘᲖ ანუ გაბრიელ.

კათოლიკონში, ცაზე, სამხრეთის მხარეს შობა ქრისტესი (?)[1]. ᲘᲦ-ᲭᲔᲘᲮᲘ:. ᲧᲘᲡᲖᲮᲨ, ანუ: ეგუ(იპ)ტეთი შესლვა, და ᲯᲘᲮ†Ჯ(Ჭ) ანუ: მირქმა; ჩრდილოეთის მხარეს რომელიმე შინაარსის ხატები, დაზიანებული ნაწილობრივ და ბოლოს ნათლისღება.

1 რიგი, სამხრეთის კედელზე: წმიდანები, შემდეგ Ⴗ.ᲮᲒᲔᲨ †·ᲮᲘ-ᲡᲔᲘᲡ, ანუ ჯ(უ)არცმა ქრისტესი და ბოლოს [ᲦᲨ]ᲑᲯ-ᲭᲧᲡᲰᲨ, ანუ: [გა]-

---

1 მხატვრობა აღწერილია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

(რ)დ(ა)მოჯსნა [ჯვარით]; ჩრდილო კედელზე: ქრისტე (წელამდე), რომელსაც ორივე ხელი საკურთხებლად აქვს გაპყრობილი, მის ძირს რომელიმე წმიდანი, შემდეგ Ⴒ-ⴃⴕⴇⴗⴆⴆⴗⴃ, ანუ: წმიდაჲ ნიკოლოზ: მერე წმ. გიორგი (?), დაზიანებული; ბოლოს გარდამოხსნა (?).

2 რიგი, სამხრეთის კედელზე ღვთისმშობელი მდგომარე ყრმით მარჯვენა მკლავზე, მარცხენა აპყრობილი აქვს დასავლეთით, მისკენ მიმართული პირისაკენ, ძირა ნაწილი დაზიანებული აქვს. შემდეგ დიდებული ღვთისმშობლისაკენ ხელებგაპყრობილი, ძირა ნაწილი დაზიანებული. ღვთისმშობლისა და დიდებულის შუა არეზე არის წარწერა:

Ⴓ: ⴈⴆⴇⴑⴓ: ⴅⴇⴒⴗⴆⴗ
ⴋⴔⴒⴘⴇⴑⴒ:
ⴑⴒ:
ⴗⴑⴗ:—
ⴗ

ანუ: [დედა]ო ღ(ვ)თის(ა)ო, შ(ე)იწყ(ა)ლე
მხ(ე)ც(ი)ძისა
სა
ესე
ი

მერმე, კარის მარჯვნივ: ⴗⴆⴗⴋⴇⴒ :— ანუ: იერემია. კარის მარცხნივ: ⴋⴇⴗⴘ, ანუ: მიქელ. ჩრდილოეთის კედელზე: ⴟⴆⴆⴑⴓⴑⴓ:—ⴅⴗⴓⴆⴒ:—ⴕⴘⴇⴑⴓ, ანუ ჯვ(ა)რისაჲ ჯილვა ქრისტესი. ძირა ნაწილი დაზიანებული; შემდეგ დიდებული, მერე მეუღლე (?), მათ შუა ყრმა, დაზიანებული, ბოლოს ორი დიდებული, სულ 5 პირი. წარწერები არა აქვთ.

დასავლეთის კედელზე, I რიგში ⴋⴇⴒⴆⴆⴅⴗⴒ ⴒ-ⴆ ⴃⴗⴑⴒ,

ანუ: **მიცვალება ყოვლად წმიდისა.**

II რიგში, სასულიერო პირი, რომელსაც მარჯვენაში კვერთხი უჭირავს, მარცხენა აპყრობილი აქვს; შემდეგ დიდებული, მას ერთი ხელი აპყრობილი აქვს, მეორე დაზიანებული; მერე, კარის თავზე, კამარის ქვეშ: ⴔⴒⴅⴔⴔ: ⴕ-ⴑ, ანუ: **ტაჯტი ქრისტესი;** ბოლოს კარის მარჯვნივ: ⴗⴒⴅⴊⴕⴅⴅⴓ, ანუ: **გაბრიელ.**

სამწირველოებიც მოხატული ყოფილა, კვალი შერჩენილა კედლებზე.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ჯვარი ხისა, გადმოცემით ვაზისა, 136 (122)×71×7½ სმ, წოდებული „კვირიკეს ხატად“, შეჭედილი (წინა მხარეს) დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატებით ჯვარცმისა, წმ. გიორგისა, კვირიკე და ივლიტესი და სხვ., და შემკული 9 დიდ-პატარა თვლით (მათში 1 დაზიანებულია). გადმოცემით ჯვარი დიდი ხნის წინათ მოუტანიათ სვანეთიდან (სრფ. კალადან) არეშიძეებს, გოშხოთელიანებს და მაღლაფერიძეებს; იგი დაუზიანებიათ 1923 წელს[2]. აქვს ორი წარწერა, ასომთავრული და მხედრული; უკანასკნელი XIX ს. ასომთავრული წარწერა მოთავსებულია მარჯვენა მხარეზე, გულთან ახლოს.



იკითხება

ჭ. შენ შვიდ წილ უძლევ-
ელო მოწამეთა მთ(ა)ვ(ა)რო
წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, მეოხ და მფ(ა)რვე
ლ მექმენ მოსავსა შ(ენ)სა
5. ხინოწმინდელ მ(ა)ქსიმ[ეს].

---

2 აუყრიათ ჯვრისათვის ვერცხლის შემკულობა, რომლის ერთი მცირე ნაწილი დაღუპულა, ხოლო მეორე, უდიდესი ნაწილი, კარგა ხნის შემდეგ ისევ დაუკერებიათ ჯვარზე (ზოგი ფურცელი თავის ბირვანდელ ადგილას არ უნდა იყოს მოთავსებული).

ჯვარს თუმცა კვირიკესას უწოდებენ, მაგრამ, როგორც წარწერიდან ჩანს, იგი წმ. გიორგისაა.

2. დროშა-ჯვარი, წოდებული „წმ. კვირიკეს ჯვარად“; იგი წარმოადგენს რკინის ჯვარს, გაკეთებულს ჯოხზე. ჯვარი წინა პირზე შეჰედილია დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატებით ჯვარცმისა და სხვ. და შემკულია 25 დიდ-პატარა ფერადი თვლით; ჯვრის ქვევით არის დაბალი ვერცხლისავე კიდობანი წმ. კვირიკეს და სხვ. ხატებით; ჯოხიც შემკულია ბუშტებით და რკალით. ზომით არის 39 (კიდობნის დასასრულამდე) × 21 სმ, მთლად სიმაღლე 163 სმ.

3. ფიცარზე ნახატი ხატი ათორმეტ დღესასწაულთა, $38^1/_2 \times 32$ სმ, ქართული ხელოვნების.

4. —„— —„— —„— ნიკოლოზისა, $5^1/_2 \times 5$ სმ, ქართული ხელოვნებისა.

5. —„— —„— —„— მაცხოვრისა, 35×29 სმ, შეჰედილი ვერცხლით, რუსული ხელოვნების დაზიანებული. ხატს ქვედა ნაწილში აქვს დაფა წარწერით:

1. ქმ მაცხოვარო ყოველთა იესო ქრისტე ღთ˜ო ჩვენს ქალწულისაგან შობილო
2. შეიწყალე და აცხოვნე ცოდვილი მხევალი შენი ლორთქიფანიძის ქალი გულქან და განაძ
3. ლიერენ ძენნი მისნი აბაშიძე ლევან, ამინ.

6. (ქ. 161). ძველი აღმოსავლური ფულის ერთი მცირე გროვა, ნაწილი 1890 წელს ძველი ეკლესიის მახლობლად აღმოჩენილი განძისა (უნჯისა), რომელიც გადმოცემით დამალული ყოფილა ვინმე ბერის დანიელის მიერ.

შენიშვნა: განძი ყოფილა $8^1/_2$ ოყა. იგი გაბრიელ ეპისკოპოსის განკარგულებით გადაუგზავნიათ მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებისათვის.

7. (ქ. 160). ხატიდან აყრილი თვალ-მძივი და სხვ., მთელი და ნატეხი, სულ 14 ცალი.

8. (ქ. 86). სვინაქსარი, ეტრატზე ხუცურად ნაწერი ვინმე იოანეს მიერ, ბოლოში ფურცელნაკლები.

9. (ქ. 87). საეკლესიო წიგნი, ეტრატზე ხუცურად ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები, დაზიანებული.

10. (ქ. 88). საეკლესიო წიგნი, ხუცურად ნაწერი, ფურცელნაკლები.

11. (ქ. 89). ჟამნი, ხუცურად ნაწერი, 17—1316 გვერდი, დაზიანებული.

12. (ქ. 90). —„— —„—„ —„—„ დაზიანებული.

13. (ქ. 91). საეკლესიო სხვადასხვა წიგნის ნაშთები: ა, ბ, გ, დ.

14. (ქ. 1). ძველი აღთქმა, მოსკოვს დაბეჭდილი 1743 წ., ხუცურად.

15. (ქ. 2). სახარება დაბეჭდილი 1818 წ. მხედრულად.

ოსუნქლა

წმ. გიორგის ეკლესია

სიძველენი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 53×37 სმ., დაფერილი ოქროს წყალში (გარდა ამოებისა) და შემკული ფოთლოვანსახეებიანი (ძირას გარდა) ამოებით. ხატი გადაკრულია ფიცარზე, უკანა მხარეს შემორტყმული აქვს სპილენძის ფურცელი წმ. გიორგი მჯდომარეა ცხენზე, უკან (ცხენის გავაზე) ბავშვი უზის. წმ. გიორგი შუბით ჰგმირავს ვეშაპს, მაღლიდან ანგელოზი გვირგვინს ადგამს თავზე.

ხატს აქვს წარწერები:

1. მაღლითა ნაწილში, ხატის არეზე —
   ქ. ღ˘თო ღ(მერთო) აცხონე ნიქაბერიძე გიორგი რომ ამ ხატის მჭედელის მოყვა[ნა]ზე გაიშარჯა | წმიდა გიორგიმ დალოცოს|
2. მარჯვენა მხარეს, ზევითა მედალიონში —
   ღთ˘ო აცხონე ამი | რან მესხი და მისი მეცხ | ედრე მხეიძის ასული | თამარი [რ]ომ შესწირეს წმიდა | გიორგის ნაწილი ოსე | ნელის ხატს სულთა თვი|სთა საოხათ |
3. იმავე მხარეს, ქვევითა მედალიონში —
   ღ˘[მთა] აცხონოს ვარდან|იძე მახარობელი ხუც|ესი რომ ამ ხატის ოქრომჭე | დელს მსახურობდა სულ | თა თვისთა საოხათ ძეთა და ასუ | ლთა თვისთა წარსამართებლათ რომელმაც ამ ხუცის ნათესავი | ს ავათ მოიმდომის წმიდა გიორგის | რისხვა ქონდეს |

4. მარცხენა მხარეს, ზევითა მედალიონში —
ღთ[ო] | მოიხსენე ნიჭა | ბერიძე თამაზა რომ ამ | ხატის
მშენელი მოიყვა | ნა და მრავალი სასჯელი გასწი |
ა ოსუნელის წმიდა გიორგის ხატ | ისათვის სულთა
და ძეთა თვი | სთა საოხათ |

5. იმავე მხარეს, ქვევითა მედალიონში —
ღ[მა] აცხონოს იობი | ძე გიორგი ხუცესი ო |სუნელის
კანდელაკი რომ თე | მს შეამკობინა ეს წმიდა ოსუ |
ნელის ხატი სულთა თვისთა | საოხათ ძეთა და ასუ-
ლთა წა | სამართებლად |

6. ქვედა აშიაზე —
ქ. შევამკევით ხატი ესე ოსუნელის წმიდა გიორგი
მეფობასა სოლომონისასა და | ბატონობასა სიმონ ლორთ-
ქიფანიძისა და კათალიკოზობასა ერისთავი ბესარიო-
ნისა და | თემა ერთობით ორმა სოფელმა ოსუნელმა
და ნამახოანელმა შევამკევით ხატი | ესე წმიდა
გიორგისა სულთა ჩვენთა საოხათ ძეთა და ასულთა
ჩვენთა წარსამართ | ლებლათ შეიმკო ხატი ქკ[სა (ე. ი. ქრონი-
კონსა)
ქრ[სა (ე. ი. ქრისტესა) 17—57 მარტის ოცდა სამს

2. ზარი, უენო, 10 გირვანქა (დაახლ.), ქართული ხელოვნების.

ღვედი

ღვედში მცხოვრებ პეტრე უგულავას მიერ თავის მამულში მიწის თხრის დროს აღმოჩენილი სიძველენი:

1. (ქ. 140). ცული ბრინჯაოსი.

2. (ქ. 141). თოხი ბრინჯაოსი, დაზიანებული.

გორდი

გორდის ეკლესიის სიძველენი:

1. (ქ. 136). ჯვარი ხისა, $14 \times 5^1/_2$ სმ., ათონის ხელოვნებისა, შემკული 22 მარჯანით (აკლია 6 მარჯანი) და წარწერით:

1. ქ ჯვარი ესე მღვდე

გ ო რ გ ი ბ ო ჭ ო რ ი ძ ი ს მ ა მ ა, ს ო ფ ე ლ ნ ა ც ი ხ ვ ა რ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი თ ა დ ე ო ს ბ ო ჭ ო რ ი ძ ე.

გიორგი ბოჭორიძე ახალგაზრდობაში

გიორგი ბოჭორიძის მეუღლე ან. ქეჭხიშვილი

გიორგი ბოჭორიძე მეუღლე ანა ქევხიშვილთან და შვილ ვახტანგთან ერთად.

2. ლ დავითის სულის
3. სახსრად და საოხად

მასვე ძირს სიმრგვალეში (წრე) აწერია: პეპუ.

2. (ქ. 137). ჯვრის ნაშთი ორ ნატეხად.

3. (ქ. 138). მთავარანგელოზის ხატიდან დარჩენილი:

ა. ვერცხლის ფურცლის ნაგლეჯები, მთავარანგელოზის სახით.
ბ. ხატის ზურგის სადა ფურცელი ვერცხლისა.

შენიშვნა: ჩემი მოსვლისას ეკლესიაში წირვა იდგა, მამაკაცები ფილა ჩიხლაძე-ჩიქოვანების მიერ ბაიაზეთიდან XVI ს-ში, როდესაც ოქ ქრისტიანებს დევნა ყოფილაო.

4. (ქ. 139). ფეშხუმი ვერცხლისა, უფეხო, წარწერით:
ქ:. ეს:. ფეშხუმი:. ჩუენ ჭყოინდელი:. ცაგერელ:.
ჩიქუანმა:. გავაჭედინე:. ქვ´სა:. (ქრონიკონსა) სამას:.
ორმოსდა (sic):.
თოთხმეტსა:. (ე. 1666 წ.) და:. მთავარანგელოზის:.
გორდისაა: —

5. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მიქელ-გაბრიელისა $30^1/^2 \times 23 \times 2$ სმ., დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 19 თვლით, გადაკრული ფიცარზე; უკანა მხარეს ხატს აქვს ვერცხლის ფურცელი, რომელზედაც არის წარწერა:

1. ეჰა თქ´ნ (თქუენ) ნათელნო მეორენო მთავარნო ანგელოსთანო
2. მიხაილ და გაბრიელ მე ყოვლითურთ
3. უღონომან გლა[ხა]კმა მღვდელმან ჩიხლაძემან დ´ათ (დიდათ)
4. ვიღვაწე საფასითა ჩემითა და მოვაჭედ
5. ინე სახე ესე თქვენი ეკლესიისა თქვენისა და საძვალისა ჩემისა
6. გორდისათვის საოხად ცო´დლისა (ცოდვილისა).
7. სლ´ისა ჩ´ისა (სულისა ჩემისა) ოდეს ვახ[ლ]დი კარზედ მთავარს
8. დადიანს ლეონს და მეუღლესა მისსა წერეთლის ჩ
9. სულს დედოფალს მართას: რომლისა თვის მოველი ოხასა
10. ჟამსა სულთბრძოლისასა
11. ხელთა ჩყიე (1815 წ.).

ხატი ზის შუშაბანდიან ხის ბუდეში, რომლის წინა პირიც შემკულია ძვლით, $37 \times 29 \times 4^1/_2$ სმ.,

6. სახარება, დაბეჭდილი საჩხერეს, ვერცხლის ყდით, რომელიც დაფერილია ოქროს წყალში და შემკულია ამაღლებისა და ჯვარცმის ხატებით და წარწერით ზურგზე:

მე ფ~დ (ფრიად) ცოდვილმან მღვდელმან ჩიხლაძემ დავიო~ საფასითა ჩემითა მოვაჭედინე წმინდა ესე სახარება და შევწირე ჩემს ძირის ეკლესიას გორდის მთავარ ანგელოზს სულისა ჩე~სა (ჩემისა) ოხად წე~ს ქრისით (წელსა ქრისტესით) ჩყვდ (1824 წ.)
მაისის თა (11).

მათხოჯი

წმ. ბასილის ეკლესია (სურ. 2).

სიძველე:

ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. ბასილისა, $29 \times 22^{3}/_{4}$ სმ, დაფერილი ოქროს წყალში და შემკული ფოთლოვან სახეებიანი აშიებით (გარდა ძირი აშიისა). წმ. ბასილი მდგომარეა, იგი მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში წიგნი უჭირავს; აწერია ჩᲠ~ᲛᲮ~Ⴗ, ანუ: წმიდა ბასილი. ხატი გადაკრულია ფიცარზე.

აქვს წარწერები:

1. წმ. ბასილის მუხლებთან, ორსავე მხარეს —



იკითხება:

ღ(მერთ)ო დ(ა) წ(მიდა)ო ბ(ა)სილი,
მეოხ დ(ა) მფ(ა)რ(ვე)ლ
ექ(მე)ნ ორთ(ავ)ე შ(ი)ნა ცხ(ოვ)რ-
ებ(ას)ა აფ(ხა)ზ(ე)თისა კ(ა)თ(ოლიკო)ზ ე-
5. ფთვიმე ს(ა)ყვ(ა)რ(ე)ლ (ი)ძ(ე)სა. ა(მი)ნ.

2. ქვედა აშიაზე:



იკითხება:

ღ(მერთ)ო დ(ა) წ(მიდა)ო ბ(ა)ს(ი)ლი, აკურთხე დ(ა) აღ(ა)შ(ენ)ე ხ(ე)ვი
ქვეყანა მანთხოჯელნი, ამინ.

ხონი

ხონის წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია (სურ. 3, 4) სამნავიანი ბაზილიკაა, $23 \times 20^{1}/_{2}$ არშინი (დაახლ.), ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან; იგი მოხატული ყოფილა, დღეს მხატვრობა შერჩენილი აქვს მარტო შუა ნავის თაღსა და კედლის შუა ნაწილებს.

გარეთ აქვს წარწერები ნუსხურად:

1. აღმოსავლეთის კედელზე ზევითა ნაწილში —



ანუ: წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეი)წყ(ალ)ე
გ(იორგ)ი, პიპა
[ი]ვანე

2. სარკმლის თავზე, იქვე.



ანუ: შ(ეი)წყ(ალ)ე

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ხონის წმ. გიორგისა, 52×33×3 სმ., დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 29 თვლით (აკლია 13 თვალი), გადაკრული ფიცარზე, რომელსაც ზურგზე ვერცხლის ფურცელი აქვს შემოკრული. ხატს აქვს წარწერები:

1. წინა მხარეს, ქვედა ნაწილში—

ქ: დიდარს: უფლისა: დიდება: რომელმან: განაძლიერა:
ღირსებით: მსახურებასა: მისსა:
ხოლო: შენ: მეუფისათვის: შენისა: სამას: სამოცდა: ხუთთა:
დღეთა: შინა: თითუეულად: წამებულო: და ნაც
ულად: სატანჯველთა: წილ: სამას: სამეოცთა: სასწაულებთა:
მინიჭებულო: ერდგულო: მსახურო: სამებისაო: დიდ
ო: მოწამეთა: თავო: წმიდაო: გი˘გი; (გიორგი): ხონისაო:
გეეედრი: სასოებით: მამკობელი: ხატისა:
ამის: შენისა: მე: ჯელმწიფე: დადი
5. ანი: პატრონი: ლევან: რათა: არა: სადა: განმაშორო: წყალობა: შენი: ჩემგან: და ორთავე: შინა: ცხორებსა ჩემს
ა: მეუღლითურ: ჩემით: კეთილად: დამიფარე: და ძლევა:
მომანიჭე: ა˘ნ:

2. ზურგის მხარეს:

ქ: ეჰა: შვიდ: წილ: უძლეველო: მოწამეთა: მთავარო: წმიდაო:
გიორგი: ხონისაო: და ანჩის: ხატო:
პირო: ღთ˘ისაო: (ღმრთისაო) შემოგწირეთ: და დავასვენეთ:
ტაძარსა: თქვენსა: ხატი: ესე: ჩუენ: ჯელმწიფე:
მან: დადიანმან: პატრონმა: ლევან: მას: ჟამსა: ოდეს: შევებენით: ბაღდადს: მეფეს: გიორგის:
და კახს: ბატონსა: თაიმურაზს: და გაგვემარჯვა: ძლიერებითა:
შენითა: თავად: მეფე: ჯელთ:

5. დაგურჩა: და სრულობით: იმერელნი: და კახნი: დარბაისელნი: ზოგნი: ჯელთ: დაგურჩა: და ზო
გნი: გარდაიხვეწნეს: კახი: მეფე: თეიმურაზ: და მეფის:
შვილები: ალექსანდრე: და მამუკა: ამავე:
ჟამსა: ავჰყარეთ: ქალაქი: ჩხარისა: და ჩავასხით:
ზუგდიდსა: აღვაშენეთ: და გავაწყეით: ქ
ალაქი: რუხისა: აწე: შემოგვიწირავს: ხონს: ერთი: კვამლი:
კაცი: მამიკაცაი: სანოძე: ჩუენ: და მეუღლისა: ჩვენისა: დედ
ოფლისა: ნესტან დარეჯანისა: სადღეგრძელოდა: და ძისა:
ჩუენი სა: პირმშოსა: ალექსანდრეს: დ
10. ა მანუჩარისა: აღსაზრდელად: და მე ცოდვათა: ჩემთა:
შესანდობლად: ძემა: ჯელმწიფისა: პატრო
ნისმან: შემოგწირეთ: მოიჭედა: და სრულ: იქმნა: ხა-
ტისა: ამის: შემკობა: ქკ-სა: (ქრონიკონსა) სამას: ოცდა ოთხსა:
(ე. ი. 1636 წ.).

2. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მაცხოვრისა, $14^3/_4 \times 10^1/_4 \times 2$ სმ., წოდებული „ანჩის ხატად", დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 6 თვლით; დაზიანებული.

3. (ქ. 122). წმ. გიორგის დიდი ხატიდან[3] დარჩენილი ფიცარი, 141×82 სმ., ვერცხლის შემკულობის ნაშთით და 1 თვლით. ხატთან არის: ფიცრის ნატეხები (7 ცალი), ვერცხლის შემკულობის ნაშთი (სახისა, მკლავისა, ტანისამოსისა, წარწერებისა და სხვ.), რაიმე ნივთიერების ნადუღის ნაშთი (ორი მოზრდილი ნატეხი) და თვლები 8 ცალი.

შენიშვნა: ხატი დაულეწიათ 1923 წ. ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის ნადარეიშვილისა, პარტკომის ინსტრუქტორის ონისიმე ხობუასა და მდივან გიორგი ბახტაძის მეთაურობით, განსაკუთრებით უკანასკნელთ უსახელებიათ ამაში თავი. შემკულობის ნაწილი აღმოჩნდა პარტკომში, ფიცარი კი ეკლესიაში.

---

[3] ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზ. და შენიშვნები, წ. II, გვ. 274—278.

4. (ქ. 123). ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 46×36¼ სმ., შემკული 10 დიდ-პატარა თვლით, ძლიერ დაზიანებული (გახეთქილია შუაზე), ვერცხლის ფურცელი ნახევრად მოცილებული და დაკარგული აქვს.

ხატს ძირს, მარჯვენა ნაწილში, აშიის ადგილას შერჩენილი აქვს წარწერების ნაშთი:



იკითხება:

ქ ჩვ(ე)ნ, ხონ(ე)ლ მთ(ა)ვ(ა)რეფი(ს)კ(ო)პ(ო)ზმ(ა)ნ გედ(ე)ონ, . . .
მოვჭედეთ
გი(ორ)გ(ი)ს პ(ირველა)დ დ(ა)მწვ(ა)რი იყო და აწ ჩვ(ე)ნ
მოვ[აჭედინეთ]
მეჭნეს მეოხ აქ(ა)ც მერმეს[ა ჟამსა]

5. (ქ. 124). დროშა-ჯვარი ვერცხლისა ხის ჯოხზე. ზომა ჯვრისა: 20×15¼ სმ. სიმაღლე მთელი დროშა-ჯვრისა 185 სმ. ზევითი ნაწილი დაფერილია ოქროს წყალში. ჯვარზე არის ჭედილი ხატები ჯვარცმისა და სხვ., იგი იშლება 5 ნაჭრად. ბუშტზე აქვს წარწერა ასომთავრულად:

ቆ ሐገኄዉ። ርሂዉ ሐገኒገነዉ። ሖዉሕገኈ
ር። ነሂዉሐገኒዉኄገተሕገኩ። ዉኒገ
ፅዉሁር። ሕገሁ
ነገነሂኄገሁር። ሃግገፅፃርኄገ። ነዉኄገ።
ሕገቀገሁ። ሕገቀገነር። ኒ"ኒሖይገነገ።
ሾር። ፅርሖሕርሖሁገ። ኒፅ"ሖሃገ
ሕገቀገሁ። ሕገቀዉኒር። ሐገነር። ሕርሁገ
ነር። ኒገዉኒገነገ። ፀርሕገ። ርዄር።
ቀሖኵርሁር። ሕገኽፀዉኒገኄሕርኽ።
ዉበገሖነሕርኽ። ዞዉኽገኄ። ሕሁር
ኴሖገቀነካህዉኄሕኽ። ኡዞገይገሐገሕርኽ።
ጌርተሐገር። ሃግዅተሕገኽ። ጀርሖገ።
ነርዞነሖርፀ። ነዉኄነር። ኡገሕገነር።
ኽዉዅገኽ። ሕካ
ርፃሖ። ገተሕኽግኒገነ። ኒርሕዉዞሕርፀ።
ነሃፀሖገነር። ርሕገነ። ዞዉኽገነር።
ርሕገኽ፡
ዉተሕናገፀኄነር። ሕርሕ
ኽገነ። ሃግ"ፀነ። ሀ"ኽ ርኽ

იკითხება:

ქ. ძელ(ო) ცხორებისაო, რომელიცა სხურებელ იქ-
მენ უბიწოჲთა მით
სისხლითა, შეიწყალე სული მეფეთ მეფისა ბ(ა)გ-
რ(ა)ტისი და წარმართე და გ(ა)ნ(ა)ძრი(ელე)
მეფეთ მეფობა ძისა მათისა გიო(რ)გის და
მე, ცვა-ფ(ა)რვათა მინდობილმან უღირსმან
ხონელ მთა-
ვ(ა)რეფ(ი)ს კ(ო)პოზმ(ა)ნ ჩხეტიძემან ზაქ(ა)რია შევ-
ქმენ ჯ(ვ)არი, სახსრად სულ(ი)სა ჩემისა. ნუ
ვინ მკ-

5. ადრ იქმნების გამოხმად ს(ა)ყდრისა
ამის ხონისა, ამინ.
ოქ(რო)მჭედ(ე)ლსა მამ-
ნეს შე(უნ)დ(ო)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

6. (ქ. 125). სადაფიანი ჯვრის ნაშთი 5 ნატეხად.
7. (ქ. 126). წმ. გიორგის დიდი ხატის ფარდა ხელით ნაკერი წმ. გიორგის ხატით და სხვა სახეებით. 150×120 სმ, წარწერით:



იკითხება:

წ(მიდა)ო დ(იდე)ბ(უ)ლო დიდო მ(ო)წ(ამე)ო და ძლე-
ვაშ(ემოსი)ლო და ს(ა)ს(წაუ)ლთმომქმედო გიორგივ,
შემოგწირე ფ(არდ)ა ესე წულუკიძის ასულმან
და ქსნის ერისთვის სძალმან მარიამ-
ჳ. მან სულისა ჩე(მის)ა საოხათ და შვილ[illegible]ა
ჩ(ემთ)ა სადღეგრძე-
ლოთ წ(ელს)ა
ჩყმდ (1844 წ.)

8. (ქ. 127). სარტყელი ოქრომკედით ნაკერი, შეწირული 1853 წელს სალომე აბაშიძის ასულის მიერ.

9. (ქ. 128). ბოხჩა ასომთავრული წარწერით, დაზიანებული, XIX ს.

10. (ქ. 129). ფიცარზე ნახატი ხატი მთავარანგელოზისა, 31×
×22$^{3}/_{4}$ სმ., დაზიანებული.

11. (ქ. 44). თვენი ნუსხურად ნაწერი, ყდაში, ოთხი წიგნი (ა, ბ, გ, დ).

12. (ქ. 45). დავითნის და სახარების თარგმანი, ნუსხურად ნაწერი.

13. (ქ. 46). ლავსაიკონი ნუსხურად ნაწერი ვინმე იოანეს მიერ, დაშლილი, დაზიანებული.

14. (ქ. 47). მეტაფრასი, ნუსხურად ნაწერი, დაზიანებული.

15. (ქ. 48). მეტაფრასი, მარხვისა, ნუსხურად ნაწერი.

16. (ქ. 49). დოღმატიკა, ნუსხურად ნაწერი, 1778 წ.

17. (ქ. 50). შეყვანილება წიგნისა ღრამატიკისა, მხედრულად ნაწერი, 1767 წ.

18. (ქ. 51). ეფრემ ასურის წიგნი, ნუსხურად ნაწერი.

19. (ქ. 52). წესი ეკლესიის კურთხევისა, ნუსხურად ნაწერი.

20. (ქ. 53). სადღესასწაულო შობისა და ნათლისღებისა, ნუსხურად ნაწერი.

21. (ქ. 54). სჯულის კანონი, ნუსხურად ნაწერი.

22. (ქ. 55). სახარების თარგმანი, ეტრატზე ნაწერი ნუსხურად.

23. (ქ. 56). იოანე დამასკელის წიგნი ნუსხურად ნაწერი.

24. (ქ. 57). სამღვდელმთავრო კონდაკი, —„— —„—

25. (ქ. 58). მამათა ცხოვრება. —„— —„—

26. (ქ. 59). წიგნი ამონიოსისა, —„—„— —„—

27. (ქ. 60). წიგნი მთავარანგელოზისა, —„— —„—

28. (ქ. 61). კონდაკი მღვდელმთავრისა, მხედრულად ნაწერი.

29. (ქ. 62). წიგნი ეკლესიის კურთხევისა, ნუსხურად ნაწერი. 1772 წ.

30. (ქ. 63). ცხოვრება ანტონი დიდისა —„— —„—

31. (ქ. 64). წიგნი იოანე კიბის აღმწერელისა —„— —„—

ეკლესიის მთავარი სიძველე — წმ. გიორგის დიდ ხატთანავე (იხ. № 3) დაღუპულა

სიძველენი, აღწერილნი ე. თაყაიშვილის მიერ:

ა. ჯვარი ათონური ხელობისა ვერცხლის აშიით და თვლებით შემკული, შეწირული ბერ ივანე ბახტაძის მიერ, წარწერით.

ბ. თასი ვერცხლისა, შეწირული იმერეთის მეფის სოლომონის მეუღლის გულქანის მიერ, წარწერით.

გ. ფეხიანი ჭიქა ვერცხლისა, შეწირული მისგანვე.

დ. ვერცხლის სურა, შეწირული სოლომონ I-ის მიერ.

ე. ძველი ხატებიდან დარჩენილი თვლები 53 ცალი.

ღანირი

წმ. გიორგის ეკლესია

სიძველე:

ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 30×25½ სმ., დაფერილი ოქროს წყალში (გარდა აშიებისა) და შემკული 7 თვლით (აკლია 2 თვალი), რომელთაგან ერთს (ზევითა აშიაზე მჯდომარეს) აქვს წარწერა სპარსული თუ სხვა რომელიმე ენაზე (იგი უწინ პირადი ბეჭედი უნდა ყოფილიყო). ქვედა აშიაზე ხატს აქვს წარწერა:

წ(წმიდაო) დიდებული მთავარ მო | წამეო გიორგი შემწე მეოხ | მცველ და მფარველ ეყავ | დეკანოზს სვიმონს და მათეს | და რლ(რომელთა) შეამკევს ხატი ესე | ჩყქ | (1802 წ.).

კულაში

კულაშის ჯვარცმის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 7×5 არშინი (დაახლ.), რომელსაც დასავლეთით აქვს საქალებო 3¼×3¾ არშინი; ეკლესია ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან, საქალებო რი-

ყის ქვისა და კირისაგან; საქალებო შემდეგ ხანში არის ძიშენებული, იგი ორგანიულად არ არის დაკავშირებული მთავარ შენობასთან. ეკლესია — საქალებოს თაღი არა აქვს, ხურავს ყავარი. კარი აქვს დასავლეთით და სამხრეთით; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, სამკვეთლო ჩრდილო კედელშია გამართული, აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებს (საკურთხეველში) აქვს თახჩები.

ეკლესია და საქალებო მოხატულია; ეკლესიის მხატვრობა ორი ხანისაა: ძველი და შემდეგი ხანისა, ე. ი. ქვედა და ზედა ფენები; ეს განსაკუთრებით ცხადად ეტყობა საკურთხევლის ჩრდილოეთის კედელს, სამკვეთლოს მარჯვენა კუთხესთან.

ახლანდელი მხატვრობა სამ რიგად არის, წარწერები ხატებს ასომთავრულად აქვს. საეკლესიო შინაარსის მხატვრობის გარდა აქ ისტორიული პირნიც არიან დახატული; აღვწერ უკანასკნელთ.

ჩრდილოეთის კედელზე დახატულია დიდებული, მას მარცხენა ხელში უჭირავს ეკლესიის მოდელი გაწვდილი აღმოსავლეთისაკენ, აწერია: ᲣᲮᲔᲮ ᲒᲘᲭᲚᲮᲐᲠ:-, ანუ: პატა მიქელაძე; მის აღმოსავლეთით მანდილოსანი (მეუღლე პირველისა?) წარწერით: ᲔᲚᲔᲥ(ᲮᲔ) ᲩᲒᲘᲐᲠᲯᲘ |ᲧᲚᲡ Ხ[ᲪᲮᲘ :], ანუ ელეუკა ამირეჯიბის ქალი.

სამხრეთის კედელზე დახატულია დიდებული, წარწერით: (Ხ)ᲥᲘᲪᲣ|[ᲒᲘᲮ]ᲚᲮᲔ|[ᲐᲚ]|, ანუ: როსაპ[4] მიქელაძე; მის დასავლეთით მანდილოსანი, წარწერით: ᲧᲐᲜᲔᲔᲜᲘ, ანუ: ჯრისტინე (sic); მას ტანისამოსზე (მუხლზე და მხრებზე) აქვს ჯვრები, იქნებ იგი სასულიერო თანამდებობისა იყოს.

საქალებო. დასავლეთ კედელზე, კარის მარცხნივ (ჩრდილოეთით დახატულია დიდებული, წარწერით: ᲚᲥᲚᲘᲨ ᲩᲥᲧᲐᲠ(ᲐᲚ), ანუ: გოგია ნუკრაძე; კარის მარჯვნივ (სამხრეთით) დიდებული, დაზიანებული წარწერით: . ᲐᲚ Ი....., ანუ . . ძე ღ.....

ჩრდილოეთის კედელზე დახატული პატა მიქელაძე ეკლესიის განმაახლებელი და მეორედ დამხატვინებელი უნდა იყოს.

ეკლესიას სახურავი სულ დამპალი აქვს, წყალი ჩასდის და მხატვრობა ირეცხება.

---

4 სახელი როსაპ დღესაც იხმარება ხალხში (ადგილობრივ).

ეკლესიის მთავარი სიძველე ყოფილა ჯვარცმის ხატი ბაჯაღლო ოქროსი, დაახლოებით 21×16 1/4 სმ., რომელიც ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს სიმონ თადუმაძეს და დომენტი სტურუას 1924 წელს გადაუცია გასასყიდად ადგილობრივ მოვაჭრე ებრაელ აბრამ (ბეკო) ბათაშვილისათვის; უკანასკნელს იგი გაუყიდია ტფილისში 150 მანეთად; ხატი წონით ყოფილა 1 1/4 გირვანქა; მისგან დარჩენილია წარწერიანი დაფა და ბუდე. ამ უკანასკნელთა ხელოვნების მიხედვით ხსენებული ხატი საეკლესიო ხელოვნებისა უნდა ყოფილიყო და მისი დაღუპვა უდიდეს დანაკლისად უნდა ჩაითვალოს ქართული ხელოვნების ისტორიაში.

აღვწერ მის ნაშთებს:

1. ა. ჯვარცმის ხატიდან დარჩენილი დაფა ვერცხლისა, 21× 16 1/4 სმ., ასომთავრული კიდურ-უვავილოვანი წარწერით:



ანუ: 1. ჯ(ვარ)ი, ლერწამი და ლახუარი.



იკითხება:

ღმერ(თ)ო და ყო(ვლა)დ წ(მ)ად(ა)ო
ღ(თ)ის მშობელო, შეიწ(ყა)ლე
სული აბეს(ა)ლ(ო)მისი მიქ-
ელას ძისა.

ბ. იმავე ხატიდან დარჩენილი კარედი ბუდე ვერცხლისა, 22 1/4× ×17 (გაშლით 36) სმ, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი; კარებზე გამოქანდაკებული არიან (მდგომარედ): გარეთ — მოციქუ-

ლები პეტრე და პავლე, შიგნით მთავარანგელოზები მიქელ და გაბრიელ.

წარწერები ხატებს ასომთავრულად აქვს; ძეგლი კარგი ხელის ნამუშევარია.

ბუდეს უკანა მხარეს აქვს ასომთავრული წარწერა:

ⴈⴗ᾽Ⴓ: ⴊⴗ: Ⴓ†ⴰⴀⴐⴰⴑⴄⴗⴄⴖⴗ: ⴐⴑⴐⴐⴝⴗ: ⴑⴑ ⴐⴊⴀⴓⴚ᾽ⴖⴐⴝⴗ: ⴐⴗⴝⴝⴗ:.

იკითხება:

ღ(მ)ე(რთ)ო, შ(ეიწყალ)ე ოქრომჭედელი მამნე და მშობელნი მისნი.

2. დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატი მიქელ-გაბრიელისა, 23×20 $^{1}/_{2}$ სმ, მხედრული წარწერით:

ქ. მე, მიქელაძე რე|ვაზმან, აღვაშენე ეკლ|ესია
ესე ჩემი, მინდ|ობითა ღთისითა თვით|სასახლესა
ჩემსა ხვილ|იფის თავში. და შევამკე ხატი ესე|
მთავარანგელოზის და დავასვენე მას შინა ჩემდა
შემწედ და სულისა ჩემისა| საცხოვნებელად და
მეუღლისა ჩემისა მაჭუტაძის ასულის მარიამის|
სულის საოხად ქტ᾽ეს (ქრისტეს) აქეთ ჩყი | (1810 წ.).

როგორც წარწერიდან ჩანს, ხატი გადმოტანილი უნდა იყოს კერძო პირის მიერ აშენებული ეკლესიიდან.

3. (ქ. 207). ჯვარი ხისა, ირგვლივ დაბალი ვერცხლით შეჭედილი და შემკული 1 თვლით (აკლია 2 თვალი), 30×16 სმ, დაზიანებული.

4. (ქ. 208). კოვზი ვერცხლისა.

5. საცეცხლური მღვდელმთავრისა ვერცხლისა, წარწერით ნკ᾽ზ, ანუ ნიკოლოზ.

6. ბუკი სპილენძისა, 2 ცალი.

შენიშვნა: დროშა ჯვარი (ქ. 209) არ არის შესატანი სიაში; იგი ისტორიული ძეგლი არ არის.

---

5 ეს ასო შესაძლებელია ჰ იყოს, იგი სხვა ჩ-ებს არ წაგავს; თუ ასეა, მაშინ სიტყვა მამუჩედ (?) წაიკითხება.

სულოწმიდის მოფენის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი ვერცხლისა. წარწერა აქვს ბარძიმს და ფეშხუმს.

1. მხედრული წარწერა ბარძიმზე:

მი ყოველად ქებულო და დიდებულო მაცხოვარო ჩვენო, ცვაფარვასა შენსა მსასოვებელმან თამაზა მესხმან შეევწირე ეკლესიასა შენსა ეს ვერცხლის ბარძიმი, ფეშხუმი, წარსამართებლად მრჩობლი ცხოვრებისა ჩვენისა და სადღეგრძელოდ ძეთა ჩვენთა. ჩღოდ (1774 წ.).

2. მხედრული წარწერა ვარსკვლავზე:

ქ. თამ[ა]ზა:. მესხისა: ღმერთმა:. აცხონოს:.

2. (ქ. 198). სპილოს (?) ძვალზე ნაკვეთი გულსაკიდი მცირე ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით, ვერცხლის გარემოთი, $7 \times 5^1/_2$ სმ.

საყულია

საყულიის მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ეკლესია ერთნავიანი, უსვეტებო (?), ბაზილიკაა, 16×11 არშინი (დაახლ.); ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან; აღმოსავლეთი ნაწილი კედლებით გაყოფილია სამ ნაწილად (საკურთხეველი, სამკვეთლო და სალარო); გარედან, აღმოსავლეთ კედელს აქვს ორი მაღალი ნიში, აღმნიშვნელი საკურთხევლის ნაწილებისა. აქვს სამი კარი; სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით; სარკმელი აღმოსავლეთით — სამი, სამხრეთით და ჩრდილოეთით ორ-ორი, დასავლეთით (აწ ამოშენებულია). ეკლესია შეუკეთებიათ. 1860 წლების ახლო ხანში (კათოლიკონის დანგრეული თაღის მაგიერ ფიცარის სახურავი გაუკეთებიათ და სხვ.).

ეკლესიის კარებზე უწინ ყოფილა წარწერიანი ქვა, 85×35 სმ, რომელიც ეხლა დაცულია ეკლესიის დასავლეთით მდგომ საყარაულო ფიცრის შენობაში.

წარწერა არის ასომთავრულად.



იკითხება:

† ამისა აღმ(ა)შე-
ნებელსა დიდ(ე)ბ(უ)ლს(ა)
გიორგის[6], მე(უ)ღლესა მ(ი)სსა ბი .
შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

ეკლესიის გალავნის აღმოსავლეთის კარის მარცხენა კედელს შეხმარებული აქვს ქვა, $^1/_2 \times {}^1/_2$ არშინი (დაახლ.), ასომთავრული წარწერის ნაშთით:

(Ⴝ)ⴔⴘ ანუ: ამშ[ენებელი]
ⴗⵗⵁ(ⵖ)ⵔ გუ(რგ)ენ.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ფიცარზე ნახატი ხატი ელია წინასწარმეტყველისა, 18×14 გოჯი. (დაახლ.) დაზიანებული.

2. (ქ. 197). ჯვარი ხისა, $21\ ^1/_2 \times 2$ სმ, ათონის ხელოვნებისა; გვერდზე აქვს წარწერა:

ⴆⴑⴒⵗⵁ ანუ: დავით
ⴔⵒⵗⵏⵆ Ⴁ მესხი უ
ⵏⴆⴑ სტა

---

6 ადგილობრივ მცხოვრებლებში დაცული გადმოცემით, დიდებულ გიორგის უცხოვრია დავით აღმაშენებლის დროს; მას ცხრა ქვა რომ გელათში უგზავნია (გელათის ასაშენებლად), მეათე აქ. ეს ეკლესიაც მაშინ არის აშენებულიო.

8. (ქ. 102). ოთხთავი, ხუცურად ნაწერი, თავში ფურცელნაკლები.

1923—1925 წლებში დაღუპულა შემდეგი **სიძველეები:**

1. ტრაპეზის ჯვარი ბაჯაღლო ოქროსი, შემკული მხედრული წარწერით.

2. გარდამოხსნა, ნაკერი ოქრომკედით, დიდი ზომისა.

ბაში

კოსმან და დამიანეს ეკლესია

სიძველე:

ბარძიმი ვერცხლისა, მხედრული წარწერით:

ქ. ქუთათელ მიტროპოლიტმან დოსითეოს წერეთელმან შემოვწირე ბარძიმი, ფეშხუმ-კოვზ-კამარითურთ ბაშის ეკლესიის კოსმან და დამიანეს სულისა ჩემისა საოხად: ჩ. ყ. ი. ე.: — (1815 წ.).

მაცხოვრის ეკლესიის სიძველენი:

1. (ქ. 196). ჯვარი ხისა, $23^1/_2 \times 13^1/_2$ სმ, შემკული სადაფზე ნაკვეთი ხატებით, დაზიანებული.

2. (ქ. 103). კონდაკი ნუსხურად ნაწერი, თავში ფურცელნაკლებია.

ბაშის აღმოსავლეთით მდებარე გორაკის მახლობელი ადგილიდან წამოღებული სიძველე:

(ქ. 206). კრამიტისა და თუ სხვა რაიმე ჭურჭლის ნატეხები 3 ცალი.

ოფიშკვითი

ღვთისმშობლის ეკლესია

სიძველე:

(ქ. 203). ფიცარზე ნაკვეთი ხატი იოანე მახარობლისა, $12 \times 9^1/_2$ სმ.

კვირიკე და ივლიტას ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 199). ტრაპეზის ჯვარი დაბალი ვერცხლისა, დაზიანებული, წარწერით: მარჯვენა გვერდზე — საქართველოს მეფის რძალი ქეთევან. მარცხენაზე — გრიგოლ წერეთლის ასული ნატალია.

2. ბარძიმი ვერცხლისა, წარწერით:

ქ. ღმერთო: შეიწყალე: სული: ციხის: თავის: აგიაშვილის; ქაიხოსროსი: ამინ.

3. ფეშხუმი ვერცხლისა წარწერით: ქ. ღ˘თო (ღმერთო) შეიწყალე სული ციხის თავ აგიაშვილის იოვანესი შეწირული წმინდის კვირიკის ამინ.

4. საცეცხლური ვერცხლისა წარწერით:

წ˘ნდო (წმინდაო) მოწამეო კვირიკე მარადის მარადის (sic) მსაჯოებელი მსახურებისა შენისა შემოგწირავ სირმის საცეცხლურსა ამას, სულისა ჩემისა საოხად. თ˘ად სარდალ ვეშიკთ უხ[უცესი ციხისთავი] აგიაშვილი იოვანე.

5. (ქ. 200). ოლარი ოქრომკედით ნაკერი, ყურძნისა და სხვა სახეებით 1 ცალი.

6. (ქ. 201). სარტყელი —„— —„— სახეებით. 1 ცალი

7. (ქ. 202). სამაჯური —„— —„— 2 ხელი (4 ცალი).

8. (ქ. 100). მარხვანი, ნუსხურად ნაწერი, ფურცელნაკლები.

შენიშვნა: აქედანვე გადატანილია მუზეუმში დასაცავად (ადრევე): ვერცხლზე ნაქედი ხატი კვირიკე და ივლიტასი 16×8 გოჯი. (დაახლ.), შემკული თვლებით და 2 მცირე სახარება, ოქროს ყდით.

ტყაჩირში მცხოვრებ თ ე ი მ ურ ა ზ გ ი ო რ გ ი ს ძ ე
ა გ ი ა შ ვ ი ლ ი ს მიერ შემოწირული ს ა ბ უ თ ე ბ ი:

1. (ქ. 2). ნასყიდობის, თავდებობის და სხვ. წიგნები და სხვ. საბუთები, XVIII—XIX სს., სულ 93 ცალი.

2. (ქ. 3). ა. საარქივო მასალა — 35 ცალი.

ბ. მცირე ბარათები — 1 ქისა.

ტყაჩირის მცხ. ნატალია დავითის ას. აგიაშვილის მიერ შემოწირული სიძველენი:

1. (ქ. 204). დროშის ტარი, შემკული ზარნაშითა და მხედრული წარწერით; წარწერა შეიცავს ოხითას წმ. გიორგისას (?).

2. (ქ. 97). კარაბადინი, მიცემული მეფისძე ბაგრატის მიერ აგიაშვილი დავითისათვის, მხედრული ნაწერი.

3. (ქ. 98). ქილილა დამანა, მხედრული ნაწერი, მდივან მელიქსედეკისა 1773 წ.

უკანასკნელ ფურცელს მეორე გვერდზე სხვათა შორის აქვს მინაწერი:

1. მეფს ირ˘კლის ძე

2. ძე (?) ლევან მიცვალა ფებერვალის ე. ქ˘კს (ქრონიკონს უჲთ) (1781 წ.).

4. (ქ. 99). ძლისპირნი, მხედრულად ნაწერი, დარჩენილი ბესარიონ დადიანის ასულის ზაიდახან აგიაშვილის წიგნებიდან.

ქორეისუბანი

ქორეისუბნის ღვთისმშობლის ეკლესია გუმბათიანი ბაზილიკაა, ნაშენი ქვიტკირისაგან. შიგნით იგი მოხატული ყოფილა; დღეს მხატვრობა შერჩენია მარტო გუმბათის ნაწილში.

სიძველენი:

1. „ჯვარცმის“ ჯვარი ხისა, 72 (36)×22 სმ, შეჭედილი წინა მხარეს დაბალი ვერცხლით, რომელზედაც ჭედილი ხატებია ჯვარცმისა ღვთისმშობლისა და სხვ., დაფერილნი ოქროს წყალში, ნაწილობრივ დაზიანებულნი.

2. (ქ. 167). ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 89½×55 სმ, ვერცხლის შეჭედილობის მცირე ნაშთით, მხატვრობა მიმქრალი, დაზიანებული.

ხატს ძირა მარცხენა ნაწილში, კუთხესთან, აშიის ადგილას შერჩენილი აქვს ასომთავრული წარწერის ნაშთი:

...ჩ·:ᲐᲧᲘ... ანუ: ნ მეუღ[ლე]
...ჩ:·ᲐᲚᲒᲘ... ნ მას დღ[ესა]

3. (ქ. 168). დაბალ ლითონზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა და სხვ., 54×42 1/2 სმ, შემკული 10 თვლით, ძლიერ დაზიანებული.

4. (ქ. 169). თხელ ლითონზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა, 14 1/2×11 3/4 სმ.

5. (ქ. 170). დაბალ ლითონზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 22×18 სმ, შემკული 3 თვლით.

6. (ქ. 171). ა. მთავარანგელოზის ხატის ნაშთი ორ დიდ და სხვა წვრილ ნატეხებად.

ბ. გულსაკიდი მცირე ხატი რომელიმე მღვდელმთავრისა, 8×5 1/2 სმ, რუსული ხელოვნების.

7. (ქ. 172). ეკლესიის ძველი კარი ვაზისა (?), 159×108×8 სმ.

8. (ქ. 173). ძველი საომარი იარაღი რკინისა დიდი 1 ც., მცირე 1 ც., სულ 2 ცალი.

9. (ქ. 174). ძველი აღმოსავლური ფულები ლითონისა (დაბალი) 1 გროვა.

10. (ქ. 175). ძველი ბეჭედი, 2 თვლით (აკლია 1 თვალი).

11. (ქ. 92). ჟამნი, ნუსხურად ნაწერი, დაშლილი, დაზიანებული, მრავალფურცელ ნაკლები.

12. (ქ. 93). ჟამნის ნაშთი, ნუსხურად ნაწერი.

13. (ქ. 94). თვენის ნაშთი, —„— —„—

14. (ქ. 95). ლოცვები, —„— —„— ბოლოში ფურცელნაკლები.

ტოლები

წმ. გიორგის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. კარედი ხატი ღვთისმშობლისა, 18×14 (25 1/2)×2 3/4 სმ, ღვთისმშობელი ნახატი არის ფიცარზე, იგი ძლიერ დაზიანებულია (მხატვრობა მიმქრალია); კარები შეჭედილია ვერცხლით, რომელზედაც ჭედილი ხატებია ჯვარცმისა მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელისა და წმიდა მარინესი მხედრული წარწერებით (სახელთა).

ხატზე არის გულსაკიდი მცირე ხატი წმ. გიორგისა ძეწკვით.

2. (ქ. 158). ჯვარი ხისა, 30 1/2×17სმ, რომელსაც ვერცხლის შეჭედილობიდან მცირედი ნაწილიღა შერჩენია. ამ ნაწილს აქვს ასომთავრული წარწერა:



იკითხება:

1. ქ ჯვარ-
2. ო ცხო-
3. ველს
4. მყოფელ-
5. ო მფარ-
6. ველ ეყ-
7. ავ მ(ი)ქ(აე)ლ ძ-
8. ჲეჯ ო-
9. ელს-
10. ა და გ-
ა აზრდი-
ლსა მისს-
ა ნიკოლ-
აოზს.

3. (ქ. 159). ძველი ფულები სპილენძისა — 5 ცალი.

4. (ქ. 83). სახარებათა საძიებელი და თვეთა-მეტყველება, ნუსხურად ნაწერი, ფურცელნაკლები.

5. (ქ. 84). სახარება-სამოციქულო, ნუსხურად ნაწერი, ბოლოში ფურცელნაკლები.

გამოჩინებული

წმ. გიორგის ეკლესია (სურ. 5, 6) ერთნავიანი ბაზილიკაა, 13×7 არშინი (დაახლ.), მას დასავლეთით მიშენებული აქვს საქალებო, 5×7 არშინი სამხრეთით ადრევე ჰქონია რაიმე შენობები, რომელთაგან დღეს მცირედი ნაწილიღა მოსჩანს. არც საქალებო და არც სამხრეთის ნანგრევები ორგანულად არ არიან დაკავშირებულნი მთავარ შენობასთან. ეკლესია — საქალებოთი ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან[7], ჰხურავს ყავარი[7ა] კარი აქვს: ეკლესიას — სამხრეთით და დასავლეთით, საქალებოს ჩრდილოეთით სარკმლები — აღმოსავლეთით 1, ჩრდილოეთით 1, დასავლეთით 1; თაღს ხმისათვის დატანებული აქვს ჭურები. კათოლიკონში ჩრდილოეთის კედელთან პილიასტრის ძირთან გამართულია ქვის საჯდომი. ეკლესია-საქალებო შიგნით გალესილია კირით, ორივეს შერჩენილი აქვს მხატვრობის ნაშთი; პირველს ჩრდილოეთის, მეორეს აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლებზე (წითელი საღებავით). ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე მოსჩანს საღებავით ნაწერი ასომთავრული წარწერის კვალი.

ეკლესიას გარეთ აქვს წარწერები ასომთავრულად:

1. სამხრეთის კედლის ქვაზე[8]:

† ⴟⴁⴂⴑⴝ	ⴒⴈⴐⴃⴒⴟ
ⴂⴋⴂ: ⴓⴁ: ⴂ-ⴂ	ⴂⴋⴂⴁ ⴋⴂⴂ
ⴟⴒ(ⴐ)[ⴂⴁ]:ⴁ	ⴂⴁⴐ: ⴈ[ⴁⴑⴁ]
ⴝⴓ[ⴒ: ⴟⴒ]: ⴟ	10. ⴒ .
5. ⴁⴓⴒⴟⴂⴋ:	ⴟ .

---

7 გადმოცემით ეკლესიის საძირკველის ჩაყრის დროს ოსტატებს (ქალატოზებს) ერთი ბიჭი ჩაუტანებიათ შიგ. ამ ბიჭს ოსტატებისათვის სადილი მიუტანია. (მესადილე), უკანასკნელთ მისთვის ჭუდი მოუხდიათ და საძირკველში ჩაუგდიათ და ჭუდის ამოსაღებად ჩაუტყუებიათ შიგ (საძირკველში); მერმე ზედ ლოდები მიუყრიათ და იქვე ცოცხლივ დაუმარხავთ და ეკლესია ისე აუშენებიათ. ეს იმიტომ, რომ ძველი რწმენით, „ცოდვაზე აშენებული მაგარი იქნება“-ო. ზემოხსენებული ბიჭი ყოფილა შანიძეების გვარისა და აღწერილი ამბის გამო შანიძეებს ეკლესიის „მესაძირკვლეს“ ეძახიან.

7ა. სახურავი დამპალია და შეკეთებას მოითხოვს.

8 ამ წარწერას უნდა იხსენიებდეს დ. ბაქრაძე, როდესაც წერს, რომ ეკლესიის შესავალში, როგორც გადმომცეს, ქვაზე წერია აღმაშენებელი, რომლის სახელიც სიძველისაგან არ იკითხებაო (ᲐᲞᲒᲐ, 234).

ᲒᲚᲡᲩ: . [ფ]
Ⴑ .

იკითხება:

ქ. მოიხს- აღვაშ-
ენე წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, ენეთ ნებ
და[ვით]უ- ითა ღ[ვთისაჲთ]-
სტ[ა და] მ- 10. ა
5. ოწაფენი მ
მისნი. ფ
ა

2. იმავე მხარეს კარის თავზე მდებარე ქვაზე[8a]



8a ΑΠΓΑ, 234.

9 დ. ბაქრაძესთან: ⴀⴆⴑⴑⴑⴀ

10 „ ⴍⴂⴀⴆⴗⴆⴑ

11 „ ⴍⴞⴒⴑⴖⴀⴒⴍ

12 უკანასკნელი სამი სიტყვა ბაქრაძეს უწერია სიტყვათა გადასხმით: ⴑⴂⴆⴒⴑⴑ ⴑⴒⴄⴍ ⴗⴑⴓⴒⴑⴑⴏⴆⴄⴑⴗⴍ.

13 ამის ქვევით ბაქრაძეს არა აქვს გადმოღებული.

იკითხება:

ქ ეპა შ(ე)ნ უძლეველო მხედარო უ(ფლ)ისაო,
დიდო მოწამეო
გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე ფ(რია)დ ც(ოდვილ)ი ერისთ-
ვის შვილი ქ(რისტ)ეფორე
5. განმაახლებელი
ს(ა)ყდრისა ამის, რ(ომელმა)ნ მე-
ორედ იერუსალიმად წა-
რვიდა და ა
ღ[ე]სრუ[ლა].

დ. ბაქრაძის აზრით წარწერაში მოხსენიებული ქრისტეფორე უნდა იყოს XVII ს. მეორე ნახევარს და XVIII ს. დასაწყისში მცხოვრები პირი.

საქალებოს შესავალში კარის თავზე აწერია[14]. „მოიხსენევი აზნაური გამოჩინებულის (კანდელაკი გ[ა]ს გიორგის ლაზარეს და) ნიკოლოზის ძენი (ქორიძენი)".

ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲚᲔᲜᲘ:

1. ჯვარი ხისა, 79×58 სმ, შემკული წინა მხარეს ვერცხლზე ნაჭედი ხატებით: ჯვარცმისა, წმ. გიორგისა, ღვთისმშობლისა, ამაღლებისა, მიძინებისა და სხვ. (ხატებს სახელების წარწერები მხედრულად აქვს); დაზიანებული.

2. დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 35×29 სმ, დაზიანებული, თვალსამოვარდნილი. წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა.

3. ტრაპეზის ჯვარი ვერცხლისა, დაფერილი ოქროს წყალში და შემკული სხვადასხვა ხატებით და თვლებით.

4. (ქ. 162). ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 106×68 სმ, მხატვრობა მიმქრალი; ვერცხლის შეჭედილობიდან შერჩენილი აქვს მარტო შარავანდები სახეებით, ძლიერ დაზიანებული.

5. (ქ. 163). ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, 94×67 სმ, მხატვრობა მიმქრალი, ვერცხლის შეჭედილობიდან შერჩენილი აქვს მარტო შარავანდების სახეებით, ძლიერ დაზიანებული.

6. (ქ. 164). ღვთისმშობლის ხატიდან დარჩენილი ბუდე უკარებოდ, 27×19½ სმ, მას გვერდები შეჭედილი აქვს დაბალი ვერცხლით.

---

14 წარწერა გადმოიღო მელქისედეკ თევზაძემ.

7. (ქ. 165). მაცხოვრის ხატის ნაშთი, $30^1/_2 \times 20^1/_4$ სმ.

8. (ქ. 166). საწიგნე ხისა, დაზიანებული.

ეკლესიის სიძველეთაგან რამდენიმე დაღუპულა, სახელდობრ:

1. 1905 წელს, გაზაფხულს, მძარცველებს გაუტაცნიათ ხატი ღვთისმშობლისა, წოდებული „ოქროსა ღვთისმშობლის ხატად“, შემკული თვლებით და წარწერით მამია გურიელისა[15].

გადმოცემით, ხატი გადმოტანილი ყოფილა ხინოწმინდის ეკლესიიდან ხინოწმინდელ ეპისკოპოსის იოანე თავდგირიძისა და მღ. გაბრიელ მოწყობილის მიერ კლარჯეთის გამაჰმადიანების დროს. გამაჰმადიანებულ ქართველებს ხატი მალე უკანვე გაუტაცნიათ, ხოლო მათგან დაუხსნია მამია გურიელს, რის თაობაზედაც გაუკეთებია მასზე წარწერა (მხედრულად): „ღმერთო და ყ˘დ წ˘ო, გურიელი მამია აცხოვნე“[16].

2. 1922 წელს მძარცველებსავე გაუტაცნიათ: ა. დროშა-ჯვარი, შეჯედილი ვერცხლით და შემკული წარწერით, აღწერილი დ. ბაქრაძეს მიერ[17].

შენიშვნა: ხსენებულ დროშა-ჯვარზე ადგილობრივ გადმომცეს, რომ აქ ძველად ჰქონიათ წესი: აღდგომის წინ, წითელ პარასკევს (ვნების კვირა) თარგამაძეების გვარის კაცი წაიღებდა ჯვარს და ჩამოატარებდა სოფელში. ხალხი ნებაყოფლობით სწირავდა ფულს. მოგროვილი ფულით ყიდულობდენ ზვარაკს (ცხვარს), რომელსაც აღდგომის დილას, წირვის შემდეგ შემწვარს მიართმევდნენ კალოიანებს (გვარია); ისინი ბეჭებს აიღებდენ და შემდეგ ხალხს დაუძახებდენ: „ზვარაკი არის და მოგროვდითო“. ხალხი მოგროვდებოდა; აიღებდენ კალოიანები და ზვარაკს ხალხისაკენ ისროდნენ; ხალხი დატაცებით ინაწილებდა მას, ვის რა ერგებოდა.

ამავე ჯვრით უძღვებოდნენ ძველად მიცვალებულს (მნათეს მიჰქონდა იგი წინ).

ბ. ტრაპეზის ჯვარი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, შემკული ჯვარცმისა და სხვა ხატებით და თვლებით.

გ. ბარძიმ-ფეშხუმი ვერცხლისა და სხვ.

---

[15] АПГА, 234.

[16] იქვე.

[17] იქვე, 235—236.

ადგილობრივ მცხოვრების მელქისედეკ თევზაძის სიტყვით, ძველად ამავე ეკლესიაში ყოფილა ოქროს ხატი წმ. გიორგისა, მოტანილი აფხაზეთიდან. ეს ხატი ყოველი პირის განრისხებას ასრულებდა. რისხვა სრულდებოდა ადამიანებზედაც და ფრინველებზედაც. შეწუხებულ ხალხს (ზოგს დედას შვილი რომ დაუწყევლია და ამ წყევლისაგან მოჰკდომია, ზოგს სხვა) მოუთხოვნია ბერებისათვის (ეკლესიისა), რომ იგი ან მოეშორებინათ საითმე, ან დაემალათ. ბერებსაც იგი ჩაუდვიათ სპილენძის ქვაბში და დედამიწაში დაუფლავთ, და დღესაც არ იციან, თუ სად არის დაფლული; აზრით ამბობენ, რომ ეკლესიის აღმოსავლეთით, გადაღმა დიდი რცხილის ძირს არისო, რისგანაც ამ ხეს ნახევარი გვერდი გაუხმაო.

ეკლესიის დასავლეთით დგას ორსართულიანი სამრეკლო ქვიტკირისა, რომელსაც აღმოსავლეთის კარის თავზე აქვს მხედრული წარწერა[18]:

მოსახსენებელად სულთა გიგო
კალოიანისა და მშობელთა თვისთა
ამ სამრეკლოის აშენებაზე შევაწირე
სამი თუმანი აზნაურმა ოტია
5. კალოიანმა ჩუნე წელსა (1856 წ.).

ეკლესიის ეზოზე დგას ბუნების მრავალი ძეგლი: ურთხველა და სხვ.

ეკლესიის სიძველეთა დათვალიერებასა და აღწერაში დიდი დახმარება გამიწიეს ადგილობრივ მცხოვრებ ძმათ მელქისედეკ და ერემია თევზაძეებმა, რისთვისაც მათ გულითად მადლობას ვუცხადებ.

ძველი ოფეთის (ტერჩოულის) მთავარანგელოზის ძველი ეკლესია დგას სოფლის თავში აზიდულ მცირე გორაკზე. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, 8×5 არშ. (დაახლ.), მას სამხრეთით უწინ ჰქონია სამწირველო, რომლისაც დღეს მარტო საძირკველი მოჩანს. ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან, იგი დღეს სანახევროდ დანგრეულია: თაღის დასავლეთი ნაწილი ჩამონგრეულია. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი — აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული (მისი მაღლითა ქვა გადმოგორებულია).

ეკლესიას აქვს წარწერები ასომთავრულად.

---

18 წარწერა გადმოიღო მელქისედეკ თევზაძემ.

1. სამხრეთის კარის თავად მდებარე ქვაზე —

...[Ⴔ] Ⴗ[Ⴑ]

...
Ⴗ... ...
5. Ⴗ... |ⴓⴚ|ⴕⴗⴔ
ⴍⴑⴔⴚⴑ .. ⴗⴚⴍⴑⴔⴚ
ⴚⴚⴄⴍⴍⴗ ⴑⴑⴍⴔ⁻ⴗⴆⴑⴚ

იკითხება

თ ი ს

ი .
ე [და]ვით
5. უსთა ს ია უსთა
აცხონე ს(ა)სუფ(ევ)ელსა.

წარწერაში მოხსენიებული დავით უსთა იგივე პირი უნდა იყოს, რომელიც იკითხება გამოჩინებულის ეკლესიის წარწერაში.

2. დასავლეთის კარის თავზე თავდაყირა მდებარე ქვაზე —

. ⴛⴗⴒ.:.
:: .ⴖ⁻ⴒ Ⴔ
ⴑⴗ
-- - - . ძბნ
=. ღ მეⴔთმა ნ . . . თ
სი

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 194). დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატი მიქელ-გაბრიელისა, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი, $33^1/_2 \times 26^1/_2$ სმ; ხატს შებმული აქვს ძეწკვი.

2. (ქ. 195). ჯვარი ხისა, რომლის წინა პირიც შეჭედილია დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატებით, 16×13 სმ.

ვერხვნის ჯვარცმის ეკლესია I

ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 190). ხატიდან დარჩენილი ფიცარი დაბალი ლითონის აშიებით, გვერდის აშიაზე ჰედილი ხატებია მაცხოვრისა, $31 \times 22^1/_2$ სმ.

ძველი ტობანიერი

ძველი ტობანიერის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, $13 \times 9^1/_2$ არშ. ნაშენია ქვიტკირისაგან, სახურავი დამპალი აქვს; მას გადაკეთება ეტყობა; შიგნით იგი მოხატული ყოფილა; მხატვრობა კარგად არის შენახული მარტო საკურთხევლის ნაწილში, დაუზიანებიათ (მხატვრობა) 1923 წელს; წარწერები ხატებს ასომთავრულად აქვს.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

1. ფეშხუმი ვერცხლისა, მხედრული წარწერით:
ჩინამძღვარი სვიმონ.

მთავარი სიძველე ეკლესიისა — ფიცარზე ნახატი ხატი სამებისა, დიდი ზომისა, ადრევე გაძარცული ყაჩაღების მიერ, 1923 წელს ჩამოუტანიათ ტობანიერის აღმასკომში, დაუჩეხიათ და დაუწვავთ.

ქედი

წმ. გიორგის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $46^1/_2 \times 33$ სმ, შემკული 13 თვლით (ნიმბზე 8, სანაწილეს კარზე 5). წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა.

ხატის ზევითა ნაწილში არის ასომთავრული წარწერა:



იკითხება:

ქწ, წმიდა გიორგი ქ(რისტ)ესაო ადიდე ხე-
ვი ქედელი ნ᷾ადს, ფოთელ(ა)ს შე(უნდო)ს ღმ(ერ)თმ(ა)
ხ᷾ას, ხფ᷾რეს, ნიკ(ოლოზ)ს, გ(იორ)გის, ჟო᷾ჟოს (?) მ(ა)ნინა-
შვ(ი)ლს შე(უნდო)ს ღმერთმა.

2. (ქ. 191). ვერცხლზე ნაჭედი ხატი მაცხოვრისა, $15^1/_2 \times 11^1/_4$ სმ; დაფერილი ოქროს წყალში.

3. (ქ. 192). ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა, $14^1/_2 \times 12^3/_4$ სმ, შემკული 6 თვლით (აკლია 1 მე-18 თვალი) და მხედრული წარწერით (წინა მხარეს, ხატის არეზე):

ქ: ესე:. ხატი
მოგიჭედე:. მე:. თეკლა:. მონა_
ზო[ნ]მა:. ჩემის:. სულის:. სახსრად:.

(ქ. 193). დასაკეცი ხატი ათორმეტ დღესასწაულთა, სპილენძისა.

1923 წელს ტობანიერის აღმასკომში გადმოუტანიათ და აქ დაღუპულა ქედის ეკლესიის შემდეგი ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლის ჯვარი დროშისა, 32,7×24 სმ, შემკული 2 ლალით.
2. ხელნაწერი, თარგმანი ფსალმუნთა.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე:

1. (ქ. 96). კონდაკი, ნუსხურად ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

1923 წელს ეკლესიიდან ქონების გამოტანის დროს დაღუპულა დიდი ზომის ლურჯ ქაღალზე ნუსხურად ნაწერი სახარება, ოთხი მახარებლის სურათებით, გადმოტანილი ეკლესიიდან.

მუხაყრუას ღვთისმშობლის ეკლესიის გარეშემო მდებარე ადგილი მეფე სოლომონ II-ის მიერ შეწირული ყოფილა გელათის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის; ამ მამულს დღესაც „საგენათლო“ თუ „საგენათო“ ეწოდება; მას დასხმული ჰქონია სამანნი, რომელთაგან დღეს უმეტესი ნაწილი შენახულია, ხოლო უმცირესი ნაწილი აღარა ჩანს. ეს სამანნი არიან:

1. მუხაყრუას ხახურის სერზე, სპირიდონ დავითის ძე, ყუბანეიშვილის მამულში ქვა, 1 არშ. × 12 გოჯზე,. × 4 გოჯზე (დაახლ.), მხედრული წარწერით:

მეფემან სოლო-
მონ გ(ა)ენათს
შევსწირე
ქე˜სით ჩყმ (ქრისტესით 1808 წ.).

ამ სამანის დასავლეთით ზის სხვა ქვა, ოთხკუთხი, გათლილი პირამიდალურად; მასზე წერია: „12“. ეს რუსეთის ხანის გამოჯვნისა უნდა იყოს.

2. იმავე სერის სამხრეთით, ათანასი ლეონტის ძე ყუბანეიშვილის ეზოზე, შარის პირისაკენ ქვა, 90×30×12 სმ, მხედრული წარწერით:

მეფემან სო-
ლომონ გ(ა)ე
ნათს შეგ-
წირე.

3. საკაჟის ღელის პირას, ლევანტი მიხეილის ძე ყუბანეიშვილის მამულში (სამხრ.), ქვა წარწერით ყოფილა; იგი ამოუღია ხსენებული პირის სიძეს კოწია ღვინიანიძეს, გადაუკეთებია, წარწერა მოუშლია

(ოდნავღა ემჩნევა) და თავის მეუღლის საფლავზე დაუდევს გენათის ღვთისმშობლის ეკლესიასთან.

4. პირველთა სამხრეთთა ბიქტორ ბუბუტეიშვილის მამულში, ჭიშკართან, წარწერით; დაცულიაო.

5. მე-4 ქვის დასავლეთით, ღელე ნაყრელას პირზე, წარწერით. ცნობილი არ არის, შენახულია თუ არა.

6. სოფ. გომის კანცელარიის მახლობლად, მდ. კაპიტონეს მარჯვენა ნაპირს, აწინდელი კოოპერატივის ყოფ. ხის შენობის სამხრეთის კუთხესთან, წარწერით; ქვა, როგორც გადმომცეს, აღებული უნდა იყოს მომიჯნავეს მიერ.

7. სოფლების გომ-ტობანიერის შარის მახლობლად ალფაძის მამულთან ქვა წარწერით, დაცულიაო.

8. ექვთიმე ნიშნიანიძის საყანეში ქვა წარწერით, დაცულიაო.

დაბა ვანი

ვანის მთავარანგელოზის ეკლესია (სურ. 7). ერთნავიანი ბაზილიკაა, რომელსაც დასავლეთით აქვს სტოა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სამწირველო; სხვა სამწირველო სამხრეთითაც ჰქონია, მაგრამ მისგან დღეს მხოლოდ საძირკველიღა მოჩანს; ეკლესია და სხვა შენობები ნაშენია ქვიტკირისაგან, სამწირველოს თაღის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ჩაქცეული აქვს; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, სამკვეთლო თახჩაშია გამართული.

შიგნით ეკლესია მოხატულია. მხატვრობა ძლიერ კარგად არის შენახული; წარწერები ხატებს ასომთავრულად აქვს. საკურთხევლის კონქში დახატულია დეისუსი (მაცხოვარი, ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი); მის ძირს, პირველ რიგში — მღვდელმთავრები და სხვ.; სამწირველოში კედელზე ხატია მღვდელმთავარი, გადმოცემით ჩიჯავაძიანთ გვარის პირი, მას მარცხენაში კვერთხი უჭირავს, მარჯვენა დასალოცად აქვს გამზადებული. მღვდელმთავრის დასავლეთით დიდებული— ჩიჯავაძე ვახტანგ, ანუ: ჩიჯავაძე ვახტანგ; მას მარჯვენა ხელი ხმალზე თუ ხანჯალზე უდევს, მარცხენა მეუღლისაკენ აქვს გაპყრობილი; ვახტანგის დასავლეთით მეუღლე—ᲨᲘᲭᲐᲫᲘᲡ ᲥᲭᲐ |ᲔᲙᲐᲢᲔ[ᲨᲘ] ანუ მიქელაძის ქალი ხვარამზე; მას ხელები მეუღლისაკენ აქვს გაპყრობილი. ჩრდილო კედელზე (აქვე) მხატვრობა სულ დაზიანებულია და განადგურებამდეა მისული.

ეკლესიის დასავლეთ კედელზე, სტოაში, კარის მარჯვნივ არის მარმარილოს ქვა, 15×12 გოჯი (დაახლ.); მასზე გამოქანდაკებულია წმ. გიორგი, წარწერით: ᲩᲔᲥᲜ. ანუ: წმიდაო გიორგი. ქვის ძირა ნაწილში არის ასომთავრული წარწერა:

ᲩᲔᲥᲜ:ᲖᲐᲮᲩᲐᲖᲔᲜ:ᲩᲔᲛ ᲘᲜᲔᲪ:ᲝᲘᲐᲜᲔᲪ:ᲛᲛᲔᲮᲔᲪ ᲖᲔᲜᲔᲪ ᲝᲔᲘᲐᲜᲔᲪ ᲥᲔᲜᲔᲡ:

იკითხება:

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მთ(ა)ვარმ(ო)წ(ა)მ(ე)ო, გ(ვიო)ხე წ(ინაშ)ე ღ(ვთ) ისა. უღ(ი)რ(ს)თა

ეე̄ვსა ერისთავთ-ერისთავისა?) დდ̄სა (დედასა?) და უღ(ი)რს(ს)ა გ(იორგ)ის

ეკლესიის დასავლეთით აღმართულია სამსართულიანი ქვიტკირის სამრეკლო.

სიძველენი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ათორმეტ დღესასწაულთა, 130×81 სმ, დაფერილი ოქროს წყალში, შემკული წარწერით.

1917—1918 წწ-ში ყაჩაღებს ხატისათვის ამოუცლიათ თვლები.

2. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მიქელ-გაბრიელისა, $54^1/_2 \times 42^1/_2$ სმ, დაფერილი ოქროს წყალში, შემკული მხედრული წარწერით, დაზიანებული.

3. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მთავარანგელოზისა, $66^1/_2 \times 43^1/_2$ სმ, შემკული მხედრული წარწერით.

4. თასი ვერცხლისა, წარწერით წინამძღვარ სიმონისა.

5. (ქ. 176). ნაწილებიანი ხატი ნათლისმცემლისა, 59×44 სმ, გაძარცული.

6. (ქ. 177). ღვთისმშობლის ხატიდან დარჩენილი ფიცარი, 40× ×$33^1/_2$ სმ, რომელსაც ვერცხლის შეჭედილობიდან აშიების ნაწილიღა შერჩენია.

7. (ქ. 178). ათორმეტ დღესასწაულის ხატები ხისა, ათონური ხელოვნების, ვერცხლის გარემოს ნაშთით, ორი ცალი; ზომა თვი-

თეულისა, $9 \times 6^{4}/_{5}$ სმ, ორივე ხატი ზის ერთ ვერცხლის ბუდეში. გარემოს შერჩენილი აქვს ძლიერ დაზიანებული წარწერა:

ქ: ეს თორმ[ეტი] .
[გ] ედეონისა

8. (ქ. 179). ფიცარზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, $23^{1}/_{2} \times 17$ სმ, გადმოტანილი ძლევის ჯვრის ეკლესიიდან.

9. (ქ. 180). ფიცარზე ნახატი ხატი წმიდანისა, $16^{1}/_{4} \times 12$ სმ, გადმოტანილი იქიდანვე.

10. (ქ. 181). ეტრატზე ნაწერი ოთხთავის გარეთი ბუდე, დაბალი ვერცხლისა, $32 \times 24 \times 9^{1}/_{2}$ სმ, დაზიანებული. აქვს წარწერა მხედრულად.

ა. ზევითა გვერდზე:

ქ:. გეხვეწებით:. ჩვენ:. ცოდვილი:. ესე:. ჩიჯავაძე:. ვახუშტი:. და თანა:. მეცხედრე:. ჩვენი:. ღოღობერიძის:. ქალი:. მარეხ:. თქვენ:. შემბრალეთა:. და შემწყნარებელთა:. ჩვენთა:. თქვენ:. ოთხთავთა:. მახარებელთა:. მათე:. მარკოზ:. ლუკას:, და იოვანეს:.
ძველადვ ე:. ჩვენთა:. სახლთაგანვე:. მოჭედილი:. ბრძანებულხართ:. აცა მთა გამოსვლისაგან:. დარყეულხართ:. სხვეფ:. გასაკეთებლად:. ხელი:. არ:. შეგმართოდათ:. სხვა:. ვერა:. გავბედეთრა:. კუბო:. შეგიმზადეთ:. და მადლისა:.
თქვენისათვი[ს]:. მას გრძელს:. საუკუნეს:. ცოდვილსა:. სულსა:. ჩვენსა: შ̄ე.

ბ. მარჯვენა კარზე (ზევითა ნაწილში):

მწე და:. მეოხ:. ეყვენით:.

პირველი ძვირფასი ბუდე ყაჩაღებს გაუტაცნიათ 1917—1918 წლებში. თვით ოთხთავი ევროპაში უნდა იყოს გატანილი.

11. (ქ. 182). გულსაკიდი სანაწილე ოქროსი, $6^{1}/_{4} \times 5^{3}/_{4}$ სმ, დაცალიერებული უჯრედებით, ოქროსავე მცირე ჯვრით და ასომთავრული წარწერით ზურგის მხარეს:



იკითხება:
ქ. ძელო ჰეშ-
მარჲტო მეო-
[ხ] [დ]ა მ[ფ]არვ-
ელ მექმ(ე)ნ მო-
5. სავსა შ(ე)ნს-
ა ვარდა-
ნ ვარდა-
ნჲ სძესა

სანაწილე ზის ვერცხლის ბუდეში, $7\times5^1/_2$ სმ, რომელსაც აქვს ვერცხლისავე ძეწკვი, ზომით ორკეცად 67 სმ.

წარწერაში მოხსენიებული ვარდან ვარდანისძე ცნობილი პირია ისტორიაში.

12. (ქ. 183). გულსაკიდი ნაწილებიანი მცირე ჯვარი ოქროსი, $6^1/_2\times2^1/_2\times1$ სმ, შემკული ჯვარცმის ხატით; ჯვარს აქვს ვერცხლის ძეწკვი, ზომით ორკეცად 67 სმ.

13. (ქ. 184). ვერცხლზე ნაჭედი ხატი ორი რომელიმე წმიდანისა, 27×23 სმ., მარჯვენა წმიდანს ხელში რაიმე უჭირავს (გულთან), მარცხენას მარჯვენაში გრაგნილი უჭირავს (გულთან), მარცხენა აპყრობილი აქვს (გულთანვე). მარჯვენა წმიდანის მარჯვენა მუხლთან დაჩოქილია ვინმე პირი. ხატი ძლიერ დაზიანებულია, უზის 2 თვალი.

აწერია თავზე: ⁝ⵒ... ⵀⵇ
ორ წმიდანს შუა ⵇ...
⁝
ხატი განახლებულია.

14. (ქ. 185). ა. ვანის გაძარცული ხატიდან (ათორმეტ დღესასწაულთა) დარჩენილი თვალი 1. (იხ. № 1).

ბ. დიდი მძივი.

გ. მცირე კოლოფი ხისათვის ხუფით.

ს ი ძ ვ ე ლ ე, შემოწირული სოფ. ვანის მცხოვრებ ივლიანე ომანის ძე აბრამიძის მიერ.

1 (ქ. 186). საპირისწამლე — 2 ცალი.

ს ი ძ ვ ე ლ ე, შეძენილი იმავე პირისაგან.

1 (ქ. 187). სპილოს ძვალზე ნაკვეთი ხატი ათორმეტ დღესასწაულთა, $6^1/_4 \times 4^1/_2$ სმ, რუსული ხელოვნების.

ბზვანის წმ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია

ბზვანის წმ. ნიკოლოზის ეკლესია (სურ. 8). ერთნავიანი ბაზილიკაა, 15×11 არშ. (დაახლ.), რომელსაც სამხრეთით და დასავლეთით აქვს სამწირველო, საქალებო და სხვ.; ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან.

აქ ყოფილა სამი წარწერიანი ქვა, რომელიც საშენებელ მასალად წაუღიათ.

კათოლიკონში, სამხრეთით პირველ სვეტთან ქვას შერჩენია ნუსხური წარწერის ნაშთი:

ꝛყყო ანუ: აბულ
Ɔꝛყ დაშ

ს ი ძ ვ ე ლ ე:

დაბალ ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 30×24 სმ, შემკული ფოთლოვან სახეებიანი აშიებით და 3 თვლით. გადმოცემით იგი მოტანილია აფხაზეთიდან კოზოლიძეების მიერ, რომელნიც დღეს ტყეშელაშვილებად იწოდებიან.

ინაშოური

ინაშოურის ს ი მ ო ნ წ მ ი ნ დ ი ს ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 8×5 არშ., ნაშენია ქვიტკირისაგან; გალესილია კირით; სახურავი აღარა ხურავს. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი — აღმოსავლეთით. შიგნით ძველად იგი მოხატული ყოფილა, დღეს კი

კირით არის გადალესილი; კირის ქვეშიდან სხვადასხვა ადგილას მოჩანს მხატვრობა; საკურთხეველის სამხრეთ კედელზე შერჩენილია წმიდანის სახის ნახევარი.

ამაღლება

ამაღლების მაცხოვრის ეკლესია ერთნავიანი უსვეტებო ბაზილიკაა, 15×13 არშ. (დაახლ.), რომელსაც სამხრეთით აქვს სამწირველო, მიშენებული შემდეგ ხანში; დასავლეთით ჰქონია საქალებო, მისი აწ საძირკველიღა მოჩანს. ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან, ადგილ-ადგილ შემდეგ ხანში შეხმარებული აქვს აგური. გადმოცემით იგი ნაშენია თამარ მეფის დროს. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სარკმელი, აღმოსავლეთით — 3, სამხრეთით — 1, დასავლეთით — 1, ჩრდილოეთით — 1; კარ-სარკმელი გადაკეთებულია ახალ ხანში.

ეკლესიაში კანკელის ჩრდილოეთის კარის წინ არის საფლავის ქვის ნატეხი ასომთავრული წარწერით:

[ᲘᲯ] (Ი)Ს ᲥᲠᲗᲘ: ᲡᲠᲡᲣᲐᲜᲠ: ᲥᲠ ᲮᲘᲫᲠ(Ჯ)[ᲔᲦ]
[ᲚᲠ]Ფ ᲜᲮᲚᲠ: ᲠᲫᲛ [ᲘᲚᲘ]
[Ი]Ტ (Ნ) ᲐᲚᲮᲘᲜᲘ Ნ

იკითხება:

[ერ](ი)ს თავი პაპუნა დავემა[რხე]
[სა]ფლ(ა)ვსა ამ(ა)ს [ესე]
[გა]ნუსვენე ლ

ეკლესიის დასავლეთით, ეზოზე არის რაიმე შენობა (სამწირველო?) დანგრეული ნახევრად.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი თორმეტ საუფლო დღესასწაულთა, 162×89 სმ, ოქროს წყალში დაფერილი, შემკული ასომთავრული წარწერით. ხატს გულში ჰქონია ბაჯაღლო ოქროს ხატი ღვთისმშობლისა, რომელიც მძარცველებს გაუტაცნიათ 1923 წელს.

2. (ქ. 188). დროშა-ჯვარი, შეჭედილი დაბალი ვერცხლით, შემკული ხატებით და 8 დიდ-პატარა თვლით (ჯვარზე 4 და კიდობანზე 4), აკლია რამდენიმე თვალი. ჯოხი შეჭედილია სპილენძით, მას ქვედა ნაწილი მოტეხილი და დაკარგული აქვს. მთელი დროშა-ჯვარი სიმაღლით არის 93 სმ.

3. (ქ. 189). ვერცხლზე ნაჭედი ხატი, წოდებული „შავმაცხოვრად", 17×14 სმ.

4. ბარძიმი ვერცხლის მხედრული, წარწერით:

ქ:. ახლად:. განმახლებელი:. ერისთავი:. შოშიტა:. თანა:. მემცხედრე:. წერეთლის:. ასული:. მარიამ:. მოიხსენოს:. უფალმან:.
ჭ. ერისთავის. ლომინისა:. და:. თანა:. მეცხედრეს:. გურიელის:. ასულის:. მარეხის:. სულის:. საოხათ:. შეგვიწირავს:. ბარძიმი:. ესე:. შეუნდოს:. ღ~თნ. (ღმერთმან).

როკითი

როკითის მაცხოვრის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა საშუალო ზომისა. ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან, ჰხურავს კრამიტი. შიგნით გალესილია კირით. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. ორივე კარის სიმაღლის ქვები შემკულია ჩუქურთმებით.

1. სამხრეთი კარის თავზე მდებარე ქვაზე ეკლესიას აქვს წარწერები ასომთავრულად:



იკითხება:

ქწ. წმიდაო სამებაო ერთარსებაო, ნ-
ათ(ე)ლო სოფლისაო, მ(ა)ცხოვარო, გ-
ევედრები მე უღირსი და
ყოველთა კა(ც)თა უნარჩ-

5. ევესი დიდისა ჩრდილოსა და [ა]ფხაზ-
ეთისა კ(ათოლიკო)ზი ჩხეტიძე სვ(იმ)ონ მ(ო)მიხსენე
ოდეს მ(ო)ხვი(დ)ე სუფევითა შენითა, ა(მი)ნ.

2. დასავლეთის კარის, თავად მდებარე ქვაზე —

იკითხება:

ქწ. ეჰა, შ(ე)ნ ყ(ოველ)თა ზ(ედ)ა მხ(ე)დვ(ე)ლისა ჯილულისა და უხილავისა ჯ(ე)ლმწიფედ მ(პ)ყრ(ო)ბელისა ღ(ვთისა)ჲ მხოლოდ შობილო ძეო თ(ან)ა შ(ეე)რთებულო ცხ(ო)ვ(ე)ლს მყ(ო)ფელისა ს(უ)ლის(ა)ო მ(ა)ცხ(ო)ვარო ქწ. ჩ(ვე)ნ ცვა ფ(ა)რვათა შ(ე)ნთა მონდობ[illegible]ლმან და მ(ო)სავმ(ა)ნ დიდისა

5. ჩრდილოეთისა და აფხ(ა)ზეთის ბიჭვინტისა ემბ(ა)ზისა საჭეთ მპყრობელმ(ა)ნ კ(ათალიკო)ზ ქუთათელმ(ა)ნ ჩხეტიძემან ს(ვიმო)ნ აღგიშენეთ ტ(ა)ძარი ესე მ(ა)ცხოვრისა როკითს სახსრ(ა)დ და საოხ(ა)დ ს(უ)ლისა ჩ(ემ)ისა, ამ(ი)ნ, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმთ (1661 წ.).

ეკლესიის სამხრეთით არის „პალატის“ ნანგრევი.

ობჩა

ობჩას ხობის წმ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია (სურ. 9). ერთნავიანი ბაზილიკაა, რომელსაც ჩრდილოეთის მხარეს (აღმოსავლეთ ნაწილში) XIX ს-ში მიშენებული აქვს სამწირველო[19]. ზომით (მარტო ეკლესიის) არის 14×8 არშ. (დაახლ.). ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან. სახურავად ჰქონია ყავარი, რომელიც სულ დამპალია და მოსცილებია. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. (სამწირველოსაკენ); სარკმელი აღმოსავლეთით— 1, დასავლეთით —1; კარ-სარკმელი შემკულია ჩუქურთმებით, დასავლეთის კედელზე არის ორი ქვა ჯვრის გამოსახულებით (სარკმლის თავზე 1, კარის მარჯვ. 1) და ერთი ქვა ჩუქურთმებით (კარის მარცხნივ). აღმოსავლეთის კედლის მაღლითა ნაწილში ფუტკარს ბუდე აქვს გაკეთებული[20]. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია, სამკვეთლო თახჩაშია გამართული.

---

19 ხალხის სიტყვით, სამწირველო აშენებულია მღ. ბურჯანაძის მიერ, რომელსაც მღ. ჩარკვიანი ეკლესიას არ ანებებდაო.

20 ადგილობრივ მცხოვრებთ გადმომცეს, რომ ისინი ყოველს წელს „ავსებენ“, ანუ წყვეტენ ფუტკარს და თაფლს იღებენ, მაგრამ შემდეგ წელს ისევ ახალი ფუტკარი იბუდებს მასშიო.

შენობა ძლიერ დაზიანებულია: სამხრეთის კედელი რომელიმე შემოსეულ მტერს (ოსმალს?) დაუწვავს: ქვა დაწითლებულა, დამსკდარა და ნაწილობრივ ჩამოშლილ-ჩამონგრეულა. უსახურავობის გამო მთელი თაღი გაჟღენთილია წყლით, შუა ნაწილში შეძრულიც კი არის წყლის დენის გამო და ჩაქცევას ლამობს.

ეკლესიას გარეთ, დასავლეთის კედლის სამხრეთის კუთხისაკენ მდებარე ქვაზე აქვს ასომთავრული წარწერა 6 სტრიქონად:



იკითხება:

[ჭ. შეწევნითა ღ(მრთისაჲთა] მეფეთ-მე-
ფისა გ(იორგ)ის წყალობითა ა[ღ]ვაშენე მონასტ-
ერი ესე ხობისა მ(თავა)რ მოწ(ა)მის(ა) მე ლ(ა)პარტიანმ(ა)ნ

---

21 ხ-ის მცირე ნაწილი მოჩანს.

22 ამის შემდეგ ქვა ატეხილია, სტრიქონს აკლია დაახლოებით ორი მესამედი.

გ(იორგ)ი და მეუღლემ(ა)ნ ჩემან სახულარის ასულმ(ა)ნ
5. თაჯი ჩ(ვ)ენს [ღ]არი[ბ]ად ყოფასა შიგან და ვინ-
[ცა შეცვალოს]

ამავე მხარეს კარს, მარცხენა მხარის ქვაზე ჰქონია წარწერა, რომლისაგან დარჩენილია მხოლოდ ორი ასო:

ⵝⵒ (. . .), ანუ . სლ: (. . . .).

შიგნით ეკლესია მოხატულია. მხატვრობა უსახურავობის გამო ძლიერ არის დაზიანებული: 1925 წელს იგი გაცილებით მთლიანად იყო დაცული, ვიდრე დღეს; ორი წლის განმავლობაში თაღს თითქმის მთლად მოსცილებია მხატვრობა, კედლებიც ნაწილობრივ დაზიანებულა; მთელი იატაკი დაფარულია მხატვრობიანი ნანგრევით. განადგურება დღესაც გრძელდება: თაღიდან წყლის დენით მხატვრობა ირეცხება, თვითეული წვიმა საგრძნობ ზიანს აყენებს მას.

სასულიერო შინაარსის მხატვრობის გარდა ეკლესიაში ისტორიული პირნიც არიან დახატული; ამას გარდა, მხატვრობასთან ერთად რამდენიმე ადგილას ცალკე წარწერებიც არის.

შენიშვნა: ქვემოთ აღწერილი არის ჯერ საეკლესიო შინაარსის მხატვრობა, შემდეგ ისტორიული პირებისა, წარწერები კი მოთავსებული არის იმ მხატვრობასთან ერთად, რომლის ფარგალშიც ისინი არიან მოქცეულნი.

საკურთხევლის კონქში დახატულია ღვთისმშობელი ყრმით (ხელში თუ კალთაში), მჯდომარე ტახტზე. ღვთისმშობლის ხატიდან შენახულია თავის მარცხენა ნაწილი, მარცხენა მხარი წელამდე და მარჯვენა მხრიდან მოკიდებული ფეხამდე ზოლად; ყრმიდან კი მარტო რკალი თავის გარეშემო; დანარჩენი ნაწილი სულ დაზიანებულია. ღვთისმშობელს აქვს წარწერა [ⵜⵗⵜⵚ:·] Ⲓ⁻ⲘⲤ:·, ანუ: დედა ღვთისა. ღვთისმშობლის მარჯვნივ არის მდგომარე ანგელოზი, მათ შორის კი ექვსფრთოსანი ანგელოზი, წარწერით: [ⵙⵗ]ⵕⵚⵇⵗⵏ:·, ანუ: სერაბინი. ღვთისმშობლის მარცხნივ შენახულია მარტო წარწერა: ⵜⵗⵕⵚⵇ|[ⵏ]| ანუ: ქერაბინი; დანარჩენი ნაწილი სულ მოსპობილია.

1 რიგში, სარკმლის თავზე, დახატულია მაცხოვარი (წელამდე), წარწერით. i⁻CX⁻C; იგი მარჯვენით აკურთხებს, მარცხენაში უჭირავს გაშლილი წიგნი, რომელშიაც იკითხება: ⵅⵁⵐ|ⵗⵆⵗⵔ|ⵀ⁻ⵅ⁻ⵆⵚ|ⵍⵏⵗ|, მოვედით ჩ(ე)მდა ყ(ოველ)ნი.

მაცხოვრის მარჯვნივ და მარცხნივ დახატული არიან მდგომარე მოციქულები: მარჯვნივ: ᲩᲐ|ᲣᲨ, ანუ: წ(მიდა)ჲ პ(ეტრ)ე, მის შემდეგ 5 მოციქული, ძლიერ დაზიანებული; მარცხნივ: ᲩᲐ ᲣᲮᲨ, ანუ: წ(მიდა)ჲ პ(ავ)ლე, შემდეგ სულ დაზიანებულია უკანასკნელი ორის გარდა, რომელნიც ნაწილობრივ შენახულია.

II რიგში დახატული არიან მღვდელმთავრები, სარკმლის მარჯვნივ (....ᲐᲮᲣ|ᲣᲘ|ᲮᲘ), ანუ: .... ოქროპირი, სახე დაზიანებული; გრაგნილზე უწერია ᲮᲘᲔᲮ|ᲫᲔ:Ე, ანუ: ზიართა ა.

2. ოქროპირის შემდეგ: ᲩᲔ(ᲩᲧᲫ) ანუ: წ(მიდა)ჲ ნ(ი)კ(ოლო)ზ, თავდაზიანებული. გრაგნილზე უწერია: Ხ:Ე|ᲧᲐᲮ:), ანუ: რ(ომელ)ი აკურ[თხა].

3. ნიკოლოზის შემდეგ: |ᲩᲐ]ᲡᲘᲖ:ᲧᲔ:., ანუ: წმიდაჲ სილ(ი)ბ(ის)ტ(რო).

4. სილიბისტროს შემდეგ: [ᲩᲐ]ᲦᲔᲮᲦ(Ე)|ᲣᲔᲖᲘ, ანუ: წ(მიდა)ჲ გი(ო)რგი პ(ონ)ტ(ოე)ლი, ნაწილობრივ დაზიანებული.

5. მე-5 და მე-6 პირი მარტო წელს ქვევით მოჩანან.

სარკმლის მარცხნივ: 1. ᲩᲐ|ᲞᲔᲡ|ᲘᲖᲘ), ანუ წ(მიდა)ჲ ბასილი; დაზიანებული მუხლის ქვევით; გრაგნილზე უწერია: ᲮᲔᲧᲘᲩᲘ|Ს: ᲧᲩ|ᲕᲔ|, ანუ: რ(ამეთუ) შუენის შ(ე)ნდა.

2. ბასილის შემდეგი პირის გამოსახულება ძლიერ დაზიანებულია.

3. მესამე პირიც აგრეთვე ძლიერ დაზიანებულია; მას გრაგნილზე უწერია: ᲮᲜᲩ:ᲔᲮᲡ:, ანუ: რ(ამეთუ) შ(ე)ნი არს.

4. შემდეგი პირი არის: ᲔᲣᲔ|ᲩᲔᲖᲘ|, ანუ: ათანასე; შენახულია მარტო თავის ნაწილი.

5. ათანასეს შემდეგ: [ᲩᲐ,ᲥᲮ]ᲘᲦ|ᲖᲘ,ᲘᲘᲩ|[ᲡᲮ]ᲘᲔᲧᲖᲘ,.|, ანუ: [წ(მიდა)ჲ გრი]გოლი ღ(ვთ)ის მეტყ(ვე)ლი; იგი ძლიერ დაზიანებულია.

6. მეექვსე გამოსახულებიდან შენახულია მარტო წელის ნაწილი.

საკურთხეველში, სამხრეთ პილიასტრის თავის ზევით ყოფილა წარწერა, ერთ თუ ორ სტრიქონად, ძლიერ მსხვილი ასოებით; შერჩენილა მარტო ბოლო ორი ასო: (Ჩ) Ე, ანუ: ნა.

ამის ქვევით, პილიასტრის თავზე არის მეორე წარწერა:

... ⵅⵛⵍⵒⵛⵀⵗⵇⵗ ..
ⵗⵃⵛⴽⵛⵅⵃ(ⵛ)...
... ⵛ,ⵀ⁻ⵏ:ⵑ⁻ⵃ...

იკითხება:

მახარებე[ლი]
ენაკავა ...
... ა შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ...

შუა ეკლესია: თაღი. საკურთხეველის ხაზიდან დაწყებული დასავლეთის კედლამდე თაღის შუა ნაწილზე გასდევს განიერი ძლიერი ჭრელი ზოლი.

თაღის ჩრდილოეთის მხარეს, აღმოსავლეთ ნაწილში დახატულია[23]: ⴖⵗⵀⵏⵛⵃⵛⵒⵚⵗⵇⵛ, ანუ: ფერისცვალება, ძლიერ დაზიანებული; მაცხოვრის მარჯვნივ დგას: ⴆⴖ⁻ⵊ|ⵀⵁⵏⵗ|, ანუ: წ(ინას)წ(არმეტყველ)ი მოსე; მარცხნივ: ⴆⴖ⁻ⵊⵗⵚ⁞ⵛ, ანუ: წ(ინას)წ(არმეტყველ)ი ელია; დასავლეთ ნაწილში მოჩანს მხოლოდ მხედრული წარწერის კვალი.

თაღის სამხრეთ მხარეს აღმოსავლეთ ნაწილში: ⵒⵛⵀⵗⵇⵛ, ანუ: ხარება; შენახულია მარტო ზევითი ნაწილი; დასავლეთ ნაწილში მხატვრობა, როგორც ჩრდილო მხარეს, სულ მოსპობილია.

1 რიგი. ორივე კედელზე მხატვრობა, პილიასტრის გარდა, ძლიერ დაზიანებულია. ჩრდილო მხარეს, პილიასტრზე დახატულია: ⴆ⁻ⵁ ⵀⵁⵃ·ⴖⵊⵑⵗ ანუ: წ(მიდა)ჲ მონ. ფიტე.; სამხრეთის მხარეს, პილიასტრზედვე რომელიმე წმიდანი, დაზიანებული (ორივე წელამდე).

2 რიგი. ჩრდილოეთის მხარეს, აღმოსავლეთის ყალბ კამარაში დახატულია წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარე, რომელიც ვეშაპს გმირავს შუბით; აწერია: ⴆ⁻ⵁ ⵟⵗⵊⵒ $\frac{\text{ⵁ}}{\text{ⵁ}}$ ⵀⵇⵗ|.. |...|, ანუ: წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი ხურცე ...; ხატი ძლიერ დაზიანებულია.

---

23 ჩრდილოეთისა და სამხრეთი კედლების მხატვრობა აღწერილია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

წმ. გიორგის დასავლეთით, პილიასტრზე არის სამი წარწერა (ოთხკუთხედებში); ორი კარგად არის შენახული, მესამისა კი ნაშთიღა დარჩენილა.

I წარწერა:



იკითხება:

დიდ(ე)ბა ღ(მერ)თ(ო), ხოფისა მთ(ა)ვ(ა)რ-
მ(ო)წ(ამე)სა ჩუ(ე)ნ ხუცელთ(ი)სა შე-
მავალთა დავახატიეთ ნაკევა-
რი მონ(ა)სტერი ესე, ძველთაგ-
5. ანცა დიდი ჭირნახული არის.
აწ ახლად კიდევე მოვიჭირვეთ;
ამისა ზედამდგომელთა
ცოდვ(ა)ნი შეუ(ნ)დოს ღ(მერთმა)ნ.

II წარწერა:



იკითხება:

აბაშიძესა როსტევანს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნა
და მეუღლესა მ(ა)თსა [აზმა]და[ო]ს
შეუ(ნ)დ(ო)ს ღ(მერთმა)ნ.

III წარწერა:

დასავლეთის ყალბ კამარაში დახატულია წმ. გიორგი, მჯდომარე ცხენზე; ცხენს ქვეშ დეოკლეტიანე (?); მას წმ. გიორგი შუბით გმირავს. წმ. გიორგის წინ დახატულია ნათლისმცემელი (წელამდე), აღმოსავლეთისკენ გაპყრობილი ხელებით. აწერიათ, წმ. გიორგის: , ანუ: წ(მიდა)ჲ გ(იორ)გი; ნათლისმცემელს:  , ანუ: ნათლის მცემელი.

სამხრეთის მხარეს, აღმოსავლეთის ყალბ კამარაში დახატულია წმ. გიორგი; იგი ზის ცხენზე, უკან უზის ყრმა, რომელიც მარცხენა ხელით რაიმეს აწვდის მას. ცხენს ქვეშ ვეშაპია. წმ. გიორგის თავი და ვეშაპის დიდი ნაწილი სულ მოსპობილია. 1925 წელს ხატს ჰქონდა წარწერა:  , ანუ: წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი ხო(ბ)ის [მ]თავ[არ] მოწ(ა)მე; დღეს ეს წარწერა მოსპობილია.

წმ. გიორგის დასავლეთით, პილიასტრზე წმიდანი მხედრული წარწერით: წმიდა დიმიტრი.

დასავლეთის ყალბ კამარაში — მიძინება ღვთისმშობლისა.

მიძინების ძირს მთელი კამარის სიგანეზე საგანგებოდ გაყვანილ

ზოლში მსხვილი ასოებით ყოფილა წარწერა, რომლიდანაც შენახულია მარცხენა ნახევარი.

...(Ⴝ)ⴓⴟⴒⴗ:ⴆ ⴘ|ⴗⴓⴓⴆ,] ⴖⴣ-ⴓⴣ,. ⴝⴣ-ⴖ

იკითხება:

ჯოხ(ტ)აბ(ე)რს შ[ეუნდოს] ღმ(ერ)თ(მა)ნ, ა(მი)ნ.

ამ წარწერის მარცხნივ, დასავლეთის კუნჭულთან არის სხვა წარწერის ნაშთი:

ანუ,

5.	ⴗⴒⴓ ⴗⴖ	5.	ⴑⴓთ ⴈⴆ

დასავლეთის კედელზე მხატვრობა კარგად არის შემონახული
1 რიგში დახატულია: სამხრეთისაკენ ⴣⴗⴗⴗⴗ
ⴗⴝ, ანუ: მიგებება; ჩრდილოეთისაკენ ⴖⴝⴓ
ⴆⴣⴘⴈⴗⴗⴝ, ანუ: ნათლისღება
2 რიგში სარკმლის მარჯვნივ Ⴝ-ⴒⴝⴣⴝ, ანუ:
ჯვარცმა; მარცხნივ ⴗⴝⴒⴒⴝⴓⴝⴓⴣⴓⴓ|ⴘⴖⴝ|,
ანუ: გარდამოხსნა
3 რიგში წმიდანები, დახატულნი წელამდე.
(სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიყოლებით):
ა:. ⴒ-ⴑ ⴗⴆⴣⴘⴝ|ⴗⴗⴆ,—|, ანუ: წ(მიდა)ჲ ელისაბედ
ბ:. ⴒ-ⴑ ⴗⴕⴆ|ⴗⴒⴝ,—), ანუ: წ(მიდა)ჲ ივლიტა
გ:. კარის თავზე:. ⴒ-ⴑ ⴝⴖⴝ|ⴘⴒⴝⴘⴝ|ი—|, ანუ:
წ(მიდა)ჲ ანასტასია

შენიშვნა: სამივე პირს ცალ ხელში ჯვარი უჭირავს, მეორე აპყრობილი აქვს გულთან.

დ. რომელიღაც წმიდანი, დაზიანებული; წარწერიდან შერჩენილი აქვს ორი ასო (ⴘⴓ..), ანუ: ... სო ...
ე. :ⴒ-ⴝ ⴗⴣ-ⴒ|ⴑⴖⴝ:—|, ანუ წ(მიდა)ჲ ეკ(ა)ტ(ე)რინა.

ბოლოს, ჩრდილოეთის კუთხესთან დახატულია აღდგომა ქრისტესი; ხატი ნაწილობრივ გადადის ჩრდილოეთის კედელზე.

დასავლეთის კედელზე არის ანგელოზის მიერ ლოდის გადაგორება და მხედარნი პირქვე დაცემულნი, ხოლო ჩრდილოეთისაზე მაცხოვარი, მდგომარე; მას მარჯვენა ხელში გრაგნილი უჭირავს, მარცხენით კი აღმოსავლეთისაკენ უჩვენებს. არის წარწერები: მაცხოვართან — [ⵋⵏ]ⵆⵗⵁⵒ[ⵋ], ანუ: აღდგომა.

ანგელოზთან. ⵗⵋⵔ⁻ⵘⵠ:. ⵋⵗⵆⵠ[ⵒⵋ]|ⵆⵁⵆⵗ:—ⵗⵋ⁻ⵘⵆⵋ|ⵗⵒ⁻ⵋ|, ანუ: გაბრ(იე)ლ
ა(ნ)გ(ე)ლ(ო)ზმა ლოდი გარდა(ა)გ(ორ)ვა.

ისტორიული პირნი დახატული არიან შუა ეკლესიაში ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის ძირა რიგებში.

ჩრდილოეთის კედლების მხარე: სამწირველოს კარის მარჯვნივ, პილიასტრისაკენ კედელზე საღებავით ყოფილა წარწერა, რომლიდანაც შენახულია ძლიერ მცირე ნაწილი.

...[24](Ⴅ)ⵁⴔⵗⵍⵋⵔⵛⵘⵒⵔⵗⵍⵋ:—
...[25][ⵋ]Ⴅⵏⵛ: [Ⴅ]ⵁⵔⵆⵛⵛ: |ⴒⵒⵗ]...[26]
...[27]ⵖⵎ[ⵋⵒⵁ...]...[28]
...[29][ⵛ]ⵋ[ⵗ] ..[30]
5. [31]
[32]
[33]
...[34]ⵗⵘⵛ [35]
...[36]ⵆⵖⵏ (: —) ⵋⵍ⁻ⵗ[ⵆ] [ⵋ]...[37]
10. ⵒⵁⵎⵒⵁⵍ ⵊ⁻ⵎ...[38]
[39]

24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38 დაზიანებულ ასოთა რაოდენობა არა ჩანს

39 ბოლოში რამდენი სტრიქონი აკლია. არა ჩანს.

იკითხება:

ხოფისა (მ)თავარ მ(ო)წა(მ)ესა
[დავხ]ატეთ ხუცელთა წმი[და]....
ენა მუ
თაგ

5.

ერთ
ლეს ა˘სი და
10. შ(ე)უნდოს ღ(მერთმა)ნ...

წარწერის მარჯვნივ, პილიასტრზე დახატულია ჭაბუკი, რომელსაც ავსწერ ქვევით.

ა. პილიასტრის მარჯვნივ ანუ დასავლეთით ყალბ კამარაში: დიდებული — აღმაშენებელი ეკლესიისა; მას მარცხენაში ერთნავიანი ეკლესიის მოდელი უჭირავს (აღმოსავლეთის მიმართულებით). ხოლო მარჯვენა გულთან აქვს გაპყრობილი; შენახულია მუხლებამდე; თვალებისა და მარცხენა მუხლის ადგილი დაზიანებულია; თავისა და მხრების ორივე მხარეს აქვს წარწერა:



[40]

5

---

40 აქ, სტრიქონის ბოლოს, გაჯი არის ატეხილი კედლიდან.

იკითხება:

ამა ეკლესიისა აღმა-
მშენებელსა გ(იორ)გ(ი)ს ლი-
პარტიანსა შ(ე)უნდო-
ს ღ(მერ)თ(მა)ნ, ამინ.

5. და ვინცა
[ბრძანოს] თქვე-
ნცა შ(ეგინდო)ს
[ღ](მერ)თ(მა)ნ.

ბ. ეკლესიის აღმაშენებლის შემდეგ, დასავლეთით, დახატულია მისი მეუღლე; მას ორივე ხელი აპყრობილი აქვს; იგიც მუხლებამდეა შენახული, მარცხენა თვალის ნაწილი დაზიანებული აქვს; თავის მაღლა და მარჯვნივ არის წარწერა:



იკითხება:

მეუღლესა(ა) მისს-
ა თაჯი ყოფილ-
სა თებრონია-
ს შეუ-
5. ნდ-
ოს
ღ(მერ)თ(მა)ნ,
ამ(ინ).

გ. ეკლესიის აღმაშენებლის წინ, აღმოსავლეთით, პილიასტრზე, დახატულია ძე მისი, ჰაბუკი, აღმოსავლეთისაკენ ხელებგაპყრობილი; იგი შენახულია წელამდე; აწერია:



იკითხება: ძე მათ(ი)
]ვ]ამ(ე)ყი.

დ. აღმაშენებლის მეუღლის თებრონიას დასავლეთით დახატულია ასული მათი, ორივე ხელაპყრობილი; შენახულია მუხლებამდე, თვალები დაზიანებული აქვს; თავის მაღლა და მარჯვნივ. აწერია:



იკითხება: ძე მათ(სა)
ნ(ა)თ(ე)ლს შ-
ეუნ-
დ(ო)ს ღ-
(მერ)თ(მა)ნ,
ამ(ი)ნ

ზემო აღწერილი ოთხი პირი, როგორც წარწერებიდან ჩანს, შეადგენს გიორგი ლიპარტიანის ოჯახს.

შემდეგ არიან სხვა ოჯახის წევრნი.

ე. ნათელის ფრესკის დასავლეთით დახატულია დიდებული, აღმოსავლეთისაკენ ხელგაპყრობილი; იგი შენახულია წელამდე; პირის ნაწილი დაზიანებული აქვს; თავის მარცხნივ აწერია:



იკითხება:
ძე სულთა მამა
სა ზაზ(ა)ს შეუნდ(ო)-
ს ღ(მერ)თმ(ა)ნ ამ(ი)ნ.

ვ. ზაზას დასავლეთით დახატულია მისი მეუღლე, აღმოსავლეთისაკენ ხელგაპყრობილი; შენახულია წელამდე; თვალისა და პირის

ნაწილი ძლიერ დაზიანებული აქვს; თავის მაღლა და ორივე მხარეს აწერია:



იკითხება:

მეუღლესსა მისსა
მასხარაშვილისა
ასულსა გულდაბ-
ს შეუნდოს ღმე-
5. რთ(მა)ნ, ამ(ი)ნ.

ზ. გულდაბის დასავლეთით ძე მათი, ხელებგაპყრობილი; შენახულია მუხლებამდე, ნაწილობრივ დაზიანებით; აქვს წარწერა:



იკითხება:

ძე
მ(ა)[თი]
გ(ორ)გ-
[ი]

თ. ამავე კედელზე, დასავლეთის კუთხესთან, დახატულია ორი ყმაწვილი: ერთი ზევით, მეორე ქვევით; ორივე ხელებგაპყრობილი.

ზევითას აწერია:
ქვევითას:

ანუ: ესტ(ა)ტე
ანუ სულთ-
ამ(ა)მა

ე-დან თ-მდე აღწერილი პირნი შეადგენენ სულთამამის ძის ზაზას ოჯახს.

დასავლეთის მხარე:

ა. კარის მარცხნივ დახატულია ეკლესიის მომხატვინებელი დიდებული, როგორცა ჩანს ძმა ზემოთ აღწერილი ზაზასი; მას ორივე ხელი აპყრობილი აქვს; შენახულია მუხლამდე; მარცხენა თვალის ნაწილი დაზიანებული აქვს; თავის გარეშემო აწერია:



იკითხება:

ძემან სულთამამ-
ასმან თ(ა)ყა მაჭუტა-
ძემან დავახატვინ-
ე მონასტერი ესე, ჩემისა
5. სულისა საოხ(ა)დ, ვინც
შენდობ-
ა ბრძანოთ,
შეგინდოს ღმე-
რთმან.

ბ. თაყას მარცხნივ დახატულია მისი მეუღლე, ხელებგაპყრობილი; შენახულია მუხლებამდე, ნაწილობრივი დაზიანებით; თავის მაღლა და ორივე მხარეს აქვს წარწერა:



იკითხება:

[მე] უღლესა მ(ა)თსა წერეთლის-
ა ასულსა გულშ(ა)რს შ(ე)უნდ(ო)ს
ღმერთმ(ა)ნ.

გ. გულშარს შემდეგ, მარცხნივ, დახატულია მათი ორი ასული, ხელებგაპყრობილნი; შენახული არიან მუხლებამდე; მათ აქვთ წარწერა თავის მაღლა და ორივე მხარეს:



იკითხება: ძ(ე) მ(ა)თი ელენე და რუსუდ(ა)ნ.

დ. თაყას მარჯვნივ, კარისაკენ დახატულია მათი ორი ყმაწვილი; მათგან მოზრდილი შენახულია წელამდე, პატარა კი — მხრებამდე; თავის ორივე მხარეს აწერიათ:



იკითხება:
ძე მათი ზალდ-
ასტ(ა)ნ და
ზალ გ(ა)ზარდ-
ოს ღმ(ერ)თ(მა)ნ.

დასავლეთის კედელზე ზემოაღწერილნი პირნი (ა—დ) შეადგენენ ერთ ოჯახს.

სამხრეთის მხარე:

კარის ზევით ყოფილა წარწერა; მისგან შენახულა მარტო უკანასკნელი სტრიქონის ნაშთი.

ანუ
. . .
[Ო]ː·ᲰᲒᲨ...,
ო მად

ა. კარის მარცხნივ მოჩანს დიდებულის სურათიდან დარჩენილი მარჯვენა მხარის ნაწილი და დაზიანებული წარწერა:

ანუ: ... რთო ... ლ
...ᲰᲒᲨ:· ...Ხ:·
ზად ... ა
...ᲔᲒᲰᲜᲣː· ...[ᲰᲒ]Ო
[მაჭუ]ტაძის(?) .. [მა]თ

ბ. დაზიანებული დიდებულის მარცხნივ დახატულია მისი მეუღლე; იგი შენახულია წელამდე, მარჯვენა მხარი და მის ქვევითი ნაწილი სულ მოცილებულია, გაჯი, რომელზედაც ეს სურათია, კედლიდან უკვე აგლეჯილია და მალე მთლად დაიღუპება იგი; სურათს აქვს დაზიანებული წარწერა:

იკითხება:
[მეუღ]ლ(ე)სა მათ-
..... ს შეუნდ(ო)ს
ღმერთ(მა)ნ,
ამინ.
[ᲰᲢᲘᲘ]ᲮᲜᲒ ᲰᲒᲝ
. . Ს:· ᲧᲢᲘᲘᲜᲡ:·
ᲘᲰᲢᲐᲝᲩ·:
ᲒᲰᲢᲩ:·

გ. შემდეგ, მარცხნივ, დასავლეთით, ასული მათი, აღმოსავლეთისაკენ ხელგაპყრობილი, შენახულია ფეხამდე; წელს ქვევით მარცხენა მხარე ნაწილობრივ დაზიანებულია.

ასულისა და დედის შუაში ზის მცირე ყრმა, მუხლმოკეცილი, ხელგაპყრობილი დასავლეთისაკენ.

ამ ორივეს თავზე არის წარწერა:

ⴰⵏ ⵜⵓⵏ ⵍⵍⵉⵎⵢⵜⴰ:·... იკითხება: ძე მათი გ(ა)ბაშაქ რ...

წარწერა უნდა ეკუთნოდეს მცირეწლოვან ყრმას, რადგანაც დედის შემდეგ ის პირველად არის დახატული; ხოლო წარწერის ბოლოს, დაზიანებულ ადგილას, იქნებოდა ასულის სახელის წარწერა.

დ. ამავე კედელზე, დასავლეთის კუთხესთან, დახატულია ყრმა; იგი შენახულია მუხლამდე, ნაწილობრივი დაზიანებით. აქვს წარწერა:

ⵀⵏⵜⵓ:· იკითხება: ძე მათი
[41]ⵀⵏⵙⵍⵔⵔ[42] რისოტნ

ე. დასავლეთის კედელზე, სამხრეთის კუთხესთან დახატულია სამი ყრმა; პირველს[43] და მეორეს მარჯვენა ხელები აპყრობილი აქვთ, ხოლო მარცხენა სარტყელზე უჭიდიათ; მესამეს მარცხენა ხელი აქვს აპყრობილი და მარჯვენა კი მასაც სარტყელზე უჭიდია; სამნივე შენახული არიან მუხლებამდე.

პირველს (სამხრეთის კუთხესთან დახატულს) აწერია:

·:ⵀⵏⵜⵓ⵰ⵏ:· ⵖⵙⵔⵎⵏ:·— ანუ ძე მ(ა)თი ესტატე.
მეორეს (პირველის მარცხნივ):

·:ⵀⵏⵜⵓ·: ⵓⵔⵛⵛ:· ანუ: ძე მ(ა)თი თაყა.
მესამეს (მეორის მარცხნივ):

·:ⵀⵏⵜⵓⵏ·: ანუ: ძე მ(ა)თი
·:ⵗⵀⵏⵗⵙ·: გრიგო(ლ).

სამხრეთი და დასავლეთი კედლის ზემო აღწერილი (ა—ე) პირნი შეადგენენ ერთ ოჯახს.

ამგვარად სამივე კედელზე სულ ოთხი ოჯახი არის დახატული:

1. გიორგი ლიპარტიანისა
2. სულთამამის ძის ზაზასი (მაჭუტაძისა?).
3. სულთამამის ძის თაყა მაჭუტაძისა და
4. ვინმე მაჭუტაძისა (?).

41, 42 თავსა და ბოლოში აკლია ასოები თუ არა, არა ჩანს.

43 აღვნუსხავ კუთხიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.

დასავლეთის კარებში მარჯვენა კედელზე ყოფილა წარწერა სალებავით; დღეს მისი ნაშთიღა არის შერჩენილი:



წარწერებში მოხსენებული გიორგი ლიპარტიანი წყაროებში არა ჩანს, თუ როდის ცხოვრობდა. გიორგი ლიპარტიანი ორი არის ცნობილი ისტორიაში: ერთი XVII ს. ნახევარში, რომლის შვილი ვამეყი ლევან დადიანის ძმისწულის ლიპარიტ იესეს-ძის გადაგდების შემდეგ გადადიანდა[46]. მეორე — XVIII ს. დასაწყისს. პირველისა შემორჩენილია 1615—1620 წლების ახლო ხანის შეწირულობის წიგნი ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი[47]; მეორისა — ორი შეწირულობის წიგნი: ერთი ცაგერისათვის 1701 წ.,[48]. მეორე ბიჭვინტისათვის 1707 წ.[49]. პირველი თავის თავს აცხადებს „ბატონიშვილად“, „ბატონადა“[50], მეორე კი —გამდიდრებულად, ღ˘თივ აღმატებულად, ოდიშისა და სალიპარტიანოს მპყრობელად, ლეჩხუმისა და საინასარიძის მჭირავ მქონებელად, იმერეთის სარდლად და თავად, სულ სვანეთის კლიტედ, დადიან ლიპარტიანად და ბატონად“[51].

პირველს ცოლად ჰყავდა ჭილაძის ქალი დარეჯან[52], მეორეს კი ჯერ მიქელაძის ქალი, შემდეგ გიორგი აბაშიძის ქალი თამარ[53] და ბოლოს გურიელის ქალი თამარიევ[54].

---

44 აქ ხაზებია გავლებული წითლად.

45

46 საქ. ისტ. ს. კ. 96.

47 დას. საქ. საეკლ. საბ., II, 172.

48 დას. საქ. საეკლ. საბ., I, 86.

49 დას. საქ. საეკლ. საბ., I, 96.

50 დას. საქ. საეკლ. საბ., II, 172.

51 დას. საქ. საეკლ. საბ., I, 86.

52 დას საქ. საეკლ. საბ. II,...

53 ბ რ ო ს ე. საქ. ისტ., ნ. II, 216.

54 იქვე, II, 221.

ამ მასალების მიხედვით არც ერთი ამ პირთაგანი არ უნდა იყოს წარწერის ლიპარტიანი, იგი სხვა პირია; მას არავითარი ტიტული არა აქვს; იგი თავის თავს ღარიბად უწოდებს: „აღვაშენე ჩემს ღარიბად ყოფასა შიგან“-ო. სიტყვა ღარიბი თითქმის XVII ს. დამლევამდე აღნიშნავს უცხოდ მყოფს, გადახვეწილს და აქაც, რასაკვირველია, აღმნიშვნელია სწორედ უცხოდ მყოფობისა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სიტყვა რომ დღევანდელი მნიშვნელობისა იყოს, შეუსაბამობა იქნებოდა: იგი რომ ქონებრივად ღარიბი ყოფილიყო, ეკლესიას როგორ ააშენებდა. ეს საბუთს გვაძლევს წარწერები XVII ს-ზე ადრე გადავიტანოთ.

ეკლესიის მხატვრობა შ. ამირანაშვილის აზრით ეკუთვნის XVI ს. და ამრიგად ძეგლი და მისი ნახატობა — წარწერები უნდა დათარიღდეს XVI ს-ით. წარწერაში მოხსენებული მეფეთმეფე გიორგი უნდა იყოს იმერეთის მეფე გიორგი II, ძე ბაგრატ III-ისა, რომელიც ბროსეს მიხედვით მეფობდა 1548—1585 წლებში[55].

ჩრდილოეთის მხარის პილიასტრის წარწერაში მოხსენიებული როსტევან აბაშიძე და მეუღლე მისი აზმადაოს დახატული არიან აგრეთვე შორაპნის მაზრის სოფ. ვანის (ხარაგაულის მახლობლად) ეკლესიაში.

სვირი

სვირის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ჭ. 130). კარედი ხატი ღვთისმშობლისა, $19^1/_4 \times 16^1/_4$ სმ, ირგვლივ დაბალი ვერცხლით შეჭედილი, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი; ხატი შემკულია 8 თვლით და მარგალიტის მძივებით; კარებებიც მარგალიტებით არის შემკული (უკანსკნელთ აკლიათ); ხატი დაზიანებულია, მარცხენა კარი ავარდნილი აქვს.

---

55 მ. ბ რ ო ს ე, შთამ. სია იმერ. მეფეთა.

მხედრული წარწერა:

ა. მარჯვენა კარზე, მარჯვენა მხარეს: ჭ:. მი უზეშთაეს
ძირა მხარეს: სერაბინთაო: უმაღლესო
მარცხენა მხარეს: ცათაო და უწმიდ-
ესო მჩიბნთაო (?)

ბ. თვით ღვთისმშობლის ხატზე: მცოხო და მხსნელო:.

გ. მარცხენა კარზე: სასო და: სიქადულო ჩვენო:. ყოვ-

ლად:. წმდაო:. დედოფალო
უბ(ი)წოდ: მშ(ო)ბ(ე)ლო:.
მაცხ(ო)ვრ(ი)ს(ა)ო:
და უმეტესად:
კურთხეულო დიდ(ე)ბულო:
ღმრთის —
მშობლო მ(ა)რ(ა)დს ქ(ა)ლწულო
მარიამ: შ(ე)ნ:. მოწყალე: გ(ვი)ყავი:. ძე შენი
ცოდვილის:. სულის:. ს(ა)ხსრ(ა)დ:
ბეხაზა ჩიჯავაძის: ქალს:
ბეჩმიკაცს (?)
სდღ(ე)გძ(ე)ლოთ ს(ა)ოხ(ა)დ:.

2. (ქ. 131). ფიცარზე ნახატი წმ. გიორგის ხატის (რუსული ხელოვნების). ზურგიდან აღებული თითბრის ფურცელი წარწერით, რომელიც იხსენიებს საქართველოს მეფის გიორგის ძის თეიმურაზის და მისი მეუღლის მეფის სძლის ელენე ამილახვრის ასულის მოძღვარს მღვდელმონაზონს ვიქტორიოს გიორგაძეს, 1844 წ., ზომა ფურცლისა $62^{3}/_{4} \times 50^{1}/_{2}$ სმ.

3. (ქ. 132). გარდამოხსნა, ოქრომკედით და ფერადი ძაფით ნაკერი, 117×73 სმ, დაზიანებული.

4. (ქ. 133). ოდიკი 1822 წლისა.

5. (ქ. 65). კონდაკი, ნუსხური ნაწერი, მრავალი ფურცელხაკლები.

6. (ქ. 66). მოსკოვს დაბეჭდილი (1823 წ.) სახარებიდან ამოღებული წინა ორი ფურცელი, რომელიც შეიცავს სიას ვიქტორიოს გიორგაძის მიერ შემოწირული ნივთებისას.

როდინოულის ეკლესიაში ინახებოდა ფიცარზე ნახატი ხატი აჯამეთის მაცხოვარისა, 8×5 (დაახლ.), შეჭედილი ვერცხლით და შემკული 30 წლის წინათ აჯამეთის წერეთლების კარის ეკლესიიდან. იგი დაუმტვრევიათ 1923 წელს.

გეგუთი

გეგუთის წმ. ე ლ ი ა ს ეკლესია დგას სოფლის გარეთ, აღმოსავლეთით; იგი ერთნავიანი მცირე ბაზილიკაა, ნაშენი ქვიტკირისაგან; ხურავს ყავარი, შეკეთებულია გვიან.

დასავლეთის კარის თავად მდებარე ქვაზე აქვს ძლიერ დაზიანებული ასომთავრული წარწერა:

ⵗⵅⵖⵙⵏⵏⵆ ⵆⵘⵏⵙ
ⵔⵆⵏⵀⵗⵅⵏⵗⵖⵗⵙⵅⵏⵆ

.5.

ⵚ-ⵗ
ⵆ-ⵀ

იკითხება:

ⵑეკლესი(ი)სა ამის
[ა]ღმⵑშენებელისა

.5.

– შ(ეიწყალ)ე
ა(მი)ნ.

გეგუთის წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 12×9 არშ. (დაახლ.), რომელსაც დასავლეთით მიშენებული აქვს სა-ჭალებო, 6×9 არშ., ნაშენია ქვიტკირისაგან; იგი მოხატულია, ჩრდი-ლოეთის კედელზე შენახულია ოთხი, ვგონებ, ისტორიული პირის სუ-რათი.

ეკლესიას აქვს წარწერები:

1. დასავლეთის კარის (საჭალებო) თავზე მდებარე ქვაზე ასო-მთავრულად (ქვის ზევითა ნაწილში ჩუქურთმა და ჯვარია გამოსახუ-ლი წარწერით X-ქ-ქ, ანუ: ჯ(ვ)არი ქ(რისტეს)ი, ქვევითა ნაწილში კი წარწერაა):



იკითხება:

[ქ. წ(მიდა)ო მოწ(ა)მე]ო ქ(რისტ)ე(ს)ო გ(იორ)გი მოისარისაო,
ჩვ(ე)ნ იაშვილმან ბაკ(ურ)მ(ა)ნ (ბაკამან?)
[და თანამეცხედ]რემ(ა)ნ ჩ(ე)მ(მა)ნ აბაშიძის
ჭალმ(ა)ნ მარეხ აღვაშენეთ
[ეკლესია ესე], რათა მეოხ გვ(ე)ქმნ(ე)ს
წინაშე ღ(ვ)თ(ი)სა დღესა მას განკითხვისასა.

---

56 აკლია 30-მდე ასო.

57 აკლია 13-მდე ასო.

58 აკლია 15-მდე ასო.

2. ა. სამხრეთის კარის თავზე მდებარე ქვაზე მხედრულად.

[ქ. ღთ˘ო] (და) წ(მი)დაო გი(ორ)გი

. [56] [აბაშიძის] ქალისა:.

მარეხისა:. ვინცა:. შენ

[დობაბძანოთ] [57] წ(მი)დაო გი(ორ)გი

. [58] ბატონსა თინა-

თინს: ამენ:

ბ. იმავე ქვაზე, ზემოთმოყვანილი წარწერის ძირს —

[ქ]:. ღ(მერ)თ˘ო, და წ(მი)დ(ა)ო გიორგი მოს . . საო მცვ

[59] კასა: და

[60]

3. აღმოსავლეთი სარკმლის თავად მდებარე ქვაზე ასომთავრულად:

:ᲠᲨᲘᲡᲐᲠ:ᲙᲠᲜᲠᲔᲓᲐᲜᲐᲠ:ᲚᲐᲚᲘᲠᲘᲡᲘᲡ·
ᲩᲠᲘᲙᲘᲨᲔᲠᲘᲡ:ᲨᲘ
ᲐᲜᲠᲩᲘᲜᲡ:ᲙᲚᲧᲠᲩᲠᲘᲡᲘ:ᲨᲔ:ᲩᲠᲘᲙᲘᲨᲔᲠᲘᲡ:·
ᲧᲚ˘ᲩᲘᲡ:ᲘᲚᲩ:
·:ᲠᲨᲠᲐᲚ:ᲧᲚᲔᲠᲐᲜᲚ:ᲨᲠᲐᲚᲔ:ᲙᲠᲩᲙᲠᲩᲘ:
ᲧᲚᲩᲘᲡ:ᲘᲩ:

იკითხება:

ამისთა კალატოზთა გოგიჩასა, ნასყიდასა, იოვანეს, ბეჟანასა და ნასყიდას შე(უ)ნდოს ღ(მერთმა)ნ;
ამათი შიხა დავითა ბანცაძე
შეუნდოს ღმერთმან.

ამ წარწერის მაღლა:

ᲐᲔᲐ...: ᲘᲐᲚ: ოდო: ღთე:

---

[59] აკლია 12-მდე ასო.

[60] აკლია 9-მდე ასო.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა 1 ა. 2 ვ.×12 ვ. (დაახლოებით).

2. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა 10ვ×8ვ. (დაახლოებით).

ორივე XVIII ს.

გეგუთის ციხის ძირის წმ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 16×8 არშ. (დაახლ.). ნაშენია ქვიტკირისაგან (გარეთ თლილი ქვა ეკლარისა, შიგნით ძირა ნაწილში იგივე ქვა, ზევითა ნაწილში აგური). ადგილობრივ მცხოვრებთ კედლებისათვის შემოუცლიათ ქვა და აგური და წაუღიათ საშენებელ მასალად (უმთავრესად ბუხრებისათვის). პერანგი (გარეთი პირი) ეკლესიას მთლიანად მარტო აღმოსავლეთ კედელზე შერჩენია, დანარჩენ კედლებს კი მხოლოდ ალაგ-ალაგ. შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა, მხატვრობის კვალი შერჩენია ჩრდილოეთის კედელზე აღმოსავლეთ ნაწილში (აქ შენახულია ასოები იქნებოდა ⵛⵃⵊⵅⵏⵐⵅⵛ, ანუ (ჯვარცმა) და საკურთხევლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან.

აქვეა აგურისა და კირისაგან ნაშენი ციხე, ორ დიდ და მრავალ წვრილ შენობებად, რომელიც აგრეთვე უნგრევიათ და საშენებელ მასალად უზიდიათ სახლებისათვის.

ცუცხვათი

ცუცხვათის ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს!(?) ეკლესია დგას სოფლების ცუცხვათისა და ჭალისთავის საზღვარზე, მაღარას ხევის მარჯვენა ნაპირას ამაღლებულ ბორცვზე.

ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 19×9 არშ. (დაახლ.), რომელსაც ჩრდილოეთით და დასავლეთით აქვს გალერეიები, სამხრეთითაც ჰქონია, მაგრამ იგი დღეს დანგრეულია. უკანასკნელნი ორგანიულად არ არიან დაკავშირებულნი მთავარ შენობასთან. ჩრდილოეთი გალერეის აღმოსავლეთი ნაწილი წარმოადგენს მცირე ეკლესიას, რომელიც იქნება სხვა ნაწილებზე უფრო ძველი იყოს; მას კარებთან აქვს ჩუქურთმიანი ქვები, კარის თავზე შერჩენია მხედრულ წარწერიანი ქვის ნატეხი, უდიდესი ნაწილი კი ჩამოტეხილია, ჩამოვარდნილია და აღარსადა ჩანს.

ეკლესია ნაშენია ქვიტკირისაგან: გარეთი პირი თლილი ქვაა, შიგნითი კი ნაწილობრივ თლილი და ნაწილობრივ კლდის ქვა. კარი აქვს სამხრეთით —1, დასავლეთით —1; ჩრდილოეთით —1; სარკმელი აღმოსავლეთით —1, სამხრეთით —2, დასავლეთით —1, ჩრდილოეთით —2.

ძეგლი დღეს ნანგრევად არის: ეკლესიის თაღი სულ ჩამოქცეულია, ჩრდილოეთის და დასავლეთის გალერეიებისა ნახევრად, სამხრეთის გალერეია თითქმის სულ აღარ არსებობს.

ეკლესიას აქვს წარწერები.

1. აღმოსავლეთ კედელზე სარკმლის ზევით მდებარე ქვაზე (ქვის გულში ჯვარია გამოსახული)[61].

2. იმავე კედელზე, პირველი წარწერის მარჯვნივ, სამხრეთით მდებარე ქვაზე, ასომთავრულად:

†(ⴒⴕ)ⴓ .
ⴣ|ⴘⴗ|ⴕⴡ:. ⴘ⁻ⴛ:. ⴝ(⁻ⴕ)
ⴛ,. |ⴣⴖⴝ⁻ⴑ|:. ⴘⴛⴖⴑ
ⴑⴕⵊⵗⴝ:. ⴑ⁻ⴖ:—

---

61 წარწერა გ. ბოჭორიძის ხელნაწერში არ არის ფიქსირებული — რედ.

იკითხება:

ქ. [თავ]დ[ებისა ღ(ვ)თის]-
მ[შობ]ელო, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლ-
ი [მონისა] შენ(ი)სა
ავ(ა)გისა, ა(მი)ნ.

3. ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე მდებარე ქვაზე მხედრულად (ქვის თავში ჯვარია გამოსახული):

1. † : ეჰა: შენ: ყოველთა: მნათობთა: უბრწყინვალესო:
მთიებო: დაუალისა: ნ(ა)თლისაო: დედაო: უფლისა: ჩ(ვენ)ისა:
იესო: ქრისტესო: ავაშენე: ტა-
2. ძარი: ჩვ(ე)ნ: დიდ(ე)ბ(უ)ლისა: და: ძლიერისა: ხელმწიფ(ე)ს: მ(ე)ფის:
სოლომონის: ქეშიკთ: უხ(უ)ც(ე)სმ(ა)ნ: ციხის: თ(ა)ვმ(ა)ნ:
ქ(ა)იხ(ო)სრ(ო)მ:
ს(უ)ლისა: [ჩ(ვენი)სა]: ს(ა)ხსრად:

4. დასავლ. გალერეის ჩრდ. კარის თავზე მდებარე ქვაზე ასომთავრულად:

Ი⁻Ⴓ: Ყ⁻Ⴗ: ᏚᏓ⁻Ⴍ
ᏢᏗᏔᏂᏚᏂ: . Ꮯ⁻Ꮒ

იკითხება:

ღ(მერთ)ო: შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი
გ(ე)რმ(ა)ნ(ე)სი, ა(მი)ნ.

ცუცხვათის წმ. გიორგის ეკლესიის სიძველენი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $33^{3}/_{4} \times 26^{1}/_{4} \times 2$ სმ, ოქროს წყალში დაფერილი და შემკული 2 თვლით და ფოთლოვანი აშიებით (წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა, იგი შუბით გმირავს მის ცხენის ფეხთ ქვეშ განრთხმულ კაცს). აქვს წარწერა †Ⴒ⁻Ꮾ Ⴢ⁻Ⴗ, ანუ: ქ. წ(მი)დ(ა) გ(იორგ)ი.

ზურგის მხარეს ხატს აქვს ასომთავრული წარწერა:



62

იკითხება:

ქ წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი ციხის თ(ა)ვ(ი)ს
ავაგისი და მისის მემ-
ცხედრისა გულ ბოდახისი, ა(მი)ნ.
ძენი მ(ა)თნი შერმაზან, ქაი-
5. ხოსრო და გ(იორგ)ი შ(ე)იწყალნეს და
ცოდ(ვ)ანი მ(ა)თნი შე(უ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

---

62 აქ ხატს, ალბათ, დაზიანებისა გამო, ზევიდან სხვა ფურცელი აქვს დაკერებული, აკლია 2 ან 3 სტრიქონი; ეს ნაწილი საკერებელს ქვეშ არ უნდა იყოს შენახული.

მოიჯედა დეკანოზობასა შ(ინ)ა
[ზოს]იმესსა ბურჯანაძისასა
ესსა ს კნამ (საუკუნომცა?)
10. . . . . მ(ა)თი

ზოგიერთ პირთა გადმოცემით ხატი მოტანილია უნაგრეთის მთის ეკლესიიდან, რომელიც დღეს ნანგრევად არის. წარწერაში მოხსენებული ავაგი და ქაიხოსრო იკითხებიან აგრეთვე ღვთისმშობლის (?) ეკლესიის წარწერებში.

იმავე პირთა ცნობით ავაგი ყოფილა „აგიაშვილების წინაპარი, მეფის სწორი კაცი“.

2. (ქ. 69). სახარება, ნუსხურად ნაწერი, ძლიერ დაზიანებული, მრავალ ფურცელნაკლები.

3. (ქ. 70). ეფუთი, ხუცურად ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

ცუცხვათის მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ამაღლების ეკლესიის ს ი ძ ვ ე ლ ე:

ჯვარის ხისა, $124 \times 53^1/_2 \times 6^3/_4$ სმ, რომელსაც ვერცხლის შეჯედილობა შერჩენია მარტო თავზე; ეს შეჯედილობა შემკულია წერილ-ფოთლოვანი სახეებით და უზის 4 დიდ-პატარა თვალი. შეჯედილობის ქვევით ჯვარს პერანგი აცვია.

ცუცხვათის უნაგრეთის მთის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, ნაშენი ქვიტკირისაგან. დღეს იგი ნანგრევად არის; შენახულია მარტო ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლები, დანარჩენი სულ დანგრეულია. სამკვეთლოში (ჩრდილოეთის ნაწილი) არის ორი ჩუქურთმიანი ქვა.

ხალხის გადმოცემით ეკლესია აშენებულია დავით აღმაშენებლის მიერ.

ძუძუნური

მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ამაღლების ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე:

1. ვერცხლზე ნაჯედი ხატი მაცხოვრისა და სხვ., 33×24 სმ, დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 3 თვლით. ხატის ზევითა ნა-

წილში გამოსახულია მაცხოვრის მჯდომარე ტახტზე ანგელოზებით ორივე მხარეს, ქვედა ნაწილში ღვთისმშობელი მდგომარე მოციქულებით პეტრეთი და პავლეთი. აქვთ წარწერები: მაცხოვარს — ⵊ-ⵛⵏ, ანუ: ი(ეს)უ ქ(რისტ)ე; ანგელოზებს — ⵙⵗⵛⵍⵗⵀ, ანუ: სერაბინი, ⵜⵗⵛⵍⵗⵀ, ანუ: ქერაბინი, ⵣⵄⵏⵜⵗⵄ ⵇⵄ ⵍⵄⵛⵍⵗⵄ, ანუ: მიქელ და გაბრიელ; ღვთისმშობელს — ⵛ-ⵇ ⵒⵊ-ⵇⵏⵄ, — ანუ: ყ(ოვლა)დ წ(მ)იდა, მოციქულებს — ⵄⵗⵒⵗ ⵔⵄ ⵄⵄⵒⵜⵗⵍⵆⵗ, ანუ: პეტრე და პავლე. ღვთისმშობლის წინ დაჩოქილია ვინმე პირი, რომელსაც აქვს წარწერა ასომთავრულად: ⵒⵄⵜⵄ ⵣⵗ(ⵒ)ⵗ (ⵍ-ⵗ)[63].

ანუ: აქა მეფე გ(იორგ)ი.

უკანა მხარეს ხატს გადაკრული აქვს სპილენძი.

ხატი დაზიანებულია; როგორც გადმომცეს, კარისკარ ტარება არის მისი მიზეზი.

ბუეთი

ბუეთის მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, ნაშენი ქვიტკირისაგან, ხურავს კრამიტი; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი აღმოსავლეთით —3, სამხრეთით —1, დასავლეთით —1, ჩრდილოეთით —1. სამხრეთის კარისა და ყველა სარკმლის ქვები შემკულია ჩუქურთმებით; კედლებს (აღმოსავლეთით, სამხრეთით და სხვ.) აქვთ აგრეთვე მრგვალი სახის ჩუქურთმები; დასავლეთის კარის თავზე დახატულია ვინმე ხელებაშვერილი პირი (ჯვარცმა?); სამხრეთის კარის თავზე გამოსახულია ჯვარი და ორი ფრინველი; ამავე ქვის აღმოსავლეთით (მარცხნივ) ქვაზე გამოსახულია ვეშაპი.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 78). კურთხევანი, ნუსხური, ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

2. (ქ. 79). დავითნი. ნუსხური ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

---

63 წარწერის ადგილზე გაუკეთებიათ სანაწილე, რასაც დაუზიანებია წარწერა.

3. (ქ. 80). კურთხევანი. ნუსხური ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

4. (ქ. 81). კურთხევანის ნაშთი, ნუსხური ნაწერი.

5. (ქ. 82). სასულიერო. წიგნის ნაშთი, ნუსხური ნაწერი.

ახალდაბა

წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $28^{3}/_{4} \times 23$ სმ, დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 8 თვლით და წარწერით ძირა აშიის ბოლოზე:

   1. ქ ნებითა:. და შეწევნით: ღუთისათა შევ[ამ]კვეთ:. ჩვენ: ოცდა:. სამ[მ]ა:. კვამლმა:. კა-
   2. ცმა:. ხატი:. ესე:. წმინდის:. გიორგის:. ეკლესი[ი]ს:. სადიდებლად და ჩვენის:. მამული
   3. ს: შვილის:. განსაძლიერებელად:. ამისი:. შემომწირველი ღმ[ერ]ან:. ღმერთმან აცხოვნოს:.

2. ხისგან ნაქანდაკევი ჯვარცმა ღვთისმშობლით და იოანეთი, $40 \times 25^{1}/_{4}$ სმ.

3. ხისგან ნაქანდაკევი იოანე მოციქული, წარწერით ⵗⵔⵊⵁ ანუ: იოანე მოციქული, $25 \times 16^{1}/_{4}$ სმ.

4. ბზის ჯვარი, ჯვარცმისა და სხვა გამოსახულებით, 14×8 სმ. მდარე ხელოვნების.

5. ჯვარი ხისა, ხატებით, $28^{1}/_{2} \times 8^{1}/_{4}$ სმ. მდარე ხელოვნების.

დაბაძველი

მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ფერისცვალების ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე:

ვერცხლზე ნაჭედი ხატი მაცხოვრისა, 31×27 სმ, დაფერილი ოქროს წყალში (გარდა აშიებისა) და შემკული 11 თვლით (მათგან 3 დაზიანებულია) და წარწერით ქვედა აშიაზე.

1. იესო მაცხოვარო ქრისტე ღ᷾თო ჴ᷾ტო (ღმერთო, ჴეშმარიტო) ძეო ღ᷾თისა ცხ.ო-
ველისაო რ᷾ლი (რომელი) განხორციელდი ჩ᷾ვნ (ჩვენ) ცოდვილთათვის
და ხატი მონისა მიიღე ჩ᷾ნ (ჩვენ) მსასოებე-

2. ლთა წისა (წმიდისა) მეუფისა შენისათა დაბაძვ(ე)ლისა ამის
ეკლესიისა შემომავალთა ერთობით ყ᷾თა (ყოველთა) შენ მიერთავე
წყალობით შევამკვეთ ხატი ესე შენი შეი-

3. წირე მცირე მწყულილი და მოეც სულთა და ჯორცთა
ჩნთა (ჩვენთა) მადლი და წყალობა შენი და ძეთა და სახლთა
ჩნ᷾თა (ჩვენთა) მოანიჭე სიმრთელით კეთილი ცხოვრება: ამინ:
ჭ᷾ეს (ქრისტეს) აქეთ: ჩყგ: — (1803 წ.).

4. ხ᷾ (ხოლო) იყვნეს ზედა მდგომელნი და მშრომელნი ამისნი

.[64]

ძიროვანი

მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია

სიძველენი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მრავალძალის წმ. გიორგისა, $36^1/_2 \times 27^1/_4$ სმ, ოქროს წყალში დაფერილი (გარდა აშიებისა) და შემკული 2 თვლით (აკლია 1 თვალი), ძლიერ დაზიანებული (დაკერებული)[65]. წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა (ცხენს ქვეშ არის ვეშაპი). ხატზე შემორჩენილია ძველი წარწერების ნაშთი:

1. წმიდა გიორგის: ⁋ᏯᏀ᷾ᏫᏫ ᏣᏀ᷾ᏀᏀ ანუ: წმიდ(ა) გ(იორ)გი
თავთან: ᏯᏗᏐᏓᏯᏫᏚ მრ(ა)ვ(ა)ლძ(ა)ლ(ი)ს(ა)
2. წმიდა გიორგის
წელის მარჯვნივ: ⁋[ᏯᏀᏫ᷾ ᏣᏀ᷾ᏀᏀ] ანუ: წ[მიდა გიორგი]

---

64 ეს ნაწილი სტრიქონისა ამოშლილია და ვინმე მღვდელნი არიან ჩაწერილნი შიგ.

65 როგორც გადმომცეს დაზიანებულია დღესასწაულის დროს ქარისქარ ტარებით.

3. ცხენის წინა [ს]ᲢᲒᲔ ანუ: [ბჳ]ედ
ფეხებ ქვეშ — Ⴓ.ᲮᲡᲮᲢ. : .ᲘᲨᲜᲔ ორსავე შინა
ᲔᲨᲨᲜ [ცხოვრებასა] ამინ.

სამივე ეს დაზიანებული წარწერა ძველი ხანისაა.

4. ქვედა აშიაზე არის მხედრული წარწერები ახალი ხანისა აშიის მარჯვენა ნაწილზე: აშიის შუაში:

ა. 1. ძველთაგან წი-
2. ნ მდეგმან ან-
3. დრია მღვდელმა,
4. ამის (?) მამულიშვი
5. ლის შემწეობით, შე
6.ვამკევ ხატი ესე

ბ. 1. ქ. მოვახთნეთ მრავალძალის შესაწირველად თორმე
2. ტმა ბუკმა კაცმა, ჩვენათ სადღეინგრძელოთ, მამუ
3. ლიშვილის გასამარჯვებლათ ამისი შამომწირველი ამდიდროს
4. ღმერთმან

აშიის მარცხენა ნაწილზე:

გ. 1. ღმერთო,
2. აცხოვნე მონა
3. მღვდელი ანდრია.

2. (ქ. 149). ისრის ბოლო (ორბოძალი, ზრო) რკინისა, ჩამოტანილი ველიეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან (მთაზე).

3. (რკინის ჯვრები, მთელი 6 ც., (სულ 8), ჩამოტანილი იქიდანვე.

მთის წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია ანუ „მთასაყდარი“ („თასაყდარი“)

ეკლესია დგას ოკრიბას (იმერეთი) ჩრდილოეთით აღმართულ მაღალი მთის მწვერვალზე, რომელსაც ეწოდება „წმ. გიორგის მთა“ ანუ „მთაწმიდა“ (თაწმიდა); სოფელ ძმუისიდან იგი დაშორებულია 7 ვერსის მანძილით (აღმ.-ჩრდ-ით), ამ სოფლიდან მიმავალი გზა ორი ბილიკით ადის მთის მწვერვალზე: ერთი შორს შემოუვლის, მეორე კი მოკლედ მთის სამხრეთის ფერდობზე; პირველი ადვილი სავალია, მეორე კი ძნელი და სახიფათო (მე მომიხდა მგზავრობა მეორე გზით). ხსენებული მთა საზღვარზეა (?) რაჭა-იმერეთისა; მას სამხრეთით აქვს ფრიალო კლდე, ხოლო ჩრდილოეთით ოდნავი ტყიანი დაქანება რაჭის მიმართულებით. ეკლესიის ადგილი და მისი მიდამო რაოდე-

ნიმედ დავაკებას წარმოადგენს, რომელიც ზაფხულს მწვანით არის შემოსილი; ადგილიდან სამხრეთისაკენ იწლება დიდებული სანახაობა: აქედან ხელის გულივით მოჩანს დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი.

ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, $15^1/_2 \times 7$ არშ. (დაახლ.), რომელსაც ჩრდილოეთით აქვს გალერეია, გაყოფილი ორ ნაწილად (აღმოსავლეთ და დასავლეთ), ხოლო დასავლეთით ჰქონია საქალებო, რომელიც ეხლა დანგრეულია[1]. გალერეია ორგანიულად არ არის დაკავშირებული მთავარ შენობასთან. ნაშენია შირიმის თლილი ქვისა, კლდის ქვისა და კირისაგან, სჭარბობს შირიმი.

ეკლესია გალერეიით დღეს დანგრეულია. შენახულია მარტო კედლები, თაღი კი, საკურთხევლის აღმოსავლეთი ნაწილის (კონქი) და ეკლესიის შუა ნაწილის პილიასტრის კამარის გარდა, სულ ჩამოქცეულია; ხსენებული პილიასტრის კამარა, წრომის ბაზილიკის კამარის მსგავსად, დღესაც მტკიცედ და მშვენივრად არის გადაკიდული ძეგლის ცაზე. ეკლესიის სამხრეთი კედლის შიგნითი პირი, დასავლეთი კედლის შიგნითი და გარეთი პირების ნაწილები და გალერეიის ჩრდილოეთი კედლის გარეთი პირის ნაწილი ჩამოქცეულია. ეკლესია შიგნით სულ ნანგრევით არის სავსე.

გალერეიის ჩრდ. კედელს გარედან ადგილ-ადგილ აქვს ჩუქურთმიანი ქვები, რომლებიც შესაძლებელია დატანებული ჰქონდეს განახლების დროს.

ეკლესიას კარი აქვს: დასავლეთით —1, ჩრდილოეთით —2 (ორივე აწ ამოგებულია) და სამხრეთით —1; სარკმელი: აღმოსავლეთით —1, ჩრდილოეთით —2, დასავლეთით —1; დასავლეთის კარს შებმული ჰქონია ფოლადგადაკრული ხის კარი, დღეს შენახულია მარტო მაღლითა და გვერდის კოჭები, რომელთაც იმგვარადვე ფოლადის სალტეები აქვთ გადაჭედილი.

საკურთხეველს აქვს ორი მცირე თახჩა.

კანკელი გაკეთებული ყოფილა თეთრი თაბაშირის მაგვარი მიწისა თუ ფხვიერი ქვისაგან. ნანგრევთა შორის ჩანს მისი სვეტი და სხვა ნატეხები (სვეტი —1, სვეტის ნახევარი —1, სვეტის ნატეხი —2, სვეტის თავი —1), შემკული ყვავილთა სახეებით.

საკურთხევლის აღმოსავლეთის კედელთან გამართულია ყავრის ფარდული, რომლის ქვეშაც შეფარებულია ხატების ნაშთები.

აქ არის რომელიმე ხატიდან დარჩენილი ფიცარი, $105 \times 82^1/_2$ სმ, რომელსაც წმიდანის სახის მოხაზულობა ოდნავ ემჩნევა; ხალხი მას

წმ. გიორგისად თელის; წმიდანი წელამდე ყოფილა დახატული; ფიცარს ძირა ნაწილი დამწვარი აქვს.

აქეეა სხვა ხატიდან დარჩენილი ფიცარი, 90×71 სმ, მხატვრობის მცირე ნაშთით.

გარეთ, ეკლესიის ჩრდილოეთით ყრია: ქანდაკება ცხვრის თავისა, დაგრეხილი რქებით (დიდი ზომისა), კოზმიდების ჩუქურთმიანი ქვები — 3 ცალი.

ეკლესიის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით და ჩრდილოეთით არის შენობათა ნანგრევები.

ეზოს გარშემო ჰქონია გალავანი, რომლისაგან დღეს ნაშთიღა მოსჩანს. ეკლესიის სამხრეთით, ძირს კლდეში არის წყარო.

ამ ეკლესიაზე ცნობები მოიპოვება სიგელ-გუჯრებში.

თ. ჟორდანიას თავის ქრონიკებში (წიგნი II) 1491 წლის ქვეშ დაბეჭდილი აქვს (ოდნავი შემოკლებით) იმერეთის მეფის ბაგრატ II-ისა და დედოფალ ელენეს და ძეთა მათთა გიორგის და ალექსანდრეს (XV ს.) მიერ „მთის წმ. გიორგისათვის“ მიცემული გუჯრის პირი, რომელიც, როგორც ამას თვით გამომცემელიც აღნიშნავს, მეტად დამახინჯებულია; მე რაოდენიმედ აღვადგინე იგი და სრული აღდგენაც ვგონებ შესაძლებელია.

მოვიყვან მას ნაწილობრივ:

„თქუენ წ᷾ო გ᷾ი (წმიდაო გიორგი) მთის მთავარმოწამეო! რაგვარათაც დავით აღმაშენებელისა და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემოწირული ყოფილ᷾ყო და ისევე ჩ᷾ნ (ჩვენ) მეფეთ მეფემან... პირმშომან ბაგრატ და თანამემცხედრემან ჩნ᷾მან (ჩვენმან) დედოფალთა დედოფალმან ელენე და ძეთა ჩნ᷾თა: გ᷾ი (ჩვენთა გიორგი) და ალექსანდრე... ვიგულისმიდგინეთ და

ჰელვყავით ახლად აღშენებად და შემკობად ტაძრისა შენისა და გარდავხურეთ ზევით ტყვიითა და სპილენძითა და მოეაჰედინეთ ხატი წ᷾სა (წმიდისა) გიორგისანი და წ᷾ისა (წმიდისა)

და სხვანი ძველნი ბონგნი (ბუნავნი?) ხატნი გაუახლენით და შეუკაზმენით, კარნი აუბით და მოუჰედენით და კლიტენი მოუწყვენი და დაუმაგრეთ და ახლად დაუმტკიცეთ და შემოვწირეთ მამულნი და გლეხნი: სახადს-აგარა, მათითა სახლკარითა... ველითა... ვითა ძველთაგან მთისა

მთავარ-მოწამისა იყო . . . ახლად შემოგწირე და დაგიმ-
კვიდრეთ შესავლისა, (?) შუა წყალსა გამოღმა და გაღმა
და საეწვალესა (? საწირესა) აქით ასე მკვიდრათ და ბაჟს
(დაბას?) დღევანდელი დაბა-ძველი?) მსხდომნი გლეხნი სამნი...
თხომრი კი [? თხმორი კი] ძველთაგან ყოფილიყო მისითა
მმიმდგომითა სამზღვრითა სამართლიანითა; ძმური [? ძმუისი]
. . . მისითა მიმდგომითა სამზღვრითა სამართლიანითა
და შემოგწირეთს კაციეთს ადგილი ს˘დ სრულად ზენათშუა ველ-
თის (ველიეთის?) მინდორს აქეთ... წყონაანს [? წყხორსი]
მათათშვილები და ჭლივაძენი ჭაშლათს (ჭაშლეთს?)
. . . ქიშმეიძენი . . . თუ ვინმე ავაზაკმა კაცმან მის
(მთის?) მთავარმოწამის ხატი ჯელყოს გატეხად, მისი
სასარი არა იქნების: ძელსა აცვან[66]“ და სხვ.

როგორც აქედან ირკვევა, ბაგრატ II-ს განუახლებია ზემოხსე-ნებული ეკლესია, განუახლებია და შეუწირავს მისთვის ადგილები და ხალხი. გუჯარში დასახელებული სოფლები დღესაც არსებობენ, იგინი მდებარეობენ მთიდან მახლობელ მანძილზე. ამ სოფლების დღევან-დელი მცხოვრებნი ადასტურებენ ცნობას, რომ მათი ადგილები და თვით ისინი ეკუთვნოდენ მთის წმ. გიორგის. სოფ. წყნორში, გადმომ-ცეს, რომ „წყნორი და ძმუისი თაწმიდის გიორგის ჰქონია შეწირუ-ლი“. იგინივე ხსენებული ეკლესიის მიჯნებს ასე ასახელებენ: „თასა-ყდარი, საჯინებო (ადგილია), შუამთა, ვერხვნარის სერი, ქვაყუნტი, შემდეგ სოჩხეთის სამზღვარი (ნაკადი), წყნორი და ძმუისი“. აქ მი-ჯნების ხაზი მოდის მთიდან სამხრეთისკენ, შემდეგ დასავლეთისკენ და ბოლოს ჩრდილოეთისკენ ე. ი. თვით მთისკენვე.

ზემოთ მოყვანილი გუჯრის სიტყვები: „რა გვარათაც დავით აღ-მაშენებელისა და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემოწირული ყოფი-ლიყო... ისევე ჩ˘წ (ჩვენ)... ჯელვყავით ახლად აღშენებად“-ო გვა-ფიქრებინებს, რომ ეკლესია დავით აღმაშენებელის დროს უკვე აშენებული ყოფილა; მის მიერ და მის დროს, თუ მასზე ადრე? ეს საკითხია; ვფიქრობ, რომ ადრე ზემოხსენებული ადგილიდან ცხადად ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი მხოლოდ შემწირველი არის, და თვით ეკლესია კი რომ უფრო ადრე უნდა იყოს აშენებული, ამას გვიკარ-ნახებს წარწერები იმ სიძველეებისა, რომელნიც ოდესმე ყოფილა

---

66 ქრონ. II, 307—308.

ხსენებულ ეკლესიაში, ხოლო დღეს დაცულია ძმუისსა და წყნორში. ამ სიძველეების ხსენებული ეკლესიიდან ჩამოტანის სინამდვილეს ადასტურებენ ზოგიერთი პირნი, მცხოვრებნი ძმუთს-წყნორისა; ამას ადასტურებს სხვა გარემოებაც: ძმუის-წყნორის ეკლესიები ახალი შენობებია და ამ სოფლების მახლობლადაც არ არის ზემოხსენებულ სიძველეთა დროინდელი რომელიმე შენობა, გარდა აღნიშნული მთის წმ. გიორგის ეკლესიისა, რომელშიაც ეს სიძველეები უნდა ყოფილიყვნენ.

ძმუისის დიდი ჯვრის წარწერა იხსენიებს ბაგრატ კურაპალატს, რაც მაფიქრებინებს, რომ ეკლესია მის დროს უნდა იყოს აღშენებული; მაგრამ რომელი ბაგრატია ეს ბაგრატი? ამის გამოსარკვევად საჭიროა მივმართოთ მეორე წარწერას იმავე ჯვრისა; იგი იხსენიებს ვინმე არსენს: „მე გლახაკმან არსენი მოვჭედე"-ო. ეს არსენი კათოლიკოსი უნდა იყოს; იგი თუ თავის სასულიერო პატივს არ ამჟღავნებს ეს ან ბერის თავმდაბლობით აიხსნება, ან კიდევ იმით, რომ ამ დროს იგი შესაძლებელია კათოლიკოსობიდან გადამდგარი იყო; რომ ის კათოლიკოსი უნდა იყოს ამას ის გარემოებაც გვიკარნახებს, რომ კურაპალატის გვერდით უბრალო ბერი თავის სახელს ვერ მოათავსებდა. მაგრამ რომელი არსენი არის ეს არსენი? კათოლიკოსები არსენის სახელით დავით აღმაშენებლის მახლობელ ხანაში მხოლოდ ორია ცნობილი: ერთი IX ს-ში, მეორე X-ში[67]. ხსენებული არსენი უნდა იყოს X ს-ისა, რომელიც თ. ჟორდანიას მე-II არსენად ჰყავს მიღებული; იგი ჩანს 954 წლების ახლო ხანებში[68]. ეს წლები უახლოვდება ბაგრატ III-ის მეფობის ხანას და საფიქრებელია, რომ წარწერის ბაგრატი უნდა იყოს ზემოხსენებული ბაგრატ III. აქედან, თუ ჯვარი, მთავარი ისტორიული ნივთი ეკლესიისა მიეკუთვნება ბაგრატ III-ის დროს, იქნება თვით ეკლესიაც იმავე დროისა იყოს. და რომ ასეა ამას ადასტურებს თვით ეკლესიის აგებულებაც, რომელიც შ. ამირანაშვილის აზრით, X ს. მიეკუთვნება.

შემდეგ, ამავე ეკლესიაზე ცნობას იძლევა სხვა სიგელი XVII ს-ისა, რომელიც დაბეჭდილი აქვს ს. კაკაბაძეს „დასავლეთ საქარ-

---

67 ქრონ. II, 75, შენ. 149.

68 იქვე.

თველოს საეკლესიო საბუთების“ წიგ. I-ში; ამ სიგლით ნიკორწმინდელი სვიმეონ წულუკიძე მთის წმ. გიორგის სწირავს ერთ კომლ გლეხს[69].

ბოლოს, მესამე განახლებული სიგელი, XVIII ს-ისა, დაბეჭდილი იმავე პირის მიერ, წიგნ II-ში არის მიცემული სოლომონ II-ის თანამემცხედრის დედოფალ მარიამის მიერ ნიკორწმიდისათვის 1795 წელს; იგი ეხება დავას ერთ-ერთი (კაციეთის) ადგილზე და უკანასკნელს აძლევს ნიკორწმიდელს; აქიდან ირკვევა, რომ მთის წმ. გიორგის ეკლესია იმ დროს ყოფილა ნიკორწმიდელის გამგებლობაში.

ეხლა აღვწერ ხსენებული ეკლესიის სიძველეებს, რომელნიც ნაწილობრივ ინახებიან დღეს სოფ. ძმუისსა და წყნორში.

ძმუისი

წმ. გიორგის ეკლესია

სიძველე:

1. ჯვარი ხისა, 125×56×8½ სმ, შეჭედილი (წინა მხარეს) ვერცხლზე ნაჭედი ხატებით: წმ. გიორგისა (გულში), მაცხოვრისა (თავში) და ღვთისმშობლისა და მაცხოვრისა (მხრებზე), რომელნიც დაფერილი არიან ოქროს წყალში; მას უწოდებენ „ოქროს ჯვარს“ ალბათ, ფერის გამო. ჯვარს ქვედა ნაწილში ერთ ნაჭერ ფურცელზე ჰქონია ვერცხლზედვე ნაჭედი ხატი, ვგონებ ნათლისმცემლისა, რომელიც აუძვრია და წაუღია ვინმე ავაზაკს 1923—1924 წლებში. ძირა ცალიერი ადგილი ჯვრისა ახლო ხანში ვარაყით დაუფერიათ. ხატებს აქვს წარწერები: წმ. გიორგისა — Ⴔ᷾Ⴁ Ⴇ᷾Ⴇ, ანუ: წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი; მაცხოვრისას — Ⴁ᷾Ⴙ ⵜ᷾Ⴇ (ჯვრის თავში), ანუ: ი(ეს)უ. ქ(რისტ)ე და Ⴁ᷾Ⴙ ⵜ᷾Ⴒ (მხრებზე), ანუ: ი(ესუ) ქ(რისტ)ჱ; ღვთისმშობლისას — Ⴔ᷾Ⴁ Ⴒ᷾Ⴒ, ანუ: წ(მიდა)ჲ მ(არია)მ.

ჯვარს აქვს სამი ასომთავრული წარწერა.

1. გულში, წმ. გიორგის ხატის მარცხნივ:

---

[69] დას. საქ. საეკლ. საბ., წ. I, 81.



იკითხება:
მე გლ(ა)ხ(ა)კმ(ა)ნ
არსენი მო-
ვჭედე
ჯ(ვარ)ჲ წ(მი)დ-
5. (ი)სა ნა-
თლის-
მც(ე)მ(ე)ლ-
ისაჲ
ღოცვ-
10. ა ყავ-
თ.

2. მარჯვენა მხარეზე, ღვთისმშობლის ხატის მარჯვნივ:



იკითხება:
დიდებულო
ნათლისმცემე-
ლო შემწე ეყ-
ავ ბაგრ(ა)ტ კუ-
5. რ(ა)პ(ა)ლ(ა)ტსა.

3. მარცხენა მხარეზე, ღვთისმშობლის ხატის მარცხნივ:



იკითხება:
წ(მიდა)ო გ(იორგ)ი და-
ჲცვენ ე(რისთავთ)-ე(რისთავ)-
ნი კახაბ-
ერი და
5. მიქ(ე)ლ.

ჯვრის პირველ წარწერაში მოხსენებული არსენი უნდა იყოს კათოლიკოზი არსენ II, X ს-ისა; მეორე წარწერაში მოხსენებული ბაგრატ კურაპალატი — ბაგრატ III; ხოლო მესამე წარწერის ერისთავთ-ერისთავნი მიქელ და კახაბერი — ნიკორწმიდის სიგელში მოხსენებული მიქელ და კახაბერი; ესევე მიქელ უნდა იკითხებოდეს აგრეთვე ხვამლის მთის წარწერაში, რომელიც თუმცა ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ მისი ასოების ნაშთი ამას გვაფიქრებინებს. ოკრიბელები ამ მთას უწოდებენ კიდემოტეხილას.

ეს წარწერა არის:



---

70 შ-ს შემდეგ დარჩენილი ასოს ნაშთი, მცირე ხაზი მაფიქრებინებს, რომ ის ⱏ-ს მარჯვენა მხარი არის და მის ადგილს იქნებოდა ⱏ, შემდეგ იქნებოდა **ⴖⴑ** და მაშინ მთელი სიტყვა შⱏⴖⴑ მიქელად წაიკითხებოდა.

იკითხება:

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მეოხ და მფარველ ექ
(მე)ნ ე(რისთავთ) ე(რისთავსა) ენონს სუ(ლ)თა (?) და შვილთ-
ა მისთა მიქელს

2. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 29×27 სმ, ოქროს წყალში დაფერილი. წმ. გიორგი მდგომარეა (ხატის მარჯვენა ნაწილში) სასახლის კედელთან, პირით მარცხენა მხარეს, მას ხელში ქისა უჭირავს ფულით; წმ. გიორგის წინ (ხატის მარცხენა ნაწილში) დგანან გლახაკნი, რომელნიც მოწყალებას სთხოვენ მას; წმ. გიორგის წინ თოკზე ჩამოკანჭურებულია სამი ეშმაკი, რომელნიც „ხელს უშლიან“ გლახაკთ და წმ. გიორგის ეუბნებიან: „ფულს ნუ მისცემ იმათაო“. ხატს წმ. გიორგისა და გლახაკების შუა დარჩენილ არეზე აქვს ასომთავრული წარწერები:



იკითხება:

წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი საქონ-
ელსა
განუ-
ყოფ-
5. ს გლ-
ახა-
კთ-
ა



იკითხება:

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი,
ზიარ
ქმენ
მადლს-
ა შ(ე)ნ-
სა მ(ე)-
ლქ(ი)ზ(ე)-
დ(ე)კ იშ-
ხნ(ე)ლ-
ი

ხატი უძვირფასესი ნამუშევარია, წმ. გიორგი და გლახაკნი საუცხოოდ არის გამოყვანილი; იგი ნაწილობრივ დაზიანებულია.

3. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 80×64 სმ, წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა; იგი ტლანქი და დაბალი ხელის ნამუშევარია. გადანახლებულია 1890-იან წლებში.

4. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ოთხი წმიდანისა: გიორგისა, თევდორესი, მერკულისა და პროკოპისა, 70×39 სმ, წარწერებით: Ⳑ̈ⲁ ⲍⲏ, ანუ: წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი; Ⳑ̈ⲁ ⲑ̈ⲏ, ანუ: წ(მიდა)ჲ თ(ევდორ)ე; Ⳑ̈ⲁ ⲘⲎⲓⲕⲗⲎ, ანუ: წ(მიდა)ჲ მერკ(უ)ლი და Ⳑ̈ⲁ ⲚⲓⲣⲁⲕⲁⲚⲏ, ანუ: წ(მიდა)ჲ პროკოპი. ხატი საუცხოო ნამუშევარია.

5. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ოთხი წმიდანისა: დემეტრესი, თევდორე ტირონისა, ნესტორისა და ევსტათესი, 70×39 სმ, წარწერებით: Ⳑ̈ⲁ ⲤⲎⲘⲒⲇⲓⲏ, ანუ: წ(მიდა)ჲ დემეტრე; Ⳑ̈ⲁⲑ̈ⲏⲇⲒⲘⲁⲗⲏ, ანუ: წ(მიდა)ჲ თ(ევდორ)ე ტირონი; Ⳑ̈ⲁ ⲏⲎⲚⲈⲀⲥ, ანუ: წ(მიდა)ჲ ნესტორ და Ⳑ̈ⲁ ⲎⲨⲚⲉⲑ̈ⲏ, ანუ: წ(მიდა)ჲ ევსტ(ა)თე. ეს ხატიც საუცხოო ნამუ-

შევარია და უნდა ეკუთვნოდეს იმავე პირს, რომელიც მე-4 ნომრითაა აღწერილი.

6. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მაცხოვრისა, 11×11 სმ, წარწერით ᲝᲫ†Შ, ანუ: ი(ეს)უ ქ(რისტ)ე. ხატი დაზიანებულია, იგი ზის ჩარჩოში $15^1/_2 \times 13^1/_2$ სმ, (მაცხოვარი წელამდეა გამოსახული).

7. (ქ. 71). სვინაქსარი (?) ეტრატზე ნუსხურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

წიგნს აქვს მინაწერები:

1. ერთ-ერთი ფურცლის მეორე გვერდზე, სადაც არის სათაური, ნუსხურად:

ყფთსꙋ: ꙗ, ꙗ᷾ თꙋ ⷭ᷾ ⷯ᷾ꙋ | სꙋ: ꙋ᷾ ⷯ᷾ ꙗꙋსთთᲝ: ‖,

ანუ: შ(ა)ფ(ა)თსა ბ, წ(მიდა)თა (მ)არხვათასა პ(ავ)ლე ებრ(აე)ლთა.

ამ გვერდის ძირა ხარვეზზე სხვა ხელით, ხუცურად:

1. *ⷢᲫᲮ᷾Ჩꙋ ꙗꙋⷬ᷾ⷯსꙋ ⷦᲫსᲩⷯსꙋ ꙗ᷾ᲩᲩ ⷬ᷾Ჩ: ⷭⷬ᷾Ჩსꙋ ⷭⷯᲫⷬ᷾ⷯⷬ᷾ⷯსꙋ*
2. *ⷢᲫⷯსⷢᲫⷭⷭ᷾Ჩსꙋ ꙗᲮ᷾Ჩსꙋ ⷬ᷾Ჩ ⷦ᷾Ჩ: ⷭⷦᲩⷯსꙋ ꙗꙋⷬ᷾ⷯსꙋ ⷬⷯⷦᲩⷬ᷾ⷯꙗ ꙗᲮ᷾Ჩსꙋ ⷬ᷾Ჩ*

იკითხება:

1. გუჩინა შვილსა არს .... შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ, მის(სა) მეუღლესა
2. გულსურმ(ა)ს შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ, ამინ, მათს შვილსა იოვ(ა)ნეს შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ.

2. პირველი მინაწერის შემდეგ მე-9 ფურცლის მეორე გვერდის ძირა ხარვეზზე, ნუსხურად:

1. *ⷢᲫᲮ᷾ⷭꙗꙋⷦⷭꙋ ⷭⷯⷭⷬ᷾ⷦⷬ᷾ⷭ ꙗᲮ᷾Ჩსꙋ ⷬ᷾Ჩⷯსꙋ ⷭⷯᲫⷬ᷾ⷯⷬ᷾ⷯსꙋ ⷢᲫⷯⷬ᷾*
2. *ⷭⷬᲫⷯⷭ ꙗᲮ᷾Ჩსꙋ ⷬ᷾Ჩⷯⷬ᷾ ⷬⷯⷦⷬ᷾ ꙗꙋⷬ᷾ⷯსꙋ ⷬ᷾Ჩⷯ ꙗᲮ᷾Ჩ*

იკითხება:

1. გუწრბუაძესა სორაზანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ, მისა მეუღლესა გულა-
2. რდუღს შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ, მ(ა)თს (sic) ძეთა შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

შ. ამირანაშვილის აზრით, ძმუისის ორი ოთხ-ოთხი წმიდანის ხატები, წმ. გიორგის ხატი? და წყნორის წმ. გიორგის ხატი ერთი ჯვრიდან უნდა იყვნენ ჩამოხსნილნი.

სოჩხეთი

ნათლისმცემლის ეკლესია

სიძველენი:

1. ჯვარი ხისა, წოდებული ნათლისმცემლის ჯვარად, $69^1/_2 \times 42^1/_2$ სმ, შეჭედილი წინა მხარეს ვერცხლით და შემკული ჭედილი ხატებით და 7 თვლით; ვერცხლი ოქროს წყალშია დაფერილი.

ჯვარს ქვედა ნაწილში აქვს წარწერა:

† სვიმონ
იობ
იძე
ქ. შე
ვამკე
თ ჯვარ
ი ესე
ნათლის
მცემელი
თ(ა)მ(ა)ზ(ა)მ
(აგ) ოგიამა
ნმ:. სოჩ
ლს თე

2. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $13^1/_2 \times 9^3/_4$ სმ, გადაკრული ფიცარზე წმ. გიორგის მდგომარეა; მის ფეხებთან (ორსავე მხარეს) არის წარწერა:



იკითხება:

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მეოხ
ექმენ ორთავე შინა ცხო-
ვრებასა გოშქოთელია-
ნსა ივ(ა)ნეს და ძესა მა-
5. თსა ქაიხოსროს, ა(მი)ნ.

3. (ქ. 134). ფიცარზე ნახატი იოანე ნათლისმცემლისა, $79^1/_2 \times 51^1/_2$ სმ, ძლიერ დაზიანებული (ფიცარი დაფუტურებულია, მხატვრობა მიმქრალია და ვერცხლის შემკულობიდან მცირედი ნაწილიღა შერჩენია).

4. (ქ. 135). გარდამოხსნა, 272×155 სმ, შემკული ოქრომკედით და ფერადი ძაფით ნაკერი ხატებით და სახეებით და ასომთავრული წარწერით, ხვეულად.

ა. წარწერა ზევითა ნაწილში:



[71] ზოგიერთ სიტყვათა შორის წარწერაში ზის ჯვარი სიტყვების განკვეთის ტექნიკური ნიშნად.

ბ. მარცხენა მხარეს:

სე+სფეგ'ს+ვე:·ჩ ვ'ე + ყოჯ'ვ+ჯოს:·
ჯოვიო'ს+:·ერისვ:·ჩ+ვე+ჯ'ე:·რვსსა
ფოგ'ს+ვ ო'ვქყ'გ

გ. ძირა ნაწილში

ყ':.ერჯე+ჩ'ჰზერჯაყსრ'ს+სცჰო'გა+
ყოჯერჯყაყ'ოგს+ჰაჯოგჯ'რ+ჯოაჰ'ჰვ:·
ერიეროყ'ორრ+[ყოეყდჩდ][სყ]ზჰრი+ჯ'რერს
დ'ოჰრი+ვ':·ოყგსი'რი:·ზერყოერჯყ'რ+
ყაჩ'გცაა'ჰ:·არერყგ'ვ ყოგ'ცდ

დ. მარჯვენა მხარეს:

ჯდდ'ჰა:·ჯ'ოჰ:·ჩ'რ ყჩ'რერ:.დდოყჩა:
ბოჩრიცა:.ზერზოყჩ'ს+სოჯჰერდგ'ა:·
ერ'სჩსიყყაი:ჯაა'ჰოს:.ერიჯერყ'რიოგს:.
ჯოფაჯოფსდ:.ყერჩჰდბსერ:.ეაიზდერრი:.
ჯერა'რ:·ყოარ

ე. ბოლოს, წარწერა გადადის ისევ ზევითა ნაწილში პირველი სტრიქონის თავზე:

6. ᲩᲘᲗᲮᲔᲑᲐ: - - ᲩᲐᲩᲘ,

იკითხება:

1. ქ შვენიერმ(ა)ნ იოსებ ძელ(ი)ს(ა)გ(ა)ნ გ(ა)რდამ(ო)ჯ
2. ს(ნ)ა უხრწნელი გუამი შ(ე)ნი ქრ(ი)სტ(ე), და რ(ომელ)მ(ა)ნ
3. კ(უართი)თა წმიდ(ითა), წარგ(რა)გნა, სურნელებით
4. შემოურვ(ი)ლ(ე) ახ(ა)ლ-
5. სა ს(ა)ფლ(ა)ვს(ა) დ(ა)გდ(ვა) შემ(დგომა)დ მეს(ა)მე(სა) დღ-
6. ეს(ა) აღსდ(ე)გ და მ(ო)ან(ი)ჴ(ე) სოფელს(ა) დიდ(ი) წყ(ა)ლო-
7. ბა; ამა გ(ა)რდამოჯსნ(ი)ს ს(ა)თრელ(ი)თ? შემამ
8. კობელს, რომელმ(ა)ნ მეორ(ე)დ აღაშენნ(ა)
9. ციცხვთ (?). ს(ა)ყდ(ა)რნი მ(ო)ნასტერნი დ(ა) ეკლ(ე)სი(ა)ნი
10. და შეამკ(ე)ნ(ა) ყოვლ(ი)თურ უნაკლ(ო) ჴელითვ(ე)
11. მს(ა)ტ(ვა)რთ მ(ი)ერ განაშვ(ე)ნა ხ(ა)ტ-ბით. წიგნით
12. ღადებ(ი)ს სიმრავლ(ი)თ აღს(ა)ვსე ყო მ(ე)ორეს
13. აღმაშ(ე)ნე(ბე)ლს მეფეთ
14. შეფ(ე)სა ბაგრ(ა)ტსა ცოდვანი მათნ(ი) შეუნ
15. დუნეს ღმერთმან .... ამ(ი)ნ.

შენიშვნა: წარწერა სიტყვებში (ზოგან) შეიცავს ზედმეტ ასოებს, რომელნიც აღმოკითხვის დროს ჩემ მიერ გამოტოვებულ იქნა.

5. (ქ. 72). სასულიერო შინაარსის წიგნიდან დარჩენილი რვეული (6 ფურცელი), ნუსხურად ნაწერი.

წყნორი

წმ. გიორგის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა ზომით (ფურცელი) 33×65 სმ, დაკრული ფიცარზე. წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარე, მის წინ გამოსახული არიან მეფის ასული ვეშაპთან, მეფე-დედოფალი და. სხვ.; აქვს წარწერა —

ა. წმ. გიორგის თავთან: ჩ⁻ა ⊓ ⊓⁻⊓ ანუ: წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი

ბ. წმ. გიორგისა და მეფე-დედოფალთ შუა:

	ანუ:
ᔑᑕᑌᖷᕮᑐᕮᑎ	სასწაული
ᖷᒉᑌᑕ ᑎ⁻ᑌ|ᒉ	წ(მიდ)ისა გი(ორგ)ისი.
ᑎᑕᕼᔑᕮᕼᒉᑎᑕᑐ	განრინებაჲ
ᑭᒉᕼᔑᑌᑎᑌ	ვეშ(ა)პის-
5. ᑕᑎᕼ ᕽᑐᑭᔑ	5. აგ(ა)ნ მთ(ა)ვრ-
ᑎᑌ ᑕᑌᕮᑎ	ის ას(უ)ლი-
ᒪᑕ	სა.

ხატი უძვირფასესად არის ნაქანდაკევი; იგი ძლიერ დაზიანებულია; დაზიანებულია წმ. გიორგის თავის ნაწილი, ვეშაპი, მეფე-დედოფლისა და სხვ. განაპირა ნაწილი. ხატს ფიცარი მოგვიანო ხანისა აქვს. ადგილობრივ პირთა ცნობით, ხატი დიდი ხნის წინათ ჩამოტანილი არის მთის წმ. გიორგის ეკლესიიდან.

ამავე ხატთან არის (მისავე ფიცარზე დაკრული) მეორე ხატის ნაშთი, რომელიც წარმოადგენს ვერცხლზედვე ნაჭედს სამს მდგომარე პირს, რომელთა მარცხნივ არის წმიდანის ნიმბი წარწერით: ჩ⁻ᑭᕼᑐ...; ანუ: წ(მიდა)ჲ კ(ვ)ირ(იკე); უკანასკნელის ძირს სხვა პირის ნაშთი, შენახული წელს ქვევიდან დაწყებული ფეხამდე. ეს ხატი არის ერთ დიდ და რამდენიმე წვრილ ნაგლეჯად; ესეც საუცხოვო ნამუშევარია.

ორივე ხატი ერთ ხელს ეკუთვნის; ადრევეც ისინი ერთად უნდა ყოფილიყვნენ მოთავსებული ერთ დიდ ხატზე ან ჯვარზე.

2. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $36^{1}/_{4} \times 28$ სმ, გადაკრულ ფიცარზე, რომელსაც ზურგზე ტყავი აქვს შემოკრული; იგი შემკულია 5 თვლით, მე-6 ჩამოკიდებულია ზედ; აკლია 4 თვალი. ხატი ძლიერ დაზიანებულია: მოჩანს მარტო წმ. გიორგის სახე, დანარჩენი სულ ნაჭრებად არის ქცეული; ხატზე მრავალი სხვა ნაჭერია დაკერებული.

ხატს აქვს ასომთავრული წარწერა, წმ. გიორგის ზევითა ნაწილში და მარცხნივ:



იკითხება:

ქ ღ(მერთ)ო და წ(მ)ი(და)ო გ(იორგ)ი მთის მ(თ)ავ(ა)რმ(ო)წამეო ი-
ჯსენ ჭ(ირ)ისა და წყე(ვ)ის(ა)გ(ა)ნ ქუცნა მხე(ი)ძე
[დ]ა მ(ი)სნი ცოლშვი[ლნ]ი მე კა˘მია (?) . .
მო(ვჭ)ედე ხა(ტ)ი
5. ესე წმ(იდ)ისა გ(იორგ)ი-
სა შე(ს)ა-
ნ(დ)ო(ბე)ლად

სუ(ლ)თა ჩ[ვენთა]
და
10. სად-
ღეგ(რ)ძე-
ლოთ
ჩე(მდ)ა.

ხატს აქვს ტყავის ბუდე; ხატზე იყო 21 დიდი და 2 პატარა ზღვის ქვისა (?)და სხვ. მძივი, რომელთაგან 15 დიდი და 2 პატარა ადგილობრივ ხატთანავე იქნა დატოვებული, ხოლო 6 დიდი მძივი გადატანილ იქნა დასაცავად ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში (ქ. 145). ხატთანავე არის მრავალი ფარა.

3. (ქ. 144). ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 21×17 სმ, გადაკრული ფიცარზე, ძლიერ დაზიანებული: ვერცხლის ფურცელი ნახევრად აგლეჯილი და დაკარგული აქვს. ხატი ზის ტყავშემოკრულ ხის ბუდეში, გარედან კიდევ სხვა ტყავის ბუდე აქვს.

ჯონია

ჯონიას წმ. გიორგის ეკლესია

ერთნავიანი ბაზილიკაა, ნაშენი შირიმის ქვისა და კირისაგან; შიგნით გალესილია კირით, თაღი გადაკეთებულია.

აქვს ნუსხური წარწერები:

1. სამხრ. კარის მახლობლად (აღმოსავლეთით)

ⴐⴰⴰ ⵖ᷄ ⵖ	წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)-
ⵏ ⴿⴹⴿⵀⵒ	ე. ჯ(უ)ხუნა (?)

2. პირველის აღმოსავლეთით —

ⴐ᷄ⴰⴰ ⵖ᷄	წ(მიდა)ო გ(იორგ)ი
(ⵖ᷄ⵏ)...	შ(ეიწყალე)...

3. მეორის აღმოსავლეთით —

ⴐⴰⴰ ⵅⴰⴰⵀⵏ ⵖ᷄ⵏ	წ(მიდა)ო მოსე შ(ეიწყალ)ე

4. მესამის აღმოსავლეთით —

ⴐ᷄ⴰⴰ ⵖ᷄ ⵖ᷄ⵏ	წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე
ⴹⵖⵒⴐⵔⵙ	უშა (?) წ(მიდ)ის
ⵒ(ⵀ)ⵒⴿⵅⵀⵙ	ანაჯორს (?)
...ⵖⵏⵀ᷄ⵒ	გენ᷄ა(?)

წმ. გიორგის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. კანკელზე გაკეთებული ხისგან ნაკვეთი ქანდაკება ჯვარცმისა ღვთისმშობლითა და რომელიმე სხვა მანდილოსნით.

2. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $39^1/_4 \times 34$ სმ, დაფერილი ოქროს წყალ'ში, გადაკრული ფიცარზე. წმ. გიორგი ცხენზე ზის და ვეშაპს ჰგმირავს. ძირა აშიაზე ხატს აქვს ასომთავრული წარწერა:

1. ⴕⴈⴃ-ⴅⴁⴍⴀ.ⴃⴑ.ⴒ.ⴅⴈⴃⴀ ⴗⴋ-ⴗⴋ.ⴑⴃⴑⴄⴗⴊⴍⴀ ⴚⴗⴒⴋⴀ.ⴃⴑ.
ⴃⴚⴄ-ⴃⴍⴊⴗⴁ.ⴃⴑ ⴗⴄ.ⴔⴗⴅⴑⴒ.ⴃⴈⴑ-ⴗⴄ
2. ⴃⴑ.ⴁⴑⴒⴒ.ⴃⴑ-ⴆⴃⴅⴄ:.ⴃⴁ-ⴗ: ⴑⴊⴑⴚⴊⴑ: ⴑⴌⴃ-ⴗ: ⴗⴄ-ⴒ(ⴄ)
⁞ :ⴃ ⁞ⴑ: ⴅⴄⴒⴗ: ⴃⴑ-ⴒⴗ: ⴕⴑ-ⴒⴒ: ⴑⴃ: ⴗⴋ-ⴗⴋ: ⴍⴌ-ⴑⴁⴄ: ⴚ-ⴑ: ⴑⴆ-ⴌⴑ. ⴑⴃⴚⴒ

იკითხება:

1. ქ ღმ(ე)რთო და წმიდ(ა)ო გი(ორ)გი ამ(ა)ღლებ(ი)ს(ა)ო, შე(ე)წიე და
მშვ(ი)დობით დ(აი)ცევ ფირან მხე(ი)ძე
2. და თანა მ(ე)ცხ(ე)დრე მათი აბაშ(ი)სა ას(უ)ლი ელ(ე)ნე და ძენი მა(თ)ნი ქ(უ)ცნა და გი(ორ)გი ო(რ)საე შ(ინ)ა ცხ(ოვრება)სა, ამინ.

გადმოცემით ხატი მოტანილია სვანეთიდან ბერიკა ბაბუხადიას მიერ XIX ს. დასაწყისში.

3 ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, $49^1/_2 \times 41$ სმ, წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა; ხატი ძლიერ დაზიანებულია, მას მარცხენა ქვედა კუთხე მოტეხილი და დაკარგული აქვს.

4. (ქ. 142) ხისგან ნაკვეთი ხატი წმ. გიორგისა, $10^3/_4 \times 7^1/_2$ სმ, ქართული ხელოვნებისა, ათონურად ნამუშევარი.

5. სახარება დაბეჭდილია საჩხერეში 1817 წელს, შემკული ვერცხლის ბუდით, $12 \times 8 \times 4$ სმ, ბუდეზე ჭედილი ხატებია მაცხოვრისა და სხვ. და უზის 6 თვალი (წინ 3, ზურგზე 3).

ბუდეს ზურგზე აქვს მხედრული წარწერა:

ქ. შევამკევ საღმრთო
სახარება ესე მამის
ქ. ჩემის ერისთვის ძის
ბარძიმის სულის-
ა საოხად, ძემან
მისმან
გიორგი,
ჩყით წელთა (1819 წ.)

6. (ქ. 73). ჟამნი, ნუსხურად ნაწერი, დაზიანებული, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

წიგნს „დასდებელი აღდგომისანის“ წინა ფურცლის პირველი გვერდის ბოლოში, მეორე სვეტის დასასრულს აქვს მინაწერი ნუსხურად:

ბղ ⴑშ⸗ბղ ո⸗ա ყⴑდա
հ⸗ դպტ⸗ղոտ⸗ ბⴑბ⸗ⴑ შⴑ
⸗ԿՏ⸗հ ბ⸗ատ⸗ղშ ბաⴑոտո
ⴑՏⴑ უհ⸗ ⴔ⸗ոտպ⸗տ⸗Ⴑ ბ⸗Տⴔ
Ⴑ. Ⴑⴑ⸗Ⴑ ⴑ⸗հ შⴑ ⴔՏհ

იკითხება:

ზე ადიდე, ღ(მერთ)ო, ბატო-
ნი გურიელი მამია და
იკს(ე)ნ მიორედ (sic) მოსლვ-
ასა გ(ა)ნკითხვისა მისი-
სასა, ა(მი)ნ და კ(ირიელეი)-
ს(ო)ნ.

7. (ქ. 74). კონდაკი ნუსხურად ნაწერი, დაზიანებული, თავში ფურცელნაკლები.

8. გვირგვინი ჯვარისწერისა, გაკეთებული ფერადი ძაფისა და მძივისაგან, 2 ცალი.

9. ლანგარი სპილენძისა, სომხური წარწერით:
ԱԶՒԱՄԻՐՈՒԹԱՆՀՐ = ა ზ ვ ე ი ა მ ი რ დ რ თ ა ნ ჰ ბ.

10. (ქ. 143). ფარა ოსმალური, ერთი მცირე ქისით.

გურნის ეკლესიის ს ი ძ ვ ე ლ ე:

1. (ქ. 5). შეწირულობის წიგნი, ანუ ნუსხა.

კისორეთი

კისორეთის წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია

ერთნავიანი ბაზილიკაა, $10\times4^1/_2$ არშ., ნაშენი მოყვითალო და მოლურჯო ფერის თლილი ქვისა და კირისაგან; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. სარკმელი აღმოსავლეთით და დასავლეთით; ტრაპეზი გაკეთებულია ჩუქურთმიანი ქვებისაგან, იგი ოდნავაა დაშორებული კედელს; სამკვეთლო თახჩაშია გამართული, სხვა თახჩა არის კიდევ სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელშიაც, ამ თახჩის მაღლა არის კიდევ სხვა თახჩა, წოდებული „არმანად". უკანასკნელში შენახულია ძველი კანკელიდან დარჩენილი ჩუქურთმიანი ქვები, 9 ცალი; ამგვარივე ქვები აწყვია კათოლიკონში, ჩრდილოეთის კედელთან 10 ცალი (სულ 19 ცალი).

ეკლესია მოხატულია; მხატვრობა ნაწილობრივ დაზიანებულია, ძირა რიგი საკურთხეველშიაც და განსაკუთრებით კათოლიკონში თითქმის სულ აღარა ჩანს. საკურთხევლის კონქში დახატულია ქრისტე, მის ქვეით პირველ რიგში მღვდელმთავრები, ასომთავრული წარწერებით.

ეკლესიის აღმოსავლეთ-სამხრეთით (?) მეორე გორაკზე არის ნანგრევი მთავარანგელოზის ეკლესიისა, სადაც ერთ-ერთი გვარის წევრნი მსხვერპლად ღორს სწირავენ.

რიონი

მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 104). ოთხთავი, $20\times15\times8^1/_2$ სმ., (ფურცელი $19^1/_2\times14^1/_2$ სმ.). ეტრატზე ნუსხურად ნაწერი, წიგნისათვის 1824 წელს გაუკეთებიათ ახალი ყდა, რომელიც შეუმკიათ ვერცხლითა და რუსული მინანქრის ხატებით; ამავე დროს წიგნი დაუზიანებიათ: წაუჭრიათ მის-

თვის გვერდები, რისგანაც დაზიანებულია ზევითა ნაწილში პირველი სტრიქონი, ძირს კი მინაწერები აშიებზე.

ოთხთავს ფურცლები აკლია, დღეს შენახულია 303 ფურცელი; მას აქვს ოთხი მახარებლის სურათი ორ ფურცელზე (თითო თითო გვერდზე); პირველი ფურცელი არის მათეს სახარების თავში, მეორე — იოანეს სახარების წინ (222), პირველზე ხატია მათე და მარკოზ, მეორეზე ლუკა და იოანე. სურათები ძლიერ მდარეა.

ოთხთავს უკანასკნელ (302—303) ფურცლებზე, როგორც ჩანს, ჰქონია ანდერძი გადამწერისა; ეს ანდერძი შემდეგ ხანში ამოუშლია დეკანოზ გრიგოლს და მის ადგილას თავისი ანდერძი ჩაუწერია, რაც მტკიცდება შემდეგით:

1. დეკანოზის ანდერძის სტრიქონთა შუა მოჩანს ძველი ნაწერის ნაშნები:

2. ამ ანდერძის ზევით ნაწერი (გამოკრებილი სახარების ტექსტი) არ კი თავდება, არამედ სიტყვა გაწყვეტილია ამგვარად: „განკურნებდით მ̃თ შ̃ა უძ“ (ნუსხურად); უკანასკნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო „უძლურთა“, „ლურთა“ ამოფხეკილია.

3. ოთხთავისა და დეკანოზის ანდერძის ხელი და მელანი სხვადასხვაა, პირველი ლამაზი ხელით არის ნაწერი, მეორე კი მდარეთი, პირველის მელანი მკრთალია, მეორისა კი შავი;

დეკანოზის ანდერძს, როგორც ზევით მოყვანილი ცნობიდანაც ჩანს, უჭირავს 302 ფურცლის მეორე გვერდის მეორე სვეტი (20 სტრიქ.), 303 ფურცლის პირველი გვერდი (24 სტრ.) და მეორე გვერდი (11+3 სტრ.) ერთ სვეტად. დეკანოზის ანდერძის ტექსტი (დაწერილი ნუსხურად):

302 ფ.
მე-2 გვ.
მე-2 სვ.

ſ ს(ა)ხელითა ღ(ვ)თისაჲ-
თა და მეოხებითა
ყ(ოვლა)დ წმიდისა ღ(ვ)თის
მშობელისათა
5. მე დე̃კანოზმან გრი
გ(ო)ლ. პლ̃ტელმ̃ნ
გ(უ)ლსვიდგინე. ცო-
დვ(ა)თა. ჩ(ე)მთა აღსა-
ჴოცელ(ა)დ. რა(თა)მცა
10. ს(უ)ლისა ჩემისა ს(ა)ლხე[ნ]-
ელ(ა)დ. რიონს სა(უ)კუ-

სოდ. აღაპი გ(ა)ვ(ი)ჩ..
ნე: — და მოვ(ა)კსენე
კევსა რიონსა: ქა
ლაქსა და იგინი
მაცხოვრისა ხ(ა)ტის
მოჭედასა. დამენუ-
კვნეს დამე კელჰ-
ვყ(ა)ვ. მაცხოვრი-
სა

303 ფ.

და გ(ა)მიჩინეს სა(ა)(უ)კუნ(ო)ჲ აღაპი ფე[რის]-
ცვალებისა დღ(ე)სა ყ(ოვლ)ით(უ)რთ [უნა]-
კლ(უ)ლოჲ რაჲცა აღაპსა ნივთი [უნ]-
და რაზომიცა ხუცესი რიონს ესახ[ლ]-
ოს მ(ა)ს დღესა ყ(ვ)ლ(ა)ჲ ჩემთ(ვი)ს სწირ(ვა) [დ]-
ენ და ს(ა)წირავ(ა)დ თჳითოი კორჩხლჲ:
ღჳინოჲ მიეცემოდეს მეკელეთ(ა)გ(ა)ნ და
სტუმ(ა)რთა და გლ(ა)ხ(ა)კთა ნუგეშინის
ეცემოდეს ს(უ)ლისა. ჩემისა ს(ა)ლ(ო)ცვ(ელა)დ და
ყ(ოვე)ლთა წირვ(ა)თა და ლოცვათა მო(ვ)[ი]-
კსენებოდე. და დავილოცებოდე:—
ᲥᲬ ამ(ა)ს ჩემგ(ა)ნ ს(ა)სოებით ქმნილსა რ[ა]-
მ(ა)ნცა გუარმან. კ(ა)ცმ(ა)ნ. რ(ომ)ლისაცა მიზეზ[ი]-
სა შემოღებითა შეცვ(ა)ლებ(ა)დ: კელყ(ო)ს
და ესე ზემოით ვითა სწერია აღა-
პი წირვ(ა)ჲ და ლოცვაჲ თუ დამაკლ-
ოს. ვ(იდრ)ე აღს(ა)სრ(უ)ლ(ა)მდე ჟ(ა)მ[თა ჰრი(ს)-
ხ(ა)ვსმცა მ(ა)მ(ა)ჲ ძე და წმიდაჲ ს(ულ)ით. და
წმიდაჲ ღ(ვ)თისმშობელი. და ჩემთამც(ა)
ცოდვ(ა)თა. და ბრ(ა)ლთა: მზღვე(ლ)
არის დღესა მ(ა)[ს დიდსა გ(ა)ნკითხ(ვი)[ს(ა)სა]
და ვინც არ დამ(ა)კლოს აკურთ[ხნეს]
ღ(მერ)თ(მა)ნ:-

---

72 შესაძლებელია გვერდს ერთი სტრიქონი კიღევ სხვა აკლდეს თავში.

303 ფ.
მე-2 გვ.

[73]

[74] (ქ) სრულითა სააღაპ-
ოდთ. ძ(ა)ლითა ჩ(ვე)ნ [ჯ](ე)ვი შევსჯერდით (ი)ო(დე)
ვინცა შესცვალოს ჰრისხავსმცა ძ(ა)მა ძე
5. და ს(უ)ლ~ი წ(მიდა)ჲ და ესე მ(ა)ცხ(ოვა)რი რიონისჲ
დეკ(ა)ნოზობ(ა)სა
ც(ხ)ადაჲსძისა და მჭედლისძის(ა)~სა ეძგუჩრა-
ჲსძისა და ციქუაჲსძისა სა. ჯაბარისძისა (და)
.... ესორნაჲ სძისასა. ახალჲსძისა და ქ
ძის სა დოლაბარისძისა. და მაჩა(ლ)
10. (ძ)ის(ა)~სა. მე საღთ~ოელსა გ(რი)გ(ო)ლს დამიწე[რია]
და მოწამე ვარ:.

ამის შემდეგ ცარიელი ადგილია; მერე მხედრული მინაწერი; შემდეგ ისევ ნუსხა ხუცური ხელით:

ქ ბ ე(ა)კ(ო)ნ(ო)ზისა გ(ა)ზრდილმ(ა)ნ. ი(ოა)ნე~ე. მ(ა)ც~ხო-
ვრისა მოუედასა ზედა და[დგა]
მოიჭირვა და შ(ეუნდვე)ნ ო~(ფალო)ღ~ო: (მერთ):

ბოლს, ქვედა აშიაზე გაგრძელებაა ზემოხსენებული მხედრულისა, რომელიც აქედან გადადის აქვე მარჯვენა აშიაზე და იქ თავდება.

იგი აღწერილი იქნება ქვემოთ.

ოთხთავს აქვს მინაწერები, რომელთაც მოვიტან შემოკლებით:

1. მე-7 ფ., მათეს სურათის მარჯვნივ მინაწერი მიმქრალია.

2. ა. 25 ფ., მე-2 გვ.,

ქვედა აშიაზე, ნუსხურად: ი(?) ღ(მერთ)ო~ შეიწყ(ა)ლე სუჳმონ დ(ე)კ(ა)ნ(ოზ)ი

ბ. 46 ფ., ორივე გვერდზე, ნუსხურად. ... მ(ა)ცხ(ოვ)არო რიონისაო ამ სფელსა ად-

ქვედა აშიაზე: ღენგრძელე სვ(ი)მონ მთავ(არ)(ე)ბისკობოზი...

მინაწერები ა და ბ ერთი ხელითაა ნაწერი და ეკუთვნის XIX ს.

---

73 ეს სტრიქონი წაჭრილია.

74 ეს ნაწილი არ იკითხება.

3. ა. 67 ფ., პირვ., გვერდზე, ქვედა აშიაზე, ნუსხურად:
მოიკსენე ო(უფალო) ც(ო)ცხლით ცხოვნებით გოჩია სუვინატაშვილი.

ბ. 68 ფ., პირველი გვერდის ქვედა აშიაზე, ნუსხურად:
მოიკსენე უ(ფალო) მამუკა ალფაიძე...

გ. 78 ფ., მე-2 გვერდის ქვედა აშიაზე, ნუსხურად:
მოიკსენე უ(ფალო) გოჩია ტურაბენიძე, მეუღლე მისი მანიჟა...

დ. 79 ფ., პირველი, გვერდის ქვედა აშიაზე, ნუსხურად:
მოიკსენე უ(ფალო) გოგია სულაქუ ლიძე მეუღლე მისი თითიაი...

მინაწერები ა, ბ, გ, დ, ერთი ხელითაა ნაწერი და ეკუთვნის XIX ს.

4. 83 ფ., მე-2 გვ. და
84 ფ. პირველი გვ.
ქვედა აშიაზე, მხედრულად:

ძაღვ... თუთუბერიძე და მაგა-
ძის (?) მახარობელი წაგვი[ვიდ]ა
ჩვენ თემ(ე)ა ვი(თ)ხ(ო)ვეთ ადგა

5. თემი, პაველეს დეკანოზს
მორჩაძეს მიადგა; ადგა დეკა-
ნოზი იოსელიანს სიმო(ნ)ს და ეზიას თემობით
მიადგა: რათ გარდაგბ(ი)ვირე ეს კაცი. აწ კაცი
დაგვანება. აწ წიგნი უბოძა ხატს [და]..
მ(ა)ს თუ ამ კაცს ჩემგან და ჩემის რჯული კაცი[სა]-
10. გან არაფერი უდები გასდგის, თუ გაძლიოს,
არა თქვენ გიაახლოს. არის ამის მოწამე

ხახუტა სვილაქველიძე, მამვაკა ალფაიძე.
ქოროკონს (sic) ჩყ (1800 წ.)

5. 131 ფ. პირველი გვერდის ... ჩვენ:. სულ:. რიონელმა:. ბერმა:. და აშიაზე, მხედრულად: მღდელმა:.

აზნაურმა:. და:. ერმა:. თქვენ:. გიორგი:. ლორთქიფანიძეს...

6. 140—148 ფურცლები უჭირავს წიგნის ხელახლა დამკაზმავთა მხედრულ მინაწერს.

140 ფ. პირველი გვ.:

ქორონიკონს:. ჩყვდ (1824 წ.), ივლისის კდ:. (24)
ჩვენ, ცოდვილმან და უნდომან მონამან ღვთი-
სამან, ვიგულეთ და ვიგულსმოდინეთ რიონსა
მცხოვრებელმან და ქუთაისის მოურავმან სპი-
ბიდონ მესხმან:. და გენათის მარტომყოფელ-
მან რიონის დეკანოზის ძემან და თვით ყოფი-
ლმან მღვდელთმონაზონმან მორჩაძემ ნიკო
ლოზმან: მოვაჭედინეთ მეორეთ წმიდა ესე ოთხ-
თავნი სახარება და შევამკვეთ იესოთ ოთხის
მახარებლით და თვალით: მაცხოვარო რიო-
ნისაო და ოთხთავნო სახარებაო, შეიწირე მწყ-
ვლილი ესე და მშვიდობა მოგვამდლე მრჩობ-
ლითავე ცხოვრებასა შინა:. და ვინცა შენდო-
ბა გვიბრძანოთ, ღმერთმა თქვენც შეგინ-
დოსთ მამანო და ძმანო. ამინ:.

მე-2 გვ. ღმერთო აცხოვნე და შეიწყალე სვიმონ მთავარეფისკოპოზი:.

—„— —„— ჯამშან ასათიანი
—„— —„— ზაქარია ქვარიანი
—„— —„— ხუცია საყვარელიძე
—„— —„— გიორგი ლორთქიფანიძე
—„— —„— ამირ(ან) მესხი
—„— —„— თამაზა მესხი
—„— —„— პაატა მესხი
—„— —„— ივანე მესხი
—„— —„— ბეჟან მესხი

141 ფ. პირველი გვ.

—„— —„— სეხნია მესხი და მისი მეუღლე
მისი ანა ჯულერიას ქალი ...
—„— —„— ანდრია კანდელაკი
—„— —„— პავლე და გრიგოლ დეკანოზი
—„— —„— გოჩია სვინატაშვილი და კაცია
სვინატაშვილი
—„— —„— მამუკა ალფაიძე
—„— —„— გოჩია ტურაბელიძე
—„— —„— ხახუტა სულაქველიძე

—„— —„— გოგია სულაქველიძე
—„— —„— მღვდელთმონაზონი დეკანოზი დავით ბერი მორჩაძე და სახლეულნი მისნი.

მე-2 გვ.

—„— —„— მარტომყოფი ნიკოლოზ, სახლეულნი მისნი

7. 156 ფ. მე-2 გვ.
ქვედა აშიაზე, მხედრულად:

ქ. მეფე სოლომონ და თანამემცხედრე მათი დედოფალი მარიამ ბატონობდენ იმერეოს, მოვიდა უსჯულო აგარიანი და მეფეს შემოებენ ოკრიბას, ხრესილზე. მეფეს გაემარჯვა, ფაში მოკლეს და

157 ფ. პირველი გვ.
ქვედა აშიაზე.

5. მრავალი თათარი ამოსწყვიდეს. ამისთვის მეფემ მტყვის აღთქმა დასდუა მთელს ქრისტიანობაზე. ყოველმა ქრისტიანმა ხელი ამპყრობით ლოცვა შესწირეს მეფისთვის. ქ. ახლა მის(მ)ან ყმამან ამირან მესხმა და მეუღლემ ჩემმა მხეიძის ასულმან

მე-2 გვ.
ქვედა აშიაზე:

10. თამარმან შოვაჭედინეთ რიონის საყდრის ოთხთავი სახარება ვინც აღმოიკითხოთ ჩვენთვის შენდობას ბრძანებდეთ. ღმერთმან თქვენც შეგინდოსს, ამინ.

158 ფ. პირველი გვ.
ქვედა აშიაზე:

ქ. და მერმე უსჯულო ლეკებისაგან ქართლი შეწუხებული იყო. მერმეთ წაბრძანდა ბატონი მეფე სოლომონ და

15. გაემარჯუა ატოცს. ლეკები ექვსი ათას ხუთასი მოკლეს, ქორონიკონს ათას შვიდას და ორმოცდა ცხრას (1749 წ.).

8. 168 ფ. მე-2 გვ., 169 პირვ. გვ., 187 მე-2 გვ. და 188 პირვ. გვ. აშიებზე ნუსხურად არის მინაწერი ზემოხსენებული (№ 6) სეხნია მესხისა.

9. 189 ფ. მე-2 გვ. და 190 პირველი გვ. ნუსხურად არის მინაწერი ზემოხსენებულ ხახუტა სულაქველიძისა (№ 6).

10. 222 ფ. ლუკას სურათის მარჯვენა არეზე არის მხედრული მინაწერი.

11. 303 ფ. პირველი გვ. ძირა აშიაზე იწყება მხედრული მინაწერი, რომლის გაგრძელება უნდა ყოფილიყო ამავე გვერდის მარცხენა, რომელიც დღეს წაჭრილია და ბოლო ნაწილი მისი არის 302 ფ. მე-2 გვ. ქვედა აშიაზე.

303 ფ. პირველი გვ. ქვედა აშიაზე: ქ:. სულსა: ლაგაზის (?). . . .

12. 303 ფურცლის მე-2 გვერდზე, ანდერძის სტრიქონის შემდეგ იწყება მხედრული მინაწერი, რომელიც შემდეგ გადადის აქვე ქვედა აშიაზე, და ბოლოს მარჯვენა აშიაზე.

ანდერძის სტრი-
ქონის შემდეგ:

ქ. სახელითა ღ(ვ)თ˜ის[ადთა]
და მეუხებითა ყუველად წმიდისა ღ(ვ)(თ˜ს)
მშობელისათა გიორგი უს(ა)სის....
მისი: მეუღლემან გულსვი[დ]-
5. გინე; ცოდვათა: ჩვენთა: ასა ჯოცელად,
რათამცა სულისა. ჩვენისა: სალოც(ვე)-
ლად რიონსა

სიონი

მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ფერისცვალების ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ბარძიმი ვერცხლისა, მხედრული წარწერით: ესე ბარძიმ ფეშხუმი კამარა და კოვზი შემოგვიწირავს ჩვენ, თამაზა მესხსა, ჩვენი სასაფლავოს რიონის მაცხოვრისათჳს, სულთა ჩვენთა საოხად და ვინც რომ გამოგწიროთ, მის მიერ შეჩვენებული იყოს, ამინ. ქ(რისტ)-ეს აქათ. ჩ. ღ. ო. ვ. (1776 წ.).

კამარას და ფეშხუმს აქვს წარწერა: მესხი თამაზა.

2. ტილოზე ნახატი და ფიცარზე გადაკრული ხატი მაცხოვრისა (ფერისცვალებისა), თვით ხატის ზომა: — 88×66 სმ, ფიცრისა, რომელზედაც ხატია გადაკრული 107×74 სმ,. მაცხოვარს აქვს თავზე

შარავანდი, ვერცხლისა, ოქროსწყალში დაფერილი, — და შემკული 20 თვლით. მხატვრობა მიმჭრალია.

ხატის ფიცარი ძლიერ დაზიანებულია, უნდა იყოს XIV—XV სს.

სორმონის სამების ძველი ეკლესია. დგას სოფლის თავზე, მცირე გორაკზე, რომელიც გადაჰყურებს ერთი მხრივ წყალწითელას, მეორე მხრივ რიონს; იგი ნაშენია კლდის ქვისგან, ადგილ-ადგილ თლილი ქვისა და კირისაგან; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი აღმოსავლეთით და დასავლეთით; ტრაპეზი გაკეთებულია ორი ქვისაგან. იგი კედელზეა მიდგმული. ძველად ეკლესია მოხატული ყოფილა, კვალი შერჩენია აღმოსავლეთის სარკმლის მარჯვნივ, ერთ ქვაზე.

გარეშემო ეკლესიას უწინ გალავანი ჰქონია, ეხლა ის ნანგრევადაა.

სორმონის სამების ახალი ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ფიცარზე ნახატი ხატი სამებისა, 73×55 სმ, რომელიც წარმოადგენს მუხა მამბრესთან გამოცხადებას. აწერია: ⴐ̅ⴑ ⴝⴑⴃⴄⴍⴅ ანუ წ(მიდ)ა სამება. ძირა ნაწილში ხატს ჰქონია წარწერა, მისგან შერჩენილია (მარცხენა კუთხესთან) რამდენიმე ასოს ნაშთი.

2. (ქ. 85). ჟამნი, ნუსხურად ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

ჰოლევის წმ. გიორგის ეკლესია. ერთნავიანი ბაზილიკაა, 9×7 არშ. (დაახლ.), მას დასავლეთით მიშენებული აქვს საყარაულო სახლი ფიცრისა. იგი ნაშენია ქვიტკირისაგან (თლილი და კლდის ქვა), შიგნით და გარეთ გალესილია კირით. თაღი აქვს ფიცრისა; სახურავს ხურავს თუნუქი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით; აღმოსავლეთის სარკმელი ახალ ხანში უნდა იყოს გადიდებული.

შენიშვნა: ჩემი მოსვლისას ეკლესიაში წირვა იდგა, მამაკაცები წინ იდგნენ, მანდილოსნები უკან.

ეკლესიას კანკელი აქვს ფიცრისა, საუცხოო ხელოვნების ჭრილობებით, განსაკუთრებით მშვენიერია აღსავლის კარისა და ზოგიერთ სხვა ნაწილის ჭრილობა. ძალიან დიდი მწუხარების გამომხატველია ლათინური(?) ჯვარცმა, გაკეთებული კანკელის თავზე: ფიცარზე ტანის წინა ნახევრით გამოჭანდაკებულია ჯვარცმული იესო, მის მარ-

ჯვნივ მდგომარე მოციქული, მარცხნივ აგრეთვე მდგომარე ღვთისმშობელი; მოციქული და ღვთისმშობელი დგანან ორ დიდთავიან ვეშაპზე.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 150). დროშა-ჯვარი ხისა, 39×19 სმ., ირგვლივ დაბალი ვერცხლით შეჭედილი და შემკული ჯვარცმის ხატით და 8 თვლით; იგი გაკეთებულია სადა ჯოხზე. დროშა-ჯვარს უკანა მხარეს აქვს ასომთავრული წარწერა:



იკითხება:

ქწ. ჯ(უ)არო პატიოსანო,
შ(ეიწყალ)ე და მშ(უ)იდობით
დაიცვენ წ(მიდი)ს(ა)ჲ გ(იორ-
გი)ს(ა)ჲ
მოჯელენი: დ-
ეკანოზი [ი(ოან)ე]
ოყურეშლი-
ძე, ნასყიდა
ბერძენაძე[75].

ქწ. ჯუარო ქ(რ)ისტესო, წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, მშ(უ)იდობით
დაიცევ ჯვევი ქ(უ)ე-
ყანა ჭოლევი და იჯსენ ყოვლისა ვნებისაგნ, ა(მი)ნ
. . . ოპა ო-
ყურეშლიძ-
ე, დათია ოყ-
ურეშელიძე.
ა[76] დ

2. ბარძმი ვერცხლისა, წარწერით:

ქუთაის მახლობელს სოფელს ჭოლევს მცხოვრებელმა აზნაურმა ნათილით სახელი იესე და მრძე ბუჭუა ღულაძე და მეუღლემა ჩემა რუსუდან იოსელიანის ქალი, გულისმომდგინ(ე)დ, წმიდა დიდისა ჩვენისა სამშობლოსა ჭოლევის წმიდა გიორგისათვის შამოგვიწირამ(ს) სირმა ვერცხლის ბარძიმი და ფეშხუმი, აგრე)ვე კამარა, ჩვენდა სადღეგრძელოთ და აგრეთვე გარდაცვალებუ(ლ)ისა ჩვენისა სულისა საოხად და მოსახსენებელად. და აგრევე მღვდელს მდგომიერეს გთხოვთ, რთა გასვენებისა ხ(ა)ტისას მოგვიხსენებდეს, საოხად სულისა ჩვენისა.

3. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $43 \times 33^1/_2$ სმ, ოქროს წყალში დაფერილი; ვერცხლისავე წვრილი აშიებით, შემკული 4 ძლიერ დიდი და 1 მოზრდილი (სულ 5) თვლით და წარწერით: ჩ̄ შ ც̄ ქ̄, ანუ: წ(მიდ)ა გ(იორგ)ი. ხატს უკანა მხარეს შემოკრული აქვს სპილენძი, იმავე მხარეს აქვს სანაწილე სპილენძის კარით და მცირე ბოქლონით დაკეტილი. ხატი ძლიერ კარგი ნამუშევარია.

---

75 გადმოცემით ეკლესია ბერძენიძეს აშენებულია.

76 ფურცელ დაზიანებულია და საკერებელი აქვს დაკერებული.

4. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 50×40 სმ (წელამდე გამოსახული) წარწერით ⲓ̅ⲥ̅ⲭ̅ⲥ̅ ანუ: ი(ეს)უ ქ(რისტ)ე

5. (ქ. 151). ლახტი რკინისა, ექვსი ფრთით.

6. (ქ. 152). შანა დაბალი ლითონისა სხვადასხვაგვარი მოზვრის შეწირვისას რქაზე გასაკეთებელი — 6 ცალი.

კურსების „ზელუბნის“ (ზედაუბნის) მაცხოვრის ეკლესია. ერთნავიანი ბაზილიკაა, რომელსაც დასავლეთით შემდეგ ხანში მიშენებული აქვს საქალებო, სამხრეთით და ჩრდილოეთით ჰქონია სამწირველოები, რომლებიც ეხლა მოშლილია. ზომით (მარტო ეკლესია) არის 10×4½ არშ. (დაახლ.), ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან; ხურავს თუნუქი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია, აწ იგი ამოშენებულია; სარკმელი — აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული, სამკვეთლო კედელშია გამოკვეთილი.

გარედან ეკლესია შემკულია სხვადასხვა სახეებით: სამხრეთ კოზმიდზე აქვს ცხვრის თავის ქანდაკება ორი ცალი, ჩრდილო კოზმიდზე — დათვის თავისა და მტრედის ქანდაკებანი, დასავლეთ მხარეს, სარკმლის თავზე — ჩუქურთმა და ჯვარი.

შიგნით ეკლესია მოხატულია; მხატვრობის უდიდესი ნაწილი დაზიანებულია.

საკურთხევლის კონქში დახატულია დეისისი: მაცხოვარი მჯდომარეა მაღალზურგიან ტახტზე, მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენით წიგნი უჭირავს მუხლზე. მაცხოვრის მარჯვნივ დგას ღვთისმშობელი, მისკენ (მაცხოვრისკენ) გაპყრობილი ხელებით, ღვთისმშობლის უკან— ანგელოზი. მაცხოვრის მარცხნივ — ნათლისმცემელი და ანგელოზი.

1 რიგში, სამხრეთ ნაწილში შენახულია მოციქულის გამოსახულება, გრაგნილით ხელში, წელამდე, დანარჩენი დაზიანებულია.

2 რიგში, ძირს, სამხრეთ ნაწილში არის სამი მღვდელმთავრის ხატი, ჩრდილოეთ ნაწილში ორი, დანარჩენი მოსპობილია.

კათოლიკონის ცაზე, აღმოსავლეთ ნაწილში დახატულია: სამხრეთით — ხარება, ჩრდილოეთით ფერისცვალება, დასავლეთით ნაწილი სულ დაზიანებულია; ყველაზე უკეთესად მოჩანს: ჩრდილოეთის კედელზე, საკურთხევლის ახლოს, რომელიმე სცენა ქრისტეს ცხოვრებიდან; მაცხოვარი და მოციქულები სხედან გრძელ სკამზე...; დასავლეთ კედელზე, კარის მარჯვნივ, სამხრეთ კუთხესთან — წმიდა-

ნი, რომელსაც მშვილდი მოწეული აქვს...; სამხრეთ კედელზე მხატვრობა სულ მოსპობილია (მთავარი მიზეზი ამისა არის სამრეკლოს გადიდება).

„საქალებოს“ აღმოსავლეთ კედელზე (ეკლესიის დასავლეთი კედლის გარეთა მხარეს) შერჩენია მხატვრობის კვალი.

ეკლესიას აქვს წარწერები ასომთავრულად.

1. სამხრეთის კარის თავზე მდებარე ქვაზე —



იკითხება:

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ე [და შ]ვილნი მისნი: თევდორე...
გ . . . . . .
ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ბერ(ი) [გა]ლ[ატ]ოზი გა შ(ვი)ლნი მ(ი)სნი.

2. იმავე კარის მარცხნივ (აღმოსავლეთით) ქვაზე არის წარწერის ნაშთი:

ანუ:

იკითხება:

ქწ. ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე და დაიცევ მშ(ვ)იდობით ორთავე შინა ცხორებათა გენათელი დომენტი ჩხეტიძე, ა(მი)ნ.
ქ(რისტ)ე გან(ა)ძლიერე ქ(უ)ეყანა კურსები. დაი-

5. ცევ
ყოვლი-
საგა[ნ]
ვნე[ბ]-
[ისა]...

ჯვრის ბუშტს აქვს ასომთავრული წარწერები ზევითა ნაწილში:

Ⴔ Ⴕ-Ⴓ ⴝⴑ-Ⴓ: ⴟⴔⴂ: ⴑⴓⴆⴂ: ⴗⴂⴇⴂⴝ: ⴒⴟⴟⴔⴗⴒⴝⴒⴝ
ⴛⴂⴝⴝ
(Ⴝ)ⴜⴂⴒ

ქვევითა ნაწილში:

[77] ⴣ[78]ⴂⴆⴑⴓⴜⴀ ⴜ-ⴝⴒⴣⴓⴜⴀ: ⴝⴝⴑⴓⴒⴣⴒⴂⴂⴛⴀⴂ:

იკითხება:

წ. ჯ(უარ)ო ქ(რისტე)საო შ(ეი)წ(ყალ)ე სული გენესი ნიშნიანის
ძესა
ამინ

1. ქელარი მაკარე ჭალანგარიძე . . .

2. (ქ. 146). ჯვარი ხისა, $18 \times 5^1/_2$ სმ, ათონის ხელოვნებისა, ვერცხლის გარემოთი და გიშრის ტარით, ტარმოტეხილი.

3. (ქ. 67). კურთხევანი, ნაწერი ნუსხურად, მახარობელ ბაკურაძის მიერ, თავში ფურცელნაკლები.

4. (ქ. 68). თვეთა მეტყველება, ანუ წმინდანთა კალენდარი, ნუსხურად ნაწერი, მასში მრავალი წმიდანია გამოსახული, $9^1/_2 \times 7$ სმ, წიგნი გადაწერილია 1694 წელს, რაზედაც აქვს მინაწერი; თავსა და ბოლოს ფურცლები აკლია.

ეკლესიის დასავლეთ-ჩრდილოეთით კუთხის გასწვრივ არის ე. წ. „საჭირისუფლო“ ოთახის ნანგრევი, რომელშიაც თურმე თავს იყრიდნენ ჭირისუფალნი სატირლად ან დასასვენებლად.

ეკლესიის ეზოს გარეშემო არის ნაშთი ძველი გალავნისა; მის დასავლეთ-სამხრეთ ნაწილში აღმართული ყოფილა ქვიტკირის ორსართულიანი სამრეკლო, რომლის ზევითა ნაწილი (საზარე) დღეს მონ-

---

77 წარწერას თავში და ბოლოში აკლია.

78 ასო ⴣ აგლეჯილია და ჯვართანვე ინახება.

გრეულია, ძირა ნაწილი კი ეზოს კარად არის გამართული. უკანასკნელს შერჩენილი აქვს მხატვრობის კვალი.

ეკლესიის დასავლეთით, სოფელში არის ძველი კოშკის ნანგრევი.

კურსები

წმ. გიორგის ეკლესია

სიძველენი:

1. (ქ. 147). გულსაკიდი ჯვარი ვერცხლისა, $9^{1}/_{4} \times 5^{3}/_{4}$ სმ, შემკული ჯვარცმის ხატით, 9 თვლით და 2 მარგალიტით, დაზიანებული. უკანა მხარეს აქვს წარწერა:

ქ. ესე ჯვარი
შევამკე მე,
ცოდვითა ტ-
ვირთ მძიმე-
5. მან წინამძღვარმან ოქონელმან
ჲოსებ, რათა მასმინო შენზედა
ჯვარცმულისა ქრისტეს მიერ
ხმა იგი ტკბილი. მოვედით
კურთხეულნო
10. მამისა ჩემისანო
და დაიმკვიდრე-
თ თქვენთვი-
ს გამზადე-
ბული სასუფეველი
15. ქ˜ს ქ(რისტე)ს ჩღპგ (1783 წ.)

2. (ქ. 76). ეფუთი, ნუსხურად ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები, დაზიანებული.

კურსების მცხ. გიორგი ცორღილაძეს მიერ შემოწირული

1. (ქ. 75). სჯულის კანონი, მხედრულად ნაწერი.

კურსების მთავარანგელოზის ეკლესიის სიძველე:

(ქ. 148). ჯვარი რქისა, 19×11¼ სმ, მხარმოტეხილი.

ნაბოსლევი

ნაბოსლევის ეკლესია

სიძველე:

(ქ. 77). სასულიერო წიგნის ნაშთი, ნუსხურად ნაწერი.

გოდოგანი

გოდოგნის მაცხოვრის ძველი ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 9×4 არშ. (დაახლ.), რომელსაც სამი მხრით (სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით) ჰქონია გალერეიები.

უკანასკნელნი ორგანიულად არ არიან დაკავშირებულნი მთავარ შენობასთან. ეკლესია ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან; იგი დღეს ნანგრევად არის: სახურავს ზედა პირი სულ მოცილებული აქვს, მოცილებულია აგრეთვე გარეთი პირი ჩრდილოეთის კედლისა მთლიანად და სამხრეთის კედლისა — ნაწილობრივ (ზევითა ნაწილი), შიგნით კედლები და თაღი შედარებით კარგად არის შენახული. გალერეიებიდან შენახულია მხოლოდ სამხრეთის ნაწილის ნაშთი. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. სარკმელი აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული.

შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობის კვალი შერჩენილია აღმოსავლეთის სარკმლის ცასა და ამავე სარკმლის სამხრეთით კედელზე.

გარეთ ეკლესია შემკულია გამოსახულებიანი და წარწერიანი ქვებით. გამოსახულებიანი ქვები არის: სამხრეთ კედელზე — ერთი დასავლეთის კუთხესთან — ჩუქურთმით; მეორე — იქვე ჯვრის გამოსახულებით, ორივე დაზიანებული; მესამე — სარკმლის ძირს ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებით, მეოთხე — აღმოსავლეთის კუთხესთან, ცხოველის გამოსახულებით, მეხუთე — იქვე, ჩუქურთმით. აღმოსავლეთის კედელზე: — ერთი სარკმლის მარჯვნივ, სამხრეთით, ვინმე პირის (მამაკაცის) გამოსახულებით, ეს პირი გამო-

ქანდაკებულია უშნოდ: დიდი თავით და ხელებით და პატარა ტანით და ფეხებით, მას ორივე ხელი აპყრობილი აქვს მაღლა, მის მარჯვნივ (იმავე ქვაზე) გამოსახულია ჯვარი; მეორე ქვა — იქვე მარჯვნივ, სამხრეთით და მესამე — ჩრდილოეთის კუთხესთან, ჯვრისავე გამოსახულებით.

წარწერა ეკლესიას აქვს ხუთი: სამი აღმოსავლეთით (საქარის ძირა ნაწილში 2 და სარკმლის თავზე 1) და ორი სამხრეთ კედელზე (კარის მარჯვნივ 1, მარცხნივ 1); ყველა ნუსხურად არის ნაწერი, სამხრეთის მხრის წარწერები დაზიანებულია.

1. აღმოსავლეთ მხარეს საქარის ძირა ნაწილში, მარჯვნივ, სამხრეთით მდებარე ქვაზე:

ϯ ⲣ̄ⲁ ⳋ̄Ⲟ ⲩ̄ⲏ Ⲟⲁⲣⲉⲓⲏ

ϯ

იკითხება:

ϯ წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე ჲოვანე

ϯ

2. იქვე, პირველი წარწერის მარცხნივ, ჩრდ. მდებარე ქვაზე:

ϯ ⲣ̄ⲁ ⳋ̄Ⲟ ⲩ̄ⲏ ⳇⲞⲉ

ⲉⲙⲟ

იკითხება:

ϯ წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე ჰიტ-

ალი

3. იმავე მხარეს სარკმლის თავად მდებარე ქვაზე

ϯ ⲣ̄ⲁ ⳋ̄Ⲟ ⲩ̄ⲏ ⲫⲏⲙⲞϧⲉ [79]

იკითხება:

ϯ წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე ფელიკა

4. სამხრ. მხარეს, კარის მარჯვნივ მდებარე ქვაზე:

ϯ ⲣ̄ⲁ ⳋ̄ⲉ (ⲩ) [ⲏ̄]... [80]

იკითხება:

ქწ. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე...

5. იმავე მხარეს კარის მარცხნივ

ⲒⲂ ⲂⲞ... [81] ანუ: წ(მიდა)ო გ(იორგ)ი...

---

79 დაზიანებულია.

80 დაზიანებულია.

81 დაზიანებულია.

ყველა წარწერა ეკლესიის აშენების თანადროული უნდა იყოს; თვითეული მათგანი სხვადასხვა ხელით არის ნაწერი; განსაკუთრებით სამხრეთისანი (მე-4 და მე-5).

წარწერები წმ. გიორგის იხსენიებენ, დღეს კი ეკლესიას მაცხოვრისა ეწოდება.

ს ი მ ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. „მაცხოვრის ჯვარი“ ანუ დროშა-ჯვარი, რომელიც წარმოადგენს რკინის ჯვარს, გაკეთებულს ჯოხზე, ჯვარი ირგვლივ დაბალი ვერცხლით არის შეჭედილი, შემკულია (წინა მხარეს) ჯვარცმის ხატით და 8 თვლით. ზომა ჯვრისა 27×24 სმ, (კიდობნამდე $33^3/_4$ სმ); სიმაღლე მთელი დროშა-ჯვარისა 156 სმ.

დროშა-ჯვარს აქვს წარწერები უკანა მხარეს:

ჯვარზე ასომთავრულად —

იკითხება:

ქ̃წ. ჯუარო
ქრ(ი)სტ(ე)საო,
შ(ეიწყალ)ე ორთ-
ავე შ(ინ)ა
5. ცხორ(ება)თა
გენათ(ე)-
ლი დო-
მენტი
ჩხეტიძე.
10. ქ̃წ ჯუარო ქრ(ი)სტესაო მშ(უ)იდობით დაიცევ სოფელი
შენი გოდოგანი ყოვლისაგან ვნებისა ა(მი)ნ.
ღმერთო,
შ(ეიწყალ)ე იოვ-
ანე მ-
15. ორშიძ-
ე, ამინ.
ი(ოან)ე ჭინჭ-
რაქაძე-
სა შე(უ)ნ(დო)ს ღ(მერთ)-
20. (მა)ნ.



კიდობანზე ასომთავრულადვე

+ ⵖⵙⵖ (ⵅⵒⵔⵛⵙ) ⵃⵇ
ⵃⵇ.· ⵒⵇⵖⵙⵙⵖⵒⵖ
ⵒⵖⵃⵇⵔⵣⵇⵜⵒⵔ
ⵒⵑⵔⵒⵔⵖⵃⵛⵒⵔ
5. ⵙⵖⵙⵒⵔ+ⵔⵒⵔⵖ.· ⵙⵇⵜ
ⵛⵙⵔ.· ⵒⵒ⁻ⵙ:·· ⵙⵇⵑ
ⵔⵓ

იკითხება:

ქ. ესე ჯ(უ)არის კუ-
ბო მოვსჭედე
დეკანოზმა
მ(ა)ხარებ(ე)ლმა
5. ჰიჭრაქაძემ სულ-
ისა ჩ(ე)მ(ი)ს ს(ა)ოხ-
ად

დროშა-ჯვარზე არის:

ა. პირადი ბეჭედი წარწერით:

მონ ღთ	ანუ:	მონ(ა) ღ(ვ)თ-
ის ელ		ის(ა) ელ-
ისბარ		ისბარ

ბ. ძველი რომაული ფული 1 ცალი.

2. ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 100×60 სმ, ძველი ქართული ხელოვნების.

3. კანკელის ჯვარცმიდან ჩამოხსნილი:
ღვთისმშობლის ქანდაკება ხისა;
იოანე მახარებლის ქანდაკება ხისა.

შენიშვნა: თვით ჯვარცმა ადრევე გადატანილია და ინახება ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში.

პირველი და მეორე ნომრით აღწერილი სიძველეები ინახება მაცხოვრის ახალ ეკლესიაში, ხოლო მესამე ნომრით აღწერილები — ძველ ეკლესიაში.

იმერეთის სხვადასხვა ეკლესიებიდან მოგროვილი მასალა.

(ქ. 6). აღსარების სიები — ერთი კონა.

ქუთაისის მაზრა

1. საჯარობო — შობის წინა დღეს ხვადაგს (საკლავს) ჰხოცავენ და ჰყიდიან. ეს ვნახე გეგუთში იციან საზოგადოდ დასავლეთ საქართველოში ეს სიტყვა საჯვაროობოდან უნდა წარმოსდგებოდეს.

ნოქალაქევის (სენაკის ახლოს) ეკლესიის ფრესკებს წარწერები ჰქონია ასომთავრულად; აღმოსავლეთის კედელს საკურთხეველში შერჩენილი აქვს წარწერა: ⴿ⴩⵿ⵏ ე. ი.: ბასი —

[ხე] [ლი]

— კაბენის (ტფილისის ახლოს) მონასტრის ფრესკებისათვის დიდი ზიანი მიუციათ, ამ ერთი წლის წინათ სახეებისათვის თვალები უთხრიათ. ცნობები მცხეთაში გადმომცეს.

ბაგრატის ტაძარი

იგი გუმბათიანი ეკლესია ყოფილა (სურ. 10, 11). ნაშენია თლილი ქვისაგან. დღეს ნანგრევადაა. ეკლესიაში არის გამოფენილი მრგვალი ჩუქურთმიანი ქვები: სვეტის თავები და სხვ., არის ქვებზე ლომის, ფრინველთა და მცენარეულთა ქანდაკებანი. ეკლესიის სამხრეთის (აღმოსავლეთ ნაწილში) არის ორი პირის დაზიანებული რელიეფური ქანდაკება. ეკლესია ფრესკიანი ყოფილა, შერჩენილი აქვს მარტო ჩრდილოეთის კალთაში.

1. ეკლესიაში არის ქვა წარწერით =3/4×8 ვერშ. (დაახლ.);



ანუ:.
ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ენ
ამ(ა)ს ზ(ედ)ა
იწ(ა)მა (?)

2. ჩრდილოეთის კედელზე წარწერა:



იკითხება:

მეუფეო მფლობელო ყ(ოვე)ლთა სუფ(ე)ვ(ა)თაო უმ(ე)ტ(ე)სად ადიდე ძლიერი ბ(ა)გრ(ა)ტ კ(უ)რ(ა)პ(ა)ლ(ა)ტი აფხ(ა)ზ[თა] დ[ა] ქ(ა)-რ)თვ(ე)ლთა მ(ე)ფ© თანა: მათით, დედით, დედოფლით და ძით მ(ა)თით ა(მე)ნ.

წარწერა ფანჯრის მეორე მხრით:



ოდეს გ(ა)ნმტკიცნა იატ(ა)კი ქ(რონი)კ(ო)ნი იყო 223.

ეტრატზე ნაწერი სიგელი ჭილაძეების წაუღია თ. ჟორდანიას. მისთვის ეს სიგელი მიუცია სოფ. ზემოხეთში მცხოვრებ სოლომონ ჭილაძეს [შვილი დომენტი].

მთავარანგელოზის ეკლესია

დარყას „ჰაბუკმთის“ ბერ(თ) ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა აღმოსავლეთით, 3 ვერსის დაშორებით, გორაკზე. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, $8^1/_2 \times 4^1/_2$ არშ. (დაახლ.), მას ძველად სამხრეთით ჰქონია სამწირველო, დასავლეთით საქალებო; ისინი დღეს დანგრეულია. ეკლესია ნაშენია კლდის დიდი ქვისა და კირისაგან, სახურავი დაზიანებული აქვს, მასზე ხეებია ამოსული (ძველად გადახურული ყოფილა ღარიანი ბრტყელი კრამიტით). კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით; კათოლიკონში ჩრდილოეთის მხარეს კედელთან არის საჯდომები, შესაძლებელია სამხრეთითაც ჰქონდა (ეს მხარე ეხლა ნანგრევით არის სავსე).

საკურთხეველი ამაღლებულია კათოლიკონის იატაკიდან სამი საფეხურით ($^3/_4$ არშინის სიმაღლეზე); ტრაპეზი კედელზე არის მიდგმული. კანკელი ქვიტკირისაა, ადგილ-ადგილ აგურიც აქვს შეხმარებული, სიმაღლით არის კათოლიკონიდან $4^1/_2$ არშ., იგი ნაწილობრივაა შენახული. კარი კანკელს აქვს მარტო აღსავლისა, კარის მარჯვნივ და მარცხნივ უდევს თითო ოთხკუთხი ფიქალი, $1^1/_4 \times 1^1/_2$ არშ. (დაახლ.), ჯვრის, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებით; თვითოეული ამ ფიქალის წინ დგას რვაწახნაგოვანი ქვიტკირის სვეტი (სიმ. $2^1/_2$ არშ.) ჯვრის ასამაღლებლად, მათზე აღმართულია ხის ჯვრები, თვითეული ზომით დაახლოებით $4^1/_2 \times 2^1/_4$ არშინი. ეკლესიაში არის მესამე ჯვარი, $4^1/_2 \times 1^3/_4$ არშ,. რომელიც შესაძლებელია აღმართული იყო აღსავლის კარის წინ, მსგავსად სპეთის ეკლესიისა. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ თვალწინ გვექნება საუცხოო სახე ძველად კანკელთან ჯვრების აღმართულობისა.

ეკლესიას გარეთ, სამხრეთის სარკმლის თავზე აქვს ქვა, რომელზედაც გამოქანდაკებულია ორი პირი, მათ ეკლესიის მოდელი უჭირავთ (შუაში).

შიგნით ეკლესიაში ყრია ძველი დამპალი კარის ნაწილები და რკინის სალტეები; აქვეა ტრაპეზის სვეტის ნაწილი. მარჯვენა ჯვარზე აყუდია ჩუქურთმიანი ქვა, რომელიც შესაძლებელია უწინ კანკელს ჰქონდა.

---

[82] МАК, VII, 110.

ეკლესიის სი ძ ვ ე ლ ე:

ჯვარი რკინისა (რვა ბოლოიანი) ირგვლივ დაბალი ვერცხლით შეჭედილი და შემკული ვერცხლზედვე ნაჭედი ხატებით ჯვარცმისა და სხვ., 28 ტარითვე 46×22 სმ, დაზიანებული. მდარე ნამუშევარი. ქართული ხელოვნებისა.

ბერთეკლესია

დარყას „ჭაბუკმთის" ბერ(თ) ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა $12\times6^1/_2$ არშ., მას სამხრეთით და ჩრდილოეთით ჰქონია სამწირველოები, ხოლო დასავლეთით საქალებო; უკანასკნელთა დღეს მხოლოდ ნაშთიღა მოჩანს. ნაშენია კლდის ქვისა და კირისაგან, იგი დღეს ნანგრევად არის: დგანან მარტო ნაწილობრივ დანგრეული კედლები უთაღოდ. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით (სამხრეთით და ჩრდილოეთით კარები ნანგრევისაგან ნაწილობრივ დაფარულია); სარკმელი — აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 2, დასავლეთით 1.

სინაგურის ეკლესია[83] რომელია?

გ. წერეთლის ცნობით ის მის დროს უკვე დანგრეული იყო ამჟამად შემორჩენილია ჩრდილოეთის კედელზე ამოსული დიდი ცაცხვის ხე (გარსი 7 არშ.), ზომით მარტო ეკლესია 15 არშინი, ნართექსითვე 20 არშინი, სიგანე სამწირველოთი 15 არშინი.

ეხვევი

ეხვევის ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლესია[84] ერთნავიანი ბაზილიკაა (სურ. 12), $11^1/_2\times6^1/_2$ არშინი, ნაშენი თლილი ლოდებისა და კირისაგან[85]. ძველად მას მიშენებული ჰქონია სამწირველოები, რომელიც მოუშლიათ უკანასკნელ ხანს (მათი მასალა ყრია ეკლესიის აღმოსავლეთით, გზის პირას). კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. სარკმელი აღმოსავლეთით 3, სამხრეთით 2, დასავლეთით 1 და ჩრდილოეთით 2; კარ-სარკმელი შემკულია ჩუქურთმებით. ტრა-

---

[83] MAK, VII, 110—111.

[84] MAK, VII, 107—110.

[85] გადმოცემით ეკლესია ნაშენია თამარ მეფის დროს, ქვა აღგილობრიე არის ამოღებულიო.

პეზი ძველად კედელზე ყოფილა მიდგმული[86], ეხლა კი საკურთხევლის შუაშია. საკურთხეველშივე არის სამალავში ასავალი ორი ერდო. ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს, შუა სარკმლის (სურ. 13) ორნამენტის ბოლოზე არის წარწერა[87] ⊦ᐟᒧᓴᐟᒧᖮᐟᒪიკითხება: ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ლ ̄გ(?)

ამ წარწერის უკანასკნელს სიტყვას გ. წერეთელი კითხულობს ლეონ და გიორგი-დ, მათ სცნობს აფხაზეთის მეფეებად ლეონ და გიორგიდ და ეკლესიის აშენებას მიაწერს მათ ხანას — 786—860 წწ.[88].

კანკელს უზის ორი ოთხკუთხი ფიქალი (მათში ერთი მარმარილოსი), შემკულნი ჯვრის გამოსახულებით. ეკლესიაში არის: ორი სვეტი ქვისა ოთხკუთხედი ფორმისა, ღარებით და ერთი მრგვალი ფორმის მარმარილოს სვეტი, ცოტა დაბალი; ესენიც ხსენებული კანკელიდან უნდა იყვნენ დარჩენილნი.

გ. წერეთლისავე ცნობით, ნაწილი კანკელისა XIX ს. 30-იან წლებში მიტროპოლიტ დავითს გადაუტანია ჯრუჭის მონასტერში[89].

ეკლესიაში არის დიდი ხის ჯვარი $4 \times 2^{1}/_{2}$ არშ. ეკლესიის აღმოსავლეთით გდია ქვა ოთხკუთხად ამოფუღურული, შესაძლებელია იგი ჯვრის კვარცხლბეკი იყოს.

აქვე გდია ერკემალი ქვისა.

საკურთხევლის მარჯვენა ნიშში შენახულია ეკლესიიდან ჩამოვარდნილი თუ ჩამოღებული წარწერიანი ქვის ნატეხი (წარწერის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი).

ⵗⵁⵚ: ⵇⵚ.ⵁ	მხედრულად:
...ⵚⵝⵇⵁⵗ.⊦ⵔⵇ	ითა: და: თ
...[ⵚ]ⵗⵇⵁⵐ-ⵇ:	შსმოგო:. † ძმ
...ⵁⵔⵚⵔⵐⵗⵇⵁ	[შ]ედევ ̄დ:
5. ...ⵗⵁⵐ:ⵇⵚ.ⵔⵐ	ორაძემც ფ
...ⵗⵁ.: ⵝⵚⵝ	5. ითნ: და: ჩნ
[ⵐⵗⵝⵚ]:ⵔⵇⵜⵗⵁⵚ	... ით: ს(ა)ჯ̇ურ[ად]
.....ⵇⵁ ⵚ ̄ⵐ	[სულისა ჩვენისა]: მ(ა)დლითა
	დღ ა(მე)ნ

---

[86] MAK, VII, 108.
[87] იქვე, 109.
[88] იქვე, 209, 111.
[89] იქვე, 109.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

დასაკეცი ხატი ღვთისმშობლის მიძინებისა, (ბერძნული ხელოვნების. 30×23 (გაშლით 42½) სმ. მას გარეთა პირი დაზიანებული აქვს. იგი ბერძნული ხელოვნებისაა.

არგვეთი

არგვეთის წმ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია (სავანის ახლოს) ერთნავიანი ბაზილიკაა, გადაკეთებული XIX ს-ში (მიშენებული აქვს შენობები სამხრეთით და ჩრდილოეთით). ნაშენია ქვიტკირისაგან. აღმოსავლეთის მხარეს აქვს ჩუქურთმიანი დიდი ჯვარი, რომელიმე დღესასწაულის გამოსახულებით (მიძინება ღვთისმშობლისა?).

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ბარძიმი ვერცხლისა მხედრული წარწერით:

+ მოიხსენე უფალო აბდუშელისაშვილი ბეჟან და მეუღლე მისი ამილახვრის ასული მაია, რომელთაცა შექმნეს ესე ფეშხუმით და კოვზ კამარით.

2. ზარი მხედრული წარწერით:

ქ. შევწირე წმინდა გიორგის ზარა ერთი წყვილი ბეჟან აბდუშელის შვილმა და მემცხედრმან ჩემან ამილახორის ასულმ(ა)ნ მარიამ(ა)ნ სულისა ჩვენ[ისა]
საოხებლად ვინც წარ(ი)კითხოთ შენდობას გვიბრძანებდ(ი)თ თქვენცა შენდობილ იქმნეთ
აღიწერა ივნისის იზ (17) წელსა ჩყკბ (1822 წ.).

გორისა

წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა (ცხენზე და ქვეშ ვეშაპი), 65×43 სმ., შემკული დაბალი ვერცხლის აშიებით და 3 თვლით.

2. (ქ. 40). ფიცარზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 16½×13½ სმ.

3. (ქ. 41). ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 16½×13½ სმ.

ჭორვილა

ჭორვილის წმ. მ ა რ ი ნ ე ს ეკლესია (ცხენისგან) ერთნავიანი ბაზილიკა ყოფილა, ნაშენი ქვატკირისაგან. 6×4 არშინი (დაახლ.); დღეს იგი ნანგრევად არის, მარტო კედლები; კარი აქვს დასავლეთით ეკლესია მოხატული ყოფილა, კვალი შერჩენილია საკურთხევლის სამხრეთ ნაწილში და ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლებზე.

დასავლეთ მხარეს, კარის თავზე გადებულ ქვაზე ჯვარია გამოსახული, ეკლესიაშიც არის ქვა ორი ჯვრით.

ეკლესიის მახლობლად არის ძველი ციხის ნანგრევი, აქვე დგას დიდი ცაცხვის ხე.

ჭორეთი

ჭორეთის მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ეკლესია (სურ. 14) ერთნავიანი ბაზილიკაა, 11×6 არშინი (დაახლ.), რომელსაც სამხრეთით მიშენებული აქვს კარიბჭე და სამწირველო (კარიბჭის აღმოსავლეთით), აგრეთვე ოთახი (კარიბჭის დასავლეთით), ხოლო დასავლეთით — საქალებო; ეს შენობები გალერეიასავით არტყია გარს ეკლესიას. ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან. ხურავს კრამიტი, შიგნით, საკურთხეველი ძირს ოთხკუთხია, ხოლო $3^1/_2$ არშინის სიმაღლეზე კუთხეებში კამარა არის გადაყვანილი კედლიდან კედელზე და ამ კამარიდან ზევით კედელი მრგვალდება. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, სარკმელი — აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1 და დასავლეთით 1, დასავლეთით და აღმოსავლეთით (ამოშენებული) სარკმელი და კარნიზები შემკულია ჩუქურთმებით. კარიბჭის თაღი გამოყვანილია ჯვრითა და სხვა სახეებით შემკული ქვებისაგან; სამხრეთის და დასავლეთის შენობებს მრავლად აქვს ჩაშენებული ნატეხები ჩუქურთმიანი ქვებისა: მთაში კარიბჭეს გარედან, კამარის მარჯვენა ნაწილში, აქვს დატანებული ქვის ნატეხი, შემკული ყურძნის მტევნებით; ამგვარივე ნატეხი დატანებული აქვს ძირს; ეს ნატეხები კარიბჭის ნაწილები უნდა იყოს, გადატანილი მისი განახლების დროს.

ეკლესია მოხატულია. მხატვრობა კარგად არის შენახული საკურთხეველსა და შუა ეკლესიის მაღლითა ნაწილში; დანარჩენ ადგილას დაზიანებულია (სამხრეთის და დასავლეთის კედლების ძირა რიგები ნაწილობრივ სულ მოცილებულია).

საკურთხევლის კონქში დახატულია მაცხოვარი, მჯდომარე მდიდრად მორთულ ტახტზე; იგი მარჯვენით აკურთხებს, ხოლო მარცხენით გაშლილი წიგნი უჭირავს მუხლზე წარწერით:

ⵂ ⵀ ⵆⵀⵂ
ⵆⵀⵂⵃⵄⵅ
ⵆⵀⵂⵃⵄⵅ

ანუ: ქრისთე (sic) მაცხოვარი.

მაცხოვრის მარჯვნივ — მდგომარე ღვთისმშობელი ანგელოზით, მარცხნივ ნათლისმცემელი ანგელოზითვე.

1 რიგში ზიარება ორ მხრივ: პურით და ღვინით.

2 რიგში მღვდელმთავრები და წმიდანები; სარკმლის მარჯვნივ წმ. გრიგოლი, წმ. თომა, წმ. მარკოზ და წმ. პანტელე; მარცხნივ წმ. ბასილი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. მათე მახარებელი და წმ. სტეფანე. მღვდელმთავრებს გრაგნილები ასმთავრულად აქვთ დაწერილი.

3 რიგი არის მხოლოდ საკურთხევლის კუთხეებში, სადაც დახატული არიან წმინდანნი.

შუა ეკლესიაში: თაღზე არის 8 ხატი; სამხრეთის კედელზე —4 ხატი, ჩრდილოეთის — 4 ხატი; უკანასკნელთაგან კარგად შენახულა ჩრდილოეთის კედლის მე-2 რიგი. აქ დახატული არიან წმ. გიორგი (აღმოსავლეთ ნაწილში) და წმ. ესტატე (დასავლეთ ნაწილში), ცხენზე მჯდომარენი. შუა პილიასტრზე მაღლა — 4 წმიდანი.

დასავლეთის კედელზე მხატვრობა შერჩენილია მარტო ჩრდილოეთის კუთხესთან. აქ დახატულია დიდებული, ხელებგაპყრობილი, დაზიანებული წელს ქვევით. აწერია: ⵒⵂⵃⵆⵀ|ⵂⵅⵀ|ⵛⵁⵆⵂ|ⵆⵀⵂ| ანუ წერეთელი გოდერძი[90].

90 ეგების ამ სახელთან რაიმე კავშირი ჰქონდეს ამავე სოფლის მეორე ეკლესიის სახელწოდებას „უდერძის“ (ეკლესია იწოდება „უდერძის“ წმ. გიორგად).

იკითხება:
აქა კეთილისა მ-
ოქმედთა ყოვ(ე)ლთა
ცოდვანი შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ,
ა(მი)ნ.

ეკლესიას გარეთ აქვს წარწერები:

1. სამხრეთით, სამწირვალოს კედელზე არის წარწერიანი ქვა, რომელიც ადგილობრივ მედავითნის სიტყვით ამ 20 წლის წინათ გადმოუტანიათ გვერდითვე მდგომ კარიბჭის სამხრეთის კარის თავიდან, როდესაც ხსენებული კარი სიდაბლის გამო გადაუკეთებიათ, აუმაღლებიათ. განახლება კარიბჭეს მართლაც ცხადად ეტყობა.

ქვა არის ზომით $48^1/_2 \times 46$ სმ, წარწერა ნაწერია ნუსხურნარევი ასომთავრულით; მე-6 სტრიქონიდან დაწყებული ასოები ზეთიანი წამლით გაუშავებია ადგილობრივ მცხოვრებ ქამუშაძეთა გვარის ერთერთ პირს (წამალი უბრალო გადარეცხვით არ ამოვიდა); ამის გამო მათი მოხაზულობა ოდნავ შეცვლილია, დამახინჯებულია. (სურ. 15):



[92] ⠀ [93]

91 აქ ადგილი ძველადვე დაზიანებული ყოფილა და მწერალს მისთვის გვერდი აუვლია.

92 აქ სტრიქონს აკლია თითქმის 3/4 ნაწილი;

93 ბოლოს კიდევ რამდენი სტრიქონი აკლია, არა ჩანს; ვგონებ 2—4-მდე დაახლოებით.

იკითხება:

ქ. მე, დედოფალთა
დედოფ(ა)ლმ(ა)ნ ანა
აღვ(ა)შენე წ(მიდა)ჲ მ(ო)ნა-
სტერი ესე მ(ა)ცხ(ოვ)რისა;
გა(უ)ჩინე აღ(ა)პი გამოცხადობისა
დღ(ე)სა: ერთი ცხ(ვა)რი შეუხებელი.
ერთი კაბიწი პური, ექვსი
კოკა ღვინო; ამის მეტი არ-
ა ეთხუებოდეს, არა სალაშქ-
რო, არაფერი არა ამა მონა
სტრისა, გლეხთა, ვინცა ესე შემ...
[დგომად ჩემსა შეცვალოს შემცაიცვა]ლებისა...

ადგილობრივი მცხოვრებნი ქამუშაძენი წარწეოა(ი) მოხსენიებულ გლეხს თავიანთ გვარისად სთვლიან და გადმოგვცემენ, რომ ჩვენი წინაპარი იყო შეწირული მონასტრისათვისაო. ამათივე გვარის კაცი იხსენება ქვემოთ მოყვანილ აღმოსავლეთის მხრის წარწერაში (VII).

წარწერაში ყურადღებას იპყრობს საზომები კოკა და კაბიწი. პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით კოკა ქართულ მწერლობაში X ს-იდან XVIII ს. დამლევამდე ყველგან იხმარება[94]; ამიტომ ამ საზომს დათარიღებისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

კაბიწი, ივ. ჯავახიშვილისვე გამოკვლევით, VI ს-იდან მოყოლებული XV ს. დამლევამდე საყოველთაოდ იხმარებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში კი XVI ს-შიაც იხმარება ხშირად, ხოლო XVII—XVIII სს-ში უკვე იშვიათად გვხვდება[95], ვინაიდან წარწერა დასავლეთ საქართველოშია და იქ კი ეს საზომი ზემოთ მოყვანილი ცნობით მხოლოდ XV ს-მდე იხმარებოდა, მაშასადამე წარწერა არ შეიძლება ამ ხანაზე (XV ს.) გვიანი იყოს. ამ ხანაში კი ვიცით ერთადერთი დედოფალი ამ სახელით.

ანნა დედოფალი ბაგრატ V-ის (1360—1393) დავით მეფის IX-ის ძის მეორე მეუღლე[96];

---

94 ქართ. საფას-საზომთამცოდნეობა, 70.

95 იქვე, 74.

96 ვახუშტი, საქ. ისტ., დ. ბაქრ. გამოც., გვ. 284—285.

ქართული წყარო ბაგრატ V პირველი ცოლის ელენეს სიკვდილს უჩვენებს 1366 წელს. ანაზე ცნობას იძლევა პანარეტის „ხრონიკა ტრაპიზონისა“, რომელიც ანას მიიჩნევს ტრაპიზონის იმპერატორის მანუელ III-ის (1350—1390 წწ.) ქალად და თვით მის შეუღლებას „იბერიის მეფე პანკრატისთან [ე. ი. ბაგრატთან] უჩვენებს 1367 წელს. პანარეტი ამბობს: „ივნისში, მეორეს ინდიქტიონს 6875—1367 წლისასა ჩვენ ჯარითურთ ხმელეთით და ზღვით ვეახლენით ლაზიკაში იმპერატორის ასულს, კირა-ანნას, დიდ კომნენს, რომელიც შეუღლდა კირ-პანკრატის პანკრატიდს იბერიელთა და აბაზგთა მეფეს...“ ანა, ვახუშტის ცნობით, გარდაიცვალა 2 მარტს 6903—1395 წელს[97].

ანა დედოფალი არის აგრეთვე ალექსანდრე კახთა მეფის (1476—1511) თანამეცხედრე.

ს. კაკაბაძის მიერ ჩემს მოხსენებაზე გამოთქმული აზრი, ვითომც ეს ანა დედოფალი უნდა იყოს ანა დედოფალი „ადგილობრივი დედოფალი“ ანა, რომელიც შემდეგ მოლოზნად შევიდა და მიიღო სახელი ქრისტინეო მცდარია. „ადგილობრივი დედოფალი“ არასდროს არ იწოდება დედოფლ, არამედ დიოფლა, აჭ კი — აღნიშნულია: „დედოფალთა-დედოფალი“. ცხადია იგი არის ხსენებული XIV ს. ბაგრატ V-ის მეორე მეუღლე.

II. II წარწერის მარჯვნივ დასავლეთის კუთხეში დევს სვეტის ნაწილი წარწერით:

იკითხება:

ჩᲥ	ᲡᲭ	წ(მიდა)ო ს(ა)მ(ე)
	ᲩᲥ	ბ(ა)ო
ᲧᲩ	†.	შ(ეიწყალ)ე ქ.
Ნ	Ჭ.	იდ.

III. ამავე მხარეს კარიბჭის კარს მარჯვნივ (კუთხეში) წარწერა-შემობრუნებით (გვერდზე) დევს ჩუქურთმიანი და წარწერიანი ქვის ნატეხი:

ანუ:

(ჩ)ա	ნო
ᲮաᲘᲩთ	აოგეთ
աᲜᲮ|	ოიბ.
Ი...	

97 იქვე.

ამავე მხარეს თვით ეკლესიაზე, მაღლა კარნიზის ქვევით არის წარწერები წუსხანარევი ასომთავრულით, რომელნიც აღწერილი გვაქვს დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.

IV.

	იკითხება:
[† ჩ᷾ა]ს	ქ. წ(მიდა)ო ს(ა)-
[ჯუ]ყა	[მე]ბ(ა)ო,
[ყ᷾უ]	შ(ეიწყალ)ე
ა ყზ᷾ე	უშ᷾ლი

V. IV-ის მარცხნივ (აღმოსავლეთის) წრეში

	იკითხება:
† ჩ᷾ა სჯ	ქ. წ(მიდა)ო ს(ა)მ(ე)-
ყ᷾ა ყუ ჯ†᷾უ	ბ(ა)ო, შ(ეიწყალ)ე მ(ი)ქე-
ზჯუᲔᲔ	ლ მიატ
ᲰუსᲔჯუ	ნისაძ(ე)ი

VI. V-ის მარცხნივ (აღმოსავლეთით).

	იკითხება:
† ჩ᷾ა	ქ. წ(მიდა)ო
სჯყ᷾ა	ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო
ყ᷾უ ⁹⁸	შ(ეიწყალ)ე ჯო
ს⁹⁹უზ	ჭილი
5. ძუᲰუ	5. ძენი

შენიშვნა: I. VI-ის აღმოსავლეთით არის წარწერიანი ქვა; იგი ძლიერ არის გადალესილი კირით და არ იკითხება.

2. აღმოსავლეთის კედელზე ამოგებული სარკმლის გვერდებზე წრეებში მოჩანდა წარწერები, რომელთა შემოწმებაც ტექნიკურ პირობათა გამო ვერ მოხერხდა.

VII. აღმოსავლეთის კედელზე სარკმლის ქვემოთ მე-3 ქვაზე არის მრგვლოვანი ასომთავრული წარწერა წითელი საღებავით:

---

⁹⁸ ⅄ უნდა იყოს.
⁹⁹ Ƨ უნდა იყოს.

[ⴗⴰⴳⴻⵏⵔ ⵜⵔⵒⴼ]	იკითხება:
[ⴰⵢⵔⵒⵒⵛⵔ, ⵒⴳⴰⴰⵛ]	გუგასა ქამფ-
[ⵛⵏⵔⵒⵛⵏⵔ: ⵢ᷄ ⵍⴰ᷄ⵒ,—]	უშაძესა, მეუღლ
	ესა მისსა შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ.

წარწერა ეკლესიის მოხატვის დროისა უნდა იყოს.

VIII. დასავლეთის სარკმლის თავზე (ეკლესიისა) არის წარწერა:

	იკითხება:
ⵜⵒ᷄ⴰ	ქ წ(მიდა)ო
ⵙⵒⵗ᷄ⴰ	ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო,
ⵢⵗ ⵠ[100]ⵗ	შ(ეიწყალ)ე ზ᷄ი (?)

ქორეთი

ქ ო რ ე თ ი ს უდერძის წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია.

ეკლესიაში არის (კანკელის წინ) სვეტის მაგვარი დიდი ქვა, ჩუქურთმით ერთ ნაწილში.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 31). ეკლესიის ძველი კარი ვაზისა (?), 158×75 სმ, შემკული ლომებისა და სხვ. სახეებით, დაზიანებული (გამსკდარია ორად—ზევიდან ქვევით).
2. (ქ. 32). ოდიკი 1786 წლისა.
3. (ქ. 33). აღმოსავლური ძველი ფული ვერცხლისა, 5 ცალი.
4. (ქ. 34). ოსმალური ფარა, ერთი ქისა.
5. (ქ. 25). მარხვანი ეტრატზე ნაწერი ნუსხურად, დაზიანებული, მრავალ ფურცელნაკლები.

ითხვისი

ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ჯვარი ხისა, 104×77×9 სმ, მას წინა პირზე გადაკრული აქვს დაბალი ვერცხლი, რომელზედაც ჰედილი ხატებია; ჯვარი შემკულია

---

100 ⵠ არის ეს ასო თუ ⵠ ძნელი სათქმელია, თვით ეკლესიის წარწერებში (IV—VII) ⵠ უმეტეს ნაწილად ნუსხური იხმარება, ამიტომ საფიქრებელია, იქნებ ⵠ იყოს.

1 მოზრდილი და 1 მცირე თვლით (დანარჩენი აკლია); იგი ძლიერ დაზიანებულია; მარჯვენა მხარეს და ქვედა ნაწილს ვერცხლის ფურცელი აგლეჯილი და დაკარგული აქვს. ჯვარი მდარე ნამუშევარია.

2. ვერცხლზე ნაჭედი ხატი იოანე ნათლისმცემლისა, $36^1/_2 \times 25^1/_2$ სმ. შემკული 2 თვლით (აკლია 1 თვალი). აწერია ·ıᒣᒉı· ·:ᒥᒉı·, ანუ: ი(ოან)ე ნ(ათლისმცემელ)ი.

ხატი ზის ხის ჩარჩოში.

3. ბუკი სპილენძისა.

ღოდორის მცხ. ი ლ ი ა წ ე რ ე თ ლ ი ს მიერ შემოწირული

1. (ქ. 24). ქება და დიდება, შესხმა და გალობა... ღვთისმშობლისა..., აღწერილი... მაქსიმეს მიერ ფილოსოფოსისა და აღმსაარებელისა და სხვ. წერილები (მამათა ცხოვრება?), ნუსხურად ნაწერი მშვენიერი ხელით. წიგნს ბოლოში აქვს მინაწერი გადამწერისავე ხელით:

ესე წიგნი აღმაწ-
ერინა სიმონ მოძ-
ღუარმ(ა)ნ იშხნელმ(ა)ნ,
რ(ომ)ლისა ჴსენება სა-
უკუნომცა არს, ა(მი)ნ,
ხ(ოლო) აღვწერე ესე
თთუჱსა მაისსა. ი(10),
უღირსმ(ა)ნ მღუდელ-
მ(ა)ნ ოსე გაბაონმ(ა)ნ
და შენდობასა ვითხ-
ოვ აღმომკითხუჱ-
ლნო:
ქ(რისტ)ეს აქათ ჩყბ (1802).

ჯალაურთა

წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი მაცხოვრისა (ერთ მხარეს) და მთავარანგელოზის (მეორე მხარეს), $11 \times 7^1/_2$ სმ, დაფერილი ოქროს

წყალში. მაცხოვარი წელამდეა გამოსახული, მთავარანგელოზი ფეხამდე. ხატი დაზიანებულია.

2. (ქ. 38). ფიცარზე ნახატი ხატი კოსტანტინე და ელენესი (ერთ მხარეს) და ორი სხვა წმიდანისა (მეორე მხარეს), 15×10¾ სმ, ბერძნული წარწერებით.

3. (ქ. 39). ბრინჯაოს ბალთა სარტყლისა რაიმე ცხოველის გამოსახულებით.

კორბეული

ძლევის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 23). ფსალმუნი ხუცურად ნაწერი, დაზიანებული, ფურცელნაკლები.

შომახეთი

წმ. ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე:

1. ხატის ნაშთი, 34½×29¼×3¼ სმ, ვერცხლზე ნაჭედი, ძლიერ არიან დაზიანებული. ზევითა ნაწილში შერჩენია ერთი მცირე თვალი.

შომახეთის ზარნალის წმ. გიორგის ეკლესია. ერთნავიანი ბაზილიკის ნანგრევი ყოფილა, 9×5 არშინი (დაახლ.), ნაშენი თლილი ლოდებისა და კირისაგან; შემორჩენილია ნახევარკედლები, ისიც ყველა არა.

ეკლესიის სამხრეთით ყრია ჩუქურთმიანი ქვები, ოცზე მეტი: სვეტები და სვეტისთავები კანკელისა, სარკმლის თავები, კოზმიდები და სხვ.

ადგილობრივ პირთა ცნობით აქ ყოფილა ქვა თარიღიანი წარწერით, ვითომც X I ს-ისა; მე ის ვერ ვნახე.

ეკლესიის გარშემო ყოფილა გალავანი, რომელიც აგრეთვე ნანგრევადაა ქცეული.

უსახელოს მთავარანგელოზის ეკლესია (სურ. 16). ერთნავიანი ბაზილიკა, $8^1/_2 \times 4$ არშინი, ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან. დღეს იგი ნანგრევად არის ქცეული: შენახულია მარტო აღმოსავლეთის ნახევარი (თაღითვე) და სამხრეთის კედელი; ამ დარჩენილ ნაწილსაც გარეთი პირი (პერანგი) შემოცლილი აქვს (იგი ახალი ეკლესიისათვის გამოუყენებიათ).

ეკლესია მოხატული ყოფილა, მხატვრობა ძლიერ დაზიანებულია, ცოტად თუ ბევრად კარგად მოჩანს მარტო საკურთხევლის ნაწილში (მღვდელმთავრები).

საკურთხევლის კონქში დახატულია მაცხოვარი(?) მოჩანს მარტო მუხლების ქვედა ნაწილი.

აქვე ძირა´რიგში — მღვდელმთავრები, ნაწილობრივ დაზიანებული.

სარკმლის მარჯვნივ: Ⴀ´ ⴗⴘⴓⴕⴀ|ⴑⴝⴕⴗ|, ანუ: იოანე ოქროპირი.

ოქროპირის მარჯვნივ—...ⴈⴕⴕⴘ|ⴑⴓⴕⴗⴚⴔⴘ|, ანუ... ღმრთისმეტყველი მას გრაგნილზე უწერია: ⴖⴘⴝⴕ|ⴕⴝⴓⴕ|ⴝⴕ·|, ანუ ზიართა მათ. შემდეგ, მარჯვნივ — მღვდელმთავარი ნახევრადღა ჩანს წელიდან. სარკმლის მარცხნივ — ... ⴓⴝⴑⴖⴔ, ანუ: ბასილი. შემდეგ ორი მღვდელმთავარი დაზიანებულია.

სარკმელში ჩრდილოეთით ⴕ´ⴔ ანუ: მიქაელ

სამხრეთით ⴚⴓ´ⴔ გაბრიელ

სარკმლის ძირს დახატულია ტარიგი (მაცხოვარი გულაღმა მდებარე ფეშხუმზე).

გუნდეეთი

წმ. გიორგის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ჯვარი ხისა, წოდებული ამაღლების ჯვარად, $139 \times 64^1/_2 \times 8$ სმ, შეჭედილი წინა მხარეს ვერცხლით, რომელზედაც ჭედილი ხატების მდგომარე მხედრისა (წმ. გიორგი?), 7 ც., წმ. გიორგისა (ცხენზე და წელამდე) და სხვ. წმიდანებისა, დაფერილნი ოქროს წყალში. ჯვარს

ქვედა ნაწილში აქვს მხედრული წარწერა ცუდი ხელით; შეჰედილობა შუა გულში და ქვედა ნაწილის ერთ ადგილას აგლეჯილი და დაკარგული აქვს; იგი მდარე ნამუშევარია.

2. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, $22^1/_2 \times 16^3/_4$ სმ (გადაკრული ფიცარზე); მას გვერდის აშიებზე აქვს ვერცხლზედვე ნაჭედი ხატები მიქელ-გაბრიელისა და მოციქულების: პეტრესი და პავლესი (მხედრული წარწერებით). ხატი დაზიანებულია, მას ზედა და ქვედა აშიები დაკარგული აქვს. იგი მდარე ნამუშევარია.

3. ხატის (ადგილობრივ პირთა ცნობით წმ. გიორგისა) ნარჩენი ვერცხლის ფურცლის ნატეხი, $36^3/_4 \times 11^3/_4$ სმ, რომელსაც ქვედა ნაწილში და გვერდის აშიაზე შერჩენია მხედრული წარწერის ბოლო (განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ): ...და მფარველად. მშობელთა და სულთა ჩვენთა საოხად. მხილველნო მოგვიხსენებდეთ. სრულ იქმნა გიორგობის ი (10). ქ(რონი)კ(ონ)ს ულგ (433) (433+1312=1745 წ.).

4. (ქ. 37). ოდიკი იმპერატორ პავლეს დროისა.

პერევისი

პერევისის წმ. გიორგის ეკლესია (სურ. 17, 18) ერთნავიანი ბაზილიკაა, რომელსაც სამხრეთით და ჩრდილოეთით ჰქონია სამწირველოები, რომელთაგან დღეს მარტო ნაშთიღა ჩანს, ეკლესია ნაშენია თლილი და კლდის სწორპირიანი ქვისა და კირისაგან; ხურავს ღარიანი ბრტყელი კრამიტი, თაღი დაზიანებულია, ნაწილობრივ მონგრეულია კიდეც. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით (უკანასკნელი ამოშენებულია მახლობელ ხანში); სარკმელი აღმოსავლეთით. სამხრეთით და დასავლეთით. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში არის გამართული, სამკვეთლო მოთავსებულია დაბალ და მრგვალთაღიან თახჩაში.

შიგნით ეკლესია მოხატულია; მხატვრობა დღეს შერჩენილია: საკურთხეველში (უკეთესად), დასავლეთის კედელზე (ნაწილობრივ) და სამხრეთის კედელზე (მცირედ).

საკურთხევლის კონქში დახატულია ღვთისმშობელი, ყრმით კალთაში, აწერიათ: M͡P Θ͡V და I͡C X͡C (ღვთისმშობელს მოგრძო სახე აქვს); ღვთისმშობლის ქვევით — მღვდელმთავრები, გრაგნილებით ხელში. გრაგნილები დაწერილია ასომთავრულად; წმინდანებსაც ასო-

მთავრულად აწერიათ. საკურთხევლის შუბლზე ანუ კამარის დასავლეთ მხარეს არის დაზიანებული ასომთავრული წარწერა დიდი ასოებით.

კათოლიკონში, სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში (სამხრეთის კარის მარცხნივ) და დასავლეთ კედელზე, ძირა რიგში, შემორჩენილია, ქტიტორთა ძლიერ დაზიანებული ფრესკები.

სამხრ. კედელზე მოჩანს აღმოსავლეთით გაწვდილი ხელი, რომელზეც შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ნაშთი:

ⴰⵁ	ანუ—	მო
ⵛⵑⵗⵆⵛ		მვედრ . .
ⵔⵚ		სა
. ⵗⵗⵀⵔⵚ		ენსა
5. ⵁⵗ	5.	თე

დასავლეთ კედელზე, სამხრეთ კუნჭულისაკენ, მაღლა არის დაზიანებული წარწერა; ძირა რიგში, მთელ კედელზე გამოსახულია ექვსი პირი დაზიანებული წარწერებით.

გარეთ, სამხრეთ კედელზე, კარის ასწვრივ და ყოფილ სამწირველოს ნაწილში შენახულია მხატვრობის კვალი.

პერევისი

წმ. გ ი ო რ გ ი ს ახალი ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $30^{1}/_{4} \times 24$ სმ, შემკული 12 დიდ-პატარა თვლით. აწერია Ⳑ-ⵗ ⵗ-ⵗ. ანუ: წ(მიდა)ი გ(იორგ)ი; წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა, ცხენს ქვეშ განრთხმულია დეოკლეტიანე (?); ხატი ძლიერ დაზიანებულია: წმ. გიორგის წელს ქვევითი ნაწილი ნახევრად და ქვედა აშია მოცილებულია და დაკარგული.

სვერი

ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ჭ. 67). ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით კალთაში, $13^{1}/_{2} \times 10^{1}/_{2}$ სმ, ირგვლივ ვერცხლით შეჯედილი. ღვთისმშო-

ბელი ხელებაპყრობილია. ხატს შებმული აქვს ძველი ბერძნული თუ რომაული ფული ბაჯაღლო ოქროსი. ხატი ზის კარებიან ხის ბუდეში, $25^{1}/_{2} \times 15$ სმ, რომლის შიგნითაც ზევითა ნაწილში დახატულია მიძინება მაცხოვრისა, კარებებზე შიგნით — მთავარანგელოზები: მიქაელ და გაბრიელ, გარეთ მოციქულები პეტრე და პავლე (თითო თითო კარზე), ბუდე დაზიანებულია, მისი შეკედილობის ნაწილი (პატარა ნაგლეჯებად) ხატთანვე ინახება.

ხატს აქვს წარწერები ასომთავრულად

1. წარწერა წინა მხარეს, ძირს, აშიის ადგილას:

ⱊᲫ᲼.ᲝᲝ᲼.ᲘᲣ᲼ᲚᲘ ᲖᲬ᲼ᲐᲓᲬ ᲪᲨ.ᲖᲘ᲼.ᲢᲬ᲼Ჩ.ᲪᲬᲚ ᲖᲐ᲼ᲖᲡ:·

იკითხება:

1. წ(მიდა)ო დ(ე)დ(ა)ო ღ(ვ)თ(ი)ს(ა)ო მფ(ა)რვ(ე)ლ და მ(ე)ოხ ვქ(მე)ნ დ(ეო)ფ(ა)ლს(ა)ლს(ა) მ(ა)რ(ია)მს.

2. წარწერა ზურგზე:

ᲝᲩᲜᲪᲘ ᲘᲡ᲼Ი ᲖᲩᲘᲔ Ო
ᲪᲘ ᲖᲬᲪᲐᲓᲩᲘ: ᲖᲮᲖ
ᲩᲩ, ᲡᲪᲚᲘᲩᲬᲘᲣ: ᲣᲝ
Ა᲼ᲬᲘᲩ

5. ᲡᲘ ᲨᲘᲩᲡ: ᲬᲘᲙᲬᲡᲪᲘ, Ო.
ᲝᲪ ᲐᲩᲣᲪ, ᲖᲡᲣᲪ
ᲪᲮᲝᲘ, ᲖᲪᲚᲘ, ᲡᲪᲘᲙᲩ
ᲘᲩᲩᲣᲘ, ᲡᲪ:·

იკითხება:

დედაო ღ(ვ)თ(ი)ს(ა)ო, მეოხ ღ-
ა მფარველ მ(ე)ქმ-
ენ სასოებით [მ]ვ(ე)დ
რ(ე)ბელ-

5. ს(ა) შენს(ა) ბუბასა<დ>
და ძეთა მ(ი)სთა
აქ(ა) დ(ა) მას საუკ(უ)ნ(ე)-
<უნეთ> სა.

წარწერაში ასო ϥ (კ) უკუღმა ზის
ე-ს აქვს ასეთი მოხაზულობა: Ⴗ.

2. ფიცარზე ნახატი ხატი იოანე ნათლისმცემლისა, 37×31 სმ. შეჭედილი ვერცხლით, დაფერილი ოქროს წყალში. ქვედა ნაწილში აქვს მხედრული წარწერა:

1. ქ: შენ, ქრისტეს შემხსა წმინდასა ნათლის-
მცემელსა სვერისასა, შეგიმკობინე ხატი ესე მე,
მონამან შენმან, ქისიყის მოურავის შვილმან
მალხაზ, სად-
2. ღეგრძელოდ ჩემდა და თან(ა) მეცხ(ე)დრისა ჩემისა, მეფის
სოლომონის დის მარიამისა. და აღსაზრდელად
ძისა ჩემისა იოანესასა: წელსა:. ჩღჳზ:. (1797 წ.): ქკ᷄ს
უპე:. (485+1312=1797 წ.).

ხატზე არის გულსაკიდი მცირე ქისა, ვერცხლის ძეწკვით, რომელშიაც (ქისაში) სხვადასხვა წვრილი ნივთებია.

ბოსლევი

წმ. გიორგის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე:

ჯვარი რკინისა 37×26 სმ., რომელსაც წინა პირზე გადაკრული აქვს დაბალი ვერცხლი, შემკული (წმ. გიორგის 4 ჭედილი ხატით და 1 თვლით გულში). წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა. ჯვარი დაზიანებულია: ქვედა ნაწილი მოტეხილი აქვს, შემკულობა ნაწილობრივ ავარდნილია; შერჩენილი წარწერის ნაშთი წმ. გიორგის აწერია: ⲣ᷄ⲉ ⲩⲟ, ანუ: წ(მიდ)ა გ(იორგ)ი; ბუშტის ქვეშ მოსჩანს . . ⳬⳭ⳯... ანუ:.. უნდ...

ქვედა ნაწილზე: ⳮⳬⳏⳌ Ⳏⳋ | ანუ: მზგთათ
ⳮⳭⳬ | მრწ

ცალკე: Ⳑⳑ⳯Ⳏ⳯Ⳏ ანუ: იე დადა
ⳉ———— ⳏ————

ჯვარი ზის ბუდეში, 42×28×1¾ სმ, რომელსაც ირგვლივ ვერცხლი აქვს შემოკრული, შემკულია ხაზოვანი სახეებით და 11 თვლით; მას უკანა მხარეს, ქვედა ნაწილში აქვს წარწერა:

ქ. მე მომიწყვია ლევანი ძ-
ეს ქაიხოსროს.

ადგილობრივ პირთა ცნობით, ჯვარი ხუთ ძმა მჭედლიძეებს მოუტანიათ გურიიდან (ოზურგეთიდან?) 200 წლის წინათ, ისინი იქიდან წამოსულან მესისხლეობის გამო; ჯვარი მათ საგვარეულო სალოცავად ითვლება (ისინი ამ სოფელში ცხოვრობენ).

წევა

წევას წმ. გიორგის ეკლესია (სურ. 20) სამხროებიანი ბაზილიკაა, 21×15 არშინი (დაახლ.), ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან; განახლებულია 1863 წელს. ძველ ნაწილს — საკურთხეველს და ნაწილობრივ შუა ეკლესიას შერჩენილი აქვს ფრესკები.

საკურთხევლის კონქში დახატულია დეისუსი (იესო, ღვთისმშობელი, ნათლისმცემელი, ანგელოზებით), ძლიერ დაზიანებული: აქვე თაღზე, სამხრეთის მხარეს — ხარება ჩრდილოეთით აღდგომა (?).

I რიგში მღვდელმთავრები, დახატულნი წელამდე;
ნაწილობრივ კარგად არის შენახული.

II რიგში (ძირს):

1. სარკმლის ქვევით ჯვარი.
2. ჯვრის მარჯვნივ დიდებული, წარწერით: ⁞·ᒣᒪᐩᐣ ანუ ესტ(ა)ტ(ე).
3. ჩრდილოეთის მხარეს (აქვე) დიდებული. სახის მარჯვენა ნაწილი დაზიანებული, წარწერის ნაშთით: .. [ᎩᏩᏕ] ანუ: შორ.
4. ჯვრის მარცხნივ დიდებული გრაგნილით მარცხენა ხელში და წარწერით: ᗺᑕ⊦ᒣᑭ|ᑭ| ანუ: დაქითთ?
5. ამ დიდებულის მარცხნივ — ვინმე პირი, რომელსაც მარჯვენა ხელში რაღაც უჭირავს (წინსაძღოლი?), აქვს წარწერის ნაშთი ..Ո.Ꮒ ანუ: ღ-მ:.
6. ამ პირის მარცხნივ — წარჩინებული სასულიერო პირი; მას თავზე დიდებულის ქუდი ჰხურავს, ხოლო ტანისამოსი აცვია მღვდელმთავრისა, ომფორით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ რიგში ყველანი წელამდე არიან დახატულნი.

საკურთხევლის პილიასტრზე და მის კამარაზე დახატულია ნაწილობრივ დაზიანებული წმიდანები.

სალაროში, ჩრდილოეთის კედელს ემჩნევა მხატვრობის კვალი.

შუა ეკლესიაში ცენტრალური ნავის აღმოსავლეთ ნახევარს კამარებსა და თაღზე შერჩენილი აქვს ნაწილობრივ დაზიანებული მხატვრობა.

საკურთხევლის ჩრდილოეთის პილიასტრს, იატაკიდან $2^1/_2$ არშინის სიმაღლეზე მდებარე ქვაზე აქვს კიდურ წერტილოვანი წარწერა:

ⴗ⵪ⵔ ⵅⵗⵣⵅⵗⵐⵔⵜⵀⵟ
ⵢⵐ⵪ⵔⵀⵟ ⵗⵜ⵪ⵞⵎⵅⵗ ⴼⵔⵛⵗⵚ
ⵍⵔⵚⵟ ⵞⵐⵔⵔⵜⵟ ⵏ⵪ⵍ ⵔⵞⵐⵚ

იკითხება:

ქ კ(ვი)რია ზიბზიბაძემ
შ(ე)ვ(სწი)რე კრ(ა)მ(ი)ტის ფასი
ოცი მ(ა)ნათი, ღ(მერთ)ო ა(ც)ხ-
(ოვ)ნე.

ს ი ძ ვ ე ლ ე. ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა (ცხენზე), $33/^1{}_4 \times 23^1/_2$ სმ, შემკული ვერცხლის აშიით. ხატს უკანა მხარეს გადაკრული აქვს ვერცხლის ფურცელი, მხედრული წარწერით:

1. ქ. ეჰა, შვიდ წილ უძლეველო ახოვანო მხედარო ქრისტეს მეუფისაო, ღვაწლით შემოსილო ჩემის სამკვიდრო
2. ჴევის ეკლესიას შინონ (?) მ(ო)პყრობელო წმინდანო, დიდო მოწამეო გიორგი! მონამან და მონდობილმან შენისამან, მე, მაჭავარიანმა
3. ელიზბარმა მოგიძღვნი კნინი ესე მცირე სამკაული მოჭედა ჩემთვის სასიცოცხლოთ და სადღეგრძელოთ, და სულის საოხ(ა)თ, და მე-
4. უღლისა ჩემის აბაშიძის ასულის ანასათვის, ძეთა და ასულთა განსაძლიერებლათ.
5. წელით ჩყით (1819 წ.).
6. ოცდა ათი მარჩილი ხელფასი ხატის
7. თეთრი გევიდა.

ეკლესიის დასავლეთ-ჩრდილოეთის კუთხის გასწვრივ, ეზოზე დგას დაფუღუროებული ცაცხვის ხე, რომელსაც ირგვლივ აქვს ზომა $16^1/_2$ არშ.

მირონწმიდის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 14×5 არშინი, რომელსაც დასავლეთით მიშენებული აქვს საქალებო; მას სამხრეთით და ჩრდილოეთით ჰქონია ეკვტერები, დღეს მათგან მარტო ნაშთიღა მოსჩანს; ნაშენია შირიმის ქვისა და კირისაგან; შიგნით იგი მოხატული ყოფილა, მაგრამ 1900-იან წლებში სასულიერო უწყების ნებართვით შეულესიათ; კირი ადგილ-ადგილ ჩამოცვენილია და თაღის ნაწილზე მოსჩანს მხატვრობა; ჩრდილოეთის ეკვტერიც მოხატული ყოფილა. ასევე ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე, გარეთ, შერჩენილია მხატვრობა.

ეკლესიის აღმოსავლეთ-სამხრეთის კუთხის გასწვრივ არის მეორე ეკლესიის ნანგრევი (მაღლა) ეკვტერით. ადგ. მცხოვრებთა ცნობით, დევდარიანებისა. იგი მოხატული ყოფილა. კედლებს შერჩენია მხატვრობის კვალი. ეკვტერი შედარებით უკეთესად არის შენახული. იგი წარმოადგენს საუცხოო სახეს ძველი საძვალე-ეკვტერისას. მას ჩასავალი აქვს დასავლეთ-ჩრდილოეთის კუთხიდან. სხვა კარი არსადა სჩანს (ძველადაც აქედან უნდა ყოფილიყო); ამ ჩასავალით ჩავდივართ ეკვტერის შესავალ ოთახში, რომელშიაც ნანგრევი ყრია: მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში არის მცირე ყუთის მაგვარი რამ შენობა, რომელშიაც რამდენიმე ძვალი გდია, ალბათ შემდეგ, ახლა ახალი დროს გადმოტანილი. შესავალი ოთახიდან კარი შედის თვით ეკვტერში ანუ საძვალე-აკლდამაში, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: სამამოდ და სადედოდ; ამ ნაწილებს ერთმანეთისაგან მცირე კედელი ჰყოფს, რომელსაც ირგვლივ დერეფანი შემოუვლის. სამამო და სადედო წარმოადგენს ორს დიდს დახურულ ყუთს, რომელთაც აქვთ მცირე კარი დერეფნისაკენ; ზევითი მხარე თვითეული ყუთისა სწორი, ტახტის მაგვარი არის; ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობით, მიცვალებულს ჯერ მაღლა ყუთის თავზე, ანუ ტახტზე სდებდენ და შემდეგ ძვლებს ჰყრიდენ ქვეშ, აკლდამაში.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 70). დროშა-ჯვარი, 42×16½ სმ, ტარზე გაკეთებული ვერცხლის ჯვარი. ჯვარი შემკულია ჯვარცმის ხატით და 5 თვლით, ჯვრის ტარი — ოთხი მღვდელმთავრის ხატით და სახეებით (ორნამენტი). ჯვარი ძლიერ დაზიანებულია. გატეხილია რამდენიმე ადგილას და დაკერებულია. მარჯვენა მხარზე ჩასმულ თვალს აქვს წარწერა, რომელიღაც უცნობ ენაზე.

ჯვარს ზურგზე აქვს ასომთავრული წარწერა:

ⴟⵗⵏⵒ: Ⴜ-ⵗ
ⵐⵒ: ⵡ-Ⴏⵀⵒⵒ
Ⴆ: ⵀⵒⵐⵇⵎ
ⵆⵒⵃⵇⵏⵒ
5. [ⵏⵐⵇⵎⵇ]

[101]

ⵎ,ⵒⵐⵒⵇⵇⵇ: ⵏⵇⴆⵏⵏⵇⵃ[ⵒⴆⵇ](ⵇ): ⵏⴆⵗ-ⵏⵇ, ⵎ,ⵐ-ⵗⵏⵇ: ⵇⵇ ⵐⵖⵏⵒⴆⵇ, ⵏⵀ- ⴆⵗⵇⵇⵇ.....[ⵇⵇ](Ⴜⵖⵏ)[ⵇ]ⵏⵇⵇⵐⵏⵇ, ⵍⵆ-ⵗⵏⵒ.. ...[102]

იკითხება:

ქ. ესე ჯ(ვ)არ(ი)
მე, გ(ა)ბრიე-
ლ ძემან
თევდოსე
5. სმან დ

ნ წმიდა სალოცვ[ელად] ს(უ)ლისა ჩ(ე)მისა და
მშ(ო)ბ(ე)ლთა კრ(უ)ლი და ... [და]უს[ა]ბამოჲსა ,ღ(ვ)თის(ა)-
ი[თა]...

2. (ქ. 68). ჯვარი ხისა, 15×5 სმ, ათონის ხელოვნებისა, ვერცხლის გარემოთი, დაზიანებული. ჯვარი ზის ხის ბუდეში, $16^1/_2 \times 6^1/_2$ სმ.

3. (ქ. 69). სურა სპილენძისა, ამოღებული ეკლესიის აღმოსავლეთით მდგომი აკლდამიდან, ძირგავარდნილი და ნისკარტმოტეხილი.

ლაშეს ვანი

ლაშეს ვანის (აბაშიძიანთ) ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკა ყოფილა, ნაშენი ქვიტკირისაგან; დღეს მისგან ნანგრევებიღაა. სამხრეთის კარის თავზე აქვს ქვა, მხედრული წარწერით:

---

101 აქ საკერებელი აქვს დაკერებული და წარწერა დაფარულია.

102 აქ დიდ მანძილზე არის საკერებელი დაკერებული და არა ჩანს თუ რამდენი სტრიქონი აკლია წარწერას.

ქ. ჩვენ, ბრწყინვალემ თავადმა აბაშიძემ და-
ვითმა და ჩემმა ძმამ გიორგიმ აღვაშენეთ წმი-
ნდა მონასტერი ესე ხვთის მშობელისა ხორც-
თა და სულთა ჩვენთა საოხად, მეუღლე-
თა და ძეთა ჩვენთა და სულთა წარსამართებ-
ელათ. უკეთუ მოსულნო აქა მართლმადიდებელ
ნო ერნო ქრისტიანენო, თუმც რამე ნაკლუვ
ანება რამე იხილოთ ეკლესიასა ამას ზედა ნუ
აწყევთ, შენდობით მომიხსენებდეთ, სულისა ჩვ-
ნისაჳ საუკუნ-
ოთა, ამინ.
ჳმა ეკლესიის აღშენებაზედ არის დეკანოზი
მღვდელი მანჯავიძე ეგნატი და არა ჩამოერთმევის
შვილათ და მომავალთა მისთა.

ეკლესიის გარეშემო დგას ძველი ციხე-გალავანი.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

1. (ქ. 21). ეკლესიის დასავლეთის კარიდან ჩამოხსნილი კარი ხისა, 143×91×6 სმ, შემკული წინა მხარეს სახიანი სარტყელ-აშიით და ფირფიტებით, ვაზის (?) ხისა (შემკულობისათვის კარს საგანგებოდ ამოჭრილი აქვს წინა მხარე); სარტყელი და აშიები ჩუქურთმიანია, ხოლო ფირფიტებზე გამოსახულია მღვდელმთავრები, სცენა საღვთო ისტორიიდან, ჯვარი და სხვ.; უკანასკნელნი (ფირფიტები) სამ ზოლად ყოფილან გამართული, დღეს შენახულია მხოლოდ ორი ზევითა ზოლი.

1. პირველი ზოლის მარჯვენა ფირფიტაზე გამოსახულია ორი მდგომარე მღვდელმთავარი (?); მათგან პირველს მარჯვენა ხელში გაშლილი წიგნი უჭირავს, მარცხენაში დროშა-ჯვარი, მეორეს მარჯვენაში საცეცხლური, მარცხენაში გაშლილივე წიგნი. ფირფიტას ბოლოზე აქვს ასომთავრული წარწერა:

ⴑ-ⴄ ⴘ-ⴄⴒⴑ-ⴄⴕⴓ-ⴄ ⴂ
ⴕ

იკითხება:

ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე მ(ი)ქ(ე)ლ, კ(ვირიკ)ე, ა(მი)ნ.

2. იმავე ზოლის მარცხენა ფირფიტაზე გამოსახულია ჯვარი ფირფიტებში; თავზე აქვს წარწერა:

	იკითხება:
ⵜⵗⵄⵇⵍⵆⵀ	ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ბ(ა)გ(რა)ტი
ⵛⵘⵑⵜⵒⵅⵜ	ამ(ი)ს კ(ა)რ(ი)ს(ა) მოქ[მედი].

3. მეორე ზოლის მარჯვენა ფირფიტაზე გამოსახულია. აბრამის მიერ ისაკის მსხვერპლად შეწირვა სამ სურათად (ერთი მეორის ქვევით): პირველი — ჯორი და ისაკი, მეორე — ისაკი შეშით ზურგზე, აბრამი უჩვენებს მაღლა მთას. მესამე — აბრამის მიერ ისაკის მსხვერპლად შეწირვის განზრახვა და ცხვარი.

4. იმავე ზოლის მარცხენა ფირფიტაზე — ჯვარი ჩუქურთმებში; თავზე აქვს ასომთავრული წარწერა:

ⵜⵗⵄⵀ[ⵔ..]ⵙⵃⵔ
ⵜⵗⵄⵅⵜⴆⴆⵛⵀⵁⴒ(ⵂ)[ⴆ]

იკითხება:

ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე . . . ს(ი)მ(ო)ნ
ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე მ(ი)ქ(ე)ლ და იოვ[ელ].

5. სარტყლის შუაგულში გამოსახულია რომელიღაც პირი (წელამდე). კარს ზევითა სარტყელი, მესამე ზოლის ორივე ფირფიტა და ძირა აშია აღარა აქვს; ერთი ამ ფირფიტთაგანი, რომელზედაც საღვთო ისტორიის სურათები ყოფილა გამოსახული, როგორც გადმომცეს, ამ მოკლე ხანში დაკარგულა; ფირფიტების ქვედა აშიის დაზიანება უნდა მომხდარიყო იმის გამო, რომ კარისათვის ქვედა ნაწილი შეემოუჭრიათ, ალბათ ეკლესიის კარად გაწყობის მიზნით.

თუ მივხედავთ ფირფიტების ცალკე ხაზად (ზევიდან ქვევით) განაწილებას, რომ მარჯვნივ ორივე ზოლში მხატვრობა არის და მარცხნივ სახეები ჯვრისა და სხვ., მესამე ზოლშიაც მარჯვნივ იქნებოდა სურათი, რომელიც ადგილობრივ პირთა მოწმობით ყოფილა და დაკარგულა, ხოლო მარცხნივ ისევ სხვა რომელიმე სახე.

მთელი შემკულობა კარისა საუცხოო ნამუშევარია.

მახლობელ სოფელში მცხოვრებ კვირიკაშვილთა გადმოცემით, კარი მოტანილია სვანეთიდან, დიდი ხნის წინათ, მათი წინაპრების დავითურიძეების მიერ (ძველად ამ გვარისანი ვყოფილვართო), რომელთაგან კვირიკეს დაუდვია მათთვის ახალი გვარი. დღეს ამ გვარის

წევრნი ცხოვრობენ აქვე მახლობლად სოფ. იგორეთსა და ხორითში. სახელი კვირიკე იკითხება კარის პირველ წარწერაში, მაგრამ მისი გვარი და სადაურობა არა ჩანს.



1. კარის ხე
2. აშიები ნაპირიჰა.
3. შუა, სიმაღლის აშია
4 ა. სარტყელი დაკარგულია
4 ბ. სარტყელი დაკარგულია.
5. ფირფიტა ორი მღვდელმთავრით და ქვეშ წარწერა.
6. ფირფიტა ჯვრით ჩუქურთმებში და თავზე წარწერა
7. ფირფიტა აბრამის მიერ ისაკის მსხვერპლად შეწირვა, სამ სურათად.
8. ფირფიტა ჯვრით ჩუქურთმებში და თავზე წარწერა
9. ფირფიტა დაკარგულია.
10. ფირფიტა დაკარგულია.
11. ქვედა ნაწილი კარის (აშიით) წაჭრილია.

ხარაგოული

ხორაგოულის თემაღმასკომის საწყობიდან წამოღებული

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 51-ა). უბისის (?) ეკლესიის გარდამოხსნის ნაგლეჯები, ოქრომკედით ნაკერი ხატებისა და წარწერის ნაშთით, 2 ცალი. პირველი ნაგლეჯის წარწერა:

	ანუ:
ჩიჭოტი. ბშ	წ. ღმერთ(ო) და
ჲხ	ოხ
ზ	ღ
ⳡ	

მეორე ნაგლეჯის წარწერა:



ანუ:

(შ)ეუნდე ჯ(ვ)არცმ(ა)ო ქრ(ის)ტეს(ა)ო და ნდუ
. ნ(ე)ს მისნი ცოდვ(ა)ნი აბაში[ძეს] ბა
[მ]ეუღლესა . . . მ
[გუ]ლ(ა)ნშ(ა)რს შ[ეუნდოს ღმერთმან],
ამინ.

2. (ქ. 51-ბ). უბისის მეორე გარდამოხსნის ორი ნახევარი (ერთი მოზრდილი, მეორე მცირე), ნაწილი მუზეუმში ადრევე ჩატანილ გარდამოხსნისა, რომელიც ირიცხება 1238 ნომრით. ხსენებულ გარდამოხსნას აქვს ასომთავრული წარწერა (ნახევების შეერთებით):

ა. ზევითა მხარეს:

ბ. მარცხენა მხარეს:



ბ. ქვევითა მხარეს: ⵒ:ⵏⵁ ⵚⵛ ⵒⵁ:ⵥⵢ:ⵁⵃⵍⵗⵛ:ⵘⵛⵅⵊ:ⵘⵁⵒ

დ. მარჯვენა მხარეს: ⵘⵁ:ⵘⵥⵁⵒ:ⵚⵛ:ⵘⵒⵊⵅⵥⵞ:ⵢⵜⵘⵥⵠ ⵛⵃ ⵛⵋⵥⵘⵗⵛ:ⵥⵠⵒⵚⵒⵥⵞ:ⵚⵛ:ⵁⵛ:ⵘⵥⵍⵒⵁⵞⵊⵛ. ⵗⵠⵛ:ⵠⵚⵊⵥⵁⵞⵃⵠ:ⵘⵒ

იკითხება:

წ. ღ(მერ)თო და წ(მიდა)ო გ(იორგ)ი უბისის(ა)ო,
მთ(ა)ვ(ა)რ მოწამ(ე)ო მე(ო)ხ და მფარევ (sic)
ექმენ აბ(ა)შ(ი)ძეს (sic) გედე(ო)ნს და თ(ან)ა-
მეცხედ(რეს)ა მ(ი)ს ჴ(ე)ლ(ი)ძ(ი)სა ასულს(ა)
5. გ(ულ)ქ(ან)ს.

წ. ღ(მერთ)ო და წ(მიდა)ო გ(იორგ)ი უბ(ი)სისა მთ(ა)ვ(ა)რ მოწ(ა)
მ(ე)ო მეოხ და მფ(ა)რველ ექმენ აბ-
აშიძესა ესტატეს და თ(ან)ა მეცხედრ(ეს)ა
მ(ის)სა ნარიობს, (ა)მ(ი)ნ.

8. (ქ. 52). ჯვარი ხისა, $28^1/_2 \times 15$ სმ, შემკული სადაფზე ნაკვეთი ხატებით, დაზიანებული (სადაფი ბევრ ადგილას მოცილებული და დაკარგული აქვს).

4. (ქ. 53). ოდიკი — 2 ცალი (ა. ბ).

5. (ქ. 54). ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $25 \times 11^1/_4$ სმ, შემკული 3 თვლით (აკლია 1 თვალი), ძლიერ დაზიანებული.

6. (ქ. 55). ძველი ფულები:

ა. რომაული, ვერცხლისა 1 ცალი;
ბ. აღმოსავლური ვერცხლისა 1 ცალი;
გ. სხვადასხვა, სპილენძისა — 8 ცალი;
დ. ფარა.

7. (ქ. 56). აყიყი თვლებად, მძივებად და ნატეხებად —13 ცალი;

8. (ქ. 57). ხატიდან დარჩენილი თვლები — 15 ცალი;

9. (ქ. 58). მძივები და სხვა კენჭი, ზოგი ნატეხებად — 90 ცალ.;

10. (ქ. 59). სოფიის კენჭები — 2 ცალი;

11. (ქ. 60). სამაჯური, შემკული მძივებით — 1 ხელი;

12. (ქ. 61). ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, $10^1/_4 \times 8^1/_2$ სმ, ვერცხლის ბუდით, რომელიც ოქროს წყალში არის დაფერილი. აქვს წარწერები:

ა. თვით ხატს უკანა მხარეს ფიცარზე.

| Ი҃Ⱁ Ⱁ҃Ⱁ ꙗ҃Ⱂ Ⱄ҃Ⱂ Ⱀ҃Ⱂ

ანუ: ღ(მერთ)ო, ღ(მერთ)ო შ(ეიწყალ)ე ც(ოდვილ)ი ი(ოან)ე.

ბ. ბუდეს ზურგზე: Ⱁ҃ꙗ҃Ⱂ Ⱀ҃Ⱂ ახუ: უ(ფალო) შ(ეიწყალ)ე ი(ოან)ე.

13. (ქ. 62). სანაწილე კოლოფი სპილენძისა, თავის ხუფით.

14. (ქ. 63-ა). ხატის ფურცლიდან დარჩენილი ნაწილი ა-მეტი, მხედრული წარწერის ნაშთით:

წ(ა)მიდაო: დედოფალო: ღ(ა)მ(ა)რ(ა)თ(ა)ის: მ(ა)შ(ა)ბელო:
ძიწ(ა)ყალ[ე]
და ხო(ა)რ(ა)ცითა როს(ა)ტევან(ა): აბაშიძე: მეუღ(ა)ლე: მისი:
ახაძადა.

ესევე პირნი მოხსენებული არიან ვანის (ხოროგოულის ახლო) და ობჩის ეკლესიის მხატვრობის წარწერებში, XVI ს.

15. (ქ. 63-ბ). ხატიდან დარჩენილი შარავანდედის ნაწილი.

16. (ქ. 32). დაბეჭდილი დავითნი საძი ხელნაწერი ფურცლით, დაზიანებული.

17. (ქ. 31). საგალობლები ბერძნულ ეხაზე, დაწერილი ნოტებზე, დაზიანებული, ბოლოში ფურცლები აკლია.

ხარაგოულის ᲫᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ეკლესია, ერთნავიანი ბაზილიკაა, $11^1/_2 \times 7^1/_2$ არშინი, ნაშენი ყოფილა შირიძის თლილი ქვისა და კირისაგან, ხოლო შემდეგ, დაზიანების გამო, მისი პერანგისათვის სხვა თლილი ქვაც შეუხმარებიათ. კანკელი აქვს ხისა, ნაწილობრივ ჭრილობებიანი (ქარი და სხვ.).

ეკლესიის სამხრეთის მხრივ აღმართული ყოფილა ქვისაგან ნაქანდაკევი საფლავის ძეგლი ქართულ ტანისამოსში გამოწყობილ პირთა (ერთი ოჯახისა); მათ დასცემია ეკლესიის სახურავის წამოქცეული ბოძი და ნაწილობრივ დაულეწია.

მოლითის თემაღმასკომიდან წამოღებული ს ი ძ ვ ე ლ ე:

(ქ. 74). ჯვარი ხისა, 22×12 სმ, შემკული სადაფზე ნაკვეთი ხატებით, დაზიანებული.

ნუნისი

ნუნისის ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლესია სამნავიანი უგუმბათო ბაზილიკაა, ზომით 34 (საკურთხევლის კედლამდე) 24×14 არშინი (დაახლ.); მას სამხრეთით ჰქონია კარიბჭე და დასავლეთით საქალებო, მათგან მხოლოდ საძირკველიღა მოჩანს. ნაშენია კლდისა, შირიმის ქვისა და კირისაგან. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 3, დასავლეთით 2. ჩრდილოეთით 3; თაღი დაბჯენილია ექვს მსხვილ, ჯვარედინ სვეტზე (სისქე $2^1/_2$ არშ.); საკურთხეველს გარეშემო შემორიგებული აქვს საჯდომები (ქედლის ძირზე), კათოლიკონს კი, გადაკეთების გამო, აღარ ეტყობა.

ეკლესია ძველად გუმბათიანი შენობა უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს გვერდის ნავების აღმოსავლეთის ნაწილები, რომლებიც $2^1/_2$ არშინით მაღლა არიან აწეული: გუმბათის ნაწილი მე-17 არშინის შემდეგ იწყობა და მოიცავს 11 არშინს, შემდეგ 6 არშინი საკურთხევლის ნაწილისა არის (17+11+6=34).

ეკლესია დანგრეული ყოფილა და განუახლებიათ 1900-იან წლებში; საკურთხევლის ნაწილი მეტად ყოფილა დანგრეული და განახლების დროს მისი აგებულება თვალსაჩინოდ შეცვლილა, განსაკუთრებით კანკელთან; გუმბათის ადგილი სულ ჩამოჭცეული ყოფილა, აქ თაღი ხელახლა გადაუყვანიათ (ძველი აგებულების, ვარსკვლავის სახელი თაღი ხელუხლებლად შენახულია სამხრეთ ნავში).

ეკლესიაში, სამხრეთ-აღმოსავლეთი სვეტის წინ (აღმოსავლეთით) ყოფილა საფლავი უცნობი პირისა, რომელსაც სდებია მარმარილოს დაფა წარწერით; დღეს ამ დაფიდან მცირედი ნატეხებიღა არის შენახული (წარწერიანი და სახიანი 10 ც., სადა 5 ც., სულ 15 ცალი). მხედრული წარწერიდან ნატეხთა შეერთების შემდეგ შესაძლებელი გახდა ამოკითხვა მხოლოდ შემდეგის

ქ. მოიწი[ა]

ქკ᷾სა უᲘ (408+1312=1720 წ.).

ეკლესიაშივე არის ქვის ნატეხი მაქსიმალური ზომით 15×21 სმ, ასომთავრული წარწერის ნაშთით:

|ᲩᲔ|ᲮᲚᲔᲨᲮᲞᲧᲜᲔ|Ბ|
|ᲥᲔ|ᲐᲩ᷾ᲥᲔ᲻ᲔᲘᲚᲔᲔᲮᲮᲔᲨᲔ
Ჩ᷾ᲩᲘ᲻ᲧᲩ᷾ᲔᲧᲚ᲻ᲧᲨᲘᲨ

იკითხება:

[წა]რსამართ(ე)ბლ(ა)[დ]
[ძეთა] ჩ(ვ)ენთა, აღსაზრდ(ე)ლ(ა)დ
ჩ(ვ)ენი შ(ე)ნდ(ო)ბ(ა)ს ყ(ო)ფდე[თ].

ეკლესიის გარშემო არის ოთხკუთხა გალავნის ნანგრევი, ნაშენი ყოფილა კლდე-რიყის ქვისა და კირისაგან; უკეთ შენახულია სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილები.

ეკლესიის დასავლეთ-სამხრეთი კუთხის გასწვრივ, გალავნის გარეთ, არის ნანგრევი შენობისა; მის მახლობლად (აღმოსავლეთ-სამხრეთით) არის ორი აკლდამა, რომელსაც ადგილობრივ „ეკვტერს“ უწოდებენ; ამ აკლდამებს ჩაქცეული აქვთ დასავლეთი ნაწილი (დანარჩენი კარგად არის შენახული); იგინი თითქმის თაღამდე მიწაში სხედან.

ვანი

ვანის ღვთისმშობლის ეკლესია ორნავიანი (ცენტრალური და ჩრდილოეთი) ბაზილიკაა, ზომით არის 12×9½ არშ., რომელსაც დასავლეთის მხარეს ახალ ხანში მიშენებული აქვს ოთახი. ნაშენია ქვიტკირისაგან, ხურავს კრამიტი. თაღი დაბჯენილია პილონისებურ სვეტზე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს აქვს ყალბი კამარები. ჩრდილოეთ ნავს ადგილობრივ უწოდებენ „ოყაჟოს“; მას ასახელებენ სამონაზონოდ, საქალებოდ; კარი არის სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი აღმოსავლეთით 2, სამხრეთით 1, დასავლეთით 1.

(აღმოსავლეთით და სამხრეთით განხალებულია — გადიდებულია). ტრაპეზი დღეს საკურხეველის შუაშია, სამკვეთლო თახჩაშია, არის კიდევ აქვე ორი სხვა თახჩა.

ეკლესია ძველად მოხატული ყოფილა. 35 წლის წინათ იგი კირით შეულესიათ, გარდა ცენტრალური ნავის თაღის აღმოსავლეთი ნაწილისა; აქ მხატვრობა განუახლებიათ:

ჩრდილოეთის თაღზე — ფერისცვალება და სამხრეთით ხარება. მოხატულ კედელს ზოგ ადგილას კირი არ დაუჭერია, ადგილ-ადგილ აცვენილია და მის ადგილას მხატვრობა ჩანდა. 1925 წ. მე და ადგილობრივმა მასწავლებელმა ნიკ. სახუაძემ კირისაგან გავანთავისუფლეთ რამდენიმე ისტორიული პირის სურათი; ეს არის:

1. სამხრ. კედელზე (ძირა რიგში) დიდებული, ხელებაპყრობილი, დაზიანებული მუხლს ქვევით მარჯვენა მხარეს, ასომთავრული წარწერით: ·ıᒣᑕ᙮ᑕᕼı ᑕᔦᒣᔭᑐ|ᔨᑐ|, ანუ: ივან(ე) აბ(ა)შიძე.

2. დასავლეთის კედელზე (ძირა რიგში). კარის მარჯვნივ, დიდებული, ხელებგაპყრობილი ჩრდილოეთისაკენ, დაზიანებული ძირა ნაწილში, წარწერით: ı·ᔨᑕᗅᒪᕮᑐᕼᑕᕼ ᑕᔦᒣᔭᑐᕼı·,ანუ: როსტევან აბ(ა)შიძვ.

3. როსტევანის მარჯვნივ, სამხრეთის კუთხესთან მანდილოსანი, ჩრდილოეთისკენ ხელებგაპყრობილი, პირისახე დაზიანებული, წარწერით: ·:ᗷ᙮ᑭᗅᑎᖷ:·ᗷᑕᑕ|ᒣ:·ᑕᖷ᙮[ᗷ]ᘓ[ᑕ]|[ᗅᔕ][103], ანუ: მეუღლ(ე) მათი აზმ(ა)ძ[აოს]. როსტევანსვე მარცხენა მკლავქვეშ უდგას ყმაწვილი, ალბათ შვილი მისი.

როსტევანის ზევით მოჩანს ფეხები რომელიღაც დიდებულისა.

გარეთ, დასავლეთი სარკმლის თავზე დევს ქვა, ორი სადა ჯვრის გამოსახულებით და ნუსხური წარწერით.

იკითხება:
ც(ოდვილ)ი
გ(იორგ)ი
ც(ოდვილ)ი
ივ(ანე)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1—3 სტრიქონის ქარაგმები კირით არის გადალესილი.

---

103 როსტევან აბაშიძე თავის მეუღლე აზმადაოსით მოხსენიებული არის აგრეთვე ობჩის ეკლესიის წარწერაში.

ს ი ძ ვ ე ლ ე: ჯვარი ხისა, 171 (ვერცხლის შემკულობამდე 124)× ×81 სმ, რომლის წინა პირიც შემკულია ვერცხლზე ნაჭედი ჯვარცმის, ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის წამების ხატებით, აგრეთვე ყურძნის მტევნისა და ფოთოლთა სახეებით: ვერცხლი დაფერილია ოქროს წყალში. ჯვარს თავზე აქვს ქუდი, შემკული ეგრეთვე. ხატებს წარწერები ასომთავრულად აქვს, გარდა ერთი ადგილისა: ჯვარცმის ქვევით ღვთისმშობელს მხედრულად აწერია:

ქ.ვა: ნაისა: ღამარათიაი
სა: მაშობელი:-
(ე. ი.)
ქ. ვ(ანის)ა ღმრთი-
სა მშობელი.

ჯვარი დაუზიანებიათ 1924 წელს. იგი არის ძველი XVII ს-ისა.

ფარცხნალი

ფარცხნალის „კახორის" წმ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია დგას სოფლის სამხრეთით, $1^1/_2$—2 ვერსის დაშორებით, ტყით შემოსილ მაღალ გორაკზე. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, $10^1/_2 \times 5^1/_2$ არშინი. (დაახლ.), რომელსაც ჩრდილოეთის მხარეს აღმოსავლეთ ნაწილში ძველად შენობა ჰქონია (დღეს მისი მარტო საძირკველი მოჩანს). ნაშენია შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; ხურავს ყავარი, რომელიც ნახევრად დამპალი და აყრილია. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია, აწ იგი ამოშენებულია, სარკმელი აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1, დასავლეთით 1, ტრაპეზი და სამკვეთლო სულ მოშლილია და იატაკიც ნაწილობრივ აყრილია ამ მოკლე ხანში.

ეკლესია შიგნით მოხატულია. მხატვრობა შენახულია ნაწილობრივ. საეკლესიო შინაარსის მხატვრობის გარდა, აქ ისტორიული პირნიც არიან დახატულნი; ამისდა მიხედვით აღწერილი იქნებიან ჯერ საეკლესიო შინაარსის ფრესკები, შემდეგ ისტორიული პირები.

I

საკურთხევლის კონქში დახატულია დეისუსი. მაცხოვარი ზის მდიდრად მორთულ ტახტზე; იგი მარჯვენა ხელით ლოცავს, მარცხენით დაკეცილი წიგნი უჭირავს მუხლზე; მას პირისახე დაზიანებული

აქვს; აწერია ასომთავრულად: [ⵗ]ⵔⵇⵜⵔ, ანუ: ი(ეს)უ ⵃ(რისტ)ე; მაცხოვრის მარჯვნივ ⵆⵔⵆ(ⵁ)ⵏ ⵏⵔⵁ ანუ: დ(ე)დ(აჲ) ღ(თისა)ჲ, მდგომარე ანგელოზით; მის ფეხებთან ⵔⵏⵜⵗⵀⵛⵇⵁⵀⵗ, ანუ: ქერაბიმნი; მაცხოვრის მარცხნივ — ნათლისმცემელი, მდგომარე ანგელოზით, წარწერა დაზიანებულია; მის ფეხებთან: ⵙⵗⵀⵛⵆⵗ|ⵐⵗ|, ანუ: სერაფიმი.

1. რიგში დახატულია მღვდელმთავრები.

სარკმლის მარჯვნივ ⵒⵔⵁⵏⵔⵗ ⵁⵔⵜⵀⵁⵙⵔⵏⵜⵗ, ანუ: წ(მდა)ჲ ი(ოან)ე ოქროპირი; გრაგნილზე უწერია: ⵁⵔⵁ ⵏⵔⵁⵏⵔⵀⵁ|ⵀⵔ ⵅⵗⵇⵗ, ანუ: უ(ფალ)ო ღ(მერთ)ო ჩ(ვენ)ო რ(ომელმა)ნ ზეცი...

ოქროპირის მარჯვნივ: ⵒⵔⵁⵏ ⵟⵀⵟⵅⵔⵗ, ⵏⵗⵙ: ⵐⵇⵅⵅⵗ, ანუ:

წ(მიდა)ჲ გრ(ი)გ(ო)ლი ღ(ვთ)ის მ(ე)ტყ(ვე)ლი. გრაგნილზე უწერია: ⵛⵆⵗ|ⵅⵅⵔ'ⵀⵗⵍ|ⵇⵆⵀⵗ|, ანუ: დაიკვლის ტარი.

გრიგოლის მარჯვნივ: ⵒⵔⵁ|ⵙ|ⵇⵚⵆⵀⵗ|', ანუ: წ(მიდა)ჲ სტ(ე)ფანე.

სარკმლის მარცხნივ ორი მღვდელმთავარი და მესამე არქიდიაკონი, დაზიანებული წარწერებით.

მღვდელმთავარ არქიდიაკონებში სტეფანეს გარდა ყველანი კარგად არიან შენახული.

სარკმლის ქვეშ იესო საფლავში წარწერით I ⵔX ⵔC.

შუა ეკლესია. აღმოსავლეთი პილიასტრი; კამარაზე: ჩრდილოეთის მხარეს |ⵒⵒ ⵛⵆ|ⵟⵛⵔ], ანუ: წ(ინას)წ(არმეტყველი) დავთ; მას მარჯვენაში გრაგნილი უჭირავს, მარცხენა გაპყრობილი აქვს. სამხრეთის მხარეს ხატი დაზიანებულია (თავისა, მხრების და წარწერის ადგილი შეთხუპნულია კირით); აქ სოლომონი უნდა იყოს, მოჩანს წარწერის პირველი ასოები. კედლებზე: ჩრდილოეთით, დავით წინასწარმეტყველი ქვეშ. --ⵒⵔⵁ ⵀⵗⵀ|ⵁ], ანუ: წ(მიდა)ჲ ნინო: მას წელის ნაწილი დაზიანებული აქვს; სამხრეთით ვინმე ქალწულმოწამე, ჯვრით ხელში, დაზიანებული; უკანასკნელის უკან (დასავლეთით) ვინმე წმიდანი. დაზიანებული.

სამხრეთით და ჩრდილოეთით კედლების მაღლითა რიგის მხატვრობა ძლიერ არის დაზიანებული; აქ ნაწილობრივ შენახულია მხოლოდ ერთი ადგილი: ჩრდილოეთის კედელზე დასავლეთის კუთხესთან არის ნაშთი წმ. გიორგის ხატისა; წმ. გიორგი ზის ცხენზე და ხელში შუბი უჭირავს.

დასავლეთის კედელზე მაღლითა რიგში დახატულია 𒀀𒋗𒆷𒄑-𒌅𒁍, ანუ: მიგებ(ე)ბა; იგი კარგად არის შენახული.

II

ისტორიული პირები დახატული არიან ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის კედლების ძირა რიგში.

ჩრდილოეთის კედელზე[104]: 1. საკურთხეველთან ახლოს, წმ. ნინოს აღმოსავლეთით არის ნაშთი დიდებულისა; შენახულია მისი მარტო მარჯვენა მხარი, წელი და ტანისამოსი ნაწილობრივ.

2. წმ. ნინოს დასავლეთით დიდებული, აღმოსავლეთისკენ ხელებგაპყრობილი წარწერით: 𒀀-𒋗𒀀𒊭𒁍-𒄿𒋢𒋗, ანუ: დემ(ე)ტრ(ე) ა(ბა)შიძე (?).

3. დემეტრეს დასავლეთით დიდებული, მგონი მისი ძე წარწერით ...𒀀𒊭𒋗|[ტ]𒀭𒊭𒀊𒀀:.|, ანუ: [ძე] მათი როსტომ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მე-2 და მე-3 ნომრებით აღწერილი ფრესკები შემორჩენილია მხოლოდ წელს ზევით.

4. როსტომის დასავლეთით ვინმე დიდებული, დაზიანებული მარცხენა მხარს ქვევით.

5. მე-4 ნომრით აღწერილის დასავლეთით (პილიასტრზე) მამაკაცი, ხელებაპყრობილი, დაზიანებული, წარწერით:.:.𒀀-𒋗[𒅆𒄑]𒋗ı.𒋗𒋗 ანუ: მე[ზვრ]ე გოგი.

სამხრეთის კედელზე: 1. საკურთხეველთან ახლოს არის ნაშთი ორი ფრესკისა: შენახულია მათი წელს ქვევითი ნაწილები.

2. კარის დასავლეთით მოჩანს ტანისამოსის ნაწილი რომელიმე პირისა.

3. კუნჭულთან ახლოს დახატულია ვინმე დიდებული, რომელსაც მარცხენა ხელში გრაგნილი უჭირავს, მარჯვენა დაზიანებული აქვს ნაწილობრივ, წარწერის ნაშთით

𒌦 ... 𒁍𒋗|𒄑 ... [𒋗𒁀𒄭]|...|,

ანუ დგა .ეყავ

---

104 ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლების მხატვრობა აღწერილია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

დასავლეთის კედელზე (აქ ყველა ფრესკა კარგადაა შენახული): I. კარის მარჯვნივ დახატულია სამი პირი; მათგან ორი, მარჯვნივ მდგომი, შუა ხნისანი არიან, მესამე ჭაბუკია. აწერიათ: პირველს.: ·ᲛᲔᲨ|ᲥᲮᲘᲨ|ᲧᲐᲜ·|, ანუ: მამ(ის)თ(ვა)ლი (?) ჩ(უ)მ(ი)შ(ი)ძე (?); მეორეს: ᲛᲔᲨ|ᲡᲥᲬ·|ᲤᲚᲔᲛ|ᲮᲐᲧᲮ·|, ანუ მამ(ი)სთ(ვა)ლი) (?) ფოცხვ(ე)რ(ა)შ(ვი)ლ(ი); მესამეს: ·ᲘᲔᲛᲔ·Ო[Ხ]Ꭻ|ᲢᲧᲔᲖᲘ, ანუ: ტატი უ[ზ](უ)ბ(ე)გ(ი)შ(ვი)ლი (?).

2. კარის თავზე ყოფილა წარწერა სამ სტრიქონად შენახულია ნაწილობრივ:

[ᲮᲝᲘ|ᲢᲚᲘᲔ᲋ᲐᲮ]
ᲧᲠᲣᲪ᲋ᲘᲡ Ი[ᲐᲰ] ᲯᲠᲐᲭᲚᲔᲮ:

იკითხება:

'შეუ(ნ)დ(ო)ს ღმ(ერ)თმ(ა)ნ რიძესა.

3. კარის მარცხნივ დახატულია ხუთი პირი, ყველა ხელებაპყრობილი; კარებთან პირველს მარჯვნივ აქვს წარწერა: ·ᲘᲩᲬᲙᲢ|ᲮᲑᲜ:· ᲮᲪᲐ|ᲘᲨᲐᲠ|, ანუ: ნიკოლ(ო)ზი ჩ(უ)მიშ(ი)ძე[105].

ეკლესიაში გდია ქვის სვეტი, რომელიც სანთლების ასანთებად ჰქონიათ.

ეკლესიის სიძველენი განადგურებულია 1923 წელს. აქედან წაუღიათ. ერთი ძლიერ დიდი ხის ჯვარი და მეორე მცირე; უკანასკნელი ზომით ყოფილა 2×1¼ არშინი (დაახლ.), მას ჰქონია ვერცხლის შეჰედილობა, რომელიც აუყრიათ; მისი ნაშთი ჩატანილია ქუთაისის მუზეუმში.

---

[105] მასწავლებელ ნ. სახუაძის ცნობით, ჩუმბუიძეთა გვარი დღესაც არის.

ვარძიის ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ეკლესია (სურ. 21, 22) სამნავიანი გუმბათიანი ბაზილიკაა, 14×10 არშინი, რომელსაც დასავლეთით მიშენებული აქვს საქალებო. ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან. შიგნით კირით არის გალესილი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი გუმბათს —7, ძირა ნაწილს აღმოსავლეთით —3, სამხრეთით —1, დასავლეთით —1, ჩრდილოეთით —1; სალაროში არის მაღლა სამალავში ასასვლელი ერდო.

ეკლესია განახლებულია, მისთვის პერანგი ამოუშენებიათ 1863 წ., რასაც გვამცნობს წარწერა (მხედრული) სამხრეთის სარკმლის თავზე. (სურ. 23).

ს ი ძ ვ ე ლ ე[106]:

1. კარედი ხატი, წოდებული „დედა ღვთისა"დ, $67^{3}/_{4}$×50 (გაშლით 104); იგი შეიცავს ვერცხლზე ნაჭედ ხატებს ღვთისმშობლისა (შუა ნაწილში) და მთავარანგელოზებისა (კარებზე), დაფერილთ ოქროს წყალში და შემკულთ სახეებით და მინანქრებით. მარჯვენა კარი დაზიანებულია (ზევითა მინანქრიანი ფურცლის ერთი ნაწილი აგლეჯილია და დაკარგული). ღვთისმშობლის ხატს ქვედა აშიაზე აქვს წარწერა:

მომიხსენე დედაო ღ(მრთ)ის(ა) სასუფეველსა შენსა მონა შენ-
ი. არხიმანდრიტი ბერძნისა ივანიკოს, შემამკობელ-
ი. ხატისა შენისა, ჩყნბ (1852), მარტის თვესა.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის გასწვრივ დგას თლილი ქვისა და კირისაგან ნაშენი ორსართულიანი სამრეკლო, რომელსაც სურო აქვს შემოხვეული. მისი ძირა სართული უწინ ეკლესია ყოფილა.

სამრეკლოს ძირა სართულის კარის (აღმოსავლეთით) ზევით არის ქვა, მხედრული წარწერით (ქვის გულში ჯვარია გამოსახული):

ქ. ესე სამარკლ[ო] (sic) ავ(ა)-
გე მი- მსი(?) ჩერგეზმა
ჩემისა სულისათ[ვი]ს, ამინ.
ამის ქვა ბრით(ი)დაომ მომიტანია.

---

[106] როგორც ადგილობრივ გადმომცეს, ეკლესიის სიძველეთაგან ტფილისის უნივერსიტეტის მუზეუმში გადატანილი არის ჯვარი, წოდებული „ღვთისმშობლისად", შეჭედილი ვერცხლით, დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 37 თვლით.

ხსენებული ქვის ქვევით არის სხვა ქვა წარწერით:

ქ: ვინათგან ყოველისა კეთილისა მიზეზი ქრისტე არს,
ამის მგონებამან და მინდობილმან.

2. ღ(ვ)თის(ა)მან და ყოველთა კაცთა უცოდველესმან,
საქართველოს ნათლისმცემლის უდაბნოს
3. მამა ყოფილმან და მეტრმეთ ამ ვარძიის მონასტრის
წინამძღვარმან, ლიხთ და იმერთ მეფის ძის
4. ბატონის ბატონისშვილის კარის არქიმანდრიტმა
ყიფიანმა ნიკოლოზ ოდესც ვიხილე
5. სამრეკლო ესე დარღვეული და სრულიად შემუს-
რვად მიწევნული, მსწრაფლ დიდის გულს-
6. მოდგინებით ვიძიე ქართლსა და იმერეთს გალატო-
ზისა ამის შოვნად, მაგრამ ისე მსწრაფლ
7. ვერსად ვპოე ამ სამრეკლოს მეორედ გაკეთების შემძლე-
ბელი გალატოზი. მერმეთ ძალითა
8. ღ(ვ)თისათა და შეწევნითა ყოველად წმინდისა ღ(ვ)თისმშო-
ბელ(ი)სა მარიამისათა თვით ვიწყ(ე) მე არხიმან-
9. დრიტმან ნიკ(ოლო)ზ ხელითა ჩემითა შენებად ამისა,
სადღეგრძელად და მუდამ გასამარჯვებლად ბედნიე-
10. რის ხელმწიფის მეფის სოლომონისა და ძისა მისისა
ალექსანდრესთვის, და მერმეთ აღმომკითხველისა
11. ამისგან შენდობის საბრძანებლად სულითა ჩემთათვის
და ვინც წყალობა ჰყოთ და ჩემთვის შენდო-
12. ბა ბძანოთ თქვენც ღ(მერ)თმან შეგინდოსთ ქრისტეს
საყვარელნო ძმანო. დასაბამითგან
(7. 285—5508 = 1777 წ.)
13. ჴსპე (ქრისტეს: აქეთ ჩღოზ (1777 წ.) სეკდემბრის
ბ. (2): ქ(რონი)კ(ონ)სა უჲე(465 + 1312 = 1777 წ. კ(ათალი-
კო)ზი (ნიკოლოზ).

ტაბაკინი

ტაბაკინის მონასტერი დგას სოფლის სამხრეთით, $1^1/_2$ ვერსის დაშორებით, აჯამურის პირას, პატარა გორაკზე.

ტაბაკინის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესია (სურ. 24). ორნავიანი შაზილიკაა, რომელსაც სამხრეთით აქვს სამწირველო[9]; სი-

გრძით არის 17 არშინი, სიგანით ორი ნავი 11½ არშინი სამწირველოთიე 16 არშინი; მთავარ ნავს ქვეშ არის საძვალე (აკლდამა), რომელსაც შესავალი აქვს აღმოსავლეთის მხრივ. სამწირველო (?) ორგანიულად დაკავშირებული არის მთავარ ნავთან, იგი (სამწირველო) შეკეთებულია შემდეგ ხანში, მისი სამხრეთი კედლის გარეთა პირი ახლად ამოუშენებიათ, ალბათ ამავე დროს ამოაგეს მისი დასავლეთი კარი.

ეკლესია და მისი ნაწილები ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან; მთავარი ნავი დახურულია კრამიტით, დანარჩენი ნაწილები კი, რომლებსაც ყავარი ჰფარებია, დღეს ყავარახდილია. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით; ტრაპეზი საკურთხეველის შუაში არის გამართული.

1925 წ. აგვისტოში ძეგლი დაუზიანებიათ ვინმე ბოროტმოქმედთ: ჩრდილოეთის და სამხრეთის ნაწილის სახურავებისათვის მოუხდიათ ყავარი, გამოუძვრიათ ორი სამსაჟენიანი ურთხელის ბოძი (ჩრდილოეთის ნაწილიდან), წაუღიათ ორი კარი და სხვ.

ეკლესიას გარეთ, სამწირველოს (?) სამხრეთის კარ-ს თავზე, აქვს ქვა წარწერით:

[ქ. მოიხსენე] უფალო არჩილის ძე მეფე

სოლომონ ა(მი)ნ.

შიგნით ეკლესიის ორივე ნავი მოხატულია. ბოროტმოქმედთ მხატვრობაც განგებ დაუზიანებიათ: მათ თვალები დაუთხრიათ სამხრეთის კედელზე მთავარ ნავთან), საკურთხეველთან ახლოს, ძირა რიგში დახატული ჩვილედი ღვთისმშობლის, კოსტანტინე და ელენესი და ჩრდილოეთის კედლის დანიელისა და სხვათა ხატებისათვის; კედლების ძირი სავსეა მხატვრობიანი ნაგრევით.

საკურთხევლის კონქში დახატულია დეისუსი; მაცხოვარი ზის მდიდრად მორთულ ტახტზე და სხვ.

სასულიერო შინაარსის მხატვრობის გარდა ეკლესიაში სხვა პირნიც არიან დახატულნი.

სამხრეთის კარის თავზე (შიგნით) დახატულია მღვდელმთავარი (წელს ქვევითამდე), გამოწყობილი საეკლესიო-სამღვდელმთავრო ტანისამოსში; მას მარცხენა ხელში ერთნავიანი ეკლესიის მოდელი უჭირავს, ხოლო მარჯვენით აკურთხებს. მარჯვნივ და მარცხნივ აქვს წარწერა:

:ⴰⵔⵜⵔ:

ⵜⵔⴰⵣⵓ

ⵣⵓ:ⵍⵣⵓⴰⵜ

ⵍⵣⵓ:ⵣⵓⵓⵏⵔ

ⵓⴻⵛⵜⵣ:ⴰ

ⵔⵛⵍⵜⵣⵓⵔ:ⵣⵔ

ⴽⴰⵛⵔⵜⵣⵍⵓⵔ:ⴱⵔ

:ⵣⵔⴰⵣⵍ:ⵣⵔⵢⴰⵍⵔⵛⵍⵓⵔ:

ⵣⵔⴰⴽⵏⵛⵍⴽⴰⵛⵍ:—

ⵣⵔⴰⵓⵉⵜⵍⴽⴰⵛⵍ:

:ⵔⴱⵜⵔⵢⵍⵏⵍ:

ⵜⵍⵜⵔⵉⵍⵇ

ⵏⵜⵍⵜⵔ:

ⵜⵔⴰⵓⴰⵔⴰⵍⵛ

ⵜⵔ:ⵍⵍⵜⵔ

ⵓⵏⵜⵍ:ⴰⵔⴰⵓ

ⵣⵔⵜⵔⵏⵍ:

ⵜⵍⵓⵏⵣ:

ⵢⵍⴰⵓⵏⵣⴰ

ⵓ:ⴱⵜⵍⵜ

ⵔⵜⵍⵏ::ⵣⵔ

ⴽⵏⵜⵔⵍⵛ

ⵚⵏⵡ:—

იკითხება:[107]:

აქა
წმიდ-
ის გიორ-
გის მონა-
5. სტერი ძ-
ლევისა და
ყოლადწმიდისა ღ
მთის მშობლისა
დაკნილებული (sic)
10. და ოხრებული
აღვაშენე
მე ჩხეტ
იძემა
ქუთათელ-
15. მა გერა
სიმე ცო-
დვანი
მისნი
შეუნდო-
20. ს ღმერ-
თმა,
ამინ და
კირიალ
ესო (sic).

მის-
თა
დედა
მამათა
და მისთა
30. მიცვალ-
ებუ(ლ)სა (?)
შეუ(ნ)დოს
ღ(მერთმა)ნ, ამინ.

1. ჩრდილოეთის ნავის, ანუ სამხრეთის ჩრდილო კედელზე, სამკვეთლოს (?) დასავლეთი კარის მახლობლად, დახატულია პირი, დაზიანებული წარწერით:

---

[107] წარწერა „ა"-მეტია. მხედრულ ტრანსკრიფციაში ის გამოეტოვეთ.



იკითხება:
ქუთათელს ძმ(ასა)
ჩ(უენ)სა სიმონს შეუნდ-
ოს ღმერთმ(ა)ნ,
ამ(ი)ნ.

2. პირველის დასავლეთით — ვინმე დიდებული, ძლიერ დაზიანებული.

3. მეორეს დასავლეთით დიდებული:



იკითხება:
აქა გა-
მრეკელი
შეუ(ნ)დოს ღ(მერთმა)ნ,
ამინ.

4. მესამის დასავლეთით — დიდებული:



იკითხება:
. . მათი
ვახტაგა

. მეოთხის დასავლეთით — დიდებული:



იკითხება:
აქა ავ-
თანდილ, შე-
უნდოს ღ(მერთმა)ნ.

6. მეხუთის დასავლეთით — დიდებული:



იკითხება:
აქა
ნავრ-
უზ შ-
[ეუნდოს]
5. [ღ(მერთმა)ნ].

იქვე, დასავლეთის კედელზე დახატულია დიდებული (მთელი ტანით), რომელსაც მარცხენა ხელში უჭირავს იმგვარივე ეკლესიის მოდელი, როგორიც სამხრეთის კარის თავზე დახატულს, ხოლო მარჯვენა ხელი გაპყრობილი აქვს; იგი დაზიანებულია. ეკლესიის გეგმის ქვეშ აწერია:



იკითხება:
სულ კურთხეულს
ბ[ე]ს.. შეუნდნეს
ღმერთ(მ)ა, ამ(ი)ნ.

1925 წელსვე ბოროტმოქმედთ გადმოუგდიათ ხის კანკელი, ფიცარზე ნახატი მხატვრობით, XVIII ს. და დაუმტვრევ-დაულეწიათ.

ეკლესიაში ყოფილა სიძველეები; ადგილობრივ პირთა ცნობით ერთ ხატზე ყოფილა წარწერა: „ესე ხატი შორაპნის ციხეში ენახე თათრებისგან წაღებული და მოვიტანეო". შესაძლებელია ეს იყოს ჩემ მიერ ზესტაფონის აღმასკომიდან წამოღებული სიძველე.

ეკლესიის ჩრდილოეთით არის ორსართულიანი სამრეკლო (სურ. 25), ქვიტკირისა, მისთვის სახურავიდან კრამიტი მოუხდიათ.

ბორი

ბორის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, 8½5 არშინი. ნაშენი კლდის ქვისა და კირისაგან; შიგნით და გარეთ გალესილია კირით; სახურავი ფიცრისა აქვს, ხურავს ყავარი; ჩრდილოეთ კედელს სურო ახვევია. ეკლესია დარღვეული ყოფილა და ამ მოკლე ხანში (1925 წ.) შეუკეთებიათ. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. ტრაპეზი კედელზე არის მიდგმული, სამკვეთლო კუთხეშია გამართული. აღმოსავლეთის სარკმელი შემდეგ ხანში უნდა იყოს გადაკეთებული.

ეკლესია მოხატული ყოფილა. მხატვრობა შენახულია მარტო აღმოსავლეთ კედელზე: დიდ სარკმლის თავზე და მარცხნივ (სამხრეთით); სარკმლის მაღლითა მხატვრობა ძლიერ დაზიანებულია: მოჩანს მარტო ტანისამოსი, ვგონებ ღვთისმშობლისა და სხვა პირისა, ხოლო სარკმლის მარცხნივ შენახულია მღვდელმთავრის სახე მხრებამდე; დანარჩენ ადგილებში მხატვრობა აღარ არის.

ბორის წ მ. გ ე ო რ გ ი ს ეკლესიის სიძველე, წამოღებული კიცხის თემაღმასკომიდან

1. (ქ. 64). გულსაკიდი სანაწილე, 4¼×2¼ სმ, შემკული 8 თვლით (აკლია 2 თვალი); მას აქვს ვერცხლის ძეწკვი ზომით 126 სმ; სანაწილე ზის ახალ ვერცხლის ბუდეში, რომელსაც აქვს წარწერა:

ჩშიზ (1917) წელსა იანვრის ა (1) დღესა
შესწირა ს. ზ. მაჭავარიანძა.

კიცხი

კიცხის ეკლესიის ეტრატზე ხუცურად ნაწერი ოთხთავი დაუხვეია ბოროტმოქმედს 1924 წელს, ეკლესიის გამობარგების დროს. მისი ერთი ფურცელი დაცულია ადგილობრივ სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მუზეუმში.

აქვეა: სიგელი 1, სიგელის პირი 2; XVIII—XIX სს.

ილემი

„ილმის“ შემოქმედის წმ. გიორგის ეკლესია სამხროებიანი ბაზილიკაა, 11×8 არშინი (დაახლ.); თაღი დაბჯენილია ოთხ სვეტზე და ოთხ ნახევარსვეტზე. ნაშენია თლილი მოთეთრო ფერის ქვისა და კირისაგან; მისი დასავლეთის კედელი გადაკეთებული არის 1899 წელს, როდესაც ეკლესიისათვის გაფართოების მიზნით დასავლეთით შენობა მიუმატებიათ; ძველი ეკლესია საკურთხეველად გაუხდიათ, მიშენებული ნაწილი კი შუა ეკლესიად; ამავე დროს ტრაპეზი და სამკვეთლოც ახალი გაუმართავთ (ძველი ტრაპეზიც ისევ არის, იგი კედელზეა მიდგმული).

ეკლესია მოხატულია. წარწერები მხატვრობას ასომთავრულად აქვს, საკურთხეველის კონქში დახატულია მაცხოვარი, მჯდომარე მდიდარად მორთულ ტახტზე, იგი მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენით წიგნი უპირავს გაშლილი მუხლზე. მაცხოვრის მარჯვნით დგას ღვთისმშობელი ანგელოზით, მარცხნივ წმ. თალელისმცემელი ანგელოზითვე.

1 რიგში დახატულია ზიარება; მაცხოვარი დგას შუაში, მარჯვნივ მისკენ მოქცეულია 6 მოციქული, მარცხნივ 5.

2 რიგში — მღვდელმთავრები; საკურთხეველში სარკმლის მარჯვნივ 3, მარცხნივ 2, სამკვეთლო — სალაროშიაც რამდენიმე.

საკურთხეველში სარკმლის ძირს არის წარწერა:

ⴆⴑⴂⴕⴆⴗ:·ⴆⴑ ⴘⴂⴗⴒ⁻ⴑ:·ⴒⴑⴑⴀⴂⴂⴑ·
ⴘⴘ ⴆⴑⴂⴗⴑ·[ⴑⴀⴒⴓ]ⴀⴂⴆⴑ:·ⴊⴁ⁻ⴆⴑⴗ
ⴑ:· ⴗⴁ⁻ⴐⴆⴑⴗⴑ:—

იკითხება:

დაიკ[ვ]ლის და შეიწ(ირვი)ს ტარიგი
ძე მა(მ)ისა, [ამხ]მელი ყო(ვ)ლის_
ა სოფლისა[108].

წარწერის ძირს უნდა ყოფილიყო დახატული ტარიგი, მაგრამ დაზიანების გამო აღარ მოჩანს.

ტრაპეზიც მოხატული ყოფილა.

თაღს მარტო ჩრდილოეთის ნაწილში შერჩენია მხატვრობა; აქ არის შობა ქრისტესი.

1 რიგში, ჩრდილოეთის კედელზე — ჯვარცმა და რომელიმე დაზიანებული ხატი.

სამხრეთით ლაზარეს აღდგინება და რომელიმე დაზიანებული ხატი.

2 რიგში, ორივე კედლებზე და ნაწილობრივ სვეტებზედაც — წმიდანები.

საეკლესიო მხატვრობის გარდა ეკლესიაში არის საერო პირთა გამოსახულებებიც.

სამხრეთის კედელზე და ოთხივე სვეტზე ნაწილობრივ გამოსახული არიან დიდებულნი.

1. სამხრეთის კედლის დასავლეთ ნაწილში მოთავსებული ფრესკები უმეტეს ნაწილად დაზიანებულია. აღმოსავლეთ ნაწილში ამაეე კედელზე მოჩანს (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით):

ა. უცნობი დიდებულის სახე;

ბ. უცნობი დიდებული, დაზიანებული წარწერით: ⵗⵔ-ⴹⵛ, ანუ: მატია;

გ. უცნობი დიდებული;

დ. უცნობი დიდებული, ჯვრით ხელში;

ე. აღმოსავლეთის კედელთან: ⵢⵖ-ⵇⵢⵖ, ანუ: შიოში, ესეც ჯვრით ხელში.

ვ. აღმოსავლეთის კედელზე: ·:ⵣⵇⵗⵔⵀⵖ·. ანუ: ლომინი.

---

[108] ტექსტი ამოღებულია საღვთო წერილიდან და სიტყვა ⵛⵗⵥⵗⵚⵣⵖ-ს შემდეგ აკლია სიტყვა: ⵍⵇⵣⵞⵔⵇⵛ.

ზ. გამოწეული კედლის (ნახევარ სვეტის?) სამხრეთის მხარეს:

:.ᵹᵕᒡᒥᑫᐊᐧᐦᐣ:. ანუ: მამუყი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამოსახულებები: დ-ზ .შენახულია წელს ზევით.

II სვეტებზე:

1. სამხრეთის მხარის აღმოსავლეთი სვეტის სამხრეთ კედელზე ხელაპყრობილი:

:.ᔑᒡᕼᑫᐱᒥᑕᵕᒣ ანუ. ჭაკოტაძე
ᖳᘁᑫᑕᕼᖳ:• გიორგი

2. ამავე მხარის დასავლეთი სვეტის სამხრეთისავე მხარეს ხელგაპყრობილი აღმოსავლეთისკენ:

ᑫ.ᑕᒣ.. ანუ: თ[ა]მ(არ)ი(?)

შესაძლებელია ეს იყო თამარი, მეუღლე ზემოხსენებული გიორგი ჭაკოტაძისა, რომელიც იკითხება ქვემოთ მოყვანილ წარწერაში.

3. ამავე სვეტის დასავლეთის მხარეს, ახალგაზრდა:

ანუ:

ᑕᘁᑐᵕᑕ ძემა
ᑫᘁ ᑕᵕᕼ . თი ან
ᑕ ა

4. ამავე მხარის აღმოსავლეთი სვეტის დასავლეთ მხარეს დიდებული:

.ᑦᗺᑕᵕᑭᑫᘁ ანუ: დავ(ი)თი

5. ამავე მხარის დასავლეთი სვეტის აღმოსავლეთ მხარეს, ასული დიდებულისა:

ᐐᑕᵕᖽ ანუ: შ[ა]ზ (?)

ამის ზევით სვეტისთავის ქვაზე არის წარწერა:

:.ᖳᘁᑫᑕᕼᑕᑎᔑᑕᕼᑭᑫᑕᑕᕼᘁᒪᑕ:. ᔐᘁᐱᕼᗺ
ᔑᑫᑕᘁᑭᑫᑕᑕ:.ᕼᘁᑫᐱᖽᘁᒪᑕᕼᘁᒪᑕ.:ᑫᑕᕼᑕᵕᔑᒪᑦ:.
ᔐᘁᐱᕼᗺᑫᑕᘁᑕᘁᑭᑫᑕᑕ, ᑕᕼᘁᵕᕼ..

იკითხება:

გიორგასა ჰაკვ(ე)თაძესა შეუნდ-
ოს ღ(მ)ერთმა, მეუღლესა მის(ს)ა თამარს
შეუნდოს ღმერთმა. ამინ.

6. ჩრდილოეთის მხარის დასავლეთის სვეტის აღმოსავლეთ მხარეს დიდებული, ხელებაპყრობილი:



ანუ: შიოში.

ეკლესიის აღმოსავლეთის სარკმლის თავზე მდებარე მარცხენა ქვას აქვს ნუსხური წარწერა:



იკითხება:

[ა]მ(ი)სა მა[შ]-
ენებ(ე)ლს(ა)
ი(ოან)ეს ხუც(ე)ს(ს) (?)
5. [ს] ღ(მერთმა)ნ,
შ(ე)უ(ნ)დო-
[ა](მი)ნ.

როგორც წარწერებიდან ჩანს ეკლესიის აღმშენებელი არის იოანე ხუცესი, ხოლო გიორგი ჰაკოტაძე იგივე გიორგი ჰაკვეთაძე. შესაძლოა იყოს დამხატვინებელი მისი.

ქ. ზესტაფონის აღმასკომის სალაროდან და საწყობიდან წამოღებული.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 75). კარედი ხატი, 35×23 სმ, რომელსაც გულში აქვს დაბალი ვერცხლზე ნაჭედი ხატი მაცხოვრისა და ორი წმიდანისა, კარებზე მთავარანგელოზებისა, შემკული 52 თვლით; ხატს გარედან შემოკრული აქვს სადა ლითონის ფურცელი; აქვს წარწერა ზურგზე, რომელიც იხსენიებს მოდიო ბასიო ოსაძეს — 1823 წ.

2. (ქ. 76). ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 35×28 სმ, შემკული 13 დიდ-პატარა თვლით, გაკეთებული მხატვრის ვერულაშვილის მიერ. ხატს გვერდებზე და უკანა მხარეს შემოკრული აქვს ვერცხლის სადა ფურცელი; უკანა მხარესვე აქვს მცირე კარი, ვერცხლის ბოქლომით; რგოლზე ჰკიდია ვერცხლისავე გასაღები.

3. (ქ. 77). ვერცხლზე ნაჭედი ხატი ქრისტეს ამაღლებისა და ჯვარცმისა, 39×30½ სმ. დაფერილი ოქროს წყალში და შემკული 106 დიდ-პატარა თვლით (მათგან 15 თვალი ერთ წრეშია) და მარგალიტის მძივებით (მარგალიტი აკლია). წინა მხარეს აქვს დაცალიერებული სანაწილე კოლოფები ორი თავის სახურავებით. უკანა მხარეს გადაკრული აქვს ვერცხლის ფურცელი, დაფერილი ოქროს წყალში, რომელზედაც არის მხედრული წარწერა:

1. ბძანებითა:. ღმთისათა:. ძალითა:. და:. შეწევნითა:. ხატისა:. ამ
2. აღლებისათა:. მე:. ჩხეიძემ:. ბოქ(ა)ულთ:. უხუცესმა:. ბატო
3. ნმა:. თაიმურაზ:. ჟამთ:. გამოცულილობით:. ძველთაგან:. ჩუენ
4. ის:. სახლის:. დანაკარგი:. შორაპნის:. ციხე:. და:. ქალაქი:.
5. მეფის:. ბ
6. აგრატის:. ბ
7. რძანებითა:.
8. ძალად: ჩ–
9. ემის:. ჯარ-
10. მლით:. დავ
11. იჭირე:. რად-
12. გან... ჩემ-
13. ა:. მოწყა
14. ლემ:. ეგ
15. დენი:. ჯელ-
16. ი:. მომიმ-
17. ართა:. ვიგ-
18. ულე:. და:.
19. ვიგულს:..
20. :. მოდგინე
21. თ ჩუენ:.
22. ფრიად:. ც
23. დვილმა:.
24. და:. ყოვე-
25. ლთა:. კაც-

26. თა:. უცოდ-

27. ვილესმა:.

28. მე:. თაიმურ-

29. აზ:. და:. თა-

30. ნა:. მეცხე-

31. დრემა:. ჩემ-

32. ა:. ჩხეიძის

33. :. ასულმა

34. ბატონმა:.

35. თამარ.: ძ

36. ძველთაგან თათართა:. მიერ:. დალეწილი:. ხატი

37. ესე:. ამაღლებისა:. შევამკევით:. მურასთ:. თვალი

38. თა:. და:. მარგალიტითა:. ჩ}აჭვუ(ე)ნად:. საღეგრძელოთ

39. ძეთა:. და:. ასულთა:. ჩვ(ა)ენთა:. აღსაზრდელათ:. და:. ც(რ)დვა-

40. თა:. ჩვ(ა)ენთა:. საოხად:. დღეს:. მას:. საშინელსა:. განკითხვისას ჩ(ე)მსა, ამ(ი)ნ.

41. ქ(რისტ)ეს ტოდ (374+ 1312=1686 წ.).

როგორც წარწერიდან ჩანს, ხატი განუახლებია 1686 წელს თაიმურაზ ჩხეიძეს.

4. (ქ. 78). ფიცარზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, $40^1/_2 \times 33^1/_2$ სმ, შემკული ვერცხლის აშიებით და შარაავანდედით. უკანა მხარეს ხატს გადაკრული აქვს ვერცხლის ფურცელი, ასომთავრული წარწერით. ფურცლის გულში არის გამოჭრილი სანაწილე, ვერცხლისავე კარით და ბოქლომით.

წარწერა:



ქ. ეჰა, შ(ე)ნ შვ(ი)დ წილ უძლევ(ე)ლო ახოვ(ა)ნო მხედა-
რო ქ(რისტე)ს მ(ეუ)ფისაო, დიდო მოწ(ა)მ(ე)ო გ(იორგ)ი,
ჩ(ვე)ნ, მოსავ-
მ(ა)ნ და მ(ი)ნდობილმ(ა)ნ ძ(ა)ლისა შ(ენ)ის(ა)მ(ა)ნ,
დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლთ დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლ-
მ(ა)ნ, დ(ა)დიანის ას(ულ)მ(ა)ნ მარიამ მ(ო)გიძღვ(ე)ნი მც(ი)რე
და კნინი ესე სამკ(აუ)ლი დღეთა და ჟ(ა)მთა ჩ(ვე)ნთა გ(ა)ნსა-
მრავლ(ე)ბელად და ს(უ)ლთა ჩ(ვე)ნთა საოხად და გ(ა)ნ-
საძლიერ(ე)ბლად მეფ(ე)თ მ(ე)ფისა სოლომონისთ(ვი)-
ს, პირმშ(ო)სა და სასურველისა ძისა ჩ(ვე)ნი-
სა ალექსანდრ(ე)სსა და ასულთა ჩ(ვე)ნთა, სა-
ცხოვრებლად. დასაბამითგან
ჯსპბ (7282—5508 = 1774 წ.), ქ(რისტე)ს აქეთ
ჩღოდ (1774 წ.).

5. (ქ. 79). ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $32^1/_2 \times 26$ სმ, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი, შემკული 20 თვლით და წარწერით აგიაშვილისა.

6. (ქ. 80). ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, $38^1/_2 \times 27^1/_2$ სმ, შემკული 11 თვლით (აკლია 1 თვალი) და წარწერით, რომელიც იხსენიებს მერაბ ვერულს.

7. (ქ. 81). ნაწილებიანი ხატი ვერცხლისა ორი კარით, $26 \times 17 \times 2^3/_4$ სმ, კარებზე გამოხატულია ქრისტე და წმ. გიორგი.

8. (ქ. 82). ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 39×28 სმ, შემკული 31 თვლით (მათში 9 ერთ ჯგუფად არის) და წარწერით ოსაძე ბასილისა.

9. (ქ. 83). ფიცარზე ნახატი ხატი რომელიმე წმიდანისა, 24×21 სმ, შეჭედილი ვერცხლით, ოქროს წყალში დაფერილი და შემკული 26 თვლით (აკლია 2 თვალი, ერთი თვალი გატეხილია), ძლიერ დაზიანებული.

10. (ქ. 84). სამწერობელი ვერცხლისა: $21^1/_2 \times 22^1/_2$ სმ., შემკული ხატებით ორსავე მხარეს, დაზიანებული.

11. (ქ. 85). ტილოზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, გადაკრულ ფიცარზე, $32^1/_2 \times 26^1/_2$ სმ, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, წინა პირი ოქროს წყალშია დაფერილი, იგი დაზიანებულია, უკანა მხარეს აქვს ასომთავრული წარწერები:

ანუ: წ(მიდა)ი გ(ორგი) ს(ავა)ნის(ა).



იკითხება:

1. მოვჭედ-
2. ეთ ხ(ა)ტი ე-
3. სე წმიდის
4. გ(იორგის)ი მე, სახლ-
5. ისუხუცე-
6. სმ(ა)ნ ბეჟ-
7. (ა)ნ, თ(ა)ნ(ა)მემ-
8. ცხედრ(ე)მ-
9. (ა)ნ ჩვენმ(ა)
10. ბ(ა)ტონისშვილ-

11. მ(ა)ნ ბატო(ნ)-
12. მ(ა)ნ თინ(ა)-
13. თინ, ჩვე-
14. ნდა ს(ა)დღე-
15. გრძე-
16. ლოთ დ(ა)
17. მ(ა)ს დიდ
18. ს(ა)
19. ს(ა)უკუ-
20. ნოსა
21. ჩვენის სულ-
22. ის ს(ა)ოხო.
23. დ. დ(ა) ჩვენთ(ა) შ-
24. ვილთ(ა)
25. თე(ი)მურ(ა)ზ(ი)ს დ(ა) გ(ი)-
26. ორგ(ი)ს
27. ს(ა)დღეგრძელ-
28. ოთ, ა
29. მინ.

12. (ქ. 86). წმ. გიორგის ხატიდან დარჩენილი ფიცარი, ვერცხლის ნაგლეჯებით, გაკეთებული ვერცხლის ბუდეში, რომელსაც წინა მხარეს აქვს კარი, დაკეტილი ვერცხლისავე ბოქლომით, 20×15×3 სმ. ხსენებულ კარზე ჭედილი ხატია „ალავერდის“ წმ. გიორგისა, რომელსაც უზის 13 თვალი. უკანა მხარეს აქვს წარწერა მხატვრის მერაბისა, 1818 წლისა.

13. (ქ. 87). ფიცარზე ნახატი ხატი წმ. ესტატესი ვერცხლის აშიებით, 30×24 სმ.

14. (ქ. 88). კარედი ხატი ღვთისმშობლისა, 13×10¼ სმ, გულში ფიცარზე ნახატი ხატია ღვთისმშობლისა, კარებზე ანგელოზებისა; ხატი შიგნით და გარეთ შეჭედილია ვერცხლით, რომელიც ოქროს წყალშია დაფერილი. ღვთისმშობლის ხატი შემკულია 4 თვლით (აკლია 7 თვალი) და მარგალიტის მძივებით. უკანა მხარეს კარედს აქვს ასომთავრული წარწერა:



იკითხება:

ქ მ(ოვჰე)დე კ(ა)ტი ესე ყო(ვ)ლ(ა)დ
წმ(ი)დისა მე, გ(იორგ)ი მ(ა)ს კ(ა)რ(ა)-
შვილმ(ა)ნ, მეუღლემა
[ჩუ]ე(ნ)მა ქეთეონ სულისა
ჩუენისა ს(ა)ოკ(ა)დ შვ(ი)ლთ(ა) ჩვ(ენ)-
თა ს(ა)დღ(ე)გ(რ)ძელოდ.

15. (ქ. 89). კარედი ხატი ღვთისმშობლისა, 12×9½ სმ, რომელსაც წინა მხარეს ვერცხლის შემკულობა, მხატვრობა და მარჯვენა კარი მოცილებული აქვს; უკანა მხარეს შერჩენია ვერცხლის ფურცელი, ასომთავრული წარწერით:



იკითხება:

ჭ. გიხ(ა)როდენ მ(ა)რიამ, ტკბილ-
ო ას(უ)ლო დ(ა)ვითის(ა)ო, რ(ამეთუ) შენ-
და მომ(არ)თ აღმზიდ(ა)ვ-
ს მე, სურვილი, ვითარ(ა) გ-
ამოვთქ(ვ)ა
ღირსი და ჯერისანი ქებ-
ა შენი ჱ, ყ(ოვ)ლ(ა)დ ს(ა)გ(ა)ლ(ო)ბელო
დედ(ა)ო ქრ(ი)სტ(ე)სო, რ(ომელმა)ნ გ(ვი)შ(ე)ვ ღ(ვ)თ(ი)ს
წ(მიდა)ჲ წმ-
იდათა ძე და სიტყ(ვ)ა ღ(ვ)თის(ა); შე(ი)წ(ი)რე
მც(ი)რე ესე მს(ა)ხ(უ)რ(ე)ბა ჩ(ე)მ ცოდ-
ვ(ი)ლ(ი)სა თ(ა)მ(ა)რ(ი)ს(ა)გა
[ნ].

16. (ჭ. 90). ფიცარზე ნახატი ხატი მიქაელისა, $14 \times 10^1/_2$ სმ, ირგვლივ ვერცხლით შეჯედილი. ხატს უკანა მხარეს ვერცხლზე აქვს წარწერა ასომთავრულად:



იკითხება

ქ. წ(მიდა)ო მი-
ქელ მთავარ(ა)ნგ(ე)-
ლოზო, მეოხ და მფარვ-
ელ მე-
5. ქმენ წ(ინაშ)ე ღ(ვ)თისა მამკ[ობს]-
ა შენსა კრავისძესა
ნდ კოლაოზს..

17. (ქ. 91). ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, ფიცრიდან მოცილებული, ზევითა აშია აგლეჯილია და ხატთან ინახება, ქვევითა კი დაკარგულია. ზომა აშიითვე 26×28 სმ.

წმ. გიორგის აწერია: ⁞ᲔᲘᲘᲒ⁞ ანუ: წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი.

წმ. გიორგის მარჯვენა ხელთან არის წარწერა: XVII—XIX სს. ხელით: ასომთავრულად.



ქ.წ(მიდა)ო მთ(ა)ვ(ა)რმოწა-
მეო გიორგი მეოხ
ეყ(ა)ვ წ(ინაშ)ე ღ(ვთ)ისა
აბ(ა)შიძე ივ-
ანეს და მღ(ვ)დელს ბო
5. დოკიას დავითს და ძ-
მასა მისსა გოგიტე
ლას ა(მი)ნ-

18. (ქ. 92). საცეცხლური ვერცხლისა გუმბათიანი ეკლესიის ფორმისა, წარწერით: ქ:. მეფე:. სოლომონ.

19. (ქ. 93). სადაფზე ნაკვეთი ხატი კოსტანტინე და ელენესი, $14 \times 9^1/_2$ სმ. დაზიანებული.

20. (ქ. 94). სადაფზე ნაკვეთი ხატი ქრისტეს მიძინებისა $13 \times 9^1/_2$ სმ. დაზიანებული.

21. (ქ. 95). ხის ჯვარი ვერცხლის გარემოთი, $8 \times 5^1/_4$ სმ.

22. (ქ. 96). სპილენძზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, გადაკრული ფიცარზე 25×19 სმ.

23. (ქ. 97). ნათლისმცემლის ხატიდან აღებული ვერცხლის შემკულობა, 21×17 სმ, დაფერილი ოქროს წყალში, რუსული ხელოვნებისა.

ხატის ფურცელს ქვედა ნაწილში დაკერებული აქვს ვერცხლის მცირე სალტე წარწერით:

ნათ(ლი)ს მცე(მელ)ო იო(ვ)ანე იხ(სე)ნ გან[საცდელისაგან] როსტომ, ...ნაძე.

24. (ქ. 98). დაფარნა ოქრომკედით ნაკერი სახეებით — 2 ცალი.

25. (ქ. 99). ფიცარზე ნახატი ხატი ელია წინასწარმეტყველისა $30^1/_2 \times 23^1/_2$ სმ, დაზიანებული.

26. (ქ. 100). ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით, 21×18 სმ, დაზიანებული.

27 (ქ. 101). ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, $31^1/_2 \times 26^1/_4$ სმ, დაზიანებული.

ძირითა აშიის ადგილას აწერია მხედრულად: მხატვარი (ნიკოლოზ)

28. (ქ. 102). ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით, 25×22 სმ.

29. (ქ. 103). ფიცერზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით $32 \times \times 23^1/_2$ სმ, დაზიანებული.

30. (ქ. 104). ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით $30^1/_2 \times 23^1/_2$ სმ, დაზიანებული.

31. (ქ. 105). ფიცარზე ნახტი ხატი ღვთისმშობლისა, ყრმით $32^1/_2 \times 24^1/_2$ სმ, დაზიანებული.

32. (ქ. 106). ფიცარზე ნახატი ხატი ნათლისმცემლისა, $19^1/_4 \times 13$ სმ, დაზიანებული.

33. (ქ. 107). ფიცარზე ნახატი რომელიმე წმიდანისა, $18^3/_4 \times 13^1/_4$ სმ, დაზიანებული.

34. (ქ. 108). ფიცარზე ნახატი მაცხოვრისა, $20^1/_2 \times 16^1/_2$ სმ, დაზიანებული.

35. (ქ. 109). ფიცარზე ნახატი მთავარანგალოზისა, $30^1/_2 \times 22^3/_4$ სმ. დაზიანებული.

36. (ქ. 110). ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა, 35×27 სმ, ძლიერ დაზიანებული.

37. (ქ. 111). ფიცარზე ნახატი ხატი მაცხოვრისა მიძინებისა, $35^1/_2 \times 24^1/_2$ სმ, ძლიერ დაზიანებული.

ხატს თავში, აშიის ადგილას აქვს წარწერა შავი წამლით:

1. ეს არსების ხატი შამომიწირავს ამ დედა მღ˘თის საყდრისათვის მე ცოდვილს ქრივს
2. გამყრელიძის ქალს მათ(ი)ს საოხად სულ [ისათვის] ვინც [წაიკითხოთ] შენდობას მიბძანებდეთ.

38. (ქ. 112). კარედი ხატიდან დარჩენილი შუა ნაწილი, რომელზედაც მოსჩანს ძლიერ დაზიანებული ჯვარცმის ხატი, $28^1/_2 \times 21^3/_4$ სმ.

39. (ქ. 113). ბოქლომი რკინისა.

40. (ქ. 114). გულსაკიდი სანაწილე ვერცხლისა, უნაწილებოდ, $7 \times 6^1/_2$ სმ, მას აქვს ძეწკვი ზომით 134 სმ.

41. (ქ. 115). ჯვარი ხისა დაბალ ლითონშემოკრული, 46×34 სმ, ჯვარზე არის ჯვარცმის ხატი და 4 თვალი (აკლია 2 თვალი). იგი დაზიანებულია.

42. (ქ. 37). ეფუთი, ხუცურად ნაწერი, ვინმე დავითის მიერ, მრავალ ფურცელნაკლები.

43. (ქ. 38). კონდაკი ხუცურად ნაწერი, მრავალ ფურცელნაკლები, ყდებს შიგნით გადაკრული აქვს ფურცლები მხატვრობით.

44. (ქ. 39). კონდაკის ნაშთი, ნუსხურად ნაწერი.

45. (ქ. 40). ა. რომელიმე საეკლესიო წიგნიდან დარჩენილი 3 ფურცელი ეტრატისა, ნუსხურად ნაწერი.

ბ. საეკლესიო წიგნის ნაშთი, ნუსხურად ნაწერი.

46. (ქ. 3). გამოკრებული სადღესასწაულო, დაბეჭდილი ნუსხურად, 1811 წელს.

47. (ქ. 6). სასულიერო მახარობელი 1864, 1865—1866 წლებისა, ნომრებნაკლები.

ზესტაფონის აღმასკომში მოგროვილი ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი
(დარჩნენ ადგილობრივ):

1. ბარძიმი ვერცხლისა წარწერით:

დიდო მთავარმოწამეო გიორგი და ეკლესიავ თე(რ)ჯოლისაო, შე-
იწირე ძღვნად ბარძიმი და ფეშხუმი ესე ვერცხლის, სულისა საოხად
მონისა შენსა ჯანელიძისა გიორგისათვის და მეუღლეთა მისთვის.
მონა შენი გევედრები ძე გიორგისა, თე(რ)ჯოლის მოურავი ჯანელი-
ძე სვიმონ ჩყკბ (1822) წელსა მარტსა.

2. ბარძიმი ვერცხლისა წარწერით:

ქ. მოიხსენე უფალო ჩხეიძე დავით და მეუღლე მისი გუნცაძის
ასული ხამფერან.

3. ბადია ვერცხლისა წარწერით:

ქალწულებითა ჩემითა წინაშე შენსა მოს[უ]ლმან(ა) ეკატირინა
მაჭავარიან[ი]ს ასულმან შამ[ო]გწირე წ(მიდას)ა გიორგი ამა სოფ-
ლით უდროთ გასულმან და ღ(ირ)ს მყ[ა]ვ მარჯვენით ქრისტეს, მეო-
რ[ე]თ გან(ს)ჯის დ(ო)როს მოსრ[უ]ლმან ჩყჲდ (1864) წ(ელ)სა, აგ-
ვისტოს ივ(16)-სა.

ზედა საქარა

ზედა საქარას „გულბანდიანი“ ეკლესია, როგორც თვით სახელ-
წოდებაც გვეუბნება, გუმბათიანი ჯვრის ტიპის ბაზილიკაა, $7 \times 5^1/_2$
არშინი (დაახლ.), ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან; გუმბათი შიგ-
ნით მრგვალია, გარეთ წახნაგოვანი, მას აქვს 8 სარკმელი. ეკლესია
დღეს ნანგრევად არის: სახურავი და დასავლეთის მხრის, პერანგი
მოცილებული აქვს. გარეთ ჩრდილოეთის კედელზე არის ქვა ხელისა
და ჯვრის გამოსახულებით და ასომთავრული წარწერით: ⵒⵀⵙ-ⵗ, ანუ
მანასე; ამის ქვევით არის მეორე ქვა ძლიერ დაზიანებული ასომთავ-
რული წარწერით:

ⵜ.... ⴽⵖⵒⵒⵗⵓⵒ-ⵑⵒⵜⵔⵗ ანუ ქწ. ყ(ოვ)ლ(ად) წ(მიდ(აო),
ღ(მრთი[ს
[მ)შობელო]

შიგნით ეკლესია მოხატულია; მხატვრობა შენახულია ნაწილო-
ბრივ; საკურთხევლის კონქში დახატულია დეისუსი (მაცხოვარი,
ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი).

ეკლესიის ეზოზე, სამხრეთ-დასავლეთით არის აკლდამები ოთახებად.

ჭალატყე

ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის სიძველენი:

1. (ქ. 116). გარდამოხსნა, 180×110 სმ, ნაკერი ოქრომკედით და ფერადი ძაფით.

აქვს ასომთავრული წარწერა:

ა. ზევითა 1. ნაწილში:



ბ. მარცხენა მხარეს



ჳ. ძირა ნა-
წილში

ჰრქუეს ნოემ: ჰო ასულნო ჩემნო, ნუ ხართ ურწმუნონი
ჩემნი: რამეთუ ვიცი, რომელ ღმერთი ესრეთ
ქნის: ნაყოფსა: ნაშობსა: სიტყუასა: ჩემსა: ამის
ნაცა ცოდოსა: ჩემსა: ჴელ ყოფილ ხართ: ამის
ჴელ ნაქმნისა: ჩემისა: ჰრქუეს

დ. მარჯვენა
მხარეს

ხედ: ცნს: ყრწუაყც ყაჲრხაცილრ: ცჭრც:
ყოყარეწნ: ჰრშრც: ჰოშრც: ხრგსლრშრ: ირის:
ყრ ზს შრხა: სფზლრჩს: ოს:
ყრშაყსირლს: ჰოჰოც: ჰაწსზრლს: ჰრც:
რწგს: სლრსაყრს: ჰგჰრგოჰ: ცყას: ოსს
: ყოგყოჰრლ:
ცრლ: ჩრკყჰსლ
ჭრსლ: ყრყ:

იკითხება:

1. ჭ. შ(უე)ნი(ე)რმ(ა)ნ ი(ო)ს(ე)ბ ძელისაგ(ა)ნ გ(ა)რდამოხ(ს)ნა უხრწნელი გუამი შენი ქ(რისტ)ე დ(ა) არმენაკითა

წ(მიდ)ითა წ(ა)რგრაგნა, ს(უ)რნელებითა შემურვი-
ლი ახალსა საფლავსა დაგდვა, ა(რამე)დ
ჰ̾ჲ ჰყო, აღდგა უფალი
2. და მოანიჭა სოფელსა დიდი წყალობა.
3. ქ. შეწევნითა ღ(ვ)თისათა მე, უფლისწულ-
ციხისთა[ვმან] და გვარად აბაშიძემ(ა)ნ
ბატონმ(ა)ნ გ(იორგ)ი თ(ან)ა
4. მეცხედრემ(ა)ნ ჩ(ემ)მ(ა)ნ ლორთქიფანიძის
ასულმან ბ(ა)ტ(ონ)მ(ა)ნ გულქან შევაკერვინეთ
ესე გარდამოხსნა ჩ(უე)ნის ცოდვილის
სულის საოხად და ძისა ჩ(უე)ნისა ლევა
ნისა და ბეჟანის აღსაზრდელად. ვინცა
5. ჩ(უე)ნთ(ვის) შ(ე)ნდობა ბრძანოთ ღ(მერთმა)ნ თქ(უე)ნც
შეგ(ი)ნდ(ო)ს, რამცა ძემ(ა)ნ კ(ა)ცისამ(ა)ნ ჩ(უე)ნს
შვ(ი)ლს, ანუ ს(ა)ფლავს ესე
6. გ(ა)მოხსნას, მე(ო)რედ მოსლვას ჩ(უე)ნი ც(ო)დ(ვი)ს
პასუხის მიმცემი იყოს ღ(ვ)თისა, შეიკერა
თ(უე)სა ნ(ოე)ბ(ე)რსა,
7. ქ(ორონი)კ(ონ)სა ტჟგ (393+1312=1705 წ.).

2. (ქ. 41). ოთხთავი, $11^{1}/_{4} \times 8^{3}/_{4}$ სმ. ნუსხურად ნაწერი ეტრატზე ვერცხლის ბუდით. ოთხთავი ეკუთვნის XI—XII სს. ბუდე — XIX ს. დასაწყისს.

უკანასკნელი ფურცლის (სახარებათა საძიებლების ბოლოს) მეორე გვერდის მეორე სვეტზე არის წიგნის გადამწერის მინაწერი ნუსხურად:

უწყებ(ა)ჲ ჯერ არს, ვ(ითარმე)დ
ესე საძიებელი ბერ-
ძულითა წესითა
და გ(ა)ნგებითა არს.
5. ვითა საძიებელ-
მ(ა)ნ გასწაოს, ზეპირ-
ით აიღებდით თ(ა)ვსა,
ვ(ითა)რ ეწეროს და ს(ა)ხ(ა)-
რებ(ა)სა შეუდგენდით.
10. და ბოლოჲცა გაჯსო-
ვდინ ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბისაჲ ნიშანი.

აჰა, ქანწილი თ(ა)ვით
და ბოლოჲთა[ცა].

. . .

15. დ(იდე)ბ(ა)ჲ ღ(მერთს)ა სრ(უ)ლ მყ(ო)ფ(ე)ლსა ყ(ოვლ)ი-
სა კ(ე)(თ)ილისსა! სრ(უ)ლ იქ-
მნა წ(მიდა)ჲ ესე ოთხთ(ა)ვი
ჴ(ე)ლითა ფ(რია)დ ც(ო)დვ(ი)ლისა
და ყ(ოველ)თა კ(ა)ცთა უნარჩ(ევ)-
20. ესისა ბასილისჲთა. და
ვისსაცა ჴ(ე)ლსა მოიწიოს,
შ(ე)ნდობ(ა)სა გევედრ(ე)ბი ყ(ოველ)თა
ღ(მრთ)ისათ(ვის).
ამის დამწერელსა ბასი-
25. ლსა შ(ეუნდ)ენ ღ(მერთმა)ნ.

3. (ქ. 42). ეტრატზე ნუსხურად ნაწერი ოთხთავი 8×6¹/₄×3 სმ., ძლიერ დაზიანებული, უყდო, ფურცელნაკლები. წიგნს აქვს ვერცხლის ბუდე უსაკეტებო, დაზიანებული. ბუდეზე ჰედილი ხატებია ჯვარცმისა და სხვა.

ოთხთავს, იოანეს სახარების წინ, ჩაკერებული აქვს პაპირუსის მცირე ფურცელი წარწერით: „ერთი ფურცელი | ჩემთან ინახება — |.აფრ. მე | რკვილაძე. | 25/XII. 02|"; ე. ი. აფრასიონ მერკვილაძეს წიგნიდან ამოუღია ერთი ფურცელი; ეს ფურცელი ან იოანე მახარებლის სურათით იქნებოდა, ამ მინაწერით; დღეს იგი აღარ ჩანს.

ნაწილი სიძველეებისა (ხატები და ხელნაწერები) გაუნადგურებიათ 1924 წ.

—

არგვეთი

არგვეთის „დ ე დ ა ღ თ ვ ი ს" ეკლესია დგას მდ. ჩოლაბურის მარცხენა ნაპირას, ოდნავ შემაღლებული ადგილზე. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, 15×8 არშინი, რომელსაც სამხრეთით მიშენებული აქვს სალარო(?) (აღმოსავლეთ ნაწილში), კარიბჭე (კართან) და რაღაც ნაგებობა (დასავლეთ ნაწილში). ნაშენია ძლიერ დიდი ზომის თლილი ლოდებისა და კირისაგან (შიგნით და გარეთ); კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. სარკმელი — აღმოსავლეთით, სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, ტრაპეზი ოდნავ ყოფილა და-

შორებული კედლიდან; სამკვეთლო კედელზე ჰქონია მიდგმული. ეკლესია დღეს დანგრეულია: დგას მარტო კედლები, თაღი შერჩენილი აქვს მარტო საკურთხევლის ნაწილს, სამხრეთის შენობებისათვის 1923—1925 წლებში შემოუცლიათ პერანგი (გარეთი პირის ქვა), წაუღიათ და ნაწილი ჩოლაბურის ნაპირს ჩაუყრიათ, მის გასამაგრებლად, ნაწილი კი სოფელში ბოგირებისათვის შეუხმარებიათ.

ეკლესიას სამხრეთის მხარეს, კარიბჭის კარის თავზე, ჰქონია ქვა, ზომით დაახლოებით $3\times2^{1}/_{2}$ არშინი; მას ჰქონია ასომთავრული წარწერა. იგი აღარ აღმოჩნდა. ეკლესიიდან ქვა წაუღიათ 1924—1925 წლებში და სოფლის ბოგირებისათვის შეუხმარებიათ, ზოგი კი კერძო პირთ სახლებში წაუღიათ.

ღვანკითი

ღვანკითის სამების ეკლესია (სურ. 26, 27) ერთნავიანი ბაზილიკაა, 12×6 არშინი (დაახლ.), ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან. იგი დანგრეულია. დგას მარტო კედლები, უთაღოდ. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია, ეხლა ის ამოშენებულია. სარკმელი — აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1, დასავლეთით 1: დასავლეთის კარს და აღმოსავლეთის სარკმელს ჰქონია ჩუქურთმა, რომელიც დღეს დაზიანებით არის შენახული. შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა, კვალი შერჩენილია სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ კედელზე სარკმელთან, დასავლეთის კედელზე და ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილში. ტრაპეზი ოდნავ არის დაცილებული კედელს (დგას მარტო სიმაღლის ქვები); სამკვეთლო კედელთან ყოფილა მიდგმული.

ეკლესიის გარეთ, კედლებზე აქვს მრგვალი წარწერა.

1 სამხრეთის მხარე.

1. კარის თავზე მდებარე ქვაზე ნუსხურით

	იკითხება:
† ⳮ̅ⲁ ⳗⲉⲃⲩⲧ	ქ. წ(მიდა)ო სამ(ე)ბ(ა)ო,
[ⲩⲏ̅ⲛⲏ], ⲃⳗⳗⲁ(ⲏ)	შ(ეი)წყალ)ე ი(ოან)ე ⳗⲁ[ⲉ]
.....ⲉⲭⲧⲣⲏⲩ	ⲓ ⲁ ⲫⲃⲉⲩⲭ
.....[ⲉ]ⲏⳗⲛⲭ̅ⲙ[ⳗⲁ]	ⲁ ⲉⳗⲉ ⲉⲕⲗ(ⲉ)ⳗⲓ
5 .....[ⳗⲣ]ⲏⲏ[ⲏ]	5. ⳗⲃⲉⲛⲉ

109

110

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წარწერას ადგილ-ადგილ წერტილები ამჩნევია, მაგრამ შესაძლებელია ეს თვით ქვის ბუნების მიზეზი იყოს, რადგანაც მას მრავლად აქვს მცირე მრგვალი კენჭი, რომელიც ბუნებრივივე ამოვარდნის შემდეგ წერტილის მაგვარ ნიშანსა სტოვებს.

2. კარის ასწვრივ, ზევით ქვაზე ნუსხურით.

	იკითხება:
ⵀⵔ᷄ⴰ ⵙⵒ ⵢ᷄ⴰⵒⵍⵖ	ქ. წ(მიდა)ო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, მ(ეო)ხე-
ⵃ᷄ⵔ ⵔ᷄ⵖⵀ᷄ⵖ ⵣⵑ᷄ⵀⵑ	ყ(ა)ვ წ(ინაშ)ე ქ(რისტ)ე(სა) გ(ი-ორგ)ი ნიგ-
ⵜⵕⵖⵕⵙⵜ ⵜ᷄ⵀ	ალელსა, ა(მი)ნ.

3. მე-2 ნომრით აღწერილი ქვის თავზე, აღმოსავლეთით მდებარე ქვაზე: ნუსხურით:

[ⵀⵔ]ⴰ ⵙⵒⵢ᷄ⴰ [ⵢⵖ]ⴰ[ⵛ][ⵔⵖⵀ]
[ⵒⵛ]ⵔⵜⵀⵑ ⵀ[ⵑ]ⵣⵜⵕⵙ[ⵜ]

იკითხება:

[ქ. წ](მიდა)ო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო [შე]უ(ნ)დ[ვენ]
[ცოდ]ვანი ნ[ი]გალ(ელ)ს[ა].

გვარი ნიგალელი უნდა წარმომდგარიყო „ნიგალი“-დან. ნიგალი ეწოდება ერთ-ერთ ჯევს; სუმბატის ქრონიკაში არის სხვათაშორის: „იყუენს ხარკის მიმცემელი სარკინოზთა ყოველნივე ჯევნი შავშეთ კლარჯეთ ნიგალისანიო“[111]. ამ სახელიდან უნდა მომდინარეობდეს „ნიგალელი“.

4. მე-3 ქვის ქვეშ (უშუალოდ) მდებარე ქვაზე ნუსხურით:

ⵀ ⴰ[-]ⴰ[ⵢ](ⵛⵔ)ⵑ[ⵃⵒ]	იკითხება: ქ. უ(ფალ)ო შე(უნ)დვ(ე)ნ ცო-
ⵛⵃⵜ..ⵄⵢ᷄ⵙ	დ(ვა)ნი რაბს (მერაბს? ზურაბს?).

---

109 მთელი სტრიქონი დაზიანებულია, შოჩანს რამდენიმე ასოს ხაზი.

110 ბოლო, მე-8 სტრიქონი არა ჩანს, მაგრამ უნდა ყოფილიყო.

111 სუმბატის ქრონიკა, გვ. 346.

5. მე-4 ქვის ქვევით, ერთი ქვის გამოტოვებით, ანუ პირველი და მეორე ქვების აღმოსავლეთით მდებარე ქვაზე, ნუსხურით.

	იკითხება:
ⰸ ⰾ˘ⰰ ⰱⰻⰳ˘ⰰ ⰳⰳⰰ[ⰽ][112]ⰵ	ქ. წ(მიდა)ო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო შეუ[ნ]დ-
ⰳⰳⰽ ⰹⰾ˘ⰳⰽⰻ ⰳⰳⰻⰽⰾ	ვენ ც(ო)დვ(ა)ნი ბერს-
ⰵ ⰵ˘ⰽ	ა, ა(მი)ნ.

6. სარკმლის აღმოსავლეთით, $1^1/_4$ არშინის დაშორებით მდებარე ქვაზე ნუსხურით:

	იკითხება:
ⰸⰾ˘ⰰ ⰿⰵⰱⰳⰵⰰ	ქ. წ(მიდა)ო სამებაო,
ⰳⰳⰾⰳⰳⰳⰾⰿⰾ˘ⰻ ⰹ[113]ⰰ[114]	შე(ი)წყ(ა)ლე ს(უ)ლი ხუ-
ⰹ[115]ⰵⰿⰽ Ⰰⰻⰹⰵⰻⰽⰵ˘	ტასი, იხარკა
ⰵⰱⰻⰾⰽⰳⰳⰾⰿⰾⰿ	ამის ეკლეს(ია)სა
5. ⰵⰳⰳⰽⰵⰻ ⰵ˘ⰽ	5. აგებაი, ა(მი)ნ.

7. მე-6 ქვის ქვეშ მდებარე ქვაზე ნუსხურით:

	იკითხება:
[ⰸⰾ]ⰰ˜ ⰿⰱⰳ[ⰵ]ⰰⰳ˘ⰳ	[ქ. წ] (მიდა)ო ს(ა)მ(ე)ბაო შ(ეიწ-ყალ)ე
...(ⰾ)ⰳⰱⰹ˘ⰳⰳ˜ ⰾ˘ⰳⰸⰳ˘	[პავლ]ე, მ(ეო)ხ ე(ყა)ვ წ(ინა-შ)ე ქ(რისტ)ე(სა),
[ⰵ˘ⰽ]	ა(მი)ნ.

8. მე-7 ქვის გასწვრივ, 4 ქვის გამოტოვებით, ძირს მდებარე ქვაზე ნუსხურით.

	იკითხება:
ⰾ˘ⰰ ⰿⰹ˘ⰰ ⰹ˘ⰳ	წ(მიდა)ო ს(ამე)ბ(ა)ო, შ(ეიწყა-ლ)ე
ⰱ˘ⰸ(ⰻ) ⵅⰹⰷ˘ⰽⰿ	მ(ე)ქი ჯ(ან)ჭ(უ)რ(ი)ს
ⰽⰳⰳ..ⰽⰿ ⰵ˘ⰽ	ძე

---

112 ⰽ მწერალს ჯერ დაუწერია და შემდეგ ისევ წაუშლია, მგონი.

113 ასო ⰹ უნდა იყოს.

114 ასო ⰰ უნდა იყოს, ამავე ასოს თავზე რაიმე ხაზი აქვს ასე, მგონი აქ ადგილი უნდა იყოს ამოვარდნილი.

115 ასოს სწორედ ასე წერია და ვგონებ ⰹ უნდა იყოს, იქნებ ⰹⰾ იყოს.

9. სამხრეთის კუთხის ახლოს, მაღლა, მდებარე ქვაზე ნუსხურით.

	იკითხება:
⸗ ⸗[ა][ს⸗]⸗ყაყ⸗ა[ჩ]	ქ. წ(მიდა)ო [სამ](ე)ბ(ა)ო შეუ[ნ]-
შ⸗[ჯჩ]ა⸗შ⸗ჲჩ[ე]	დვ[ენ ც]ოდვან[ი]
ძ⸗. .ჩს ჲ⸗ჩ	ძე — — ნს ა(მი)ნ

10. მე-9 ქვის ძირს, 1 ქვის დაშორებით, სარკმლისაკენ მდებარე ქვაზე ნუსხურით.

⸗ ა.	ანუ: ქ. ო
ჩე	ნი

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ ქვის ძირს, სამხრეთისაკენ მდებარე ქვას აქვს რაღაც ხაზები, იქნებ ისინი ასოების ნაშთი იყოს.

11. მე-10 ქვის ქვეშ, უშუალოდ, ნაწილობრივ სარკმლისაკენ მდებარე ქვაზე — ნუსხურით.

	იკითხება:
⸗ ⸗⸗ა ს⸗ყ⸗ა	ქ. წ(მიდა)ო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო,
[ყ⸗ყ[⸗ე⸗ს⸗ჳ	შ(ეი)წყ(ა)ლე სტ(ე)-
⸗ჲჩ[ე] ჩ(sic)ჲ	ფანე ნა-
შ⸗ა⸗ჲ⸗ს⸗ა	დიმაისძ-
6. ⸗ე ჲ⸗ჩ	5. ეი, ა(მი)ნ.

12. მე-11 ქვის მარცხნივ, ანუ სარკმლის მარჯვნივ მდებარე ქვაზე — ნუსხურით.

	ანუ:
(⸗)⸗⸗ა ს[ჲ]⸗ყ⸗ა ყ⸗ყ⸗	ქ. წ(მიდა)ო ს[ა]მ(ე)ბ(ა)ო შ(ეი)- წყ(ა)ლ
⸗ჲ ს⸗.	ე ა რ .
ჩ	. ნ
ჲ. ⸗⸗ . ჩ	ა იქ ნ

13. სარკმლის მარცხნივ მდებარე ქვაზე ნუსხურით.

	ანუ:
⁜ ⲣⲁ ⲥⲁ[ყ᷄ⲁ].....	ქ. წ(მიდა)ო ს(ა)მ(ე)[ბაო]
ⲥⲗ᷄ⲣ . ⲏ.	სხ᷄ლ ე
ⲃ . ⲏⲑⲣⲣ	დ . ⸗ . კთლ
ⲉ . . ⲁⲏ . ⲉ᷄ⲏ	ა .ოქ ა(მი)ნ

14. მე-13 ქვის მარცხენა გვერდით, ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვაზე ნუსხურით

	ანუ:
⁜ ⲣ[ⲁ]ⲗ[ⲁყⲁ]	ქ. წ(მიდა)[ო] ს(ა)[მებაო]
ⳋ᷄ⲏ ⲏⲍ.ⲏ.	გ(იორგ)ი ჩი. ი . .
ⲉⲩⲏⲏⲩⲣⲗ	ამენებულს ა(მ)შ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლს. .
ⲁⲏ . . ⲏ ⲉ᷄ⲏ	მი ი, ა(მი)ნ.

15. მე-14 ქვის მარცხენა გვერდით, ჩრდილოეთის კუთხესთან მდებარე ქვაზე კუთხოვანი ნუსხურით.

	ანუ:
⁜ ⲣ᷄ⲁ ⲥⲁყ᷄ⲁ ⲩⲣⲕⲩⲣ᷄ⲏⲁ	ქ. წ(მიდა)[ო] ს(ა)[მებაო] წყ(ა)ლე იო-
ⲥⲏ ⲃⲉ ⲏ᷄ⲏ (ⲃ) ⲉ ⲩⲉ	სე და კ(ვირიკ)ე და გა-
ⲁⲗⲣⲣ᷄ⲏⲏⲥⲣⲗⲉ	უსვენე ს(უ)ლსა
ⲁⲉⲁⲏ[ⲗⲉ] ⲃⲉ ⲃⲏⲃⲏ	მამი[სა] და დედი-
5. [ⲗⲉ].....ⲉⲗⲉ ⲉ᷄ⲏ	5. [სა] ასა, ა(მი)ნ.

III. ჩრდილოეთის მხარე

16. კედლის შუა ნაწილში, ყოფილი კარის თავზე მდებარე ქვაზე ნუსხურით.

	ანუ:
⁜ ⲣⲁ ⲗⲉⲁⲏⲩ[ⲉⲁ] ⲩ᷄ⲏ:	ქ. წ(მიდა)ო სამებ[აო], შ(ეიწყა- ლ)ე
ⲃ⁜᷄ⲣⲣ: ⲣⲉⲉⲗⲁⲏ:	მ(ი)ქ(ე)ლ ლაროი (ლაშოი?)
Ⲟⲉ:ⲩⲣⲣⲏⲣⲏ: ⲁⲏ	და შვილნი მი-
ⲗⲏⲏ::ⲉ᷄ⲏ	სნი, ა(მი)ნ.

IV. დასავლეთის მხარე

17. კარის თავზე მდებარე ქვას გატეხილს ორად (ზევიდან ქვევით) აქვს ნუსხური წარწერა.

✝ ⴜⴍ̃: ⴑⴋⴁ̃ⴍ
ⴘⴜ̃ⴗⴊⴄ[:]ⴘ̃ ..ⴀ.
ⴃⴀⴗⴋ[ⴀ]ⴜⴓⴊⴌⴈ:ⴋⴈⴑⴌ
ⴈ: ⴌ̃. :ⴃⴀ ⴘⴄⴘⴀⴗⴋⴀⴈ: ⴃⴈⴀⴃ: ⴈⴞ
5. [ⴅⴀⴜⴄⴑ:] ⴀⴋⴈⴑ:[ⴄ]ⴉⴊⴄⴑⴀ: ⴀⴂ̃ⴁⴀⴈ

იკითხება:

ქ. წ(მიდა)ო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო,
შ(ეი)წყ(ა)ლე შ. ა.
და ყმ[ა]-წულნი მისნ-
ი. ნ. და შეშაყმაი(?) დიად იხ-
5. ვაწეს ამის [ე]კლესი(ი)სა
აგ(ე)ბაი.

18. კარის სამხრეთით მდებარე ქვაზე ნუსხურით.

	ანუ:
✝ ⴜ̃ⴍ ⴑⴋⴁ̃ⴍ ⴘ(ⴄ̃)	ქ. წ(მიდა)ო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შ(ეი-წყალ)ე.
ⴅⴈⴑ ⴇ̃ⴑ ⴄⴑⴄ	ვისთ(უი)ს ესე
ⴕⴅⴀⴈ ⴃⴀⴈⴜⴄ	ქვაი დაიწე-
ⴐⴀ ⴀ̃ⴌ	რა, ა(მი)ნ.

19. ეკლესიაში არის წარწერიანი ქვის ნატეხი. ჩამოვარდნილი ალბათ შენობიდან, ზომით 30×22 სმ, რომელზეც შემორჩენილია წარწერის ნაშთი:

	ანუ:
ⴜ	წ .
ⴞⴈⴌ	ხინ[ე]
ⴑⴑⴀ	სსა

ყველა წარწერა ერთი და იგივე დროისა უნდა იყოს და ეკლესიის აშენების ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ზოგი ერთი და იგივე ხელითაა ნაწერი, ზოგი კი ოდნავ განსხვავებულით; ასოების დიდი

ცვალებადობა აქვთ, ხშირად არის, რომ ერთსა და იმავე წარწერაში ერთი და იგივე ასო სხვადასხვანაირად იწერება. მაგ.: მე-17 წარწერაში ი-ნი დაწერილია Ո და ი-დ; მე-18-ში ვ-ინი Ч-დ (მე-2 სტრ.) და ч-დ (მე-3 სტრ.) და სხვ. გარდა ამისა ყურადღებას იქცევს ასოები ო-ლ (წ. 13, 16...), ѕ-გ (წ. 15), თ-თ) (წ. 18), и-и (წ. 14, 17...) და სხვ.

ეკლესიაში ამოსულია ორი ლეღვის ხე, ეზოში დგას ძელქვის ხეები.

ღვანკითის ს ა მ ე ბ ი ს ახალი ეკლესია.

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი: 1. ფ ი ც ა რ ზ ე ნ ა ხ ა ტ ი ხ ა ტ ი ჩ ვ ი ლ ე დ ი ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ა, $30^{3}/_{4} \times 25$ სმ, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი და შემკული წინა მხარეს 15 დიდ-პატარა ქვით (ღვთისმშობლის შარავანდსა და მისი თავის ორივე მხარეს). ხატს ზურგზე (შუა ნაწილში) აქვს სანაწილე კარით, აქვე (ზურგზე) ზევითა ნაწილში არის მხედრული წარწერა:

1. ქ.. ჩვენ დიდთა მეფეთა და სრულიად სდ. იმერთა მყრობელის. ღვთივ. გვირგვინოსნის. მეფის. ალექსანდრეს ძის ძემან.

2. უგანათლებულესმან ბატონმან, ბატონისშვილმან, დავითმან და თანამეცხედრემან ჩემმან ერისთვის ასულმან.

3. დარეჯანმან. შევამკვეთ ხატი ესე ყოვლად წმინდისა. ღვთის მშობელისა.

წარწერა ეკუთვნის XIX ს.

2. ფ ი ც ა რ ზ ე ნ ა ხ ა ტ ი ხ ა ტ ი ც ხ რ ა წ მ ი დ ა ნ ი ს ა (ღვთისმშობლის, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მღვდელმთავართა და სხვ.), $25 \times 18^{1}/_{4}$ სმ, შემკული ვერცხლის აშიებით. ხატს ზურგზე აქვს წარწერა, მელნით:

1. ეს ხატი პატარა რუსუდანის არის,

2. არ დაეკარგოს,

3. თავადი გრიგოლ წერეთელი.

ამავე ეკლესიაში არის საფლავები ბაგრატოვანთა, ალექსანდრე მეფის შვილიშვილის დავითის შთამომავალნი ივანე მეუღლით და ალექსანდრე მეუღლით. ივანე დაბადებულა 1814 წ., გარდაცვლილა 1869. მეუღლე მისი ელისაბედ, ასული ბეჟან წერეთლისა, დაბადებულა 1815 წ., გარდაცვლილა 1888 წ. ალექსანდრე ივანეს ძე, დაბადებულა 1851 წ., გარდაცვლილა 1895 წ. (სწერია გარდაიცვალა 4-

წლისაო); მეუღლე მისი ნიდიტორი, ასული ალექსანდრე წულუკიძისა, გარდაიცვალა დაახლოებით 1923 წ. (წარწერა არ არის); ალექსანდრეს ქალიშვილი თამარი, დაბადებულა 1883 წ., გარდ. 1888 წ.

ღვანკითის დედაღვთის ეკლესია. დგას სოფლის დასავლეთით, მდ. ჩოლაბურის მარჯვენა ნაპირას. იგი ერთნავიანი ბაზილიკაა, 9×6 არშინი (დაახლ.), ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან. დღეს ნანგრევად არის: 1924—25 წლებში მისთვის შემოუცლიათ პერანგი (გარეთი პირის ქვა) წაუღიათ და მდ. ჩოლაბურის ნაპირის გასამაგრებლად უხმარიათ წისქვილთან (წყალში ჩაუყრიათ).

ჩხარი

ჩხარში არის წმ. გიორგის ძველი ეკლესიის ნაშთი: დარჩენილია მარტო საძირკველი, რომლიდანაც სჩანს, რომ ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკა ყოფილა, 16×9 არშინი (დაახლ.).

ეკლესიის აღმოსავლეთით დგას ორსართულიანი ქვიტკირის სამრეკლო (სურ. 28); მას თავზე ჰქონია „საზარე", რომელიც დღეს დაქცეულია. ასე რომ, თავდაპირველად სამრეკლო სამსართულიანი ყოფილა. კარი აქვს დასავლეთით; კარის თავზე გამოქანდაკებულია ლომი, დაბმული ჯაჭვით. მაღლითა სართულებში ასასვლელად გამართულია ქვა-კიბა.

ეკლესიის ნაშთისა და სამრეკლოს გარეშემო არის ძველი გალავანი ქვიტკირისა.

ჩხარის აღმასკომის საწყობიდან წამოღებული **ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:**

1. (ქ. 43). ჟამნი ნუსხურად ნაწერი, დაზიანებული. წიგნს უკანასკნელ ფურცელზე აქვს მინაწერი ნუსხურად:

ამის მწერ(ა)ლსა გ(ა)ბრ(იე)ლს, ფ(რია)დ ც(ო)დვ(ი)ლსა, შ(ეუნდვნ)ეს ღ(მერთმა)ნ. და ვინცა ამა წ(მიდა)თა ქ(ა)მთა მემიხჯოთ, შ(ე)ნდ(ო)ბ(ა)ჲ მიბძანეთ ღ(ვთ)ის მ(ადლ)სა. შ(ეუნდვნ)ეს ღ(მერ)თ(მა) დ(ე)დ(ას)ა ჩ(ე)მსა და მ(ა)მ(ას)ა ჩ(ემსა) ც(ო)დვანი მ(ა)თნი ა(მი)ნ.

2. (ქ. 118). მცირე სანაწილე ვერცხლისა, შემკული 3 თვლით, 2 სადაფით და 2 მარგალიტით (აკლია 2 მარგალიტი).

3. (ქ. 119). ბეჭედი თვლიანი, ძველი ხელოვნებისა, 3 ცალი.

4. (ქ. 120). დაფარნა, ძველი ხელოვნებისა 1 ცალი.

ჩხარში მცხ. კოლია ზარნაძის მიერ შემოწირული სიძველე:

1. (ქ. 117). ბრინჯაოს ხანჯლის ნაწილი, აღმოჩენილი ჩხარის ზევით, ნაქალაქარში.

ჩხარის ოქონის ეკლესია (სურ. 29) (ჩხარის ზევით, გორაკზე) ერთნავიანი ბაზილიკაა, $11 \times 5^1/_2$ არშინი (დაახლოებით); ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან. საკურთხევლის ნაწილი (აფსიდა) გარეთ ხუთწახნაგოვანი არის; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი აღმოსავლეთით 3, სამხრეთით 1 და დასავლეთით 1; დასავლეთის კარი და აღმოსავლეთის სარკმლები შემკულია ჩუქურთმებით. ტრაპეზი მოშლილია. ეკლესიაში გდია მცხვილი სვეტი ქვისა, სიმაღლით $1^1/_4$ არშინი, რომელიც შემკულია ყვავილთა სახეებით, მეორე ამგვარივე სვეტი გდია ეკლესიის გარეთ, ეზოში; აქვე (ეკლესიის სამხრეთით) მიწაში ჩაფლულია ჩუქურთმიანი ქვა; ეგების ესენი კანკელის ნაწილები იყოს.

შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა; მხატვრობა შენახულია მარტო საკურთხევლის ნაწილში, კათოლიკონი კი შეულესიათ კირით; წარწერები ასომთავრულად და ნუსხურად არის. საკურთხევლის კონქში დახატულია დიესუსი: მაცხოვარი ზის ტახტზე, იგი მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში წიგნი უჭირავს; აწერია: ⵏⵏⵙⵁ ⵜⵄⵏⵙⵔⵏ ანუ იესო ქრისტე; მაცხოვრის მარჯვნივ ღვთისმშობელია დახატული ანგელოზით, მარცხნივ ნათლისმცემელი ანგელოზითვე.

1. რიგში — ზიარება პურით ერთ მხარეს და ზიარება ღვინით მეორე მხარეს, მოციქულები საზიარებლად თითო-თითონი მიდიან, აქ მარჯვნივ, მოციქულის ფეხთა წინ (მარცხნივ) არის ასომთავრული წარწერა:

ⵊⵒⵜⵏⵅⵙ : ⵛ	იკითხება:
ⵍⵁⵒⵅⵛⵄⵏⵙ	მიქელსა-
ⵊⵏⵁⵊⵁⵙ	ბულაძეს
ⵊⵏⵁⵊⵁⵙ	შეუ(ნ)დოს
ⵊⵄⵏⵁⵄⵊ	ღმე(რ)თმა-
5. ⵒ	5. ნ.

მე-2 რიგში, ძირს — მღვდელმთავრები; ისინი წელს ქვევით ძლიერ დაზიანებულნი არიან, აღარა სჩანან, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ნაწილში, გრაგნილები მათ ასომთავრულად აქვთ დაწერილი.

ამ რიგის ხაზში, მთავარი სარკმლის მარჯვნივ (ჩრდილოეთით), არის ნუსხურად წარწერა:

	იკითხება:
ⴄ⁚· ⴈⴊⴈⴄ⸗	— ე მუმიჭ⸗ ...
ⴝⴰⴄⴝ⁚· ⴣⴑ	გრიგ(ოლ) (?) კა[ლა]-
ⴅⴆ⁚· Ⴇ. ⴅⴅⴑ	ტ(ო)ზ(ს) (?) დ(ა)ხ(ა)ტა
ⴈⴄⴰ ⴊ⁚· ⴍ	მერ-უ შ(ეიწყა)-
5. ⴜⴄ⁚· ⵏⵑⴊⴜ	5. ლე (?) სული ..
ⴝⴊⴜⴄⵏⵏ⁚·	გულისა ...
ⴈⴊⴣⵑⴰ ..	მუკარ ...

იმავე რიგში, ჩრდილოეთის კედელზე, კანკელის ახლოს ხატია ვინმე დიდებული, მოსჩანს მისი მარტო პირისახის მარცხენა მხარე და ტანისამოსი ნაწილობრივ, მარჯვენა მხარეს აქვს დაზიანებული ასო-შთავრული წარწერა:

	იკითხება:
Ⴋ(+)Ⴋ—	აქა
⁚·Ⴗ⳨	გრ-
⳩Ⴗ.	იგო(ლს)
ⴍ⳩ⴇⴆⴝ	შეუ(ნ)დ(ო)-
5. Ⴝ·ıⴈⴎ	5. ს ღმ-
Ⴗ⳨Ⴓ...	ერთ(მან)

ეკლესიის ეზოში დგას მრავალი (23-მდე) დიდხნოვანი ხე, მათში შეტი წილი ძელქვა არის.

გოგნი

გოგნის „კარუგდებელი“ წ მ. გ ი ო რ გ ი ს ეკლესია დგას სოფლის დასავლეთით აღმართულ მაღალ გორაკზე (1 ვერსი), რომელსაც გარს აკრავს ურთხველის ტყე და მახლობლად (სამხრეთით) აქვს გაშოქვაბულები. ეკლესია ერთნავიანი მცირე ბაზილიკაა, 5×4 არშინი (დაახლ.); ნაშენია ქვიტკირისაგან, ჰხურავს ყავარი და თუნუქი; კარი აქვს დასავლეთით სარკმელი — აღმოსავლეთით.

ეკლესიაში არის ქვაზე გამოქანდაკებული ხატი მაცხოვრისა ამაღლებისა, $1^1/_2 \times 1$ არშინი (დაახლ.); მას ადგილობრივ შეცდომით წმ.

გიორგის უძახიან. მაცხოვარს გარეშემო ღრუბელთა გროვა აქვს შემოხვეული, იგი მარჯვენით აკურთხებს, ხოლო მარცხენაში უჭირავს გაშლილი ეტრატი, რომელზედაც წერია ნუსხურად:

ანუ:

ⰰⰳ ⰻⰾⰰⰻⰻⰾⰰ	მე აღვალ
ⰰⰰⰲ⁻ⰾⰻⰻ ⰽ⁻ⰰⰾⰻⰻ	მ(ა)მ(ი)სა ჩ(ე)მ(ი)სა
ⰰⰻⰻ ⰽⰽⰲⰳⰽⰿ⁻	და ნუგეში-
ⰽⰻⰰⰰⰾⰳⰽⰰⰳⰽⰿⰰⰻ	ნის მცემელი
5. ⰾ⁻Ⰺ ⰿ⁻Ⰺ ⰰⰱⰳⰿⰳ	5. ს(ულ)ჲ წ(მიდა)ჲ მოგივ-
ⰻⰻⰽⰰⰱ ⰻⰽ⁻ⰽ	ლინო თქ(ვე)ნ.

მაცხოვრის ზევით, კუთხეებში გამოქანდაკებულია ორი ხნიერი პირის სახე (წვერიანები) ყელამდე. მაცხოვრის მარჯვნივ და მარცხნივ არის მთავარანგელოზები; მათ ქვევითაც ორი ანგელოზი დაზიანებული.

ქვა რამდენიმე წლის წინათ ვინმე ბოროტმოქმედს გადმოუგდია ადგილიდან და დაუზიანებია: მას ძირა ნაწილი მოტეხილი აქვს 22 ნატეხად. ყველა ამ ნატეხებს შერჩენილი აქვს ქანდაკების კვალი, ამ დაზიანების გამო მაცხოვარს აკლია მუხლთ ქვევითი ნაწილი; ძირა ანგელოზები წელს ქვევით აღარ არიან, მათგან მარჯვენა თავზე აქვს წარწერა ნუსხურნარევი ასომთავრული, რომელიც დასრულებული არ არის:

ⰺⰽ⁻ⰰ ⰲⰳⰰⰽⰰⰽⰰⰾⰰ ⰿⰽ

ანუ. ძეო ღმრთის(ა)ო, შ(ეიწყალ)ე.

ეკლესიაშივე არის ქვის სვეტი, 1 არშინის სიმაღლისა; იგი ან კანკელის ნაშთი, ან ჯვრის ასამაღლებელი უნდა იყოს.

მაჩიტოურში მცხოვრებ იაკობ გიგაშვილის მიერ შემოწირული საბუთი:

(ქ. 4). სიგელი მიცემული გენათელ მიტრაპოლიტის ეფთვიმეს მიერ ნიკოლოზ გიგაშვილისათვის.

სკანდეს ციხე

ციხე დგას მთის კალთაზე; იგი შესანიშნავი და უზარმაზარი შენობა ყოფილა. ნაშენია კლდისა, რიყის ქვისა და კირისაგან; დღეს ნანგრევად არის (სურ. 30); იგი უნგრევიათ ადგილობრივ მცხოვრებთ

და მისი მასალა სახლების საძირკვლისათვის უხმარიათ; მისივე მასალით ამოუყვანიათ ადგილობრივი ორი ეკლესიის (მთავარანგელოზის და ბარბარეს) ბალავრები; დღესაც სამხრეთის კედელთან დაგროვილია 2 საჟენზე მეტი ციხიდან ნაშალი ქვა. საშენებელი ქვა საზოგადოდ ადგილობრივ არ მოიპოვება და ამისათვის ძეგლი გამოუყენებიათ. ციხიდან დღეს შენახულია ჩრდ. კედელი ნაწილობრივ და სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი. შიგნით, აღმოსავლეთ-სამხრეთის კუთხეში არის ოთხი ოთახი, რომელთა შიგნით პირი სულ თლილი ქვისაგან არის ნაშენი; აქ ერთ კამარას აქვს ქვა, რომელიც ამ მოკლე ხანში ჩამოუმტვრევიათ; მის მარჯვენა ნაწილში გამოსახულია ჯვარი, მარცხენაში არის მხედრული წარწერის ნაშთი, სადაც იკითხება — „[ჩხ]ეტიძე... ვახტანგ...“ ციხის სამხრეთ ნაწილში არის თლილი შირიმის ქვისაგან ნაშენი ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი; შიგნით, ეზოში შენახულა აუზი, რომელშიაც წყალი დგას; დასავლეთის მხარეს ციხეს ჰქონია გვირაბი, ძირს ფერდობზე მოსჩანს მისი კოშკი.

თავასა

თავასის სამების ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, $7^1/_2 \times 4$ არშინი (დაახლ.), რომელსაც დასავლეთით ჰქონია საქალებო; უკანასკნელისა დღეს მარტო საძირკველიღა მოსჩანს; ნაშენია დიდი თლილი ლოდებისა და კირისაგან; ხურავს ლომფინი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი — აღმოსავლეთით და სამხრეთით; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. კათოლიკონის აღმოსავლეთ ნაწილში, პილიასტრიდან საკურთხევლამდე აქვს საჯდომები.

შიგნით ეკლესია მოხატულია; მხატვრობა ნაწილობრივ დაზიანებულია, წარწერები ასომთავრული, საეკლესიო შინაარსის მხატვრობის გარდა აქ საერთო პირნიც არიან დახატულნი. ამისდა მიხედვით აქ ჯერ აღვწერთ სასულიერო პირთა ფრესკებს და შემდეგ — საერო პირებს.

I.

საკურთხევლის კონქში დახატულია დეისუსი (მაცხოვარი, ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი); მაცხოვარი მჯდომარეა ძვირფას ტახტზე, იგი ძლიერ დაზიანებულია; მოსჩანს მარტო სახისა და ტანის ნაწილი და სხვ.

დეისუსის ძირს მხატვრობა ორ რიგად არის; სარკმელთან მოსჩანს რამდენიმე მღვდელმთავარის სახე. სახელდობრ — ჩ᷾ᲝᲧᲔᲜᲖ᷾Ⴗ, ანუ: წ(მიდა)ჲ ბასილი და: ჩ᷾Ⴗ Ⴗ᷾Ⴗ ᲐᲮᲫᲘᲡ(ᲘᲮᲘ), ანუ: წ(მიდა)ჲ ი(ოან)ე ოქროპირი; აქვე სამხრეთის კედელზე — ჩ᷾Ⴗ ᲫᲘᲨᲮᲘᲜ: —, ანუ: წ(მიდა)ჲ რომანოზ.

კათოლიკონში მხატვრობა კარგად არის შენახული სამხრეთის კედელზე; აქ დახატულია ჯვარცმა (დიდებულების მაღლა) და მის აღმოსავლეთით ჩ᷾Ⴗ Ⴗ᷾Ⴗ, ანუ: წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი და სხვ.

II

კათოლიკონის სამივე კედელზე, ძირა რიგში მოთავსებულია საერო პირთა გამოსახულებები, ასომთავრული წარწერებით.

სამხრეთის კედელზე: საკურთხევლის ხაზიდან მოკიდებული კარამდე დახატულია. ხუთი პირი (აღვჭერთ აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით). აწერიათ:

პირველს: Ი.....ᲫᲠᲩ ანუ: ღ . . . მან

მეორეს (თავზე): ᲡᲘᲗ.ᲫᲔᲫᲘᲗ.: ᲫᲠᲔ ანუ: სუბატაი მატ...

მესამეს (თავზე): ᲫᲘ: ᲥᲣᲠ ანუ: მღ(დელთმ)თ(ავარ)თა (?)
ᲮᲠᲗ: რაი
Ⴗ᷾Ⴗ ᲧᲥ ი(ოან)ე კო
ᲮᲣ ...ძე

მეოთხეს თავზე: ᲫᲠᲘᲫᲠᲗ, ᲘᲮᲩᲘᲔᲗ მამაი იეჩიტი-
ᲮᲣ ძე

მეხუთეს (პილიასტრზე): ᲫᲠ მა-
ᲫᲘᲡᲠ მისა
ᲫᲠᲧ| მაშ...
ᲧᲮᲠᲧ ყვაშ...

შემდეგ, კარის დასავლეთი კუთხისაკენ დიდებულთა სურათებიდან მარტო აპყრობილი ხელებიღა შენახულა.

დასავლეთის კედელზედაც, კარის მარჯვნივ და მარცხნივ, მხოლოდ აპყრობილი ხელებიღა მოსჩანს.

ჩრდილოეთის კედელზე დახატულია ცხრა დიდებული, მათგან პირველი დაზიანებულია, აწერიათ:

პირველს (საკურთხევლის ხაზთან):

ᲧᲩ ანუ:
·ᲣᲫ შე
ᲡᲠᲨ -ეთ
მეორეს: ᲥᲨᲰᲘᲥᲡᲬ სღ᷄ნ
ᲨᲔᲒᲣ გრეგოლ(?)
მესამეს: ᲨᲔᲥ ᲧᲣᲫᲨᲘ ატდე
მეოთხეს: ᲢᲨᲩ ახგ ბედაი
ᲬᲘᲣ პავ-
მეხუთეს: ᲥᲘᲨ ლიე
მეექვსეს: [ᲣᲘᲪᲧᲨᲘ. გე(დე)ონ (გერმოგენ?)
მეშვიდეს: ᲫᲨᲩᲫᲨᲘ [ი]ობაი
მერვეს: ᲥᲣᲪᲰᲥᲘ დავ(ი)თაი
მეცხრეს: ᲭᲡᲫᲩ|Ც| გიორგი
მსთვ. ო . .

მუხურა

ქვედა უბნის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ლითონზე ნაჭედი ხატი გაბრიელ მთავარანგელოზისა, $31^{1}/_{4} \times 23$ სმ, დაფერილი ოქროს წყალში, გარდა აშიებისა. ხატი დაზიანებულია (თავსა და ქვედა ნაწილში).

2. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა (მარტო) $36 \times 26^{1}/_{2}$ სმ, ღვთისმშობელი, მაველრებელი, ანუ ხელებაპყრობილი. თავზე აწერია: ᏦᏁ ᏈᏁᏟ, ანუ: ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ა; ყელის გასწვრივ: ᏂᏓᏈᏁᏓᏰᏍ ᏣᏘᏣ ᏣᏘᏣᏟ ᏆᏁᏍᏟ, ანუ: ქ(ა)ლწ(უ)ლი მ(ა)რ(ია)მი დედა ღ(ვ)თისა; ქვედა ნაწილში, ფიცარზედვე აქვს წარწერა:

ᏦᏁ ᏈᏁᏩ: ᏕᏞᏋ: ᏀᏦᏂ: ᏣᏦᏥᏄᏭ: ᏓᏀᏂᏒᏂᏪ: ᏂᏁᏂᏒᏂᏪ: ᏂᏁᏂᏒᏂᏪ:—ᏀᏓᏁᏋᏣᏭ: ᏖᏀᏀ

იკითხება:

ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო, მ(ეო)ხ ეყ(ა)ვ აბაშიძე ლევ(ა)ნს, ჩღმზ, გლ(ა)ხაკი ი(ოა)ნე.

რცხილათის ეკლესია

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. ჯვარი ხისა, 207×63×10 სმ, შეჭედილი წინა მხარეს და გვერდებზე დაბალი ვერცხლით. რომელზედაც ჭედილი ხატებია წმ. გიორგისა, მთავარანგელოზის, (თვითეულისა რამდენიმე), ღვთისმშობლისა და სხვ., წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა და ვეშაპს ჰგმირავს; ღვთისმშობელს ყრმა კალთაში უჭირავს და აქეთ-იქით უდგას ორი წმიდანი, მისკენ მობრუნებული. ჯვარს ქვედა ნაწილში, ძირიდან 1 არშინის სიმაღლეზე ვერცხლის შემკულობა აყრილი და დაკარგული ჰქონია და ამ ადგილას შემდეგ ხანში გადაუკრავთ ყვითელი თუნუქი, რაზედაც მოგვითხრობს წარწერა ამავე თუნუქისა. ჯვარი დაზიანებულია: 1923 წელს იგი დაუნარცხებიათ ეკლესიის იატაკზე და ჯვარის გულში მჯდომი ნაწილებიანი ნახევარბუშტი დაუჭყლეტიათ, გულს ქვევით ვერცხლის ფურცელი გაუხევიათ სიგანეზე და სხვა...[116].

ჯვარს აქვს წარწერები:

1. ქვედა ნაწილში, მარცხენა გვერდზე, ასომთავრულად:

[ⴒ-Ⴓ] Ⴇ-Ⴗ Ⴟ-Ⴗ ⴣⴒ-Ⴔ Ⴠ-ⴒ[Ⴗ]
[ⴝⴡ]Ⴡ-ⴒⴑⴑⴀ

იკითხება:

[წ(მიდა)ო] გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე მ(ო)ნ(ა)ზ შ(ე)ნ[ი]
[აბ](უ)ბნ(ა)სრ

ესევე პირი მოხსენებული არის დიდ-რგანის ეკლესიის წარწერაში.

---

116 ხალხის სიტყვით, ჯვარი უწინ ყოფილა სოფლების რცხილათის, თავასას და შუხურის საზღვარზე, მაღალ მთაზე, რომელსაც ეწოდება წიფორა. ხსენებულ სოფლებს ამ ჯვარზე დავა ჰქონიათ და ასე დაუდგენიათ: ვინც მამლის ყივილისახ (დილით) პირველი ავიდეს იმ ჯვართან, იმ სოფლისა იყოსო; ამდგარა რცხილათიხ მღვდელი და ღამე წასულა, თანაც მამალი წაუყვანია; როცა ასულა წიფორაზე, მამალი დაუყივლებია და ჯვარიც იმას რგებია. წამოუღია ეს ჯვარი და ამის შემდეგ იგი სამუდამოდ რცხილათს დარჩენიაო.

ხალხისვე სიტყვით ჯვარი ბალის ხისაგან არის გაკეთებული.

2. ქვედა ნაწილშივე წინა პირზე, ორ მთავარანგელოზთა შუა (სადა ფურცელზე) ნუსხურად —

	იკითხება:
ⵕ᷑ⵡ ⵏⵒ	წ(მიდა)ო სა-
ⵛⵇⵖⵒ	მება-
ⵡ ⵒⵛⵐ	ო ადი-
ⵛⵇ ⵚⵔ	დე ცხი-
5. ⵜⵒⵜⵐ	5. ლათი [ს]
ⵅⵇⵜ	ჯევ-
ⵐ	ი

3. მე-2 წარწერის ქვევით, ისევ მთავარანგელოზთა შუაში ნუსხურადვე:

	იკითხება:
ⵕ᷑ⵡ ⵏⵒⵛⵇ	წ(მიდა)ო სამე
ⵖⵒⵡ ⵅ᷑ⵇ	ბაო, შ(ეიწყალ)ე
ⵐⵡⵛⵒⵏⵇ	იოდასე-
ⵖ	ბ.

4. მე-3 წარწერის ქვევით დაზიანებულ ადგილას დაკერებული ყვითელი თუნუქის ზევითა ნაწილში მხედრულად:

ქ. წმიდაო გ(ორგ)ი შ(ემიწყალ)ე მე, ცო-
დვილი მჭედელი რ(ომელმა)ნ ვკა-
დრე განახლება ჯ(ვარს)ა შენსა,
დღესასწაულსა შენსა გიორგო-
5. ბასა. ქალი და კაცი დამლ-
ოცვიდენ.

2. (ქ. 35). დავითნი, ნუსხურად ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

3. (ქ. 36). კურთხევანი ნუსხურად ნაწერი, თავსა და ბოლოს ფურცელნაკლები.

ქვაციხე

ქვაციხეში ყოფილა ორი ძველი ეკლესია: დ ე დ ა ღ ვ თ ი ს ა და წმ. გ ი ო რ გ ი ს ა, ორივე ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან. პირველს ჰქონია წარწერიანი ქვები და ჩუქურთმიანი კოზმიდები, მეო-

რეს კი — მარტო წარწერიანი ქვები. ეს ეკლესიები დაუქცევიათ 1923 წელს, მაისში, ადგილობრივი რაიალმასკომის თავმჯდომარის სევარიონი გამეზარდაშვილის მეთაურობით და მათი მასალა ადგილობრივ წყალზე გასადები ხიდის სამი ბურჯისათვის შეუხმარებიათ; ჩუქურთმიანი ქვები ზოგი გაუთლიათ და ზოგი ბურჯის შიგნით კედლებში ჩაუყრიათ

წარწერიანი ქვებიდან მარტო ერთი გადარჩენილა, ის უდევს ხიდის მარცხენა ნაპირის ბურჯის ზევითა ნაწილს, პირით წყლისაკენ:

	იკითხება:
(ჰ)ე ყ̃ე სოო..ტ	ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი..
(ჰ)̃ე ყ̃ე ს̃ოო სჲლტო	ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი ვ. სახელ?
ეყ̃ე ა̃ტჲჩ(ე)	ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე იოვანე
ⵁⵀⵆⵐⵀⵅⵟⵛ....	[შე]უნდვ(ე)ნ შეც[ოდებანი].

დიდი-რგანი

დიდ-რგანის წმ. გიორგის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, $9^1/_2 \times 4^1/_2$ არშინი (დაახლ.), ნაშენი შირიმის თლილი ქვისა და კირისაგან; შიგნით გალესილია კირით; ხურავს კრამიტი; კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი — აღმოსავლეთით 3, სამხრეთით 1, დასავლეთით 1. ტრაპეზი ოდნავ დაშორებულია კედელს. საკურთხეველში არის ორი დიდი და მაღალი და ერთი მცირე თახჩა.

ეკლესიას გარეთ კედელზე აქვს წარწერები:

1. სამხრეთის მხარეს სარკმლის თავზე მდებარე მოთეთრო ფერის ქვაზე მრგვლოვანი ასომთავრულით:

	იკითხება:
ⵜⵖ̃ⵗ̃ⵖ ⵛⵟⵁⵓⵍ	ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე აბუბ-
ⵀⵛⵔⵑⵙⵜ ⵖⵜⵛⵖ	ნასრ ერის-
ⵁⵛⵔⵒⵖ ⵓⵛ ⵗⵒ	თავი და შვ-
ⵊⵖⵀⵊⵜⵊⵔⵀⵊⵓ	ილნი მისნი დ-
5. ⵛ ⵟ̃ⵖ ⵖⵜⵑ ⵜⵊⵑⵖ	5. ა ყ(ოველ)ი ერი მისი.

წარწერაში იხსენება სახელი აბუბ. მსგავსი სახელები არის:

ბობა — ქალის სახელია, გვხვდება იერუსალიმის აღაპებში (ბობა, ჯავახ თორელის, ასული და ბობა ინალასურისძის) (მეუღლე)[117].

ბუბა — კაცის სახელია, გვხვდება სვერის ხატის (X-XIII სს.) წარწერაში;

ბუბა — მთას ეწოდება, რაჭის ჩრდილოეთით მდებარეს.

სახელი აბუბ უნდა შეესატყვისებოდეს **აბიბოსს**; ვიცით: აბიბოს ნეკრესელი; ჰაბიბ იბნ მასლამა, არაბთა სარდალი საქართველოში გამოგზავნილი პირველად (მან საქართველო დაიპყრო 643—645 წლებში).

აბუბ-აბიბ-აბიბოს ერთი და იგივეა.

ესევე სახელი „აბუბნასრ“ იკითხება რცხილათის დიდი ჯვრის დაზიანებულ წარწერაში.

2. ამავე სამხრეთის მხარეს, კარის ასწვრივ, კარნიზის ძირს მდებარე მოთეთრო ფერისავე ქვაზე კუთხოვანი ასომთავრულით:



იკითხება:

სახელითა ღ(ვ)თისაჲთა მ-
ეოხებითა წ(მიდ)ისა გ(ა)ბრ(იე)ლისი-
თა, ს(ო)ფ(ე)ლ(მა)ნ ნ(ა)ვ(ა)რძ(ე)თ(მა)ნ ა(ა)გო ტ(ა)ძ(ა)რი ეს-
ე ღ(ვ)თისა)ჲ. ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ს(ო)ფ(ე)ლი აქა
ჯ(ო)რც(იე)ლ(ა)დ, მ(უ)ნ ს(უ)ლი(ე)რ(ა)დ.

ეკლესიასთან არის ქვა, რომელზედაც გამოსახულია ვინმე პირი წელამდე (წმიდანი?, თავზე ნიმბის მაგვარად მას აქვს წამოსა-

---

117 აღაპნი, 127, 146 (ე. მეტრეველის გამოცემა: აღაპნი, №№ 129, 148).

სხამი ტანისამოსი შეკრული აქვს გულთან მრგვალი ღილით. ქვა კანკელიდან უნდა იყოს დარჩენილი.

როგორც მეორე წარწერიდან ჩანს, ეკლესია აშენებულია სოფელ ნავარძეთის მიერ. დღევანდელი ნავარძეთი მდებარეობს ხსენებული ძეგლიდან სამხრეთით, 3 ვერსის დაშორებით.

მღვიმევი

მღვიმევის მაცხოვრის ეკლესია[118] (სურ. 31, 32) ორნავიანი (ცენტრალური და ჩრდილოეთი) ბაზილიკაა, 12×9 არშინი (დაახლ.), ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან; მას სახურავ-თაღად ბუნებრივი კლდე აქვს. თაღს უდგას ორი სვეტი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; სარკმელი: აღმოსავლეთით 3, სამხრეთით 1, ჩრდილოეთით 2 სანათური. გარედან ეკლესიის კარ-სარკმელი და კარნიზები მრავლად არის შემკული ძვირფასი ჩუქურთმებით (სურ. 33, 34).

შიგნით ეკლესია მოხატულია. მხატვრობა განახლებულია. საეკლესიო შინაარსის მხატვრობის გარდა აქ დახატული არიან ისტორიული პირნიც.

1. ჩრდილოეთის კედელზე, საკურთხეველთან ახლოს არის რაჭის ერისთავი ასომთავრული და მხედრული წარწერებით[119]: ასომთავრულად: ⴕⴑⴔⴇⴗⴑⴔⴗ(ს)ⴕⴗ, ანუ რატი კახაბერი(ს)ძე მხედრულად: ქ:. ამა:. ეკლესი(ი)სა[120]:. აღმაშენებელი:. რაჭის:. ერისთავი:. კახაბერი(ს)ძე:. რატი:.

2. რატის დასავლეთით (მარჯვნივ) მისი მეუღლე წარწერებით: მხედრულად: [ქ] მეუღლე[121] მათი რუსუდან; იგივე ასომთავრული: ✝ ⵛⴂⵁⵏⵚⴂ ⵛⵔ-ⵂ ⴕⵁⵏⵁ.ⵚⵔⵒ.

3. რუსუდანის დასავლეთით (მარჯვნივ) დიდებული წარწერებით: მხედრ:. კახაბერი (ს(ძე) ნიანია იგივე ასომთავრულად: ⵒⵂⵔⵒⵂⵁⵔ [ⴗⴑⴔⴗⴂⵒⵂⵍⴕⴂ].

---

118 RVA, XII, 88—93; MAK, VII, 92—100.

119 ბროსეს წარწერები ფრანგულად აქვს მოყვანილი, გარდა ორი სიტყვისა (RVA, XII, 90, i); გ. წერეთელს გადმოღებული აქვს მხოლოდ მხედრული წარწერები (MAK VII, 95).

120 გ. წერეთელი: ეკლესიის (იქვე).

121 ბროსე: დედოფალი (RVA, XII, 90, i).

დასავლეთის კედელზე მოჩანს საერთო პირთა სურათების ნაშთი (მუხლს ქვევითი ნაწილი — ჩაცმულობა).

ეკლესიის აღმოსავლეთის კედელზე, გარეთ, სარკმლის ქვევით (სამხრეთისაკენ) აქვს მხედრული წარწერა[122].

ბატონისშვილი გი-
ორგის მიერ წინამძღ
ვარ ვიქმენ დიღნოს[123] აქა[124]:.
და ფ(რია)დ ღვაწლის და-
მდებმან:. ესე საფლავი: ვით-
ხარე: აჰა[125].

წარწერა უჩვენებს საფლავს წინამძღვრისას, რომელიც უნდა იყოს ძირს, კედელთან, იგი ეკუთვნის XVIII ს. მასში მოხსენებული გიორგი ბატონიშვილი შემდეგში მეფე იმერეთისა გიორგი VII, არის განმაახლებელი ეკლესიისა, რომელ[illegible] იკითხება ეკლესიის დასავლეთით მდებარე ლოდის წარწერაში.

ეკლესიის კანკელი შემკულია ქართული ხელოვნებით ფიცარზე ნახატი ხატებით.

ეკლესიის დასავლეთით, კარის გასწვრივ არის ორი საფლავის ქვა ძლიერ დაზიანებული მხედრული წარწერებით[126].

პირველზე (ჩრდილოეთით) იკითხება[127].

ქ ჩვენ, უ[ოელისა იერიისა ბატონმა]
ტომობით დავითიანმა, [მპყრობელმა წმინდისა ამის]
მონასტრის[ამა] ბატონის შვილმა [გიორგი ვიგულ]
სმოდგინეთ: [ჟამთა ვითარებისაგან მონასტერი ესე სა]-
ერისკაცოდ [გამხდარ იყო. ხოლო ჩვენ აღვაშენეთ და შე-
ვამკე]-
თ მამულითა [და შიგ] წყობილებითა, დასაფლველად]

---

122 (RVA, XII, 89, b).

123 ბროსე შეცდომით: დიონის (იქვე).

124 ეკლესია ძველად მამათა მონასტრად ყოფილა და მხოლოდ 60 წლის წინათ გადაუკეთებიათ დედათა მონასტრად.

125 ბროსე შეცდომით: აქა (იქვე).

126 ბროსეს წარწერები არა აქვს მოყვანილი, მას მხოლოდ ცნობა აქვს მათ შესახებ (RVA, XII, 89 c), d)).

127 დაზიანებული ადგილები აღდგენილია გ. წერეთლის მიერ გადმოღებული წარწერიდან (MAK, VII, 94—95).

ჩვენთა [და თანახორც ჩვენთა დადიანის ასულის] მზეხათუნისა ვყავთ. და ყოველთა მხილველთა[128] [და აღმომკი] თხველთაგან შენდობას ვითხოვთ [ქრისტეს აქეთ ჩღოზ] (1778 წ.).

მეორეზე (სამხრეთით):

. . .[129].

[ბაგ]რატ . . [130]
ლის:. გიორგის:. [და]დიანის
ასული:. მზეხათუნ . . . [131]
ივლისა:. კ^ზ (27) ქ(რისტ)ეს[ა] ქეთ ჩ[ღ] (1790 წ.).
ვინ[ც]

5. წა[რ]იკი[თხოთ:. შენდობ]ა:. გვიბრძ[ანეთ]

პირველ წარწერაში მოხსენებული პირი არის იმერეთის მეფე გიორგი VII, ხოლო მეორეში — მისი მეუღლე მზეხათუნ, ასული გიორგი ლიპარტიან-ჩიქოვანისა, XVIII ს.[132].

სიძველენი გადმოტანილ იქნა ტფილისის უნივერსიტეტის მუზეუმში ბ-ნ შალვა ამირანაშვილის მიერ.

1925 წელს მე წამოვიღე:

1. 1783 წ. თბილისში დაბეჭდილ კონდაკში, იოანე ოქროპირის სურათის წინ, ცარიელ გვერდზე წერია, ნუსხური ხელით, სიგელი:

ნებითა და შეწევნითა ღვთისა(ი)თა ესე საბოლოოთ გ^სათავებელი წიგნი მოგეცი მე, როსტ[ო]მ(ამ)ა ბარათაშვილმა, ჩემ(მ)ა შვილმა და მომავალმა შენ, გაფრინდაშვილს მათეს შვილს თადეოს(ს). მოგეცი ტყე და მიწა ნაგერავში ჩემათ სასულიეროთ: [ვ]ოროლს მე მიწირებდე წელიწადში, [ვ]ორს — თ(ა)მარს ხეიძის ქალს, [ვ]ორს — თამარს გამყრელიძის ქალს უწირებდე. არც შენგან წირვა მოგვეშალოს და არც შენი შვილისა და მომავალისგან; არც ჩვენგან მოცემული წიგნი შეგიშალოთ, არც მე და არც ჩემ(მ)ა შვილმა და მომავალმა. ან რამაც ძემან კაცისამან შენ ეს ჩვენგან მოცემული წიგნი შეგიშალოს, ისიმც შეიშლება სჯულის ქრისტიანობისგან, მასამც

---

128 გ. წერეთელი შეცდომით: მკითხველთა (იქვე. 95).
129 თავში აკლია 2—4 სტრიქონი.
130 სულ დაზიანებულია.
131 აკლია 4—5 ასო.
132 MAK, VII, 94—95.

რისხამს ჯერეთ ღმერთი, მისი წმიდანი ზეციერი და ქვეყნიერი, ხორციელი და უხორცონი, ისიმც იქნება შეჩვენებული [ვ]ოთხის პატრიაქისაგა[ნ]. დამწერიცა და..

ეკლესიის დასავლეთით არის სამწირველო $3^1/_2 \times 4$ არშინი, (დაახლ.), ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგანვე. მას სამხრეთის კარის თავზე აქვს მხედრული წარწერა[133]:

ქ განახლდა[134] სამწირველო ესე ქალწულმოწამის

ეკატირინას სახელსა ზედა წელთა (უფ)ლისთა[135] ჩყგ (1803 წ.).

ჩრდილოეთის კედელზე გარედან აქვს მხატვრობის ნაშთი, აქ დახატული ყოფილა ორი რომელიმე პირი: პირველისა (მარჯვნივ) შენახულია მარტო მხარს ქვევითი ნაწილი, მეორისა (მარცხნივ) მხოლოდ წელის ნაწილი. მარცხენა მხარეზე, კლდისაკენ შერჩენილია მხედრული წარწერა:

. მისი
მე
მარი [ამ] [ყოფილი]
თეკლა
5. შეუნდოს
ღმერთმან

როგორცა ჩანს, წარწერა ეკუთვნის მეორე (მარცხნივ) პირს.

ხ ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 35 ა, ბ). ოდიკი — 2 ცალი; თითოეული მათგანის ზევითა ნაწილში ხვეული ასომთავრულით იკითხება: ⵜⵅⵢⵖⵛⵗⵛⵜⵅⵛⵔⵗⵗⵛⵔⵗⵇⵙⵛⵗⵇ... ანუ: ქ. მშვენიერმან იოსებ..., ქვევითა ნაწილში კი ასომთავრულადვე:

1. ⵜⵅⵇⵗⵙⵛⵗⵔⵗ ⵇ·ⵇ·: ⵅⵇⵔⵒⵔⵅⵗ ⵛⵅⵗⵙⵗ: ⵅⵒⵇⵒⵔⵜ·ⵛⵜⵗ: ⵔⵗⵅⵇⵇⵅⵇⵇⵅ, ანუ: 1. ქ. მოიხსენე უ(ფალ)ო მუშაკი ამისი მხატვარი ნიკოლოზ.

2. (ქ. 35 გ). ოდიკი იმავე პირის ბეჭდისა, აქვს ხვეული ასომთავრული წარწერა:

---

133 RVA, VII, p 93.

134 ბროსე შეცდომით: გაახლდა (იქვე).

135 ბროსე შეცდომით: უფლისათა (იქვე).

ზეპირი: 1. † ყოველგვარ ცოდვაში ვინ ცხოვრობს ყველა
ვინ უცხოვრია ჩვენ ცხოვრებ
2. ადამიანს რომელსაც ჭეშმარიტად ღმერთ
ქრისტეში ყველა ადგილ
წერილობითი: 3. ეს ამბავი ყველა კაცზე ნათლად ჩანს

იკითხება:

1. ქ. შესაწირელი ს(ა)ძღთო და სამღ(უ)დ(ე)ლო, შ(ე)წირ(უ)ლი და გ(ა)ნწმედილი წ(მიდ)ისა კ(ა)თ(ო)ლიკე ეკლ(ე)სი(ი)სა
2. მო(ვი)ხვენ ც(ო)დვ(ი)ლმ(ა)ნ მხ(ა)ტვ(ა)რმ(ა)ნ ნიკ(ო)ლ(ო)ზ ხელითა
   გავაკეთე ბ(ე)ჭ(ე)დი ოდიკისა შ(ე)ნის(ა)
3. ღ(ვ)თის მ(ო)ს(ა)ხსენ(ე)ბლ(ა)დ ბძოლ(ა)თა ჩ(ვენ)თა
   — აღს(ა)ხ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ, ამინ.

3. (ქ. 35 დ, ე.). ოდიკი რუსული — 2 ცალი.

4. (ქ. 36). კვერთხის თავის ნატეხები სპილოს ძვლისა — 3 ცალი (ა, ბ, გ).

დარკვეთი

დარკვეთის ეკლესია (სურ. 35, 36) ერთნავიანი ბაზილიკაა, 8×5 არშინი (დაახლ.), რომელსაც დასავლეთით აქვს საქალებო და სამხრეთით სამწირველო, გადაკეთებული უკანასკნელ ხანში საყარაულო ოთახად. ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან; კარ-სარკმელი შემკულია ჩუქურთმებით ხურავს კრამიტი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით, ძველად ჩრდილოეთითაც ჰქონია საკურთხევლის ნაწილთან, იგი აწ ამოგებულია. ეკლესია შიგნით გალესილია კირით. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს პირით სამხრეთისაკენ უდევს ქვა ფარშავანგის (?) გამოსახულებით.

დასავლეთ-ჩრდილოეთის კუთხის გასწვრივ (დასავლეთით) უწინ ყოფილა დიდი მაღალი კოშკი.

ეკლესიის დასავლეთის კედელზე (გარეთ) აქვს ხუთი რელიეფური ასომთავრულნარევი ნუსხური წარწერა (სურ. 37); ყველა თითქმის ერთნაირი მოხაზულობისაა და ერთი დროის ნაწერი უნდა იყოს, თუმცა ცალ-ცალკე თითეული ერთმანეთისაგან განსხვავდება.

აღვწერ ჩრდილოეთის მხრიდან სამხრეთის მიმართულებით.

1. დასავლეთის კედლის ჩრდილო ნაწილში ქვაზე:



იკითხება:

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მთ(ავა)რ(ო) მ(ო)წ(ა)მ(ე)ო შ(ეი)წყ(ა)-
ლ(ე)ნ მ(ო)ნ(ა)ნი შ(ე)ნ(ი)შვ(ი)ლი გოლია-
თისნი ა(ნ)ტონი, გოდობრელ-
ი[136], ლ(ი)პ(არი)ტ და კ(ვირიკ)ე, რომელთა აგიშენ-
5. ეს წ(მიდა)ჲ ესე ეკლ(ე)ს(ი)აჲ შ(ე)მწე ეყა[ვ].

2. პირველის მარცხნივ, სარკმლის თავზე



იკითხება:

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყა-
ლ)ე
ლ(ი)პ(არი)ტი ა-
დიდენ
ღ(მერთმა)ნ ს(უ)ლით

5. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყა-
ლ)ე
გ(ო)დ(ო)ბრ(ელ)ი
და ადი-
დენ ღ(მერთმა)ნ.

---

136 გოდობრელი აქ სახელია, მაგრამ არის ამ სახელიდან მომდინარე გვარი გოდობრელიძე, რომელიც ცხოვრობს საჩხერესა (5 კომლი) და კალვანთაში.

3. სარკმლის მარცხენა მხარეს.



იკითხება:
წ(მიდა)ო გ(იორგ)ი,
შ(ეიწყალ)ე შვი-
ლნი გ-
ოლია-
5. თისნი
და ა-
დიდენ
ღ(მერთმა)ნ.

წარწერებში მოხსენიებული გოლიათი უნდა იყოს სავანის ტაძრის წარწერაში მოხსენიებული გოლიათი. პალეოგრაფიულადაც იმავე ხანას მიეკუთვნება, რომელსაც სავანის წარწერა, ე. ი. XI ს.

4. სამხრეთის კუთხის ახლოს (სურ. 38).



იკითხება:

ღ(ვთ)ალ)ო გაუს(ვე)ნე სუ(ლ)სა
ლაჩ(ა)ხ(?) წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი

მე-3 და მე-4 წარწერები ერთი ხელისანი არიან და პირველი ორი წარწერის ხელიდან განსხვავდებიან.

5. აქვე, კუთხის თავზე, კარნიზის ძირს:



იკითხება:
წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე ქო-
ხალა ს(უ)ლ-
ითა.

ამ წარწერის ჳ განსხვავდება სხვა წარწერათა ჯ-ანიდან.

ს ი ძ ვ ე ლ ე:

კარედი ხატი ღვთისმშობლისა, ფიცარზე ნახატი. ღვთისმშობელი მჯდომარეა და კალთაში იესო უჭირავს, გვერდებზე მიქელ-გაბრიელი. ხატს კარები დაკარგული აქვს. იგი ძველი ქართული (კარგი) ნამუშევარია; ზომა დარჩენილი ნაწილისა $20^{3}/_{4} \times 24$ სმ. ხატი გაკეთებულია აღსავლის კარის მარჯვენა კარში.

ბაჯითი

ბაჯითის ს ა მ ე ბ ი ს ძველი ეკლესია (სურ. 39, 40, 41) ერთნავიანი მცირე ბაზილიკაა, ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან.

გარეთ, კედელზე აქვს წარწერები:

1. სამხრეთის კარის მარჯვნივ —

	იკითხება:
[ⴐⴰⵡ ⵏⵒ]ⵅⵏⵖ	[წ(მიდა)ო სა]მებ-
ⵒⵡ . ⵅⵏⵅ	აო . . . მედ-
. ⵅⵔⵏⵏ	. მისე
ⵏⵒⵅ[ⵏ]	. სამ[ე]
5. ⵖⵍ . ⵖⵍⵒⵔ	5. ბ(ი)ს შუაი
ⵅⵔⵛ . ⵏⵍⵏⵞ	დიყ . ესექ
ⵒⵀ -ⵅ	[ვაი] ან მ
ⵅⵒ	და

2. იმავე კარის მარცხნივ —



იკითხება:

წ(მიდა)ო სამებ-
აო შ(ეიწყალ)ე გ(იორგ)ი
ᲔᲒ (?) ეᲙ[ლ]ეს
აე

3. დასავლეთის სარკმლის მარჯვნივ —



იკითხება:

გჲ(ორ)გი ესე ქ-
ვაი მ(ა)თ მა-
(ი)კჲ და

4. იმავე სარკმლის მარცხნივ —

იკითხება:

ყოშ. მ.
ეა. მ-
ისი (ა)რს ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე
გ(იორგ)ი.

5. მე-4 ნომრით აღწერილი წარწერის მარცხნივ (სამხრეთისაკენ)



იკითხება:

მ ლით
ამას ეკლესიაჲს
5. . ირ ველს ავუ
ძეგლის მე შა(ლ)ვამან დავ-
დევ
ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე.

---

137 ამ სტრიქონზე ასოების ზევითა ნაწილი წაჰრილია მთლად.

138 ეს ასო უ-ანი უნდა იყოს, უ და ო წარწერაში ერთმანეთსა ჰგვანან ო იწერება ასე ო.

6. სამხრეთის კოზმიდზე

იკითხება:

ⵏ ⵜⵔⵀⵏ	ე ვანე
ⵛⵔ..	და

ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი:

1. (ქ. 47). კარედი ხატიდან დარჩენილი შუა ნაწილი უკარებოდ ფიცარზე ნახატი ხატებით ხარებისა, შობისა და სხვ., $26 \times 19^1/_2$ სმ, დაზიანებული.

2. (ქ. 48). ფიცარზე ნახატი ხატი ნათლისმცემლისა, $11^1/_4 \times 8^3/_4$ სმ.

3. (ქ. 27). კუთხევანი, ხუცურად ნაწერი, ფურცელნაკლები.

დუნთა

დუნთას მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ეკლესია ძველად მცირე ბაზილიკა ყოფილა; იგი XIX ს-ში გადაუკეთებიათ (გაუდიდებიათ).

აღმოსავლეთის კედელზე (ჩრდილოეთის მხრისაკენ) აქვს წარწერიანი ქვის ნატეხი (მარცხენა ნაწილი), რომელიც გვერდზე დაყუდებით არის კედელში დატანებული (იკითხება ზევიდან ქვევით). იგი გადაკეთების დროს უნდა იყოს ასე დადებული. წარწერა არის ნუსხურად. (შინაარსის აღდგენა არ ხერხდება):

ⵅⵙⵏ ⴽⵜⵃ
ⵔⵜⵜ ⵙⵜⵀⵗⵙⵜ ⵏ.
ⵔⵜⵜ ⵛⵔ ⵠⵁⵗⵙⵜ
5. ⵔⵏⵠ. ⵙⵜⵜ ⵀⵗⵀ
ⵏⵙⵏ ⵏⴽⵠ
ⵜⵠⵜⵖⵏ

იკითხება:

მოიხსენე . კურ-
ითა საჩ ისა ღ.
ითა და წ(მიდ)ასა

5. იელისათა ჩვენ
. . . ესე ეკლ-
[ესია] აღაშე-
[ნა]

დუნთას გორიჯვრის ეკლესიის ნანგრევი დგას სოფლის ჩრდილოეთით მაღალ გორაკზე. იგი ერთნავიანი ბაზილიკა ყოფილა, $10 \times 5^{1}/_{2}$ არშინი (დაახლ.) ნაშენი თლილი ქვის.ა და კირისაგან; შენახულია მარტო კედლები (ნახევრად); კარის აქვს სამხრეთით და დასავლეთით.

გარედან ეკლესიას აქვს წარწერები:

1. სამხრეთის კარის თავზე მდებარე ქვაზე არის ორი წარწერა ასომთავრულად, პირველი ნაწერია ასოების ოდნავი ჩაჭრით, მეორე კი საკმარისი სიღრმით.



139 ადგილი ძლიერ არის დაზიანებული.

140 მე-5 სტრიქონს თავში ცარიელი ადგილი აქვს დატოვებული, ხოლო შემდეგ ჩ-ს წინ წარწერა დაზიანებულია და არა ჩანს, თუ რამდენი ასო აკლია.

იკითხება:

1. 1. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე მ(ი)ქ(აე)ლ ერის[თა]ვ[ი]

2. 1. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე მონაჲ დ[ა მაშენე]ბელი
2.შ(ე)ნი მიქაელ ე[რ]ისთავ[ი] და მოეც ძლე-
3. ვაჲ მ[ტერთ]ა ზ(ედ)ა და [დაიც]ევ აქა ჯორცი-

4. ელად. მო[ეც ძლ(ევა)ჲ ა(მი)ნ 1 ისა მისისაებრ

5. . ვე [მო]მადლენ.

2. იმავე კარის მარჯვნივ, კუთხეში მდებარე ქვას (პირით სამხრეთისაკენ) შერჩენია წარწერის კვალი (შენახულია ერთი სტრიქონის ასოების ქვედა ნაშთები).

3. იმავე კარის მარცხნივ კედელში მდებარე ქვას (პირით სამხრეთისაკენ) აქვს ძლიერ დაზიანებული ნუსხური წარწერა: (ირჩევა მხოლოდ ცალკეული ასოები, შინაარსის აღდგენა არ ხერხდება):



წარწერა პალეოგრაფიულად ეკუთვნის XI ს. ესევე მიქელ გვხვდება სხვა წარწერებშიაც:

1. ძმუისის დიდი ჯვრის წარწერაში.

2. ხვამლის მთის ეკლესიის წარწერაში: ეს უკანასკნელი ძლიერ დაზიანებულია და ამიტომ მას მცირე განმარტება სჭირდება. 1926 წლის შემოდგომას ხვამლის მთის მწვერვალიდან წამოვიღე ორი წარწერიანი ქვა, აქ ეე. ენონ იგივე ევნონ-თან ერთად მოხსენებულია მისი

---

141 ამას იქით წარწერა გადადის მეორე ქვაზე.

შვილებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელთა სახელები თითქმის აღარ იკითხება; ასოთა ნაშთის მიხედვით საფიქრებელია, რომ ერთერთი შვილის სახელი იქ უსათუოდ მიქელი არის, რომელიც უნდა იყოს ზემოხსენებული მიქელი.

4. სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის ქვებს აქვს მინაწერები:

1. სამხრეთის მხარეს ასომთავრული წარწერა, დაზიანებული.
2. აღმოსავლეთის მხარეს მაღლა, მხედრული წარწერა გაკრული ხელით.
3. აღმოსავლეთის მხარეს, მის ქვევით, მხედრული წარწერა გაკრული ხელით.
4. აღმოსავლეთის მხარეს, ძირს, ხუცური წარწერის კვალი.

ეკლესიაში არის ქვა, რომელიმე ცხოველის (მელა?) ქანდაკების ნაშთით, 26×41 სმ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ხალხში არის გადმოცემა, ვითომც მელას სანთელი უპარავს ეკლესიიდან და ამისათვის გაქვავებულაო.

კიდევ არის ქვა (ნატეხად) ჩუქურთმებისა და ჯვრის გამოსახულობით 55×42 სმ, დაზიანებული.

არის სხვა სახიანი ქვებიც (მცირე).

აქედან წამოღებული იქნა:

(ქ. 49). აგური ჯვრის გამოხატულებით და წარწერით.

ჯრუჭი

ჯრუჭის მონასტერი[142] (სურ. 42) დგას მდ. ჯრუჭულას მარჯვენა მხარეს, მთის კალთაზე. მის შენობათაგან ძველი არის ეკლესია და გალავანი, დანარჩენი XIX ს-შია აშენებული; აქ ყოფილა შესანიშნავი ბეღელი ფიცრისა, რომელიც დაუშლიათ 1923—1924 წწ.

ეკლესია გუმბათიანი ბაზილიკაა[143] 16×13 არშინი (დაახლ.),

---

142 RVA, XII, 81—88.

143 თავდაპირველად ეკლესია უგუმბათო შენობა უნდა ყოფილიყო და შემდეგ ხანში გადაუკეთებიათ გუმბათიანად; ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ გუმბათის $^3/_4$ ნაწილი საკურთხეველის ფარგალშია მოქცეული, რაც ძლიერ იშვიათია გუმბათიან შენობათა ხუროთმოძღვრებაში.

ნაშენი თლილი ქვისა და კირისაგან, ხურავს სპილენძის ფურცელი[144]. შიგნით გალესილია კირით. სამხრეთის და ჩრდილოეთის სამხროები ეკლესიას ორ-სართულიანი აქვს, აქ გამართულია სამი სამწირველო: სამხრეთისაში 2 — ძირს და მაღლა; ჩრდილოეთისაში 1 — ძირს; მაღლა სამალავი არის. ეკლესიის თაღი და გუმბათი დაბჯენილია ოთხ სვეტზე, თვით გუმბათი — ორ (აღმოსავლეთის) სვეტზე (შუაში), აღმოსავლეთის კედელზე და დასავლეთის კამარაზე აღმართულ პილიასტრზე (ნაპირებით); იგი შიგნით მრგვალია, გარეთ წახნაგოვანი. კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. აღმოსავლეთის ნაწილი, შიგნით, საკურთხეველს მომრგვალებული აქვს, ხოლო გვერდის ნაწილები კი — ოთხკუთხი; პირველს კედელთან აქვს სამღვდელთმავრო და სხვა საჯდომები. ტრაპეზი საკურთხევლის შუაში დგას; მას დასავლეთის მხარეს აქვს შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვა, რომლის გულშიაც გამოჭანდაკებულია წმ. ბასილი და წმ. ნიკოლოზი წარწერით.

X). ვახუშტის ჯრუჭის მონასტერი არა აქვს მოხსენებული; იგი წერს: „ერთვის ყვირილას ჯრუჭი ჩრდილოდამ. გამოსდის კეცების მთასა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მერმე ჩრდილოდამ სამჯრით ყვირილამდე: სადა მოდრკების, მუნ ერთვის ამ წყალს დასავლიდამ სხვა ჯევი. გამოდის საწალიკე-კეცებს შუა მთასა: ამ ევსა და კეცებზედ გარდავლენან გზანი რაჭას: ძველად ყოფილა ამას ზედა შენ. ბანი და აწ ოჯერ არს“-ო[145]. საფიქრებელია, რომ ამ შენობათა ქვეშ ვახუშტი გულისხმობს ჯრუჭის მონასტერს, რადგანაც უკანასკნელი სწორედ იმ ადგილას არის (ჯევთა მოდრეკის ფარგალში), სადაც ვახუშტი შენობათა ნანგრევებს აღნიშნავს. ჩანს ვახუშტის დროს მონასტერი მივიწყებული იყო. მისი აღდგენა-განახლება უნდა მომხდარიყო მას აქეთ, როცა მონასტერი რაჭის საერისთაოს გაუქმების, ე. ი. 1769 წლის, შემდეგ გადაეცა წერეთლებს, რომელთაც იგი საგვარეულო აკლდამად გახადეს[146]. მათი გვარის წევრნი მრავალნი არიან დასაფლავებულნი ეკლესიაში. მართლაც, ქვემოთ არის წარწერა, რომელიც მის განახლებას აღნიშნავს 1778 წ. ჯუმათელ მიტროპოლიტ სვიმონ აბაშიძის მიერ (იხ. ქვემოთ წარწერა № 1).

---

144 ეკლესიის სამხრეთ კალთებს სპილენძის ფურცლები გადახდილი აქვს და მოითხოვს სწრაფ შეკეთებას.

145 ვახუშტი, გეოგრ., ბრ. გამ; გვ. 368 (ქართლ. ცხოვრ. წ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973, გვ. 760).

146 Кавк. Календарь, 1854, გვ. 493.

	იკითხება:
ᵬ⁻ᒣ ᏦᏕᏏᒣ	წ(მიდა)ი ბ(ა)ს(ი)ლი,
ᵬ⁻ᒣ ᏂᏎᏏ	წმიდაო ნ(ი)კ(ო)ლ-
Ⴎ	ო-
Ꮾ	ზ.

სამკვეთლო თახჩაშია გამართული.

გარეთ ეკლესია საკმარისად არის შემკული:

აღმოსავლეთის მხარეს აქვს ქვაზე გამოქანდაკებული საახეები წმიდანთა, სულ არის 8 ასეთი ქვა; სარკმლებსა (სამს) გარშემო ჩუქურთმა აქვს შემოვლებული.

სამხრეთის მხარეს (ორ სარკმელს შუა) გამოსახულია ჯვარი და ორი პირი (ჯვართამაღლება?).

დასავლეთის მხარეს — კარის მარჯვნივ წმ. გიორგი და წმ. დემეტრე ცხენზე, პირველის ქვეშ დეოკლეტიანე, მეორის ქვეშ — ვეშაპი; მათ მარცხნივ ვინმე პირია საცეცხლურით ხელში; კარის მარცხნივ — ჯვარი (1 ქვაზე) და ორი პირი (2 ქვაზე), ერთი მათგანი შუბით და ფარით; შემდეგ (მარცხნივ) ისევ წმ. გიორგი და წმ. დემეტრე და მათ მარჯვნივ ვინმე პირი ხელებაპყობილი (1 ქვაზე).

დასავლეთის მხარის გამოსახულობანი წმ. გიორგისა და წმ. დემეტრესი (კარის მარჯვნივ და მარცხნივ) ტლანქი ნამუშევარია და ისინი ეკლესიის გადაკეთების დროს უნდა ეკუთვნოდენ, ხოლო დანარჩენი (დასავლეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი) — ეკლესიის აშენების ხანას.

ეკლესიას აქვს მრავალი წარწერა: 1. გარეთ:

1. დასავლეთის კარის მარჯვნივ, ჯვრისა და ორი პირის გამოსახულების ძირს, ქვაზე ნუსხურით[147].

	იკითხება:
ᏂᏎᏏ[148]	
ᏦᏕᏏ⁻ᏎᏏ ᏂᏫᏭᏍᏫᏢ	კ(ა)ხ(აჲ)სა ერისთე-
ᏭᏕᏎ ᏩᏂᏫᏍᏫᏢ[Ꮽ]	ისა ჴელმწი-
ᏫᏂᏩᏕᏎ ᏎᏂᏍᏎᏂ[Ꮻ]	ფებასა აე. მართ-
5. ᏎᏈᏢᏭᏣᏦᏂᏭ	5. ა ქუეიტკ(ი)რი
ᏫᏭ⁻ᏓᏎᏍᏭ⁻ᏕᏭ	წ(მიდ)ისა გი(ორ)გისი X).

[147] RVA, 82.

[148] მ. ბროსე წერს, რომ წარწერა განგებ დაზიანებული და ნაშალი არისო (RVA, 82); ნამდვილად კი დაზიანებული არის არა მთელი წარწერა, არამედ მხო-

2. ამავე კედელზე მარცხნისაკენ (სამხრეთით) სხვა ქვაზე მრგვლოვანი ნუსხურით[149]: (სურ. 43).

იკითხება:

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შე(ი)წყალე მ.
დიდ(ი)სა ერისა[152].

X წარწერაში მოხსენიებული კახა ერისთავი უნდა იყოს პატარა ონის წარწერაში მოხსენებული კახა ერისთავი. უკანასკნელი წარწერა პალეოგრაფიულად ეკუთვნის X ს. ეს წარწერაც ამავე საუკუნის ბოლოს — უნდა ეკუთვნოდეს.

ამგვარად ჯრუჭის აშენება უნდა დათარიღდეს X ს-ით.

